


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

29 ოქტომბერი 2010 №22(126)

ვის ელის შავი ჩოხა
სალონთა გაუხუნარი ხიბლი
სოვდაგრების ლიტერატურა
ბეთლემიდან სამოთხის გზაზე
ტარიელ ხარხელაურის ლექსები
ელგუჯა ბერძენიშვილის ნოველა
ლალი ეზუგბაია ენის ბედისწერაზე
დავით შერგელაშვილის მინიატურები
ზურაბ ავალიშვილის ისტორიული ესეი
პედრო ალმადოვარის კარგი დასაწყისი
ნანა კუციას ლიტერატურული პარალელები



შირვარსი

ეს და გაფიცხოვა	2	ლალი ეზუგბაია ენეპი, ეპოსის ტემები და თანამედროვე ტექნოლოგიები
ისტორიის თაორი ლაპაბი	4	ზურაბ ავალიშვილი რკინის და სისხლის პოლიტიკა
ფიქრი და გასეა	9	გურამ მეგრელიშვილი სოვებრივი განვითარების ლიტერატურა
ეპსარის-იცხავობა	11	ოქტავი ქაზუმოვი „მხრივოდ კითხვა თუ გადაგვარჩეს“
პროზა	12	ელგუჯა ბერძენიშვილი ვინენტ ვან გოგის „ნიმის შემოვავა“
პოეზია	15	ტარიელ ხარხელაური დაგვიანებული მაღლობა ძუთაისს
უცხოეთის ცხოვრებიდან	19	სალონიდან სალონამდე
მოცავის მარიამ	25	საბა სულხანიშვილი სალონთა გაუცენარი ხიბლი
ჟადება, გვადება	27	ეკა ბუჯიაშვილი ახალი სკოლა ძველ უბაში
ილიას გაით	29	ვაჟა ბეთანელი გეთლებიდან სამოთხის გზაზე აუგანებელი საგურამო
გამოხატვაგა	33	როდევამდე?
ეკისტოლება	34	თენიგის საბიაშვილი მთლიანობა და თანაპროგა
წევები და წლები	35	როსტომ ჩხეიძე აღსარება გურამ დოჩანაშვილისა
როგორ ვაითხებოთ ქლასიკას	47	ნანა კუცია სიცმიდის მცველი (ერთი ლიტერატურული პარალელისათვის — ვაჟას „ბახტრიონი“, ოთარ ჩხეიძის „ამაღლება“)
დაუიცხარი სახელები	50	ნინო დეკანიძე ეტიკეტის გარეშე (ვაჟტანგ ჭელიძის I-II ტომების წარდგინება)
ერი და გაფიცხოვა	52	ლია კუხიანიძე ვის ელის შავი ჩოხა? (საჯარო ლექცია ქაქუცა ჩოლოყაშვილზე)
კრიტიკა	54	მაია ჯალიაშვილი „მე ის მამიდილებს, ვისაც ვერასოდეს ვერ დავინახავ“ (თამაზ ბაძალუა პოეტური კრებული)
ასალებაზრდებო. ან კი თქვენ	55	დავით შერგელაშვილი სამი მინიატურა
ეკისტოლება	57	თემო ჩიტაძე კარიცხის მომხიბლავი სამყაროსაცენ
ლიტერატურული ცხოვრება	57	ასტრიდ ლიდეგრისის სახელობის პრემიაზე პირველად ჩართველი ნომინაციებიც დასახელდენ
უცხოეთის ცოვალა	58	პეტრო ალმადოვარი კარგი დასახისი
დღიურის ფურცლები	60	მაია ვარამაშვილი ძრის სტილის სახელით, ჯვარის სახელით
დაკვირვები	61	მახვილისი მიმდინარეობის ნიმუშები
მოხატვა	63	ყველგან და ყოველთვის თან დაკავებოდა

ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩრდინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
 სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანიძე დაკაბადონება – თენიგის რობიტაშვილი
 ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
 გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე
 გარეკანზე: ტარიელ ხარხელაური ილიას მუხასთან საგურამოში
 ამირან არაბულის ფოტოეტიუდი



ლალი ეზუგბაია

ენეპი, ეპოსისტემები და თანამედროვე ტექნოლოგიები

მადლი შენ, ყველა ერთმანეთს
უფალო, დაუმონია;
ამ ზე ტურქა და კარგი
მე სხვა აღარა მომნია.
ვაჟა-ფშაველა

21-ე საუკუნის „ენაზე“ დიდი ჰუმანისტისა და პოეტის აზრი ასე „ითარგმანება“: ეკოსისტემები და საზოგადოებანი გლობალური სისტემის შემადგენელი ნაწილებია და ამ მთლიანობის დარღვევა გლობალურ კატასტროფებს ინვევს. ირკვევა, რომ ეკოსისტემებსა და საზოგადოებას შორის დგას ენობრივი სისტემები, რომელთა გაქრობა პირდაპირ დაკავშირებულია ეკოსისტემათა რღვევასთან.

ენისადმი ამგვარი მიდგომა იმ კვლევათა შედეგა, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში და რაც აისახა იუნესკოს დოკუმენტებში. კერძოდ, იუნესკოს გენერალური კონფერენციის (2001, ოქტომბერი) 31-ე ყრილობაზე ერთხმად მიღებული „კულტურული მრავალფეროვნების საყოველთათ დეკლარაციით აღიარებული იქნა კავშირი ბიომრავალფეროვნებას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და ენობრივ მრავალფეროვნებას შორის“ (ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და საფრთხის იუნესკოს მე-3 დოკუმენტი).

ხოლო 2002 წელს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა იუნესკოს კომისიას გადასცეს პროექტი, რომელიც ეხებოდა „გლობალურ, რეგიონალურ და ნაციონალურ დონეზე ბიომრავალფეროვნების შემცირების ტემპების შენელებას“. ამ დოკუმენტის მიხედვით, „ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის შენარჩუნება შეიძლება მნიშვნელოვანილად იყოს დამოკიდებული იმ ენების დაცვაზე, რომლებიც ამ ცოდნის მატარებლები არან. ამგვარად, გადამწყვეტი ხდება ენობრივი მრავალფეროვნების და სიცოცხლისუნარიანობისა და მათი დროში ცვლილების აღწერის გზების პოვნა“.

სწორედ ამ გზათა ძიების პროცესში დაიბადა „მსოფლიოს საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ატლასი“, რომლის პირველი ვერსია 2004 წელს მომზადდა, ხოლო 2009 წლის გაზაფხულზე ატლასის ახალი რედაქცია გამოიცა (<http://www.unesco.org/en/languages>). ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა პარიზში, იუნესკოს ოფისში, და გამოიიქვა სურვილი, რომ სამი თვის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნას და ენათმეცნიერული კვლევის ცენტრებს მიენდებინათ შენიშვნები და მოსაზრებანი ატლასთან დაკავშირებით.

იუნესკოში საქართველოს წარმომადგენლის, საფრანგეთში საქართველოს ელჩის მამუკა კუდავას მეშვეობით არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტი-

ტუტისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ატლასის ელექტრონული ვერსია და საგულდაბულოდ იქნა შესწავლილი. ატლასზე დართულმა დოკუმენტებმა სერიოზულად დაგვაფიქრა არა მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გამო, არამედ იმ პროგნოზისა და ენებისადმი მიდგომის გამოც, რაც ფართო საზოგადოების განსაზღვრის საგანი უნდა იყოს (პუბლიკაციაში დამოწმებული ამონარიდები სათანადო დოკუმენტებიდან შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე <http://www.lingua.ge/>, მენიუში „კანონმდებლობა ენის შესახებ“).

ატლასის რედაქციის მიერ მომზადებულ ახსნა-განმარტებით ბარათში დასაწყისშივე ვეითხულობთ:

„მსოფლიოში ხალხების 97% ლაპარაკობს მსოფლიოში არსებული ენების 4%-ზე და პირიერი, მსოფლიო ენების 96%-ზე ლაპარაკობს ადამიანთა დაახლოებით 3%. მსოფლიო ენები მრავალფეროვნებით ხასიათდება, ამ ენების მატარებელთა რიცხვი კი ძალზე მცირეა. ბავშვები იმ ენებსაც კი არ ითვისებენ, რომელზედაც ბევრი ლაპარაკობს. მსოფლიოს 6000-ზე მეტი ენიდან სულ მცირე 50% კარგავს თავის მატარებელს. ჩვენი შეფასებით, 21-ე საუკუნის ბოლოს უმეტეს რეგიონებში ენათა 90%-ს უფრო დომინანტური ენები ჩამოაცვლება.“

ამ არასასურველი პროგნოზის ავტორები ასახელებენ ამ პროცესის მიზეზებს. ერთი მხრივ, ესაა გარეშე ფაქტორები: „მიზეზი შეიძლება იყოს გარეშე ძალები, როგორიცაა სამხედრო, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული ან საგანმანათლებლო მორჩილება“, მეორე მხრივ, შიდა ფაქტორები „როგორიცაა საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი ენისადმი... შიდა ზეწოლა ხშირად გარე ფაქტორებიდან მომდინარეობს და ორივე აჩერებს ენობრივი და კულტურული ტრადიციების თაობათა შორის გადაცემას“. საკუთარი ენის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება პრაგმატული მოტივით იყოს გამოწვეული: საცხოვრებელი ადგილით და სამუშაოთი უზრუნველყოფა, სოციალური მობილობს გაძლიერება, მსოფლიო ბაზართან ინტეგრაცია...

ატლასის შემდგენლები და იუნესკო თანხმდებიან, რომ მსოფლიოს ყველა ენა, ყველაზე მცირერიცხოვანიც



და სამწერლობო ტრადიციის არმქონეც, უნიკალურია, ხოლო „თითოეული ენის გაქრობა ინვევს უნიკალური კულტურული, ისტორიული და ეკოლოგიური ცოდნის აუნაზღაურებელ დანაკარგს. თითოეული ენა მსოფლიოში ადამიანის გამოცდილების უნიკალური გამოხატულებაა. ასე რომ, ყოველი ცალკეული ენის ცოდნა შეიძლება საკანონო მნიშვნელობის იყოს მომავლის ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის გასაცემად. ყოველთვის, როცა ენა კვდება, ვარგავთ ენათა სტრუქტურისა და ფუნქციის ნიმუშებს, კაცობრიობის პრეისტორიის გაგებისა და მსოფლიოს მრავალფეროვანი ეკოსისტემების შენარჩუნების საშუალებას.“

ჩვენ მივეჩვიეთ საუბრებს ენისა და კულტურის კავშირზე, ხშირად ვიმეორებთ, რომ ენა არის ისტორიის არქივი და იდენტობის სიმბოლო, თუმცა საფუძვლიანი ლინგვოკულტუროლოგიური და ეთნოლინგვისტური კვლევები, რომლებიც სრულყოფილად მოიცავდა საქართველოს ლინგვისტურ ლანდშაფტს, ჩვენში მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ამ მიმართულებით დიდი შრომაა გასაწევი. ლინგვისტებმა ასევე ძალიან კარგად ვიცით, რომ ენა უნიკალურია თავისი სტრუქტურითა და ფუნქციით. სტრუქტურალიზმის ფუძემდებლის ფერდინანდ დე სოსიურის განმარტებამ — „ენა არის ნიშანთა სისტემა“ — ბიძგი მისცა მე-20 საუკუნის ენათმეცნიერებას. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აქტუალური გახდა ენისა და საზოგადოების კავშირის, მათი ურთიერთზეავლენის კვლევა, რაც სოციოლინგვისტიკის სახელითაა ცნობილი. როგორც ჩანს, ათასწლეულების მიჯნაზე, გლობალიზაციის ეპოქაში ახალი მიდგომა გაჩნდა: ენა ვერ განიხილება იდენ და მოუკიდებელ სისტემად, ვერც იდენ საზოგადოებრივ მოვლენად — ეთნოსის თუ სოციუმის მახასიათებლად, ვერც იდენ კულტურულ, სულიერ ღირებულებად — „ენა სულია ერისა“ (ჰუმბოლდტი), ყველაფერ ამასთან ერთად ენა ბუნების ძარღვა, რომლითაც ის უკავშირდება ადამიანს. ადამიანის ცოდნა და გამოცდილება სამყაროს ეკოსისტემების შესახებ — ეს არის ენის საშუალებით გადასხმული სისხლი ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და პირიქით. მეცნიერულად კი ამ მოვლენას ასე ხსნია: „საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკოლოგიური მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია. ეკოსისტემა არის სისტემა, სადაც ყველა ორგანიზმი, მცენარე, ცხოველი, ბაქტერია თუ ადამიანი უნდა ცოცხლობდეს, რათა ეს კომპლექსური სისტემა არ დაირღვეს და განაგრძოს არსებობა და ფუნქციონირება (სკუტნაბ-კანჯასი, 2000). ეკოსისტემის ერთი ელემენტის განადგურებაც კი ინვევს მთლიანად სისტემის რღვევას. ნეტლი და რომანი (2000) მიზნევნ, რომ ბიოლოგიური და ენობრივი მრავალფეროვნება განუყოფელია. მათი არგუმენტით, სადაც ტყეები გაკაფულია, იქ ენები საფრთხის ქვეშა: სადაც ბიომრავალფეროვნებაა, იქ კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნებაა (იხილეთ ტერალინგვას რუკა www.terralingua.org; http://www.terralingua.org). მრავალფეროვნება მოიცავს ადაპტირების უნარს, მრავალფეროვნების გარეშე იკარგება ადაპტაციის პოტენციალი და ველარ ხდება სხვადასხვა გარემოში გადარჩენა. შესაბამისად, იქ, სადაც არ არის მრავალფეროვნება, ადაპტაციის

უნარი დაქვეითებულია. ამ პირობებში ნაყოფიერებაც კლებულობს და ადამიანის ინტელექტუალური მიღწევებიც მცირდება. შესაბამისად, ეკომრავალფეროვნების მოსპობა იწვევს კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების გაქრობასაც. ჩვენი ნარმატებები განპირობებულია უნარით ადაპტაცია მოვახდინოთ სხვადასხვა გარემოში. ეს უნარი კი ნარმობში მრავალფეროვნებიდან (სკუტნაბ-კანჯასი, 2000) — ეს ვრცელი ამონარიდი კოლი ბეიკერის წიგნიდან „ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები“ (მთარგმნელი შ. ტაბატაძე, 2010 წ.). ზემდინევნით მარტივად გადმოგვცემს კავშირს ბიომრავალფეროვნებასა და ლინგვომრავალფეროვნებას შორის.

იუნესკოს ატლასის რედაქტორები აღნიშნავენ, რომ „რუკაზე გადატანილი 900 ეკორეგიონიდან 238 (უწოდებენ გლობალურ 200 ეკორეგიონს) უმნიშვნელოვანებისა მსოფლიოს ეკოლოგიური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. ამ 200 გლობალურ ეკორეგიონში ძალიან ბევრი ეთნოლინგვისტური ჯგუფია. ეს არის ხალხი, რომელმაც თავის გარემოში ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დიდი ეკოლოგიური ცოდნა დააგროვა“. ეს ცოდნა დაუნაჯებულია ენაში და მისი გამოცალებება ეკოსისტემებისაგან არასწორია. ზოგადად მიიჩნეოდა, რომ ეკოკატასტროფები დემოგრაფიულ და მიგრაციულ პროცესთანაა დაკავშირებული. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ადამიანური ფაქტორი არაა გადამწყვეტი. წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აბორიგენი მოსახლეობა, ქართველები და აფხაზები, სრულად ჩაანაცვლეს სხვა ხალხებმა, ან ისინი უმცირესობაში აღმოჩნდენ, მაგრამ აღარავინ იქნება ქართულ (სევე მეგრულ-სვანურ) და აფხაზურ ენებზე მოლაპარაკე. ეს ნიშნავს, რომ გაქრება აფხაზეთის ეკოსისტემათა ისტორიული გამოცდილებით მიღებული ცოდნა და შესაბამისად, გადაიდგმება ნაბიჯება, რომლებიც დაზიანებს, გაანადგურება ბუნებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტში ატლასის რედაქციის გასაგზავნად მომზადებულ წერილში საგანგებოდ იქნა წინა პლაზე ნამოწეული კავკასიის რეგიონში შექმნილი შითარება: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ იუნესკოს „ენათა ატლასას“ და ევროსაბჭოს შესაბამის პოლიტიკაში საგანგებო ადგილი უნდა მიენიჭოს კავკასიის მცირე ენობრივი უნიკუმების გადარჩენის პრობლემას, ვინაიდან ისინი დიდი ხანია დანარჩენის მიზანმიმართული გენოციდის ტოტალური საფრთხის წინაშე (იხ. აგრეთვე რუსეთის მონაცემები ატლასის მოხედვით)…“

მიზანშენონილი იქნებოდა, თუ ცივილიზებული მსოფლიო კავკასიას გამოაცხადებდა ბიომრავალფეროვნების, ეთნოკულტურული და ლინგვისტური უძედურების ზონად და დასახავდა ამ ენობრივი სამყაროს გადარჩენის ქმედით პროგრამას.“

ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ადამიანის ცხოვრების წესია, მაგრამ მან გამოცდილებით იცის, სად გადის ზღვაზე ეკოსისტემების გამოყენებასა და განადგურებას შორის. ეს გამოცდილება და ცოდნა ენის საშუალებით გადაეცემა თაობიდან თაობას და ინარჩუნებენ ბუნებასთან პარმონიული თანარჩენის პირობებში.

ამდენად, თაობათა შორის ენობრივი კავშირის გაწყვეტა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთრივ ენას, არამედ იმ გარემოსაც, რომელშიც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს. გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების მდგომარეობის შესაფასებლად რამდენიმე კრიტიკუმი არსებობს, მაგრამ უმთავრესად მიჩნეულია თაობათა შორის უწყვეტი კომუნიკაცია. ხოლო ხელის შენყობის აუცილებელი პირობაა ენის ეროვნული კურსის მხარდაჭერა და განვითარება. იუნესკოს დოკუმენტში ნათქვამია: „ენის ეროვნული კურსი მხარს უნდა უჭრდეს მრავალფროვნებას, მათ შორის საფრთხეში მყოფი ენებისასაც. მეტი სოციალური პროფილის მეცნიერი, ჰუმანიტარი და ენების მატარებელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ენის ეროვნული კურსის შემუშავებაში.“

თანამედროვე ეპოქაში ენის ეროვნული კურსის სტრატეგიული მიმართულება ენის დოკუმენტირება ინოვაციური ტექნოლოგიებით. ეს გულისხმობს ენობრივი მონაცემების ელექტრონული ბაზების შექმნას, ანალიზა და ანოტირებას. ამ მიზნით ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასასარულს კორპუსის ლინგვისტიკა, რომლის შედეგები თვალსაჩინოა „დიდი“ თუ „მცირე“ ენების კვლევისა და განვითარების საქმეში. შესაბამისად, ქართული ენა 21-ე საუკუნეში დაგას ახალი გამოწვევების წინაშე — წიგნების ენიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების, „ციფრულ“ ენად გადაქცევა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო ქართული დიალექტური კორპუსის შექმნა, რომელსაც დანარჩენ ქართველურ ენათა მონაცემებიც შეუერთდება, მაგრამ 15 საუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ნაციონალური ტექსტური კორპუსის შექმნას ქართული სახელმწიფოს ძალისხმევა სჭირდება. სახარების პირველმთარგმნელებმა ახალ სამყაროს ათასწლეულის საგანძურად გადასცეს ქართული ენა. ის მესამე ათასწლეულის საგანძურადაც რომ იქცეს, ლინგვისტების, პროგრამისტების, გამოცემლობების, ბიბლიოთეკების, საჯარო თუ კერძო დაწესებულებათა, მთელი საზოგადოებისა და ხელისუფლების თანამშრომლობა, თანადგომაა საჭირო.

დიას, 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა, მაგრამ ენა ის მარადიული ფენომენი, რომელიც დედამინის მაჯისცემასაც გვატყყობინებს და მომავლისენ მომზირალ კაცობრიობასაც აფრთხილებს: ტექნოკრატიულ სამყაროშიც ადამიანი პიომრავალფეროვნების გარემოში უნდა ცხოვრობდეს. ესაა განვითარების საფუძველთა საფუძველი!

ზურაბ ავალიშვილის ისტორიული თხზულება „შაპ აბასი და საქართველო“, რუპრიკით „კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან“ 1936-37 წლებში გაგრძელებებით დაიბეჭდა რუსულენოვან უქრანალ „კავკაზში“ (რუსულის გარდა, უქრანალი კიდევ ხუთ ენაზე გამოდიოდა, მათ შორის ქართულადაც „კავკასიის“ სახელწოდებით). თხზულება ხუთი თავისგან შედგება: „დელი სიმონი“ („კავკაზ“ №11/35, 1936), „მამის მკვლელი კონსტანტინე“ („კავკაზ“ №12/36, 1936), „ქორწინებების პოლიტიკა“ („კავკაზ“ №1/37, 1937), „რკინისა და სისხლის პოლიტიკა“ („კავკაზ“ №3/39, 1937), „ეპლოვა“ („კავკაზ“ №4/40, 1937).

იმავე 1937 წელს ქართული „კავკასიის“ სამ ნომერში (№3, 4, 5) გამოქვეყნდა ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი „თემიურაზ ზე დაის პოემა“, „ნამება ქეთევან დედოფლისა“, „რომელიც 1938 წელს პარიზში „კავკასიამ“ ცალკე წიგნად გამოსცა, სამი ისტორიული საბუთის დამატებითი და აუტორისეული ახალი, ვრცელ და უაღრესად საინტერესო წიგნისტუმი მიზნებით გამოცემა იწყება: „კავკაზში“ ნომერი მეორე და მესამე ნომერი მესამე ნომერში მიზნებით გამოცემა იწყება: „კავკაზში“ ეს იმ ხუთი საისტორიო ცდის ქართული გამოცემა იქნებოდა გაფართოებული და ზოგი ნაკლებად ცნობილი მასალით შევსებული. ამით მკიოხელეს იმდროინდელი პოლიტიკური გარემოს გაგება ცოტა გაუადვილდებოდა“.

როგორც ჩანს, ზურაბ ავალიშვილმა ვებარ მოასწორო თხზულების გაფართოებული, ქართული ტექსტის გამოცემა, რისი უმთავრესი მიზეზიც უთუოდ მსოფლიო ომის დაწყება იყო, რომლის დამთავრებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, 1944 წელს, ზურაბ ავალიშვილი ბავარიიში გარდაიცვალა.

საცენზურო პირობების გამო გასუკუნის 20-იანი წლების შემდგომ ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი საქართველოში აღარ გამოქვეყნებულა. არც ემიგრაციში შესრულდული ყველა ნაშრომი იყო ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი. ამავად ვითარება შეცვლილია და ხელთ გვაქვს რუსულად შესრულებული და „კავკაზ“ში გამოქვეყნებული თხზულება „შაპ აბასი და საქართველო“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავის — „რკინისა და სისხლის პოლიტიკა“ — თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

ზურაბ ავალიშვილი

რკინისა და სისხლის პოლიტიკა

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის მორიგი ზავი დაიდო. ალდეგნილ იქნა XVI საუკუნის შუა ხანებში, შაპ თამაზისა და სულეიმან ბრწყინვალის მამართველობისას მიღწეული წიგნასწორობა, რომელიც საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სპარსეთის შინააშლილობის დროს, მკვეთრად დაირღვა თასბლეთის სასარგებლოდ. ისმალეთი იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა იმაზე, რაც რეალურად დაკარგა ომის შედეგად: კავკასიაში ეს იყო უმთავრესად ამჟამინდელი კავკასიური აზერბაიჯანის ტერიტორია.

სპარსეთის ხელისუფლების არა მხოლოდ ალდეგნაც კი ყარაბაღში, შირვანში და ა.შ. ძირულად უნდა შეცვალა აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა. ქართლი და კახეთი უშეულოდ ექცევილნენ იმ ძლიერი მეზობლის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც მხოლოდ მეზობლობას არ დასჯერდებოდა.

სპარსეთის იმპერიის ცენტრალიზება, რასაკეირველია, გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრიობისა და ნაციონალიზმის თანამედროვე გაგება გადატანილი არ უნდა იქნეს XVII საუკუნის კავკასიის პოლიტიკაზე. ყოველდღიურ ყოფაში სახელმწიფოს შეზღულებული ჩარევისას მოსახლეობის ცხოვრიბის ტრადიციული წესი არსებითად ნაკლებად იყო დამტკიცებული სპარსეთის სახელმწიფო ძალაუფლებაზე, თუნდაც იმავ ქრისტიანულ მხარეებში, როცა ქართველი მმართველები შაპების ვასალები იყვნენ. თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ სავალდებულო მოკავშირეობა უფრო იგულისხმებოდა, ვიდრე ნამდვილი დაქვემდებარება.

ისტორიის თათრი ლაპარა

უბედურება ის იყო, რომ ქართულ-სპარსულ ურთიერთობებს, მთელი რიგ მიზეზთა გამო, აუცილებელი მდგრადობა აკლდა. შეეძლოთ რა უშუალო ურთიერთობა დაემყარებინათ შაჰის კართან, ქართველ დიდებულთა ნაწილი საკუთარ მეფეებთან ქიშპობაში ითრევდა სპარსეთს. როგორც ჩანს, ამით ზარალდებოდა ქართველ მეფეთა ძალა-უფლება და ავტორიტეტი. მეორე მხრივ, მაშინაც კი, როცა სპარსეთის პოლიტიკურ კურსს იზიარებდნენ, მათ არ ჰქონდათ საფუძველი თავი მიეჩინათ სპარსეთის უბრალო მარიონეტებად. პირიქით, ისინი ინახავდნენ ქართული თვითშეგნების ცოცხალ ისტორიულ ტრადიციებს, რასაც ჯერ კიდევ ჰქონდა გადგმული ფესვები ხალხში. ამიტომ არსებობდა ზღვარი, რომლის გადალახვა მათ არ შეეძლოთ და არც სურდათ, როცა უნდა მორგებოდნენ სეფიანთა ირანის პოლიტიკურ უპირატესობას ალმოსავლეთ კავკასიაში.

მათ არ შეეძლოთ გარედან მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, ხომ ვერ იქნებოდნენ მოსკოვის სამეფოს იმედად, როცა მოსკოვსა და ირანს შორის სიყვარული და მეგობრობა სუჯევდა. უკიდურეს შემთხვევები მათ შეეძლოთ ცეცხლითან მორევში ჩავარდნის რისკის ფასად ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდათ; მათი მხრიდან ეს საკმაოდ ბუნებრივად გამოიყერებოდა; ვის შეეძლო მაშინ სპარსეთ-ოსმალეთს შორის 1612 წელს ალდგენილი ზავის ხანგრძლივად თავდებობა. ან მოის განახლების შემთხვევები ვის შეეძლო იმის განტვრეტა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება? თანაც იმსანად არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნაწილები (იმერეთი, სამცემო, გურია) რჩებოდნენ ისმალეთის გავლენის სფეროში, არამედ ეს უკანასკნელი საბოლოოდ და დიდი ხნით მკვდრდებოდა ახალციხეში, თან აზერბაიჯანშიც ინარჩუნებდა დამაქაშებს, რომ აღარაფერი ვთქვათ დალესტანზე.

ასეთ ვითარებაში არც შაჰ აპას შეეძლო ჩაეთვალა თავი მოულოდნელობათაგან დაზღვეულად თავის ჩრდილოეთ ფრონტზე და არც ქართველი მეფეები იჩენდნენ დიდ ნდობას შაჰის განზრახვათა მიმართ. ამ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და უნდობლობა, რომელთაც ღრმა პოლიტიკური მიზეზები ჰქონდათ, ძალიან ძეირად დაუჯდა საქართველოს. თავის დრამატიზმითა და იმ უბედურებებით, რომლებიც თავს დაატყდათ პირადად ქართველ მეფეებსა და მათ კვეშევრდომთ, ამ ბრძოლამ — რამდენადაც საქმე მივიდა აშკარა ბრძოლამდე — საერთო ყურადღება მიიპყრო. მისი გავლენის გარეშე არც ირან-ოსმალეთის ურთიერთობა დარჩენილა. ამიტომაც ეს ბრძოლა მრავალგზის აისახა იმ ეპოქისადმი მიძღვნილ ქრონიკებსა და ნაწერებში, სადაც წინააღმდეგობან არცთუ ცოტაა და ბევრი დეტალის გარკვევა მთელ რიგ მონაცემთა სილრმისეულ კრიტიკას მოითხოვდა. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მთავარ მოვლენათა საერთო მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

დაინტერესონ იმით, რომ შაჰ აპასის მიერ მაზანდარანში სანადიორო მინვეულმა ახალგაზრდა მეფეებმა ლუარსაბმა და თეიმურაზმა არ ინებეს იქ წასვლა. ყურადღება მიიპყრო მეფეთა ურთიერთდაახლოების და მათმა მზაობამ — ერთად მდგარიყვნენ ყველა შესაძლო საფრთხის შემთხვევაში, რაც ოდნავადაც არ პასუხისმგებელი ყველაფრის შესახებ კარგად ინფორმირებულ სპარსეთის მთავრობის ინტერესებს. წარმოიშვა ეჭვები, და შაჰის კარზეც აღმოჩნდნენ ისევ ქართველები, რომლებიც სხვადასხვა გულისწადილით ცდილობდნენ ეჭვების გაძლიერებას. ამ თვალსაზრი-

სით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება თბილისს ყოფილ მმართველს — ანუ მოურავს გიორგის, რომელიც სააკაძეთა მანამდე უმნიშვნელო გვარს წარმოადგნდა. ის ადრევე დაწინაურდა ქართლში და ლუარსაბთან პირადი სიახლოვის წყალობით გავლენიანი მდგომარეობა მოიპოვა. შემდგომ ამ უკანასკნელის სააკაძის დასათან ურთიერთობის გაურკვეველ ისტორიასთან დაკავშირებით

სააკაძემ გულწრფელად თუ ტყუილად ხიფათი იგრძნო და, თავისი მეფის მიმართ სიძლულით გამსტვალული, სპარსეთში წავიდა. სპარსეთში თავისი უნარიანობით, გარჯითა და სამსახურით შაჰ აბასის ნდობა მოიპოვა. ყოველმხრივ ეს იყო დიდად ნიჭიერი ძალის მქონე, რაც უმნიშვნელო არ ყოფილა მაშინდელი ბრძოლების პირობებში. რაც მთავარია, სააკაძე მბრძანებლად იყო დაბადებული.

როგორც უნდა იყოს, შაჰ აპასმა აუცილებლად ჩათვალა არაკეთილსამედო საქართველოს მიმართულებით ლაშქრობის მოწყობა. მეფეებმა არ მიიჩნიეს თავი ვალდებულად, ყარაბალში შესახვედრად ხლებოდნენ შაჰს. კახელების დაუშინებით შაჰთან თეიმურაზის დედა ქეთევანი გაემგზავრა; მას თან ახლდნენ მძევლებად შეთავაზებული თეიმურაზის უასაკო ვაჟები. ერთხანს ისე ჩანდა, რომ შაჰ აპასი კმაყოფილი იყო მორჩილების ასეთი გამოხატულებით, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა დაძრულიყო კახეთის საზღვრებისაკენ (მარტი, 1614 წელი). ყოველი შემთხვევისათვის დაუპატიუჟებელი სტუმრის წინააღმდეგ სიფრთხილის ზომები კახეთშიც იქნა მიღებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მთლიანად ალაზნის ველის გაყოლებით, მუკუზანიდან დაწყებული, მოწყობილ იქნა წინააღმდებარება ჯაჭვი, თუმცა საქმე მომადე არ მისულა. ერთობლივად მოქმედების მზაობა არ იყო საკმარისი: მეფეები ამ შემთხვევები არ აღმოჩნდნენ არც სახელმწიფოებრივი ადამიანები და არც მხედართმთავარნი, მიუხედავად მათი რაინდული აღზრდის მთელი ბრძინვალებისა. მათი პოლიტიკური მიზნები არ ყოფილი გარევეული, ისე ჩანდა, რომ ისინი ენინააღმდეგებოდნენ შაჰს. ქართლის დიდებულთა უმეტესობა ირანოფილურად იყო განწყობილი, კახეთშიც არ ყოფილა ერთსულლოვნება. თურქეთთან სპარსეთი დაზავებული იყო და შესაბამისად დროც არ უწყობდა ხელს ავანტიურებს. საერთოდ ბაგრატოვანთა სახლის ორივე სტოს (ქართლისა და კახეთის) ტრადიციებს სრულებითაც არ გამორცხავდნენ ირანთან კომპრომისებს, პირიქით, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ ამ მიმართულებით. მაგრამ 1614 წელს მეფეებმა მათი მდგომარეობის შესაბამის ორ სავარაუდო გამოსავალს შორის საკმაოდ მოულოდნელი მესამე აირჩიეს, რომელიც არ ყოფილა მოყლებული მახვილგონივრობას. აშკარა დაპირისპირების ანუ მოისათვის თეიმურაზი და ლუარსაბი მზად არ იყვნენ; შაჰ აპასთან შერიგება



კი მათთვის უკვე დამამცირებელი იყო და ამიტომაც იმერე-თის მეფეს გიორგი III შეაფარეს თავი. იმერეთის მეფემ ისი-ნი ჯერ საჩხერეში მიიღო თავად წერეთლების სამფლობე-ლოში, შემდგომ კი თავისთან, ქუთაისში.

ქართლისა და კახეთის მეფებისთვის იმერეთი საიმედო თავშესაფარი გახლდათ. ლიხის მთა, რომელიც იმერეთს ყოფილი ქართლისაგან, იმ ეპოქაში მნიშვნელოვან წინაღობად ითვლებოდა მომხვდური ლაშქრისათვის. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დასავლეთი საქართველო თურქეთის გავლენის სფე-როს მიეკუთვნებოდა და იქ შეკრა შაპ აბასისთვის თურქეთ-თან დაპირისპირებასა და ომის განახლებას ნიშნავდა, რაც იმხანად მის გეგმებში არ შედიოდა. ერთი რამ უეჭველი გახლდათ შაპ აბასისთვის: მისი ორი უპირველესი ვასალის გაქცევა იმერეთში მაჩვენებელი იყო მათი გადაწყვეტილებისა — ირან-ოსმალე-თის ომის განახლების შემთხვევაში ამ უკა-ნასკნელის მხარე დაეჭირათ.

შაპის უპირველესი გადაწყვეტილე-ბა იყო თეიმურაზის დამხობა. კახეთი ისა-ხანს „მისცეს“, იმ გიორგის ვაჟს, რომელიც მამასთან, ალექსანდრეს-თან (თეიმურაზის პაპასთან) ერთად მოკლეს 1605 წელს ძეგაშში, „მამის-მკვლელ“ კონსტანტინეს თანდასწ-რებით. თვითონ მომავალი ისა-ხანი ფეხებში ჩაუვარდა თავის ბიძას და მანაც შეიბრალა მისი სიყმაწვილე და სიცოცხლე აჩუქა. თეიმურაზის დედა ქეთევანი და თეიმურაზის ორი მცი-რენლოვანი ვაჟი საპარსეთს გაგზავნეს. დაარბიეს და გაძარცვეს კახეთის მეფე-თა რეზიდენციები გრემსა და თორლას ციხეში, ალაზნის ზემო დინებაზე. ნებადარ-თული იყო გარკვეული ოდენბით ნადავლის ნამოლება. შაპ აბასის სამხედრო მრჩეველი ამ ლაშქრობისას გიორგი სააკადე იყო.

ზემო კახეთიდან შაპ აბასი მთის ბილიკებით არაგვის ხეობაში გადავიდა. ქართლი ამ ჯერზე შედარებით ნაკლე-ბად დაზარალდა. ახლა შაპ-აბასის მთავარ საზრუნავს ნარმოადგენდა იმის მიღწევა, რომ იმერეთის მეფეს მისთ-ვის თეიმურაზი და ლუარსაბი გადაეცა. შაპ აბასს ცნობები გააჩნდა პორტასთან (ოსმალეთის სამეფო კარი — მთარგმ). ქართველ მეფეთა ურთიერთობის შესახებ და ცდილობდა დაუმორჩილებელ ვასალთა თავისთან დაბრუ-ნებას, მითუმეტეს, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი სუ-ფევდა. თურქეთის მთავრობამ სწორედ იმის გამო გამოთქ-ვა უკმაყოფილება, რომ შაპ აბასი შეიარაღებული ძალებით ზედ იმერეთის საზღვარზე იდგა. ამის გამო შაპ აბასი იძუ-ლებული გახდა ახსნა-განმარტებისათვის სტამბოლში გან-საკუთრებული ელჩი გაეგზავნა.

შაპ აბასთან მოლაპარაკებისას იმერეთის მეფე გიორგი III ბაგრატიოვანთა სახლის საერთო ლირსებას იცავდა. მო-ლაპარაკებები ლევან დადიანისა და მამია გურიელთან შე-თანხმებით მიმდინარეობდა ანუ ისე, თითქოს საქე სრუ-ლიად საქართველოს ეხებოდა. ლუარსაბი დაჰყვა საკუთა-რი დის (შაპის ცოლის) და თავისი ყოფილი აღმზრდელის შადიმან ბარათაშვილის დაჟინებულ ვედრებას და დაბრუნ-

და ქართლში (1614 წლის შემოდგომაზე), თუმცა იგი იქ არ გაჩერეს. ლუარსაბი თან ახლდა შაპ სპარსეთში და ერ-თხან მისი საპატიო სტუმარი იყო, რასაც რუსული დიპ-ლომატიური მიმოწერაც ადასტურებს.

ამრიგად, შაპ აბასმა დასახულ მიზანს მხოლოდ სანა-ხევროდ მიაღწია. თეიმურაზის ხელში ჩაგდება მან ვერ მო-ახერხა. შედეგებმაც სულ მალე იჩინა თავი. ის, ვინც შაპ აბასმა კახეთს ჩაუყენა სათავეში, იქ ვერ დამაგრდა: ქვეყა-ნაში დაინტყო მღელვარება და ეს უეჭველად იყო დაკავში-რებული ოსმალეთსა და ირანს შორის იმის განახლებასთან (რისი ერთ-ერთი საბაბიც იყო 1614 წლის ექსპედიცია სა-ქართველოში). ოსმალეთის უზარმაზარი სამხედრო მანქანა 1615 წლის გაზაფხულზე ამოძრავდა. რამდენიმე თვის შემდეგ, რელიგიური დღე-სასწაულის დროს, რომელსაც ჩვეულებრივ აღავერდის ტაძარში იხდიან კახეთში და დიდალი ხალხი იყრის თავს, დაინტყო კარა მოძრაობა ირანელთა ძალმომრე-ობის ნინაღმდევე. იქ განვითარებულ მოვლენებს იმერეთიდან შინ დაბრუ-ნებულმა თეიმურაზმაც ჩაუსწრო. მოძრაობა მოედო შირვანსაც, სა-დაც, რა თქმა უნდა, თურქული გაგ-ლენა თავის საქმეს აკეთებდა.

მანამდე ცოტა ხნით ადრე (1615 წლის დასაწყისში) შაპ აბასმა დიდი პირად უბედურება გადაიტანა. მისი ბრძანებით რეშტები მოკვედინეს ტახ-ტის მეტვიდრე, მისი უფროსი ვაჟი სე-ფი-მირზა, დედის მხრივ ქართველ მე-ფეთა შტამბავალი. გულდამიმებულმა შაპმა კავკასიის საქმეთა მოგვარება თავ-დაპირველად ალიყული-ხან შამლუს მიან-დო. თეიმურაზს ბედმა გაულიმა, მან შეძლო მოწინააღმდეგის ხაფანგში შეტყუება, მუსრის გავლება და დიდი ზარალის მიყენება. მაშინ სალაშქ-როდ თვით შაპ აბასი გამოემართა, რომელსაც მნიშვნელო-ვანი ძალები მოეპოვებოდა, მათ შორის დიდი ოდენბით აზერბაიჯანელები. არმიამ თავი მოიყარა განვაძები. იქიდან-ვე განსორციელდა ექსპედიცია კახეთში, რომელიც მხედ-ველობაში აქვთ, ჩვეულებრივ, როდესაც ლაპარაკობენ „ცეცხლითა და მახვილით“ შაპ აბასის მიერ საქართველოს აოხრებაზე.

აოხრების მასშტაბები ძალიან დიდი იყო. აქ არ შევუდ-გებით მათ აღნერას. რა თქმა უნდა, მთავარი უბედურება გახლდათ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძალადობრივი გადასახლება სპარსეთში. ისინი ძალიან შო-რეულ ადგილებში გადასახლეს, მაგალითად, ასუპასში თუ ასპასში ისპანსა და შირაზს შორის, სადაც მათ მევენახო-ბა და მეღვინეობა დანერგეს და სადაც ქართულ დასახლე-ბებს უკვე 1620-იან წლებში ახსენებდნენ ევროპელი (ინგ-ლისელი) მოგზაურები. ისპანის მეზობლად მდებარე მხო-ლიდ ერთ რაიონში ინახულა გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები XIX საუკუნის დამლევეს ლადო აღნიაშვილ-მა და საინტერესო მასალებიც შეაგროვა. მათ შენარჩუნე-ბული ჰქონდათ ქართული ენა; თუმცა „ქართველები სპარ-სეთში“ — ფართო თემაა და მას აქ აღარ შევეხებით.



* * *

ამ უმაგალითო დარბევასთან დაკავშირებულ ნგრევათა სისტემისტური ხასიათის ახსანა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია შაჲ აბასის სისხლისმსმელობითა და ავადმყოფური მანიით, ან ჭირვეულ ვასალთა დასჯის სურვილით და ალი-ყული-ხანის დამარცხებისათვის შურისძიებით. და ბოლოს, არც იმ გადაწყვეტილებით, რომ შეჭირვებისა და ხიფათში თავის ჩაგდების საფასურად ალაფობის შესაძლებლობით და ეჯილდოვებინა თავისი ჯარი. ყოველივე ზემოთჩამოთვლით თავის როლს თამაშობდა შაჲის პოლიტიკაში, მაგრამ მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ის, რომ ქართველების სახით ბრძოლისუნარის მოკავშირების გარეშე დაეტოვებინა თურქეთი იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოქმედებათა თეატრი კავკასიაში გადმოინაცვლებდა. შაჲ-აბასი ცდილობდა როგორც მათ, ისე მათ ხელთ არსებულ საშუალებათა განადგურებას.

მთავარი იპერაცია კახეთის „დამშვიდებისა“ 1616 წლის ზაფხულისთვის დამთავრდა, თუმცა სპარსული ნანილების მოქმედებანი მოგვიანებითაც გრძელდებოდა განსაკუთრებით ალაზანს გაღმა. თავის მხრივ მოსახლეობამაც არცთუ მცირე წინააღმდეგობა გასწინა.

ამასობაში თურქებმა ალყა შემოარტყეს ერვანს, თუმცა ამ ალყიდან არაფერი არ გამოვიდა. 1616 წლის თურქულ კამპანიას მაღლე გამოეცალა ძალა და საერთოდაც უშედეგო აღმოჩნდა. წლის მიწურულისთვის ზავი ფაქტობრივად აღდგა. შაჲ-აბასს კახეთში დაბრუნების საშუალება მიეცა, რათა თვალი ედევნებინა უშუალოდ ადგილიდან ან შორისახლოდან თავისი ჯარის ბოლო გამანადგურებელი ქმედებისთვის.

თურქეთის ომას და თურქეთის ჩარევაზე დადებული ფსონი წამგებიანი აღმოჩნდა. იქნებ ეს დროებითი წარუმატებლობა იყო? იმერეთში დროულად დაბრუნებული თეიმურაზი ერთგვარად პორტას სტიპენდიანტი გახდა, რომელმაც არცთუ უანგარიდ მისცა საშუალება თეიმურაზს საქართველოს მეზობლად, საქართველოსგანვე მიტაცებულ ადგილებში ეცხოვრა — ბათუმთან მდებარე გონიოსა ან ოლიოში. 1615-1616 წლებში ცუდად ორგანიზებული და, როგორც აღმოჩნდა, ნაადრევი მცდელობა შაჲ აბასთან ღია ბრძოლაში ჩაბმისა წარუმატებლი გამოდგა. საქართველოში ასეთი ბრძოლის მომზრენი 1617-1618 წლებში უკვე უძლური აღმოჩნდენ ესარგებლათ შექმნილი ვითარებით, როცა დაძაბული ბრძოლები განახლდა სომხეთსა და ქურთისტანში. მაშინ სპარსეთის ჯარები ერზერუმისა და ვანის მხარეებს აჩანაგებდნენ, მათი მეთაური ყარჩილა-ხანი, როგორც ამბობდნენ, ტომით ერვენელი სომები იყო. თავის მხრივ თურქები სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრნენ.

წარუმატებელი გამოდგა პოლიტიკური მიზნით თეიმურაზის სტამბოლში მეზავრობაც, როცა მან და მისმა ბრწყინვალე ამალამ ცხენებით გადაკვეთეს მთელი ანატოლია. როგორც ჩანს, თეიმურაზი სტამბოლში 1619 წელს იმყოფებოდა, სულთან ოსმანის დროს, როცა ამ უკანასკნელი

მა 1617 წლის ბოლოს აპმედ I შეცვალა ტახტზე. იმ პოლიტიკური მოვლების საპასუხოდ, რომლებიც ერთმანეთს წაეწყო, შაჲ აბასმა თეიმურაზის ახალგაზრდა ვაჟების დასახიჩება პრძანა, რათა ამოეძირკვა მისი შთამომავლობა. მოგვიანებით 1624 წელს შირაზში თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალიც აწამეს.

მართალი გამოდგა იმათი წინასწარ განჭვრეტა, ვინც შაჲ აბასისა და მის წინამორბედთა თანამებრძოლის ქართლის მეფის სიმონ I ანდერძის თანახმად XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ირან-ოსმალეთის ბრძოლაში მხარს უჭერდნენ ირანს და არა თურქეთს. მათ მოწინააღმდეგეთა შეცდომები ასიათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად დაუჯდა საქართველოს.

ზავი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ფორმალურად 1619 წლის შეუბნებში აღსდგა. კვლავ იქნა დადასტურებული მცყრიბელობისა და გავლენის სფეროთა გამიჯვნვა, რასაც წინა საუკუნეში დაუდეს სათავე სულთანმა სულეიმანმა და შაჲ თამაზმა. ფრიად მნიშვნელოვანი სიახლე გახლდათ მთელი კავკასიისათვის თურქეთის უზენაესობის აღიარება ახალციხეში. ძველი ქართული სამთავრო სამცხე საბოლოოდ გაიწირა საფარიდ გადაცევისათვის. ორი საუკუნის განმავლობაში ახალციხის საფარი თურქული გავლენისა და ზემოქმედების მთავარი საყრდენი იყო, როგორც მთლიანდ კავკასიიში, ასევე კერძოდ საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლებში. როგორც ცხობილია, ახალციხიდან ზეკარის უღელტეხილით გზა მიდის ქუთაისში, ხოლო ბორჯომის ხეობით თბილისში. გაივლის რამდენიმე წელი და სამცხის მემკვიდრე-მფლობელი ბექა III გამუსლიმანდება და საფარაშა გამდებარება 1625 წ.). ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები ახალციხეში სტუმრობისას მისგან საჩუქრად მიიღებს საუკეთესო ცხენს, ას პიასტრასა და ორ ახალგაზრდა ტყვეს. თავის მხრივ არც მოგზაური დარჩება ვალში და საკუთარ დამასაჩუქრებელს მოიხსენებს, როგორც ოტომანთა პორტას უჭერიანესსა და უპატიოსნეს მრჩეველს.

მთავარი კიდევ წინ იყო. სპარსეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ძალადობრივმა გადასახლებებმა, მუდმივმა დანაკარგებმა სამხედრო მოქმედებისას და ა.შ. საკამაოდ დაბატება აღმოსავლეთა საქართველო და იგი აღარ გადაუხვევდა სპარსეთის მორჩილების გზიდან. ამასვე უწყობდა ხელს ქვეწის სათავეში მაპმადანობაში აღზრდილ ბაგრატიონათა ჩარენება ან მათი დროებით ჩანაცვლება ხანებით, რომლებიც ეყრდნობოდნენ გარნიზონებს და საქართველოში და მის მეზობლად საგანგებოდ, შერჩევით ჩასახლებულ მომთაბარეებსა და ნახევრად მომთაბარეებს. მოლოდინი არ გამართლდა. პირიქით, ირან-ოსმალეთის მომის განახლება დაუყოვნებლივ აისახა ქართლშიც და კახეთშიც. იქ დაწყებულმა პოლიტიკურმა დუღილმა უკიდურესად შეაწუხა შაჲ აბასი, რომელმაც ის-ის იყო დაიპრო ბალდადი, რაც მისი ერთ-ერთი დიდი წარმატება გახლდათ. გადაწყდა საქართველოში სპარსეთის საუკეთესო სარდლის ყარჩიხა-ხანის გაგზავნა გიორ-



ପ୍ରକାଶନ ମଧ୍ୟ ବିଷୟ

გი სააკადეგთან ერთად. იმ დროისათვის „მოურავ-ბეგი“ გი-ორგი სააკადე უკვე „მოურავ-ხანი“ გამხდარიყო და მოქსნორ თვალსაჩინო ადგილის დაკავება სპარსეთის ჯარშიც და პირადად შპატის კარზეც. სააკადე იმხანად ქართლის ვალის ანუ შაპის ნაცვალის, ახალგაზრდა სიმონ ხანის პოლიტიკური და სამხედრო მრჩეველი გახლდათ. სიმონ-ხანი, ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი, იმ დაუდ-ხანის შვილიშვილი იყო, რომელიც ჯერ კიდევ შაპ თამაზის დროს გახდა შიიტი. იმხანად სააკადე დროებით იყო ჩასული სპარსეთში სიმონის საცოლის, შაპ აბასის ერთ-ერთი შვილიშვილის წასაცვანად.

აღარ ვაპირებთ მოვლენათა ახსნაში ჩამორმავებას, რომელთაც ორმა კვალი დატოვეს თანამედროვეთა მახსოვრობაში მრავალრიცხოვნებით, წინააღმდეგობრივობითა და არეულობით. შემოვიფარგლებით ფაქტების შეკუმშულად გადმოცემით, როგორადაც ისინი იკვეთებიან ჩვენამდე მოსული ქართული, სომხური, სპარსული, თურქული და ევროპული ცნობების შეპირისპირებისას.

საქართველოში სააკაძის ძლიერ და გავლენიან, მცირე-რიცხოვან თანამოაზრეთა გონებაში შეთქმულება მნიშვდებოდა. საბაბი თავიანთ წინააღმდეგ გამოსვლისათვის სპარსელებმა თვითვე მისცეს ქართველებს, როცა დათვალიერების მიზე ზით კახეთის ლაშქრის შეკრება დანიშნება: განზრაბული იყო ლაშქრის განიარაღება და განადგურება. ნანილობრივ კიდევ მოხერხდა განზრაბვის შესრულება (მოლაპქრებს მოტყუებით ატარებდნენ ერთიმეორის მიყოლებით საკონტროლო პუნქტზე და დანარჩენებისათვის შეუმჩნევლად კლავდნენ). იყნოსეს რა მზაკვრობა, ცოცხლად დარჩენილებმა იარაღით გაიკაფეს გზა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. 1625 წლის 25 მარტს განხორციელდა მოულოდნელი თავდასხმა სპარსელთა ბანაკზე, რომელიც თბილისის ახლოს იყო განლაგებული მარტყოფასა და ნორიოს შორის. შეთქმულები შეიწრენ მე-თაურთა — ხანების, ბეგლარ-ბეგების, სულთნების — კარ-

ვებში. ისინი, ოცამდე კაცი, ერთი დარტყმით ამოხოცეს. გიორგი სააკაძემ საკუთარი ხელით განგმირა ირანის მხე- დართმთავარი ყარჩილა-ხანი.

ცოტა ვინგე თუ გადარჩა. მთელი ბანაკი გაიძარცვა
მდიდარი საწყობებით. გონიოდან დაუყოვნებლივ გამოძა-
ხებულ იქნა თეიმურაზი, კახეთში სასწრაფოდ დასაბრუ-
ნებლად. ქართლის უგვირგვინო მეთაურად რეალურად
„დიდი მოურავი“ გიორგი სააკაძე აღმოჩნდა.

ეჭვი არ არის, რომ ეს დარტყმა მიყენებული ოსტატის ხელით, საგულდაგულოდ მომზადებული, შეთანხმებული იყო თურქეთის მთავრობის გეგმებთან, რომლის სამხედრო ჩარევაზე მოურავი უეჭველად ამყარებდა იმედებს. იყო კი აյ პირდაპირი შეთანხმება? საეჭვოა, მაგრამ თურქეთის რაღაც მხარდაჭერის გარეშე მოურავისა და თეიმურაზის მიერ წამოწყებული სარისკო საქმე წარმატებით ვერ დაბოლოვდებოდა, თუმცა რა თქმა უნდა მხარდაჭერაც არ წარმოადგენდა წარმატების სრულ გარანტიას.

ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის დიდებული რის ჰაფუზიზ
ფაშასთვის გაგზავნილი, შუბის წვეტზე ჩამოცმული, შეთქ-
მულთა ხელით დალუპულ ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები
დიდი ვეზირის ბანაკში იქნა გამოფენილი, დაიარბექირთან.
თეიმურაზ და მოურავს თურქეთმა მფარველობა აღუთქ-
ვა. მაგრამ ჰაფუზისთვის შეთავაზებული გალაშერება გან-
ჯასა და შირვანზე — საქართველოს გავლით — უარყო-
ფილ იქნა ამ გეგმის შეუსრულებადობის გამო.

ასეთი მოულოდნელი აფეთქების გამოწვეულმა პანიკამ საშუალება მისცა ქართველებს, განეხორციელებინათ რამ-დენიმე სწრაფი და წარმატებული თავდასხმა, კერძოდ, განჯისა და ყარაბაღის მიმართულებით. აღმოსავლეთ კა-ხეთში მათ ხელში ჩაუვარდათ აბრეშუმის უზარმაზარი მა-რაგი, ასე ვთქვათ, სპარსელ ოკუპანტთა სავალუტო მარა-გი. მისმა „გაფლანგვაშ“ ისიც კი გამოიწვაო, რომ ამ მნიშვ-ნელოვან საქონელზე ლევანტის სავაჭრო ცენტრებში ფასი დაეცა — ფექტი თთქმის წარმოუდგენელი, რომ არა მისი აღნიშვნა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტთა მაშინდელ მოხსენებებში, საიდანაც აღმოსავლეთის ვაჭ-რობის ისტორიის ტრაგიტებში მოხვდა.

ირანის რევაციას არ დაუყოვნებია. საქართველოს მეზო-ბელ სახანოებში დაუყოვნებლივ შეგროვდა ახალი ძალები და თბილისში გაიგზავნა ალყაშემორტკული გარიზონის დასახმარებლად. ახალი სარდალი, ირანის ერთ-ერთი მთავარი გენერალი, ისა-ხან ყორჩიბაში ირანის თურქული ტომებისაგან შემდგარი ცხენოსანი ჯარის მეთაური იყო. ქართველებთან შეტაკება, რომელთაც თეიმურაზი და საავადე მეთაურობდნენ, 1625 წლის 1 ივნისს მოხდა, მდინარე ალექ-თის ნაპირს, მარადდასთან. შემოინახა ამ მარვალმხრივ შესანიშნავი, სისხლის მღვრელი და მაშინდელი გავეპირ დიდი ომის რამდენიმე ჩინებული აღნერა. ამ ოში ორი ბრძოლის დანხვაც შეიძლება: პირველში ქართველებმა იმარჯვეს. მათი ქვეითი ჯარი სპარსელთა მდიდარ ბანაკს დაეუფლა და ხელი მიჰყო მის ძარცვას. ამასობაში სპარსელებს ახალმა ძალამ მოუსწრო აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაპბენდე-ხანის მეთაურობით და ომის ბეჭიც ირანის (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის პოლიტიკური და არა ეთნიკური მნიშვნელობით) სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაგრამ სპარსელებს არ შეეძლოთ სრულად ესარგებლათ ამ გამარჯვების შედეგებით, რადგან სხვაგან უნდა დაეცვათ თავი თუშებისავ.

ისტორიის თათრი ლაპარა

სპარსელები იძულებული გახდნენ ამ კამპანიის დროს ხელახლა დაკავებული ახალციხე დაეცალათ, რაც მთავარია, საჭირო იყო თურქთა მიერ ალყაძემორტყმული ბალდადის დახმარება. საკუთრივ ამან მოწყვიტა შაჰ-აბასი საქართველოს საქმეებს. შაჰ-აბასი 1626 წლის გაზაფხულზე ჩავიდა ბალდადში, ცოტა მოგვიანებით, იმის გამო, რომ თურქეთის ჯარებს არ სურდათ სამხედრო მოქმედებათა გაგრძელება, ჰაფიზ-ფაშა იძულებული გახდა უკან დაეხია მოსულისენ.

ზოგადად, მარაბდასთან განცდილი მარცხის მიუხედავად, საგარეო ვითარება საქართველოსათვის არ გამოიყურებოდა უიმედოდ. უბედურება ის იყო, რომ უიღბლო სიმონ II-ის მოშორების შემდეგ, რომელიც მოკლულ იქნა იმისთვის, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ ქართლის ახალი მმართველისათვის, კითხვა ჩნდებოდა: ვინ უნდა იყოს ის — ახალი მმართველი? ან ახლა ან არასდროს სააკადე, „მოურავ-ხანი“ უნდა ფორმალურად გამხდარიყო იმად, რადაც იგი საქმით უკვე იყო და ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, რომელსაც თავის დროზე შპა აბასი შეპირდა და რომლის ალიარებისათვის ახლა თავის მხრივ მზად იყვნენ თურქები. მაგრამ ქართლის ბაგრატიონთა ხელისუფლების უზურპაციის წინაშე ის უძლური აღმოჩნდა. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ერთ მათგანზე, ვისაც საბოლოო სიტყვა ეკუთვნიდა ამ ქიმში — ხოსრო მირზაზე (მომავალი როსტომ მეფე), რომელმაც ირანულთა რიგებში აქვე საქართველოში გამოიჩინა თავი, მოურავს მეტოქედ მოველინა სხვა არავინ, თუ არ თეიმურაზი, მისა ყოფილი მოკავშირე და თანამებრძოლი, რომელიც ქართლის ტახტზე თავის ერთ-ერთ ვაჟიშვილს უჭერდა მხარს. მოურავი ეჭვს გარეშეა შემდგომ თურქეთის მხარდაჭერის იმედად იყო: ამიტომ თეიმურაზის სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა, გარდა... სპარსეთთან შეთანხმებისა, რაზედაც ისე წავიდა, რომ არ შერ-

ცხვა თავისი სიჯიუტის გამო 1614 წელს დალვრილი უამრავი სისხლისა. მოურავსაც და თეიმურაზსაც თავთავისი მომხრენი ჰყავდათ. მათი ქიმში, იარალის ძალით, თეიმურაზის სასარგებლოდ გადაწყდა (1626 წელს) დუშეთის მახლობლად, ბაზალეთის იმში, მიუხედავად დასავლეთ საქართველოდან და ახალციხიდან სააკადისთვის განეული დახმარებისა.

მოურავის მცდელობა, დაუჯლებოდა ქართლს, წარუმატებელი აღმოჩნდა. მაგრამ იგი სულით არ დაცემულა და სცადა განერმტკიცებინა თავისი კავშირები თურქებთან იმ იმედით, რომ მათი დახმარებით შემდგომ სანუკარი მიზნისთვის მიეღწია. მან მონანილება მიიღო ცნობილი მეამბოხის აბაზა-ფაშას (კიდევ ერთი კავკასიელი!) წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ალყაში იყო მოცეცული ერზერუმში. თურქული ქრონიკები სააკადს ალყის გარღვევას მიაწერენ, რამაც ქალაქის ბედი გადაწყვიტა. საერთოდ გიორგი სააკადის თურქული კარიერა ბრწყინვალედ წარიმართა, ისევე, როგორც თავის დროზე სპარსული. დასასრული მოულოდნელი და სავალალო აღმოჩნდა, ბოლომდე გაურკვეველ მიზეზთა გამო 1629 წლის ზაფხულში, როცა „მოურავი“ და მასთან მყოფი ქართველები, როგორც ამბობენ, რიცხვით ორმოცამდე, მოკვდნებულ იქნენ ჯალათის მიერ, კონის ახლოს მდებარე ბანაკში დიდვე ზირის ხოსრევაშას ბრძანებით. თავის მხრივ გამოირჩეული სისხლისმსმელი, ტომით ბოსნიელი, დიდვეზირი რამდენიმე წლის შემდეგ გაგუდეს.

მოურავი შაჰ-აბასის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში დაიღუპა. მათ რომ შექლებოდათ იმქვეყნად შეხვედრა, ერთმანეთისთვის ბევრი ექნებოდათ სათქმელი.

თარგმნა
დავით აბაშიძე

ზიქრი და განსვა

გურამ მეგრელიშვილი

სოვებრეპის ლიტერატურა

მწერლებს და განსაკუთრებით ქართველ მწერლებს პატრონი რომ არასოდეს ჰყოლია, ახალი ამბავი არ არის. თავის დროზე ამ თემაზე კონსტანტინე გამსახურდიაც წერდა. 1917 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში მწერალი თანამოკალმების დაქსაქსულობაზე სწუხს და ყველას გაერთიანებისაკენ მოუწოდებს.

„არა მარტო ევროპაში, ჩვენს სამშობლოშიც, საზოგადოების ყოველ ნაწილს, ხელოსნებსაც კი რაღაც ირგანიზაცია აერთიანებთ, რომელიც ზრუნავენ იურიდიულად დაიცვან საკუთარი წევრების უფლებები და მხოლოდ ქართველი მწერალი და მისი უფლებებია ლვითის ანაბარად მიტოვებული, მისი ნაწარმოებები ხშირად ექსპლუატიციის მსხვერპლი ხდება... არავინ იცავს მწერალს უზურპაციი-

საგან და სახელმწიფო არ ზრუნავს ორიგინალური ნაწარმოების დაუკითხავად გადათარგმნა-გადაბეჭდისაგან...

ავტორის უფლება ყველა ხელშეუხებელია, ამ უფლების დარღვევისათვის ბრალდებული ისევე ისჯება, როგორც ყველა სხვა ქონების მიმტაცებელი, ჩვენში კი მწერლობა და მწერლის თავმოყვარება აბუჩადაა აგდებული...

ევროპაში, ამერიკაში, რუსეთშიც კი უზრნალების, ალმანახების, მწერალთა ანთოლოგიის გამოცემის სათავეში თვით მწერალნი დგანან და არა თანამგრძნობნი, ან ლიტერატურული სპეციალისტები...

როცა ამ სიტყვებს გასული საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე გამსახურდა წერდა, ალბათ ვერაფორით წარმოიდგენდა, რომ საუკუნის შემდეგ, ქვეყანაში ამ მხრივ არაფერ შეიცვლებოდა და მწერლისა თუ უზურპატორის ურთიერთობა ისეთივე მწვავე დარჩებოდა, როგორც მის დროს იყო.

თუმცა საბჭოთა პერიოდში ქართველი მწერლის უფლებების დამცველ ორგანიზაციად მწერალთა კავშირი ითვლებოდა, რომლის წევრიანებაც ისეთივე ნუმენკლატურული იყო, როგორც იმ ეპოქის სხვა დანარჩენი კავშირები თუ გაერთიანებები. დღესდღეობისთვის ყოველი ლიტერატორი საკუთარი შნოსა და გამტანიანობის იმედადაა დარჩენილი და

უზურპატორთან საბრძოლველად ბატონი კიხანესავით მარტოსული და უიმედოა. ვერავინ დამაჯერებს, რომ საქართველოში ვინძმებს სარჩელი შეიტანოს მისი ნაწარმოების უკანონოდ (კონტრაქტის ან სიტყვირი შეთანხმების გარეშე) გავრცელებასთან და კავშირებით და პროცესი მოიგოს. მაგრამ სასამართლო პროცესს განა იმიტომ ვერ მოიგებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, არამედ იმიტომ, რომ, როგორც კანია იტყოდა, მნერალი ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

იმის შიშით, სხვამ არ დაგვასწროს და რომელიმე სოვდაგარ გამომცემელ-რედაქტორთან დამეგობრებაში არ გადაგველობოს, მწერლები ერთმანთის ლანდღვა-გინებასაც არ თაკილობენ და, უკეთეს შემთხვევაში, ერთმანეთის ნაშრომს თვალს ისე მოურიდებლად არიდებენ, თითქოს ყურადღების ლირსადაც არ თვლიდნენ.

როგორც წესი, ასეთი სოვდაგრები დროებით დაძმობილებულ მწერლებს ერთჯერადი ცხვირსახოცებივით მოიხმარენ ხოლმე და მერე სანაცვეზე მოისვრიან, რადგან მათ-თვის ლიტერატურა მხოლოდ შემოსავლის წყარო და დაუკავყოფილებელი, ვერშემდგარი მწერლობის სხვა პიროვნებაში რეალიზების ამბიცია. ლიტერატურა კი თავად მწერლის ამბიციას ვერ უძლებს, არამც თუ ვინმე კალკულატორს მიჯდარი მწერლად არმემდგარი ბულალტორის.

ასეთი სოვდაგარი გამომცემელ-რედაქტორები კი იმდენად ახერხებს ლიტერატურულ წრეზე გაძატონებას, რამდენადაც ამის საშუალებას თავად მწერლები აძლევენ. აბა ნაწარმოიდგინეთ, რომელი მწერალი გაუბრედავს გამომცემელს პონორაზე დალაპარაკებას ან წიგნის ხარისხის დაწუნებას. ისინი ხომ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნენი არიან, ვისაც უნდა ემადლიერებოდეს ყოველი ლიტერატურული ონანისტი, თავის მოწყალე თვალს სწორედ მას, ათასებიდან იმ ერთს რომ მიაპყრობს და თუკი საჭიროდ ჩათვლის, დაბეჭდავს კიდეც.

თუ გაგიმართოდა რომელიმე ყოვლისშემძლებ შენი წიგნი გამოსცა, პრეზენტაციაზე თავად უნდა იზრუნო, საავტორო ეგზემპლარები დაივინწყო, საკუთარი წიგნების გარკვეული ნაწილი იყიდო და მთელი ტირაჟიც რომ შეიძინო, უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ოცდაათ წიგნზე მეტი არ იყიდება.

ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზემოთ ხსენებულ სოვდაგრებს წიგნის გაყიდვიდან მოგება საერთოდ არ აინტერესებთ. მათი მთავარი მიზანი საკუთარი არაცნობიერი კომპლექსების დაპურებაა და სწორედ ამიტომ ისეთ ნაწარმოებებს უნთებენ ხოლმე მწვანე შუქს, რომლის ფონზეც თვითონ, ან მათი რჩეული ავტორები მსოფლიო ნოვატორები ჩანან. ჩავატაროთ გამოკითხვა ათ ყველაზე ცნობილ გამომცემლობაში, რამდენს აქვს ნაკითხული ის, რასაც გამოსცემს. სამზე მეტი თქვენი მოგება იყოს! ამ ყველაფერზე მე პირადად MACCOPIT-ი, იქაური მწერლები და თავმჯდომარე ლატუნსკი მახსენდება მიხეილ ბულგაკოვის რომანიდან.

საქართველოში გამოცემული წიგნების დიდი ნაწილი რომ უპასუხისმგებლოდა შედგენილი, ახალი ამბავი არც ეს არის. უგემოვნობა და უხარისხმის დიზაინის ყდებზე აღარაფერს ვამშობს. რედაქტირებულ წიგნებს, მგონი, მხოლოდ ორი-სამი რედაქტორ-გამომცემელი უშვებს, ანუ მწერალი-მონის ფუნქცია დარედაქტირებასთან ერთად წიგნის დიზაინის შერჩევაცაა.

მწერალთა უმოქმედობა იქაც კარგად ჩანს, რომ ერთმანეთის შიშით სიტყვა ვერ შეუწევით ჯეროვნად. ერთმანეთის გვერდით ვერ დამდგარან, როცა ამას საჭიროება მოითხოვს და ამის გმირ მწერლის, ამ სოციალურად მნიშვნელოვანი ფიგურის დანიშნულება დღითიდლე უფასურდება.

ქვეყანაში ძლიერი ლიტერატურული გაერთიანება რომ არსებობდეს, რომელიც თითოეული მწერლის, თითოეული ლიტერატორის უფლებებს იურიდიულად დააცავს, ასე ადვილად ხელნამისაკრავი აღარ იქნებოდა ცალკეული მწერალი, სალონი თუ ლიტერატურული წრე. ის, რაც კავკასიურ სახლთან დაკავშირებით მოხდა, თითოეული ჩვენგანის სირცევილია და ამაღლებული ხმა, რომელიც ოთხ კედელს ძლიერს გასცდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა.

ლიტერატურული სივრცე რომ არასოდეს ყოფილა თავისუფალი, ყველამ იცის, მაგრამ რაც ბოლო ოცი წლის მანძილზე ხდება, სრული მარაზმია. გარკვეული ჯგუფები იყავებენ ნიშებს, სადაც შესვლა უცხო ელემენტებს არ შეუძლიათ, ხოლო თუ ასეთი მაინც გამოჩნდა, უმაღ მათ დასვრას, ლანდღვას და განქიქებას იწყებენ. გათავისუფლდა ახალი სივრცე - ქართული პერ კლუბი, რომელსაც რეალური შანსი აქვს გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ხელოვნურად შექმნილ ლიტერატურულ კლიმატზე, და ისევ იგივე გაჯგუფებები, პირები და სოვდაგრები ცდილობენ ეს სივრცეც შეაგსონ და დაიკავონ. მწერლები კი კვლავაც სდუმან. პილატესავით ხელებს იბანენ, რადგან მიაჩნიათ, რომ გასაკეთებელი ისეც გაეკეთდება, მოსახდენი ისეც მოხდება, სივრცე ისეც შეივსება.

ჩემი აზრით, მიუხედავად იდეური თუ იდეოლოგიური სხვაობებისა, ახლა იმის დრო ნამდვილად არ არის მწერლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ის მძლავრი იარაღი, რაც ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს მისცა - სიტყვა, მიზანმიმართულად უნდა გამოიყენონ და სადაც საჭიროა, იქ უნდა დადგნენ. ფსევდოპათეტიკური მოწოდებები, თუ როგორ უნდა იყოს პროზაიკოსი და პოეტი, ათი, თხუთმეტი და ოცდაშვიდი მცნებები მათთვის და ა.შ. მხოლოდ არაფრისმთქმელი, ლირიკული გადახვევა და სხვა არაფერი. თითოეულმა მწერალმა მხოლოდ ერთი მწვავე და სიმართლისმთქმელი წერილი მაინც რომ დაწეროს საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, კონკურსების დაბალ დონესა და ცალკეული გამომცემლობების ჰეგემონიაზე, შეცვლით თუ არაფერი შეიცვლება, მკითხველისა და საკუთარ თავის წინაშე მინც იქნება მართალი.

სამშაბათს, 2 ნოემბერს
შურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა პოეტ

ტარიელ ხარხელაურთან

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

გორი უნდა იყოს პროზაიკოსი და პოეტი, ათი, თხუთმეტი და ოცდაშვიდი მცნებები მათთვის და ა.შ. მხოლოდ არაფრისმთქმელი, ლირიკული გადახვევა და სხვა არაფერი. თითოეულმა მწერალმა მხოლოდ ერთი მწვავე და სიმართლისმთქმელი წერილი მაინც რომ დაწეროს საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, კონკურსების დაბალ დონესა და ცალკეული გამომცემლობების ჰეგემონიაზე, შეცვლით თუ არაფერი შეიცვლება, მკითხველისა და საკუთარ თავის წინაშე მინც იქნება მართალი.

ოქტაო ქაზუმოვი

„მხოლოდ კითხვა თუ გადაგვარჩენს“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- როცა გინდა რაღაც აკეთო და ვერ აკეთებ.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სარფში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- შემეცნება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ქოროლლი, ათოსი, ავთანდილი, ჰექტორი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ყარაბალის ხანის – იბრაჟიმ-ხალილის ვეზირი – მოლაფანაჟი ვაგიფი. იგი ამავე დროს უდიდესი პოეტია. ქართულ სიმღერაში (მგონი ვაჟა აზარაშვილისა) „მე ვაგიფის ტკბილ ენაზე ვმლერივარ“ სწორედ იგი იგულისხმება.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- თაპირ სალაპოვი, ფიროსმანი, თოლრულ ნარიმან-ბეკოვი, ველასკესი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი, უზეირ ჰაჯიბეკოვი, ფიქრეთ ამიროვი, რევაზ ლალიძე.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- ლირსეულობას, პირმტკიცობას
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- მშვენიერებას, ერთგულებას, გონიერებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- ვაჟკაცობა, რომელიც პირველ ყოვლისა სულის თვისებაა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ვიტყოდი კითხვა, მაგრამ იგი ამავდროულად ჩემი „პროფესიაცაა“
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდა ათ ყოფილყავით?
- კანკრეტულად არავინ.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ადამიანზე ნარმოდგენა თუ დაცვარებე, მერე მასზე გული აღარ მიბრუნდება.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- კაცად-კაცობას, ქალად-ქალობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- მეგობრების მიმართ ეჭვიანი ვარ და მალე ვიბუტები.
- თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბედნიერება ბედნიერების განცდაა.
- რა იქნებოდა თქვენი ყველაზე დიდი უბედურება?
- უსასოობა.
- როგორი გინდოდათ ყოფილყავით?
- ახოვან-სახოვანი და ბეჯითი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფერები საგნების მიხედვით მიყვარს.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— კონკრეტულად არ მყავს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— მიხეილ ჯავახიშვილი, ელჩინ ეფენდიევი, ალექსანდრე დიუმა, აზიზ ნესინი, ოთარ ჩხეიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ქართველებიდან: შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა, ტერენტი გრანელი.

აზრბაიჯანელებიდან: იზ ედ-დინ ჰასანოლი, იმად ედ-დინ ნასიმი, მუჟამად ფიზული, მიქაილ მუშვიგი, ბახთიარ ვაჟაბზადე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— არ მყავს.

— საყვარელი გმირი ისტორიაში?

— მუსტაფა ქემალ ფაშა ათათურქი, ხუდია ბორჩალოელი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ყველა ის ქალი, რომელსაც შთაუგონებია მეუღლე.

— საყვარელი სახელი?

— ოღუზხან, თოლრული, თურალი... ქართულებიდან მომწონს ბექარი, ბექა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიყალბეს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზ-ლი დაიმსახურა?

— იბნ მულჯამი რომელმაც დიაცურად მოკლა პირველი იმამი წმ. ალი, იაზიდ იბნ მუავია, რომელმაც მოკლა მესამე იმამი წმ. ჟუსეინი, შაჰ-აბასი და სტალინი.

— საომარი ქმედება, თქვენი აზრით, ლირსი მეტაკლები აღტაცებისა?

— ჩანაქალეს ომი თურქეთში (I მსოფლიო ომის დროს), რა დროსაც თურქებმა თითქმის შიშველი ხელებით ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტი ე.წ. „უძლეველი არმადა“ გაანადგურეს და საკუთარ ტერიტორიებზე არ შეუშვეს (მათ სტამბოლის აღება უნდოდათ). ამ ომში 350 000 თურქი და 325 000 მოკავშირეთა ჯარისკაცი დაიღუპა. მოულოდნელმა მარცხმა უინსტონ ჩერჩილს ათქმევინა „ჩინაქალეში ჩვენ ღმერთს ვეპრობილოთ“.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველა ის რეფორმა, რომელმაც უძლური სახელმწიფო ძლევამოსილად აქცია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკის შეთხვის ნიჭი.

— როგორ გინდოდათ მოქვდარიყავით?



- იმის შეგნებით, რომ ვალმოხდილი მივდივარ.
- **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**
- შფორთიანი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- გულწრფელად რომ აღიარებენ, არ გამოგვიდაო.

თქვენი დევიზი?

- მამისგან ნამემკვიდრევი „მხოლოდ კითხვა თუ გადაგვარჩენს“.
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ...და მაინც შემინდვია.

პროგნოსტიკა

ელგუჯა ბერძენიშვილი

306-ენტ 316-გოგის „ნიმის შეაძლება“

ვან-გოგმა ახედა ცას. წვიმის მძიმე წევთი დაეცა ყვრი-მალზე. ცაში ლეგა ლრუბლები მიიჩაროდნენ და აქა-იქ ტკა-პუნით ეცემოდნენ წვიმის წვეთები. იელვა, დაიგრუუნა ზე-ცამ და წამოუშინა წვიმა. გზის გადაღმა ყანაში მომუშავე გლეხმა შრომა მიატოვა და თავზე მკლავებნაფარებული გარბოდა თავსხმაში. ვან-გოგმა ფართეფარფულებიანი ქუდი ჩამოიფახატა, გადაჭიმული სახატავი ტილო სამოსქვეშ ილ-ლიაში ამოჩარა და კისრისტებით გაიჭრა მახლობელი გო-რაკისაკენ, სადაც ქელისძველი მიტოვებული ქვის სახლაკი ეგულებოდა, გრძელი ლაჯებით მიაბოტებდა ტბორუბში, ზედ ახტებოდა ხნულებს, შიგ ეუფლებოდა. ნათესებში გადა-რბოდა, მისი მძიმე ფეხსაცმელებს შეეფებს ისროდა, წვიმის იმატა. ვან-გოგი გარბოდა მთელი ძალით თავსხმაში, წვიმა კი სახეში სცემდა. როგორც იქნა სახლაკს მიაღწია და ქელ ჩამოქცეულ სახურავს შეაფარა თავი. ზურგზე აკიდებული ბარგიბარსანა მოიხსნა და კედელზე მიაყუდა ფერადების ყუთი და ასაწყობი მოლბერტი. სახატავ ტილოს წვიმის ერთი წვეთიც არ დამჩნეოდა. ვან-გოგმა შეებით ამოისუნთქა.

წვიმის ბურუსში აღარაფერი არ მოჩანდა, გამქრალიყო ველის სიმწვანე, უფერული შექნილიყო თეთრი სახლების წითელი სახურავები. წვიმას გადაემალა თეთრი გზა, რომლის ბოლოში მომავალი ფორანი მთლიანად გამქრალიყო, აღარაფერი მოჩანდა, არც მწვანე ხეები, არც მინდვრები, არც წათესები, ყველაფერი თეთრ ბურუსს შერთვილი.

წვიმით გაუდენთილ ჰაერში შორიდან აღწევდა ორთქ-ლმავლის კივილი. ვან-გოგი სახლაკის ღია კარისაკენ გაე-მართა, რომლის ბენელ სიღრმიდან ადამიანთა ყაყანი და სი-ცილის ხარხარი მოისმოდა, ვან-გოგმა ზედ კარის წინ, წყვილი წალები შენიშნა. მონითალო ჩამორეცხილ მინას შევნოდა მუქი ყავისფერი წალების ფერი. უცნაურ ძალით იზიდავდა მხატვარს თასმებამოყრილი ტყავის წალები. ისინი თითქოს ვილაცას ელოდნენ, ერთმანეთის გვერდიგ-ვერდ გვრიტებივით ჩამომსხდარნი ამ ძეველმანების დანახ-ვით ვან-გოგი მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ სახლაკში, ან რა მიხედრა უნდოდა? ვის უნდა სცმოდა ასეთი ჯდანე-ბი, თუ არა მიწის მუშაკებს? იმათ, ვინც ლუკმა-პურის იმე-დიოთ დღედალამ შრომობდნენ ველზე. ვან-გოგი მიესალმა მათ. ისინი კეთილად შემოხვდნენ, გულითადი სიხარულით

მიეგებნენ უცონებს, ჩაინ-ჩამოიწიცნენ გრძელ სკამზე და ვან-გოგი მათ გვერდით ჩამოჯდა. შენობის სიღ-რმეში ცეცხლი დაენთოთ. ფეხშიშველა ქალი ჩაცუცქული-ყო და ნიგუზლით ღველფიდან ნაცრიანი კარტოფილები გამოჰქონდა, ბერტყავდა, ნახშირს აცილებდა და კალთაში იყრიდა, ქალი ლალი სიარულით მიუახლოვდა გრძელ, ძე-ლებით შეკრულ მაგიდას და მაგიდაზე კარტოფილები გად-მოყარა და გადმოაფრევია სიცილით. კარტოფილის ცხელი ოხშივარი დატრიალდა. შავი მიწით მოსვრილი, შრომისგან დაღრეუნილი ხელები დასწვდნენ დამსკდარ კარტოფი-ლებს, ვან-გოგი მდუმარედ იჯდა. მიწის მუშაკნი ერთმა-ნეთს ანვდიდნენ კარტოფილს, შუაზე უყოფდნენ, უნანი-ლებდნენ, ვინმე რომ არ დარჩენილიყო მშიერი. „მე მაგათი მხატვარი ვარ!“ გაიფიქრა ვან-გოგმა და ფეხშიშველმა ქალმა დაკორული ხელით დიდი კარტოფილი გამოუწოდა, ვან-გოგმა ჩამორართვა ცხელი კარტოფილი ქალს, მადლო-ბა გადაუხადა და ცივი და სველი თითებით შეუდგა ნაცრი-ან კარტოფილის გაფცევნას, მიწის მუშაკნი მდუმარედ შე-ექცეოდნენ. ვან-გოგი გემრიელად ილუკმებოდა. არასო-დეს ასეთი ტკბილი ლუკმა არ ეგება. ვან-გოგს დავიწყებო-და კიდეც, ცხელი საჭმელი რომ არსებობდა. დანაყრდა, ჩი-ბუხი გააჩალა და გააბოლა. იჯდა მდუმარედ, მათ შორის, გარიყული. ერთ წერტილს მიჩრებული, გამოთმოული. ჩი-ბუხის კვიმლში გაბეჭული, მიპარდაპარედ მჯდომარე კაცმა ვან-გოგს გაულია, ცხენივით დიდრონი, წინგამოზნებილი მაგარი კბილები გამოაჩინა და შუაზე გაყოფილი კარტო-ფილი უწილადა, ვან-გოგი გამოერკვა და კაცს უთხრა, რომ აღარაფერი არ სურდა, ისე დაანაყრა დიდმა კარტოფილმა. უეცრად წამოიჭრა სკამიდან, ყველას მადლობა მოახსენა და ღია კარში გავარდა, სახლაკში თავისი ბარგი-ბარხანა შემოზიდა. სიღრმეში, ფეხშიშველა ქალს გადააწყდა, მას, ვინც კარტოფილი გამოუწოდა. გამოესაუბრა, რამდენ-ჯერმე მადლობა გაუმეორა. ვან-გოგმა სახლაკის კუთხეში ჭერამდი მიყრილი თივა შენიშნა, ცხენის ფრუტუნი შემო-ესმა და დაინახა მუცელს ამოკრული გრძელთავა, მაღალ ფეხებზე მდგარი კვიცი, დედის ლაჯებიდან უმზერდა კრი-ალა, დიდრონი თვალებით. ვან-გოგი მოცელილივით მიეგ-დო თივაზე და მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

გადაიკარა! თქვა მოხუცმა, აი, ღრუბლები გადარეკა ქარმა. წვიმა აღარ მოვა.

მიწის მუშაკნი სმამაღალი ყაყანით წამოშლილიყვნენ. ქალებმა კაბის კალთები დაბერტყებს, კაცები წინ წაუძღვნენ და ველზე მიტოვებულ საბუმასკენ გაემართნენ. შორს, საღალაც ველს გადაღმა ელავდა და ისმოდა შორეუ-

ლი გრუხუნი. ისინი დაღმართს ჩაჰყვნენ და წვიმით გადარეცხილ თეთრ გზაზე გავიდნენ. ნაწვიმარ პარეში ხმა-მალლა გაისმოდა მათი ხის ოროფეხბის და ომბოხების პაკუნი და ხმამალალი საუბარი. მერე? მერე? ეკითხებოდნენ ქალს, მერე? ქალს ახლა თავისი ძეველმანები ეცვა, თას-მებშემოჭერილი, და ხმამალლა ყვებოდა: მოვიდა და მე-კითხება, ის წყვილი წალები, გარეთ რომ აწყვია, თქვენიაო? მე გამიკვირდა, რას მეტითხება, განა ვერ ხედავდა, მხოლოდ მე რომ ვიყავი ფეხშიშველი? რაო მაინც, რა მინდაო? რა და ასე მითხრა, ძალიან მომწონსო. სიცილი ძლიერ შევიკავე, ვეკითხები ამ ძველმანებზე მუშაბნებით-მეთქი? — ხო, ძალიან მომწონსო, და ისე შე-მოხედა, ტანში გამცრა შიშისაგან, — თუ ასე ძალიან მოგწონთ, გა-ჩუქებთ-მეთქი — არაო, ჩუქებას არ გთხოვთ, მეო მხატვარი ვარო და მინდა რომ ჩავიხატო, თუ ნებას დამრთავთ, ძალიან გამახარებთო — რაუნდა მექნა, კი ბატონო, ჩაიხატეთ-მეთქი. მერე მომიახლოვდა და იმდენ მაღლობას მიხდიდა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. აქომამდე ვიცოდი, რომ ეს მხატვრები თუ რაღაცა, რა ქვიათ მაგათ, კეთილშობილ ქალბატონებს

ხატავდნენ, ჩვენი მღვდლის დარბაზში რომ კიდია მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული, და ეს საცოდავ მუხლებზე დავარდნილი მეუბნება, შენი ჯლანები ისე მომწონს, მინდა და დაგხატოო. აი, აქ მივხვდი, რომ ცოტა უქროდა და შემეტინდა, მომიახლოვდა და თვალებში ჩამხედა. შემით ავ-კანკალდი, ო, თქვენზე ისე გავტრაზდი მაშინ, რომ მიმატოვეთ და არ დამიცადეთ, ცივად ჩამცრა, ჩემს სიცოცხლეში ასე არავის შემოუხედავს ჩემთვის, მინდოდა მევივლა, მაგრამ შემრცხვა, რაღაცამ გამაჩერა, ამღვრეული თვალებით მომაშტერდა და, არ ვიცოდი, რას ჩაიდენდა გაფითორებული, გარეთ რომ არ გამოვარდნილიყავი. მერე? მერე იმან რა ქნა? არაფერი. იდგა და მადლობას მიხდიდა. ნამდვილი გიუი იყო. გიუია აბა რა, კაცი რომ დაგლევილი წალების დახატვას მოინდომებს, ჯერ რა ფასი აქეს ძეველ წალებს და ისიც ტილოზე დახატულს, იმას ხომ შინ არავინ დაკიდებს. გიუი უნდა იყო ალბათ, დახატული ძეველი წალები რომ მოგწონსო.

* * *

— თქვენ ყველანი ასე ფიქრობთ, მაგრამ ერთი ამ კაც-საც ვეითხოთ, მარტოხელა ბილიკს რომ მიპყვება თემპა-რისაკენ. მან ხომ ცაში აიყვანა ვან-გოგის დახატული ძეველი წალები! მისი სიტყვები რომ ვან-გოგს წაეკითხა, ვერა-ფერს გაიგებდა, მაგრამ იმას მაინც მიხვდებოდა, რომ ბა-

ტონმა ფილოსოფოსმა გადააჭარბა, მოაზროვნე სხვა რა-ლა თუ არაფრიდან რაიმე არ შექმნა?

— თქვენ ფიქრობთ, რომ ვან-გოგის ნახატი არაფერია?

— მე ლიმილს მგვრის თქვენი შექება. რასაც თქვენ მო-მანერთ, მე არ მიფიქრია, უბრალოდ დავხატე წალები, რად-გან იქვე ეყარა და თვალში მომხვდა, თქვენ კი ისეთი რამ მი-ანერეთ ჩემს ეტიუდს, სიზმრადაც რომ არ მომლანდებია. ფილოსოფიას რა ესაქმება ფერწერასთან? მე წალები ერთ წამში მოვჩინავნე და მინდოდა გადამეგდო, არ მომწონდა.

ფილოსოფოსი სდუმს, თავისთვის ელიმება. მერე გა-თეთრებულ თავს მალლა სწევს და თავისთვის ლაპარაკობს:

ფილოსოფიამ დაი-ვიწყა უმთავრესი ყოფი-ერება! შენ კი, ვინსენტ ვან-გოგ, შემახსენე იგი. შენ არ ხარ მოწყვეტილი მიწას. მე აულელვებლად ვერ ვუყურებ შენს დახა-ტულ წალებს.

„ფეხსაცმლის მოქცეული ყელის მრუმე ღი-ობიდან დაუინიბით იყურება სამუშაო ნაბიჯების სიმძიმილი, მის ბუნებით სიმძიმეში დაგროვილია ნახავის ფარ-თოდ გაშლილ და ერთ-ფეროვან კვლებში დინ-ჯი სიარულის შეუპოვ-რობა, ნახნავისა, რო-მელზეც მეაცრი ქარი დათარებობს. ტყავზე

ძევს ნიადაგის ტენი და წვენი. ლანჩებქვეშ დამდეგ სალა-მოსთან ერთად უჩუმრად მოიაპრება თემპარის სიმარტოვე. ფეხსაცმლები ლივლივებს მინის უჩუმარი მონოდება, მის მიერ მწიფე თავათვის მდუმარე ჩუქება და იდუმბლი განბილება დაზამთრული ველის უდაბური ნასვენისა ფეხსაცმლიდან მოაპოტებს უდრტვინველი შიში ჰაერით უზრუნველყოფისათვის, გასაჭირის გადატანის უსიტყვო სიხარული, თრთოლვა დაბადების მოლოდინით გამოწვე-ული და კანკალი, სიკედილის მხრივ მუქარით მოგვრილი (მარტინ პაიდეგერი, „დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა“, გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ).

* * *

ბინდი ეშვება ველზე. თქვენ მოქანცული ბრუნდებით, მდუმარებაში ისმის თქვენი მძიმე, უხეში ფეხსაცმელების ბაკუნი. თემპარაზე დგას მოხუცი ფილოსოფოსი. მინის მუშავთა გასაკეირად იმასაც ბარი გაუდვია მხარზე, მას ისევე ძლიერ უყვარს მინა, როგორც თქვენ. ის თვალს აყოლებს თქვენს მოღალულ სვლას, ფეხსაცმელთა ბა-კუნში ამჩენებს ერთი ქალის ფეხებზე მაღალყელიან თას-მებნაჭერილ წალებს და ფიქრობს: „რა მშვენიერია ეს წა-ლები ვან-გოგის ნახატზე, ქალი კი მას უბრალოდ ატა-რებს“. ის თვალს აყოლებს მიწის მუშაკებს. უსაზღვროებაში გადმოგდებული, ღვთის ანაბარა მიტოვებული,

ზრუნვით დამძიმებულნი შრომობენ დღისით და ღამით. რადგან ზრუნვა მათი არსებობის არსი. მათ იციან სიყვარული და სიძულვილი. მხარზე ბარგადებული მოხუცი ფილოსოფოსი, ბრძენი და ბნელმეტყველი მიმართავს მათ: ის უცნობი კაცი თავაზე მიინებული რომ აგდია, გიურა, მაგრამ დაადი შემოქმედია. ყოფიერებას მოუწყვეტელი მხატვარი. ნიკშეს სიტყვებს თუ მოვიმელიერთ, იგი საკუთარ სისხლით წერს და არა წითელი მელნით.

* * *

ვან-გოგს ტკბილად ეძინა. გამოაღვიძა კვიცის ხვიხვინმა. თივაში მიგდებულს სახეზე რაღაცა რბილი და სათუთი შეეხო, თვალები აახილა. მისი თვალები შეხვდა კვიცის კრიალა თვალებს, ვან-გოგმა იგრძნო კვიცის სუნთქვა. კვიცი ცნობისმოყვარეობით დასცეკროდა ახლოდან, ვან-გოგი წამოიჩნია და კვიცს ნაცრისფერ ჩიჩირზე აკოცა, კვიცი დაფრთხა და გვერდზე გახტა, დედა ცხენმა დაიფრუტუნა. ღია კარში შემოვიდა ვიღაც ჭილისქედიანი კაცი, დაგვაჯული, ღონიერი, როგორც მუშა ცხენი, ახსნა ჩალისფერი ჭაკი და წაიყვანა, მას თივაზე მიწოლილი კაცი არც შეუნიშნავს. კვიცმა მოხედა ვან-გოგს. ვან-გოგი წამოჯდა. აბურძგვნილ თმაში ბულულა შერჩენდა. იქვე ეგდო მისი ფართოფართვებიანი სველი ქუდი. იგი მარტო იყო სახლაკში. სუვერენი გაკრეფილიყვნენ. სიჩუმე იდგა. აღარ ისმოდა სახურავზე წვიმის გაბმული ხმაური. ვან-გოგი წამოდგა და უეცრად ჩამუქებული კარის ჩარჩოში ჩასმულ ენითუთქმელ სილამაზეს მოკრა თვალი. ეს იყო მწვანე ველი, წვიმით გადარცხილი, კრიალა, აბრნეინგებული ნათელ ფერებით. ვან-გოგი შეძრა მშვენიერების უეცარმა ხილვამ, ფერადების ყუთი გახსნა და შეუდგა პალიტრაზე საღებავების დასხმას, აცახცახებულ ხელებით ასხამდა საღებავს, თვითონაც ციებ-ცხელებიანივით კანკალებდა, ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა მშვენიერების წინაშე აღმოჩნდებოდა, ამავე დროს გაურკვევლობის შიში დაცხრებოდა ხოლმე. რა იყო ეს შიში, რა აკრთობდა, რისი ეშინოდა? გარდუვალობის?! თუ იმის, რომ მშვენიერებას მთლიანად ვერ მოიხელთქდა?

ბრწყინვადა მწვანე ველი, ველს თეთრი გზა კვეთდა შუაზე. გზის ბოლოს წითელბორბლებიანი ფორანი მოჩაქაკებდა, გზის გადალმა კი ყანაში თავის სამუშაოს დაბრუნდებოდა და შრომა განეხალებინა თეთრი პერანგის ამარა გლეხს, წელან თავსემაში კისრიტებით რომ გარბოდა თავზე მკლავებნაფარებული, ახლა კი ხმამაღლა ამღერებულყო.

ბრწყინვადა ველი. ანთებულიყო ხასხასა ფერები, თეთრი სახლები. წითელი სახურავები, მწვანე ნათელები, ნახნავები, ხნულები ჩაღვრილიყო ისიფერები, მოქროდენ სილრმიდან დაძრულნი, მოკლაკნებოდნენ ნახნავები, ნათესები. ამ სიმწვანეში ანთებულიყვნენ წითელი ყაყაჩიები. ნაწვიმარ კრიალა ჰაერში ისმოდა ფრინველთა გალობა და გლეხის გაბმული სიმღერა. ხალისობდა ნაქურხელარზე გაბანილი დედაბუნება, ახალისებულიყო სიცოცხლე — ფერი!

სულ ახლოს გაისმა ორთქლმავლის ქშენა და შეკივლება. ექო გაიფანტა ველზე, სხვადასხვა მხარეს გადაიკარგა. ქშენით შემოიჩრა ველზე მატარებელი, ორთქლმავლის საკვამურს მოწყდნენ თეთრი ბოლქვები, ერთმანეთზე გადაბმულნი, მირახახებენ ვაგონები, მიქრის ორთქ-

ლმავალი და მოოქვრილ ჩარჩოს ვერ გადაცდენია!! ველარც ეს მინის მუშაკი მოწყდება ყანას, მას უკვე მიკუთვნებული აქვს ყანაში მუდმივი შრომა. ანდა ეს თეთრცხენ-შებმული წითელბორბლებიანი ფორანი! მიჩიკჩიკობს წვამის შემდეგ გადარცხილ თეთრ გზაზე, წითელი, მძმებორბლები ბრუნავს, ტბორებში წამიერად არეკლილი, მიჩიჩიკობს ფორანი და მაინც ერთ ადგილას დგას. ყველაფერი იძვრის, ხნულები, ნათესები, მატარებელი, საკვამურს მოწყდარი ბოლქვები, და მაინც ერთ ადგილას დგას. ყველაფერი იძვრის, ხნულები, ნათესები, მატარებელი, საკვამურს წინაშე შერჩებული წამი! წამი ქცეული მარადიულად! წვიმის შემდეგ წიავა მოაქვს ველ-მინდვრების სურნელი და ოქროს ჩარჩოში მოქცეული სიცოცხლის ერთი ფრაგმენტი სუნთქვას ნათელ ფერებად ახალისებული.

ვიღაცმ მხარზე მომითათუნა ხელი და, როცა მოვიხედე, გაღიმებულმა ხნიერმა კაცმა ტკბილად და მეგობრულად მითხოდა:

— ყმაწვილო, ნუ დაგავინყდებათ, რომ მუზეუმში იმყოფებით და ვან-გოგი სხვასაც უყვარს.

— ო, გთხოვთ მაპატიოთ. ჩემი ბრალი არ არის, მთელ მსოფლიოში ასეთი ვან-გოგი არ მეგულება! მე კიდევ ერთხელ მოვიხადე ბოდიში, კიდევ ერთხელ ვთხოვე პატიება და გვერდზე გავდექი.

— ასეთი შედევრი შეეძლო შეექმნა მხოლოდ ვან-გოგს — თქვა კაცმა ეს სურათი არ არის, ეს ცინცხალი სიცოცხლეა.

მე მესმის ვან-გოგის სუნთქვა და მაჯისცემა.

* * *


„მე ვგრძნობ რომ ზღვარს მივაღწეო. აი ასეა ჩემი საქმე. ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ბედისწერაა. მე ვიღებ მას. ამას ვერაფრით ვეღარ შეცვლი. მომავალი ბნელდება და ვხედავ, რომ ისიც არცთუ დიდად სახარბილო“ /ვინსენტ ვან-გოგი/.

* * *

ვინ მოისმინა პურის ყნების ჩუმი შრიალი? ცას შეტყორცნილი ეჟვნის ხალისიანი წკრიალი, პანია მზის ჩიტისა. მე რომ დავხატე პურის ყანაში თავთუხებს ზემოთ მოვარფატე. ვინ შებედა მზეს, ვინ გაუსწიორა თვალი. მე დავხატე მზე. ვინ ახედა ბნელი ღამით ვარსკვლავეთს, მე დავხატე ვარსკვლავთა მორევი, კაშაშა ციურ ბურუსში გახვეულნი. ეს ცა, ეს მინა. აქაფებული მდინარენი, ლურჯი მთები. ოქროს ყანები.

მინის გულიდან ამოხეთქილი კვიპაროსები, მზისკენ რომ ილტვან ცაში აკლაკნილი, მე მოვწყვიტე მზე და ვაქციე მზესუმზირებად. ეს ყველაფერი თუ ვეღარ დავხატე, რაღად მინდა სიცოცხლე, დიდია წუხილი ჩემი. მძიმეა ჩემი ტანჯვა, როდემდის, როდემდის, რად მინდა ასეთი სიცოცხლე. სიცოცხლე ფერწერაა, ფერია სიცოცხლე. ჩამუქდა ჩემი პალიტრა, მტვერი დასდებია. მე აღარ ვანთი-ვარ. მე ვხრჩოლავ მხოლოდ, აი ისევ დამაცხრა შიში, გაურკვეველი შიში და ძრნოლვა. ვინ მარგუნა ასეთი ტანჯვა. ეს ჩემი ბედისწერაა. უნდა გავიქცე. აცახცახებული ცხელი თითები ეხება ცივ რეინას, ჩახმახს დაეძებს... სიჩუმე, ოქროსფერი ყანის ჩუმი შრიალი.

ის გულაღმა ეგდო პურის ყანაში. ყანა შრიალებდა, ვან-გოგის თეთრი პერანგის უბიდან ამოფრინდა მზისკენ.



ძველი თაობის მკითხველებს კარგად ახსოვთ სამოცდაათიანი წლების ბოლოს ქუთაისში გა-
მოცემული პატარა წიგნი „წყალი საკალახე“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა პოეზიის
მოყვარულთა შორის. წიგნის ავტორი მთიდან მოღილა და თან მოპქონდა რაღაც ახალი, განსხ-
ვავებული საოქმელი, თითქოს ამბობდა იმას, რაც წინაპრებს უთქმელი დარჩენოდათ. მისი პოე-
ტური კილო მთის მოტივებს გვახსენებდა, მაგრამ, ამავე დროს, იყო მასში რაღაც ისეთიც, რაც
პირველად უდერდა, პირველად გვესმიდ.

საგულისხმო იყო ისიც, რომ ეს გამოჩინეული და ორიგინალური ხმა ქუთაისიდან გაისმა. ქუ-
თაისმა იგრძნო ფშავებეჭურეთის მთებიდან მონაბერი სიო, მის ყურს მისწვდა პირველად „მთი-
დან ყვირილი ხარისა“ და ეს არ ყოფილა მხოლოდ სიმბოლური ფაქტი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დიდი ჭირსახდელი გადაიტანა პოეტმა, მნარე ტკივილები აგე-
მა ცხოვრებამ, მაგრამ ის მაინც მტკიცედ დგას ბიბლიური იობივით და ისევ მღერის თავის ტკი-
ვილიან, დარდან, მაგრამ მშვენიერ, არაჩვეულებრივ მოტივი.

ის ისევ ჩვენთან არის — ტარიელ ხარხელაური, ალალი, მართალი, გაუბზარავი პოეტი.

ტარიელ ხარხელაური

დაგვიანებული გადლობა ქუთაისს

დღეს უნდა გითხრა მადლობა

თუ არ ჩამითვლი გვიანად,

თვალი არ მომახუჭინა

მთებზე ნისლების შრიალმა.

ბევრჯერ მიბრანა გონებამ,

ენამ არ გამიხმიანა,

ყვითლად ჩამოწვა თვალებზე,

გულისა მექცა იარად.

ჩამომაბნელა საავდროდ

ვერც არამ გამამზიანა.

დღე მოკლა მზის სინაკლულემ,

ღამით უფსკრულთა ლრიალმა,

ბევრჯერ დამსეტყვა ზეცამა —

ზღვასავით შემაურიალა.

თუ რამ დარდი აქვს სამყაროს —

მე ჩამისახლა მთლიანად,

სული გარ, სული ანრდილთა —

მოსული ადამიანად,

გამხდარი საწუთისოფლოს

ყველა ტკივილი ზიარად.

ღამით უფალთან ვსაუბრობ —

ნათელს ვსვამ უფლის კარვისა,

ვერ გითხარ, ვერა, მადლობა —

მღოკელი გავხდი შხამისა,

ვერ შემოვბედე შედება

შენი სამკიდროს კარისა,

დღისით ნახარში ვარამი

საგზლად მიხდება ღამისა.

შენ დამაბერტყე პირველად

მადლი ციური ღალისა,

ცრემლი გამიხდა სტუმარი

ჩაღამებული თვალისა,

დავდივარ, ლანდი დამყვება

ჩემსავით გამცვდარ მთვარისა,

ვერ შევძელ, ვერ შემოგადრე

თავთან მიდება თავისა.

ვერ გავხდი შენი სტუმარი,

სხივი — ჩამქრალი ალისა,

ჩემში იღვრება მდინარე.

მსოფლიო სიფერმკრთალისა.

ფშევნებას შეგავს ჩემი სიცოცხლე

ხანმოთეული ხარისას,

ჯერაც ვერ გამრთელებული

წყლული სამზეოს ხმალისა.

მთებს ჯერ კადევ ვძრავ ბუბუნით,

ვლალობ, არ ვიშლი თავისას,

ვერ გადადრო შენი სადარი

ჩემი მდაბალის ენითა,

ნისლს ვგავარ — დაშლილს ქარისგან,

ჩამოშლილს მთათა წვერითა,

არნივს — ქარაფზე ჩამომჯდარს,

ჩამოლლილს ცაში ფრენითა,

სანთელს — ხატისკარს ჩამომდნარს,

კლდეს ჩამომზღვლეულს ცრემლითა,

ამღვრეულს მდინარეს ვგავარ,

ჭალებს რომ მისდევს ღრენითა,

რა სითბო უნდა შეგმატო

თვირთვილიანის მზერითა.

ქედს ვიდრეკ შენს წინ მორჩილად

ნუ შემომხედავ წყენითა,

ნუ გამხდი ფიქრთა სათრევლად

მოურჩენელის სენითა,

ნუ გამიძნელებ საწუთროს —

უფლის საკადრი წყენითა.

* * *

ცა სული არის ჩემი,

ვარსკვლავნი ფიქრნი ჩემი,

მზე გული არის ჩემი,

მთვარე გონება ჩემი,

მიწა სხეული ჩემი

ქარს რომ ღრუბელი აკრავს

ტკივილებია ჩემი

ვავსებ სამყაროს ნაწილს

ვარ სამყაროთა ფერი

სხვა სამყაროთა გასწვრივ

მაინც მოვჩანვარ მცირე

დაფარული ვარ მტვერით

ცხელი ყვითელი მტვერით

განსაცვიფრებლად სუფთა

და შემზარავად მღვრიე.

* * *

ნუ სწუხხართ!
გავალ ვიწრო ღიობით,
გავალ,
გახუნდა ფერები ცრემლის,
ო, მაპატიე,
გულო გტკიოდი,
მე ვიყავ ყველა მიზეზი
ტკენის.
ო, მაპატიე,
გულო, ნისლივით —
არ გშორდებოდი და
გარს გეხვეუ,
მე, მე აგზილე მტვერში
სისხლივით,
მე დაფლეთილი მსურდა
მეხილე!

* * *

როდესაც ამ ძვლებს აასხი ხორცი,
შენთვის შემქმენი, ჩემთვის კა არა,
უფალო! ბაგე გამითბე ლოცვით —
თორემ სხეული მექცა მყინვარად.
უფალო! — სითბო არ მყოფის სანთლის,
სულში სიცივის ლოდები წვება,
უფალო! — სული ჩემი ჰეგვას ზამთარს
და შენს სამყაროს ნელ-ნელა სწყდება.
უფალო, ჩემო! წმინდა მამაო,
ძალა მომეცი ცრემლებს გამყარო,
ნუ მიმატოვებ ამ მზის ამარა —
ნურც ამ საშინლად მცირე სამყაროს.

* * *

სალამოვდება —
მწვერვალზე ვდგავარ,
ნამოაფეთა ნისლები ქარმა
და შეალენა ტოტები ცირცელს...
ვბორგავ —
ყორნების ყრანტალი მესმის
და შფოთაგას სისხლში ყივილი ორბის,
ცას ავგლეჯ მზეს და
მყინვარწვერს ვესვრი
და მზის მტვრად ქცევა
მთებს ლიმილს მოჰვერით.

* * *

— ცას როგორ ვკადრო — ნუ ელავ,
ღრუბლებს ვედავო რაზედა,
სულაც არა ვარ, ბუერავ,
ტირილი გუნებაზედა,
ჩემფერა კიდევ რამდენი
დაეხეტება გზაზედა,
არა ვარ ამის ჩამდენი —

კაცი ძლივს დავდექ ჭკვაზედა.
— ყველა მე როგორ ვიგლოვო
ვინც გაჩნდა ქვეყანაზედა,
ან რად მოწყრებით — ცრემლები,
ვინ გამიჩერეთ თვალზედა.
სალამოვდება, მზეს მივდევ —
გადავაცილო მთაზედა.

* * *

სამი მუხა დგას სოფლის თავს,
სამნი წყარონი დიანო,
სამფერად ჰყვავის ყვავილნი,
ლოდიც სამი წევს მტვრიანი.
მზის დასვლაა თუ ამოსვლა,
მოხუციც სამი ტრიალებს,
სამი ღუღუნებს ქედანი,
სამი მთა უდგას კლდიანი.
სამპირად დიან ღრუბელნი,
სულ ყოველ დილით — ცვრიანნი,
სამნი ყივიან არწივნი,
წინილებს სამ-სამს ზრდიანო,
სანთელიც სამი ინთება,
ნათელს სამპირად შლიანო,
კარგა სჩადიან, ღვთის მადლმა,
თუკი არ დაიშლიანო.

* * *

ალარ მწყურისარ
როგორც მამრს მდედრი,
ალარ მინდისარ
როგორც კაცს ქალი,
არ მხიბლავს შენი
გაშლილი თმები
შუალამით რომ ათრთოლებს
ქარი.
მამწუხრებს შენი თვალები
სველი
და ბაგეთაგან ოხვრის
ალმოსვლა,
შენს გამოჩენას მზეზე
წინ ველი
და გეფერები, როგორც
სალოცავს.

* * *

ასე სურთ ქარებს, უნდა ვეწამო,
ვიდრე აქ ვდგავარ ბოლო მლოცველად,
მე უნდა შევძლო, უნდა ვისწავლო
შენი ლამაზი ფიქრის მოსმენა.
როცა ვმალლდები, ცას მხრებით ვბზარავ,
შუბლით ვეხები სამყაროს სარტყელს,
მე უფლისაგან მექლევა ძალა,
შენი ლამაზი სიზმრები ვხატო.

* * *

სხივი აკლდება — შენს ლიმილს
შემოეძარცვა ფერები,
სახეზე დაჩნდა ბზარები
ჩამოღადრული ცრემლებით.
მზე ლღვება თბილი გულისა,
ჩამოდის ჩამოცერებით,
ირღვევა წმინდა ტაძარი —
ცის სამოსელი სულისა.
სჭარბობს არყოფნის სურვილი
ყოფნად დარჩენის სურვილსა,
ნეტავ, რა აანპერწკლებს
ქვეყნად დადგომის სურვილსა,
შენ მზის ჩამონათებას,
სამყაროს დასასრულისას.
მაინც წინ, ცისკენ მივდივარ —
ყოფნის სამყოფისას ვშორდები,
ბინდი ვიყავ და ბინდი ვარ,
ბინდადვე განვმეორდები.
მოვალ შენს საკურთხეველთან,
შენს უკითხავად მოვდგები,
ერთი სანთელით ვიღლოცებ,
ჩაქრება, ჩამოვლონდები.

* * *

მღერიან — უცნაური ხმა
საფლავიდან ამოდის,
არა ჩანს სახე, არც სხვა რამ —
ამ უცნაური მგალობლის.
თეთრი ჩამოდგნენ წისლებიც
მთვარით ანთებულ წყარომდის,
რა ლამაზადა მღერიან
უფალო! — შენის წყალობით.
ცაზე ქრებიან ვარსკვლავნი,
მე თვალზე ცრემლი ჩამომდის,
მღერიან, საოცარია —
ხმა საფლავიდან ამოდის.

* * *

ვუსმენ მუსიკას — უკრავენ ორლანს,
თოვს,
მუსიკის ხმა საშინლად მქანცავს,
გული სდუმს,
სისხლი თხოულობს ბორგვას,
გარდა სიკვდილის, ყველაფრის ნაცვლად.
ქარი კი — ჩუმი, საოცრად ჩუმი
გამხმარ კენწეროს ათრთოლებს ალვის,
ძალიან ვწუხვარ რომ მირჩევთ დუმილს,
მე ყველა ზღვარი წავშალე კრძალვის.
ისმის მუსიკა და შუქი მთვარის,
ჩემს ხერხემალზე, განაწყობს ჩრდილებს
და მე ვგრძნობ ამბორს
სასურველ ქალის

და მე ვგრძნობ ამბორს

და ვგრძნობ სიცივეს.

თოვს...

განესრულა ღამეთა მნკრივი

თენდება და ცის იღება კარი,

თოვს და — თოვლივით —

ორლანი ტირის

და თოვლში ისმის ქვითინი მგზავრის.

შორს, ცის ნაპირთან, ღრუბელი ცურავს,

ღრუბელი მკვრივი, მკვრივი და თეთრი,

მინაზე კი სწუხს პოეტის სული

და სდუმს ორლანი — ჰანგების მეფე.

* * *

რა ძაან მიკვირს დედაო

შენი ამ ღამით სტუმრობა,

დაგქაცა, ჩამოგაბნელა

სამზეოს უსახურობამ,

მუდმივად ფიქრში გათეულ

ღამეთა უსასრულობამ.

რა მოვყვე, ან რა გიამბო

საფონი შენი გულისა,

გაბერნებული ზამთრისა,

ჩამჭკნარი გაზაფხულისა,

არ ჰრეკენ, დადუმებულან

ზარები სინანულისა,

აღარც ცა ვარგა, დედაო,

დასამშვიდებლად სულისა.

ან რა გიამბო ქარისა,

შიშისგან დაზაფრულისა.

მეც თავად ვერას ვეხერხებ

ყელსამოცდენილ ზმუილსა,

ტკვილებს ჩემი გონების

სისხლისფრად დანისლულისას.

მოინი, ცეცხლთან ჩამოჯექ,

ბუხარს ავანთებ ახლავე,

ნუ გეშინია ღამისა,

მე მიგაცილებ სახლამდე,

ჯერ კიდევ დიდი ღრო არის

მთვარის ცის ზურგზე დახრამდე.

ჯერ არა ყივის მამალი,

ახლად დამდგარი ღამეა,

არსად ნისლი ჩანს — ბალაზე

არ ჩამოშალა ნამია,

აღარსაიდან ხმა ისმის

აღარსაიდან ჩქამია,

ერთად ვილოცოთ დედაო,

იქნებ ეს ბოლო ჟამია...

იქნებ მზეც აღარ ამოჩნდეს,

ნითლად შეფერილ ცაზედა,

იქნებ შენ იყო ის მგზავრი,

ბოლოს რომ შედგა გზაზედა

და ჩემი ბოლო სტუმარი

რომ მიკაცუნებს კარზედა.

ჩამოიწურე ღრუბელი

სქლად რომ გაყრია თმაზედა,
უნდა ავანთო სანთლები
არ აშრნენ სანთლის ალზედა:
ახლოს მოიწი, დედაო,
ჩამოჯექ თელის სკამზედა,
ვილოცოთ, ვიდრე მსოფლიო —
მთლად გადამცდარა ჭავაზედა.

* * *

ცა მეტისმეტად სუფთა,
დღე მეტისმეტად მღვრიე,
ქარი უძნელებს სუნთქვას
პოეტის დალლილ იერს.
თეთრი ვერზების მწკრივი
ავსებს ფერშეცვლილ სურათს,
როცა პოეტი სტირის —
მაშინ ქარები სდუმან.
როცა პოეტი სტირის,
ირგებს შეშლილის ნიღაბს,
ინთება სანთლის მწკრივი
მიღმა —
ამ ცათა მიღმა...

* * *

რამდენჯერ დასჭენი გვირილო,
იმდენჯერ მოხველ ახლადა,
წელს უკვე აღარ მეგონა
გული თუ კიდევ გნახავდა.
სულ სხვანაირი მომიხველ,
არა — როგორსაც გსახავდი,
ბაგე გახსენი დობილო,
მზემ მიმაცილოს სახლამდის.

* * *

ციხის
ნაშალთან მუხაა,
მუხაზე ყორნის ბუდეა,
ყვავილი ჰყვავის უხვადა,
სულ გრილი სიო უბერავს.
მუხის ქვეშ გველი ბინადრობს,
შავს ლოდზე წევს და სისინებს,
უამბობს (ციხის წარსულზე
გველის ხმით გველის წიწილებს.
არ მოსწონთ გველის ნაშიერთ
წარსულის ხშირი ხსენება,
დადუმდებიან მაშინვე —
მთვარე რომ ჩაესვენება.
მთები კვლავ სდუმან, დროდადრო
ფიქრიან თვალებს ახელენ,
მხრებს დაბერტყავს უფსკრული
და ლამეს ამოახველებს
და მიიძინებს ყოველი,
რასაც მზის სხივი ეფარა,

გამოდის ძილბურანიდან
დიდი სულეთის ქეყანა.
დაიბინდება სამზეო,
უამი დადგება გლოვისა,
ცის ჩამოშლილი კალთები
მთვარემ ბეჭებზე მოისხა.
მეურდზე აინთო სანთელი
სანუთროს საღამოისა,
დაკეტეს ზესკნელის კარი —
სამანი ყველა დროისა.

* * *

ნეტავ სად არის ახლა,
როგორ მენატრება, როგორ —
ჩემი დანისლული სახლი,
ნვიმის მოყვარული გოგო —
მზედ რომ მინათებდა, ჩაქრა,
მწუხრი მეფინება ღამის
როგორ მენატრება, რა ვქნა —
გზებზე ჩაბერტყილი ნამი.
რატომ მელანდება ხშირად,
მალბობს ყაყაჩოთა ცრემლი,
მზეში განპანილი დილა —
ვიწყებ გახსენებას ძველის...
მიღდევ გადაბრეცილ შარას,
მიმაქვს დაბზარული ზურგი,
ახლა მარტო ვარ და ქარი
ქრის და არა მტოვებს გულგრილს.
ვირჩევ გახუნებულ ფერებს,
ძველი სახეები ვხატო,
უნდა გავიხსენო მერე —
როგორ მწყურისარ და გნატრობ.

* * *

არ გეფერები, პირიმზევ,
ნალვლიანი ვარ ძალიან,
ვერ გეტყვი — საქმე მაწუხებს,
საქმისგან არა მცალია.
დილიდან ალრენილი ვარ,
ლიმილს ვერ ვიხდენ პირზედა,
რალაც მანუხებს, ვერ ვხვდები —
ტკივილი გამიმიზეზდა.
გულდაბინდული დავდივარ
შუბლით მიწამდე დახრილი,
არ მეყურება არარა,
არც ვისა მომდის ძახილი.
თვალებსა ვხუჭავ, არაფრის
ხილვა აღარა მწადია,
ხან მთებს ვეხვევი ნისლივით,
ხან ცად მზესავით ვაგდივარ.
შენ რომ გიყვარდა, ის არ ვარ,
იმისი მხოლოდ ლანდი ვარ,
ვერ გეფერები, პირიმზევ,
მოწყენილი ვარ ძალიან.

სალონური კულტურა ევროპაში უკვე შეა საუკუნეებიდან ყალიბდება. სალონთა პროტოტიპები – შინაური საღამოები – არის-ტრიკატიის წარმომადგენლობა მიერ გართობისათვის ეწყობოდა. ამ შეხვედრებზე ინვენტური ტრუპადურებს, ასრულებდნენ მუსიკალურ ნანარმოებებს, კითხულობდნენ ლექსებს, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, მშვენიერ მანდილოსნებს ეძღვნებოდა. უკვე ამ დროისათვის ასეთ შეხვედრების მაცოცხლებელი ქალი გახლდათ.

XIV-XV საუკუნის იტალიაში ჩადგება წრები, რომელთა სტუმრებიც განიხილა ვდნენ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ სიახლეებს, ასევე ანტიკური ხანის მოაზროვნეთა ნანარმოებებს.

იტალიიდან სალონური ტრადიცია პარიზში ეკატერინე მედიჩის ჩავალას უკავშირდება. მისი სეფექალები, ცდუნებულნი იტალიური კარის დახვეწილი საღამოებითა და საუბრებითა, მსგავსი შევედრების მოწყობას საფრანგეთშიც იწყებენ. ასე შეიქმნა XVI საუკუნეში ეკატერინე მედიჩის შვილის, მარგარიტა ვალუას, გარემოცვაში ლიტერატურული წერე, სადაც ძალის მიზნები და მიზნები მიმდევად დასრულდებოდა.

სალონიდან სალონებზე

საფრანგეთის პირველი სალონი

მაგრამ პირველი სალონი, დღევანდელი მნიშვნელობით, საფრანგეთში ეკატერინე მედიჩის სეფექტალმა კატრინ დე ვიონმა შექმნა. კატრინის დედა იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი გახლდათ და ქალიმებილის განათლების წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა. კატრინმა იცოდა იტალიური, ფრანგული, ესპანური ენები. 1600 წელს 12 წლი-სა გაათხოვეს. შარლ დ'ანჟენ მარკიზ დე რამბუე მეუღლე-ზე 11 წლით უფროსი იყო. ეს ყოფილა ბედნიერი კავშირი ორი ჭკვიანი ახალგაზრდა ადამიანისა, კიდევ უფრო გონიერთა, ვიდრე ეს საფრანგეთის სამეფო კარზე იყო მიღებული.

თანამედროვეთა მოგონებებით კატრინი არა მარტო ჭკვეიანი, მეგობრულიც იყო, ძალიან კარგი რეპუტაცია ჰქონდა და ბედნიერი გახლდათ, რადგან გვერდით მოსიყ-ვარულე და გამგები შეუძლე ჰყავდა. პარიზში ჩამოსული კატრინი აღაშფოთა ანრი IV-ის კარის, ფრანგული საზო-გადოების მანერებისა და ენის სიტლანქებრ. პირველი ინ-ტელექტუალური სალონური საზოგადოების ჩამოყალი-ბებას უსამოვნო დეტალი დაედო საფუძვლად: მარკიზა ძალიან სუსტი აგებულებისა გახლდათ და ჯანმრთელო-ბაც სუსტი ჰქონდა. სასახლეში ყოფნა და სრულფასოვანი მაღალსაზოგადოებრივი ცხოვრებით ტკბობა მისთვის შეუძლებელი იყო. ამიტომაც სასახლის საზოგადოებრივი ყოფის მცირე ნანილი მის სახლში ამოქმედდა. თუმცა თა-ვისი როლი იმ ფაქტმაც შეასრულა, რომ რმატელი კატრი-ნის მეულლეს დიდად არ სწყალობდა. 16 წლის მარკიზამ დატოვა მეფის სასახლე და ლუვრის მახლობლად აშენე-ბულ ახალ სახლში გადავიდა, რომელიც რამბუიეს სას-ტუმროდ იყო ცნობილი. მეულლებმა გადაწყვიტეს შინ მიღებები მოეწყოთ საკუთარი გემონებისა და ინტერეს-თა კვალიბაზე. სალონი 1617 წელს გაიხსნა. სტუმრების სამასპინძლოდ ყველაზე დიდი მისაღები ოთახი – სალონი შეირჩა. მისი მორთვა-მოკაზმება თვით მადამ დე რამბუიემ ითავა: ტყავით გადაკრულ კედლებზე, ნაცვლად XVII საუ-კუნის ტრადიციული, მუქი ფერისა, ნათელი ფერები გა-მოიყენა: მნვანე, ცისფერი თუ ოქროსფერი. მისაღები ოთახი ბროლის მრავალრიცხოვანი, კანდელაბრებით, თა-

იფურითა და ცოცხალი ყვავილებით მორთო.

სიტყვა „სალონს“ კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდა: დიდი ჰოლი, ზალა (saloon), რომელიც XVI-XVIII საუკუნეება მდიდარ ევროპულ სახლში ოჯახის ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ თანდათანიბით ზალა-სალონი თავისი კერძო სახელს კარგავდა: საფრანგეთში იტალიიდან შევიდა მოდა დიდი ზალისა (salon), რომელიც წარმოადგენდა მისაღებს ანუ საგანგებო ადგილს, განკუთვნილს სტუმრების მიღებისა და დასვენებისათვის. აქ იდგა სასადილო მაგიდა, სტუმრების გართობა მუსიკით (პიანინო ჰქონდათ), „სასიამოვნო საუბრებით“, კარტით და ა.შ. შეიძლებოდა.

ის, რასაც შემდგომში სალონს უწიდებდნენ, XVII საუკუნეში იწოდებოდა: *societe, courlitterair, cercle, assemblee, chambres*; XVIII საუკუნეში *souper, diner, bureau d'esprit*. სახელწოდება სალონი XVIII საუკუნიდან იწყებს დამკვიდრებას.

მარკიზა დე რამბუიეტ პირველმა გაულონ საზოგადოებას. გარდა იმისა, რომ მარკიზა დე რამბუიე მაღლალი საზოგადოების გამორჩეული ფიგურა გახლდათ, მან ექვსი გოგონა და ერთი ვაჟი გააჩინა და ქალური დამოუკიდებლობა და დედობრივი მშვენიერება ერთმანეთს შეაჭარა.

მარკიზას მიერ შექმნილი გარემო დროის სასიამოვნო
და თავისუფალი გატარებისათვის განაწყობდა სტუმ-
რებს. საუბარი ძირითადად ლიტერატურულ თემებს შეე-
ხებოდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი – ამ სალამოებს
ხომ კორნელი და მოლიერი სტუმრობდნენ. როგორც აღი-
ნიშნა, მარკიზა დე რაბუჟე გაოგნებული იყო პარიზელთა
მანერებისა და ენის სიტლანექით. ეს თემა ხშირად ხდებო-
და საუბრებისა თუ კამათის საგანი. რამბუჟეს სალონს
ფრანგული აკადემიის ის წევრებიც სტუმრობდნენ, ვინც
უშუალოდ მუშაობდა ამ თემაზეკაზე.

დღისახლისი საკუთარ ინტერესთა კვალობაზე არჩევ-
და სტუმრებს. ბურჯუები, პოეტები, ფილოსოფოსები თუ
მუსიკოსები საღამოს მთავარი სტუმრები იყვნენ. სალონ-
ში ყოველ ახალმისაულს გარკვეული როლი ეკისრებოდა: აქ შეგხვდებოდათ უცხოელი, დიპლომატი, დიასახლისის
მეგობარი. არც ერთ საღამოს არ ჩაუვლია მიწვეული „გე-
ნიოსის“ გარეშე – ეს შესაძლოა ყოფილყო მუსიკოსი, პო-
ეტი, ფილოსოფოსი, როგორც აღარებული, ასევე ფარ-
თო წრეებისათვის ნაკლებ ცნობილი. სალონის განსა-
კუთრებულობა ის გახლდათ, რომ – მეფის კარის მოწყვე-
ტილი – არ ადგენდა მიწვეულთა სოციალურ თუ ქონებ-
რივი მდგომარეობის ჩარჩოებს. აქ გვერდიგვერდ შეეძ-
ლოთ ჯდომა და საქაბარი არის ტოკრატისა და ბურჯუას,

პოეტ-მოქალაქესა და დედოფლის სასახლის მარკიზას. სალონის მთავარი სახე კი უცილობლად დიასახლისი – სალონიერე იყო. თუკი მისი მეუღლე სალამოებს ესწრებოდა, უმნიშვნელო როლს ასრულებდა. სალონის დიასახლისები ხშირად ქვრივები ხდებოდნენ, როგორც, მაგალითად, მადამ ჟოფრენი, ან გაუთხოვარი მადმუაზელ დე საიუდერი. სალონებში ქალები მეფობდნენ და აქედან ახდენდნენ გავლენას თანადროულ დროის აზროვნებაზე. გარდა მადამ რამბუიესა, ასეთ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ: მისი ქალიშვილი – უიულ ანუენი, მადლენ სკიუტერი – ავტორი მრავალრიცხოვნი რომანებისა, მადამ დე სევინი, მადამ დე მენტენონი. მადმუაზელ სკიუტერიმ „საფოს შაბათობანი“ მოაწყო, რომლის დროსაც თავის რომანებს ყიდდა და კარგ ფულსაც ხვეტდა. რამპუიეს ოტელი იყო სკოლა განათლებული და ჭკვიანი ქალებისათვის, რომლებიც ხშირად – უკვე სოლიდურ ასაკში – თავიანთ სალონებს ახალგაზრდა მეგობარ ქალებს გადასცემდნენ, რომლებიც დიდხანს სტუმრობდნენ უფროს მეგობართა ცნობილ სალონებს, სწავლობდნენ მათგან და გამოცდილებას იძენდნენ.

უცნაური ავადმყოფობის გამო (ტპერმო-ანაპჰილახია) ქალბატონი ვერც ბუხრის სიმხურვალეს და ვერც მზის პირდაპირ სხივებს ვერ იტანდა. მაგრამ სუსხი ითახში წლის ცივ დროს დიდდა ანუხებდა ქალბატონს, რომელსაც არ შეეძლო სხვებივით ბუხრის ახლოს ჯდომა. ამიტომ ბენვეულში ჩაფუთნული ქალბატონი ტახტზე წამოწილი ხელმძღვანელობდა მინვეული სტუმრების საუბრებს, რომლის თემასაც თვითონვე არჩევდა.

XVII საუკუნის სალონის დიასახლისთა შორის ბევრი იყო სუსტი ჯანმრთელობისა. როდესაც XVII საუკუნის II ნახევარში ბურუუაზიაც აპყვა სალონთა მოდას და გახსნა საკუთარ სალონები, შეინარჩუნა სტუმრების მიღების ტრადიცია ტახტსა ან სარეცელზე. მაგრამ ბურუუაზიულ სალონთა დიასახლისები იმდენად თავს კი არ იცავდნენ სიცივისა თუ შემანუხებელი დალლილობისაგან, რამდენადაც ქალბატონ-არისტოკრატებს ბაძავდნენ.

დიასახლისი თვალყურს ადგევნებდა დისკუსიის წევრებს. XVII საუკუნის მიზოგინისტები (მიზოგენია – ქალების სიძეულვილი) სალონის ქალბატონთა ლაპარაკს „კრიას“ და „ლაქლაქს“ უწოდებდნენ, თვით ქალბატონებს კი – „კოკეტებს“).

მადამ რამბუიეს სალონში ანტიკური ხანის ბერძნულ ტრადიციებს მიაგებდნენ პატივის, სტუმრებს ძელი საბერძნების ისტორიიდან ურჩევდნენ ფსევდონიმებს (კატრინის ფსევდონიმი იყო არტენიკა – მისა სახლის ანაგრამა).

აბა, ასეთ ადგილას, სილამაზისა და ნიჭიერ ადამიანთა ასეთ გარემოში ვინ მოიქცეოდა იმგვარად, როგორც ტავერნაში? ადგილი განასაზღვრავდა ქცევის მანერას...

მარკიზა დე რამბუიემ შექმნა მოდა არა მარტო მორთულობისა, რაც მთავარია, ჩამოაყალიბა სალონურ ურთიერთობათა წესები.

სწორედ საუბარი შეადგენდა სალონის მთავარ ღერძს. საუბარი ვერ იქნებოდა საერთო ხალხმრავალ საზოგადოებაში. ამიტომაც მინვეულთა რაოდენობა არასოდეს ყოფილა დიდი. კომპანია საგულდაგულოდ შეირჩეოდა და მარჯვედაც გაიმართებოდა ხოლმე ჰომოგენიური ერთია-

ნობის შესაქმნელად. პირისპირ (tete-a-tete) საუბარი იქრალებოდა, ტრალებდა საერთო თემა. როგორც წესი, სალონის დიასახლისი (salonie're) მხოლოდ თემას არჩევდა და დისკუსიას წარმართავდა, ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა სტუმართა ნიჭის გახსნისათვის, მაგრამ საკუთარ მწერლურ თუ ორატორულ უნარს არ წარმოაჩენდა. სალონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საუბრის წარმართვის ხელოვნებით, წამოჭრილ პრობლემათა სიმწვავითა და მინვეულ სტუმართა კოლორიტულობით.

სალონის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იყო – ნიჭიერ ქალთა თანადგომა, ასევე მამაკაცებთან მეგობრობა, სასიყვარულო ურთიერთობათა უარყოფა (შემდგომ მადამ დე რამბუიესა და, განსაკუთრებით, მადამ დე სკიუდერის სალონის ტრადიციები მოლიერის სატირის საგნად იქცევა). ზოგიერთი ქალბატონი სალონთა წყალობით საზოგადოების გავლენიან ფიგურად იქცა, ზოგი იმ დროის პოლიტიკური პროცესებში მონდომებით მონაწილეობდა, საზოგადოებრივ აზრს განასაზღვრავდა.

XVII საუკუნის II ნახევარში სალონები ჰყვაოდა საფრანგეთში, სულ უფრო მოდური ხდებოდა ფულიანი ბურუუაზის ზრდასთან ერთად. სალონთა ბუნება არ შეცვლილა: ისინი რჩეულ ქალთა და მამაკაცთა საერთო ინტერესთა მიხედვით შეკრული საზოგადოებისათვის მოქმედების სივრცედ რჩებოდა. ლიტერატურის, ენის, ხელოვნების შესახებ დისკუსიები – ჯერ კიდევ სალონთა ძირითადი თემა, მაგრამ მეცნიერების ავტორიტეტის სწრაფ ზრდასთან ერთად სალონებში სულ უფრო ხშირად ინვენტნენ გეომეტრებს, ფიზიკოსებს, ექიმებს, ასტრონომებს.

საფრანგეთში სალონთა არსებობის პირველ ათწლეულებში ქალებსა და მამაკაცებს შორის პლატონურ და არა-სექსუალურ ურთიერთობათა კულტი სუფევდა. ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევრის დიასახლისებმა სალონებში თავიანთი სექსუალობის უარყოფა კი არა, გამოყენება დაინტეს ნიჭიერ და ცნობილ მამაკაცთა ურადღების მისაპყრობად.

XVIII საუკუნის სალონები უკვე საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდნენ და თავისებულად ამზადებდნენ რევოლუციას. რევოლუციის დროს კი ინფორმაციის მთავარი წყაროს როლს ასრულებდნენ. გაზიერები, როგორც წესი, აგვიანებდნენ, XVIII საუკუნის 50-იანი წლების სალონებში კი უკვე ოპოზიციის წინამდლოლთა საჯარო გამოსვლებს უსმენდენ.

ქალბატონი ჰომილი

ქალბატონი მარია ტერეზია უფრენი 1699 წლის 2 ივნისს დაიბადა პარიზში. 15 წლისა პარიზის უანდარმერიის პოლკოვნიკს გაჰყვა ცოლად. მისი მეუღლე, სარკების მდიდარი ფაბრიკანტი, ორჯერ მასზე უფროსი, სულაც არ ზღუდავდა მეუღლის ლიტერატურულ გატაცებას. წვრილი ბურუუაზის წარმომადგენელ ქალბატონ მარია ტერეზა არავითარი სისტემატური განათლება არ მიუღია. მან თავის გონიერების, წიგნებისა და დამოუკიდებელი მდგომარეობის წყალობით მოახერხა გზა გაეკაფა და საზოგადოებაში საპატიო ადგილი მოეპოვებინა. უეჭველია, მის ამ განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა.

სალონურმა შეხვედრებმა ცნობილ პარიზულ მეცნიერებთან, მხატვრებსა თუ დიდებაცებთან.

ქალბატონ ტანსენის სალონში მადამ უოფრენმა გაიც-ნო მონტესკიე, ფონტენელი, მარივო და 1748 წელს საკუ-თარი სალონი გახსნა, სადაც ნელ-ნელა გადაინაცვლა ქალბატონ ტანსენის სტუმართა უმეტესობაში. მადამ უოფ-რენის სალონი იყო შესანიშნავად ორგანიზებული და მარ-თული თავისებური დაწესებულება. უცხოელები ამბობდნენ, ჩასული ადამიანი ვერაფერს ნახავს პარიზში, თუ მა-დამ უოფრენის სალონს არ ესტუმრაო. ამ ქალბატონს გან-საკუთრებული დღეები ჰქონ-და ლიტერატორებისა და მეც-ნიერთათვის, მხატვრებისა და მაღალი წრის საზოგადოების ნაცნობთათვის.

საქვეყნოდ განთქმულიყო მისი ლიტერატურული სადი-ლები, სადაც დაამბჯრის, გოლბახის, დიდროსა და სხვა-თა გვერდით შესაძლო იყო სა-ხელოვან და განათლებულ უცხოელთა – პორას უოლპო-ლის, გრაფ კრეიცის, გიბონისა და სხვათა ხილვა.

საზოგადოება, რომელიც ამ სადილებზე ოთხშაბათობი იკრიბებოდა, მხოლოდ მამაკა-ცებისაგან შედგებოდა: დია-სახლისმა შენიშნა, რომ ქალ-ბატონების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქალბატონთა დასწრება იწვევდა მოსაუბრე-თა საერთო თემიდან გადართ-ვას. გამონაკლის მხოლოდ მაღმუაზელ ლესპინასისათვის უშებდა, რომელიც საოცრად გონიერი გახლდათ და, რაც მთავარია, ყოვლად ულამაზო და არც კი ცდილობდა ყურადღების მიღცევას.

სადილობისას საუბარი სხვადასხვა თემებს შეეხებო-და: ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ სიახლეებს, კარის ანეკდოტებს, ახალ ლექსებს – ეს ყოველივე აზრთა ცხო-ველი გაცვლის საბაბი გახლდათ. იმდენი შესანიშნავი ადამიანის თავისი ლირსეულად გაძლილას ესაჭი-როებოდა დიდი გონიერება და კიდევ უფრო მეტი ტაქტი. თანამედროვეთა მოწმობით უოფრენს შეეძლო ისე წარ-მართა მუსაიფი, რომ თითოეულ მოსაუბრეს მონაცვლეო-ბით ეძლეოდა შესაძლებლობა, მთელი ბრწყინვალებით წარმოეჩინა თავისი ორატორული ნიჭი და სტუმრებიც სა-კუთარი თავითა და გონიერი დიასახლისით კმაყოფილი ტოვებდნენ სალონს.

ერთხელ მან ისე ოსტატურად შეძლო განეწყო სასაუბ-როდ საემაოდ მოსაუბრი მოსაუბრე აბატი დე სენ-პიერი, რომ ველარავინ ცნობდა. როდესაც უოფრენმა წარმატება მი-ულოცა, მიამიტმა აბატმა მიუგო: „მე მხოლოდ ინსტრუმენტი ვიყავი, რომელზეც თქვენ ასე კარგად უკრავდით დღეს“.

კმათი რა თქმა უნდა ნებადართული იყო, მაგრამ გაღი-

ზიანებისა და წყვინინების გარეშე. როდესაც შორსმჭვრეტე-ლი დიასახლის რომელიმე მოსაუბრეს ამ უსიამოვნო ელე-მენტის არსებობას შეამჩნევდა, საუბარს ამ სიტყვებით წყვეტდა: „Voila qui est bien!“ (ქარა!) ქალბატონ ტანსენისა-გან განსხვავებით, რომელიც მწერლებსა და მეცნიერებს ოდნავ ზემოდან დაცყურებდა, უოფრენ დიდი პატივისცე-მით ეყრიბოდა და ყურადღებით უსმენდა მათ მსჯელობას, რაც სულაც არ უშლიდა ხელს, დროდადრო ჭკუა დაერიგე-ბინა მათოვის. ეს კი დიასახლისის წყალობის დიდ გამოვლი-ნებად მიიჩნეოდა. თვით უოფრენის მანერა შენიშვნის მიღე-ბისა რაღაც არაჩვეულებრივად მიმზიდველი გახლდათ.

სტანისლავ პონიატოვსკი ხშირად სტუმრობდა ქალბა-ტონ უოფრენის სალონს და თა-ვის მეგობრად მიაჩნდა. პოლო-ნეთის ტახტზე რომ ავიდა, ასე შეატყობინა ქალბატონ უოფ-რენს: „მამან, თქვენი შვილი – მეფეა!“ პონიატოვსკისთან ასე-თი თბილი ურთიერთობების გამო პორას უოლპოლი მას „პოლონეთის დედა-დედოფალს“ უწოდებდა. როდესაც ჯერ კი-დევ ახალგაზრდა სტანისლავ პონიატოვსკი პარიზში ცხოვ-რობდა, უოფრენმა რამდენ-ჯერმე გაუწოდა დახმარების ხელი, ეს კი პონიატოვსკის კარგად ახსოვდა და სხვაგვა-რად არ მიმართავდა, თუ არა – დედა. პოლონეთის მეფე რომ გახდა, დაშინებით მოითხოვდა ვარშავაში მის ჩასვლას. 67 წლის მიუხედავად, უოფრენი პოლონეთის გაემგზავრა და მე-

ფეც არაჩვეულებრივი პატივით დახვდა. ვარშავაში ქალ-ბატონის ჩასვლის ამბავი რომ შეიტყო, ეკატერინე II-აც პირადად გაუგზავნა ბარათი და პეტერბურგს ეპატიუ-ბოდა, მაგრამ უოფრენი ძალიან გადაღალა შორეულმა მოგზაურობამ და ვარშავაში ორთვიანი სტუმრობის შემ-დეგ პარიზს დაბრუნდა.

ეკატერინე II მადამ უოფრენისადმი კეთილად იყო გან-წყობილი: „ჩვენს შორის ბევრი საერთოა... ერთმანეთს შე-სანიშნავად შევეწყობოდით“.

პარიზში დაბრუნებისთანავე მადამ უოფრენმა ჩვეულ ცხოვრებას მიაშურა. ისევ იკრებდა მეგობრებს, ისევ აქ-ტიურად მონაცილეობდა ენციკლოპედიის გამოცემაში, რისთვისაც ყოველწლიურად სოლიდურ თანხას გასცემ-და. ასე გაგრძელდა კიდევ ათ წელიწადს. 1776 წელს უოფ-რენს დამბლა დაეცა. მისმა შვილმა მარკიზა ლაფერტემ, რომელიც ვერ იტანდა ენციკლოპედისტებს, ისარგებლა დედის უმნეობით და მათი მიღება აკრძალა. ამის გამო მა-დამ უოფრენი ხუმრობით მას გოტფრიდ ბულონელს ეძა-და, რომელსაც მისა სამარსი უნდა დაეცვა ურნმუნოთა-გან. მეგობართა ნახვის შესაძლებლობას მოკლებული,



შა-მარკ ნატიორი

მადამ უოფრენი

უოფრენი მაინც მათზე ფიქრობდა და სიკედილის წინ ყველას მცირე ყოველწლიური პენსია უანდერძა.

ქალბატონი ხევარი

ქალბატონი დე ნეკერი, ქალიშვილობისას კრიუშო დე ლა ნასე, 1739 წელს დაიბადა ვაადტის კანტონში (შვეიცარია). მამამ – ღარიბმა ქალვინისტმა პასტორმა – სერიოზული განათლება მისცა. 18 წლისამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა გიბონზე, მშობლების წინააღმდეგობა რომ არა, ცოლად გაცყევებოდა. 1764 წელს პარიზში გუვერნანტად ყოფნისას ნეკერს მისთხოვდა და გაუჩინდა გოგონა – შემდგომ სახელგანთქმული მადამ დე სტალი. მანერების ერთგვარი სიუხეშისა და საუპარში მეტისმეტი სიცხარის მიუხედავად მისი ლირსებანი მალე შეაფასეს გამოჩენილმა ადამიანებმა, მის მეუღლეს რომ სტუმრობდნენ. მისი სალონი ბრნისავდა ისეთი თაყვანისმცემლებით, როგორებიც იყვნენ ბიუფონი, მარმონტელი, დიდრო, ლაფარგი, დალამბერი და სხვანი.

მან დანერა რამდენიმე ზნეობრივ-პუბლიცისტური თხზულება, რომელთაც წარმატება მოიპოვეს: „ნაჩქარევი დასამარება“ (1790), „ფიქრები განქორნინებაზე“ (1794), რომელშიც გაცხარებით იცავდა ქორნინების სიმტკიცის იდეას.

საყოველთაო უზნეობის პირობებში ნეკერი პირადი ცხოვრების სისპეტაკითა და მაღალჰუმანური შეხედულებებით გამოირჩეოდა. როდესაც მისი მეუღლე ფინანსთა მინისტრი გახდა, მან ციხეებისა და ჰოსპიტალთა მონესრიგებას მიჰყო ხელი (დანერა „მოგონებანი საავადმყოფოთა დაარსებაზე“), შექმნა პარიზში 120 სანოლანი საავადმყოფო, რომელიც დღემდე მისი სახელობისაა, და მისი პირველი დირექტორი გახლდათ. მისი გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნდა „ქ-ნ-ს ხელანერთა ნაწყვეტების კრებული“ (1798) და „ახალი კურბული“ (1801), რომლებშიც მრავალი საგულისხმო ცნობაა მისი დროის ინტელექტუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

გადამ და რეაგი

მადამ რეკამიეს ბავშვობისა და სიყმანვილის წლები საფრანგეთის მონარქიის დამხობის წლებსა და 1789 წლის რევოლუციის დაწყების ხანას ემთხვევა. ახალგაზრდობაში იგი მოწმე ხდება დიდი რევოლუციის იდეათა დამხობისა და იმ ახალი ეტაპის დასაწყისისა, რომელიც მსოფლიო ისტორიაში კონსულატის სახელით შევიდა და უკავშირდება ნაპოლეონის განვითარებას, თავი იმპერატორად რომ გამოაცხადა. დაპილოს, მონიფულობისას დიდი კორსიკელის დამარცხება და 1816 წელს საფრანგეთის მონარქიის რესტაურაცია იდლესასწაულა.

მადამ რეკამიეს ცხოვრებაში მრავალი საიდუმლო იფარებოდა, რაც მწერალთა, ისტორიკოსთა, მხატვართა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღებას იძყრობდა. მისი პირველი გამოცანა იდუმალი ქორნინება გახლდათ. სულ 15 წლისა იყო, როდესაც შავ რეკამიეს გაცყვა ცოლად, მდიდარ ბანკირს, მასზე 27 წლით უფროსს. ზოგი ერთ მწერალს ჰგონია, რომ რეკამიე მამამისი გახლდათ.

რომელსაც მრავალი წლით ადრე შეუყვარდა მომხიბლავი მადამ ბერნარი, შიულის დედა, 1777 წელს კი ამ კავშირის შედეგად დაიბადა შესანიშნავი გოგონა, რომელსაც დედისაგან სილამაზე და კარგი გემოვნება ებოძა, მამისაგან კი – ჭკუა-გონება, და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში ერთ-ერთ მომხიბლავ ქალბატონად იქცა. თუმცა მის ამ მოულოდნელ ქორნინებას სხვა ახსნაც აქება.

საგულისისხმია, რომ შავ რეკამიე შიშობდა, 1789 წლის რევოლუციის ტალღაზე მოსულ ახალ რესპუბლიკურ ხელისუფლებას ქონება არ ჩამოერთმია მისთვის. წარმატებულ და ცნობილ ბანკირს ბეგრი რამ პქონდა დასაკარგი, ფიტიურმა ქორნინებამ კი საშუალება მისცა მთელი ქონება გადაეფორმებინა ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი მეუღლის სახელზე. ორივე ოჯახი თანახმა იყო. ბატონ რეკამიეს მეკვიდრე არ ჰყავდა, მადამ ბერნარი კი სულაც არ აქცევდა ყურადღებას დაუჯერებელ ქორებს და ხარბდა, რომ ქალბატონის ბედი სარფიანად გაჩარხა. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ იმ როტულ ეპოქაში ასეთი ფიქტიური ქორნინებანი იშვიათობა არ ყოფილა.

მონიფული ასაკის მეუღლე თავის ახალგაზრდა ცოლს არ მალავდა. საქორნინო საჩქრად ლამაზ სახლს ჩუქნის პარიზში, სადაც ქალბატონი რეკამიე აყალიბებს სალონს, რომელიც ათწლეულთა მანძილზე საფრანგეთის ყველაზე პოპულარულ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გარემოდ რჩება. ქალბატონ რეკამიეს მეგობართა წრეში გამოირჩევა მადამ დე სტალი – XIX საუკუნის თვალსაჩინო ფრანგი მწერალი ქალი. ორი გონიერი ქალის ნაცნობობამ იცნლიან მეგობრობას დაუღო სათავე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის 11 წელი იყო სხვაობა.

რაღა თქმა უნდა, ქალბატონ რეკამიეს თაყვანისმცემლები ეხვია გარს, მათ შორის – ნაპოლეონის ერთ-ერთი ძმა – ლიუსიენ ბონაპარტი, რომელიც 1799 წელს დაშინებით ინყებს შიულის ირგვლივ ტრიალს. ბაგრამ იგი გულგრილად ეკიდება მაღალჩინოსანი თაყვანისმცემლის ყურადღებას და სულაც არ ცდილობს დაუახლოვდეს გვარს, რომელიც სულ უფრო და უფრო იმტკიცებს მდგომარეობას. რეკამიე უარს ამბობს სეფექალის როლზე, რომელსაც ნაპოლეონი სთავაზობს, და სულაც არ სურს დახვენილ მეჯლისებზე დასწრება, რომლებსაც საფრანგეთის მომავალი დედოფალი ნაპოლეონის მეუღლე – უზეფინა – მართავს. სანინააღმდეგოდაც იქცევა – მადამ რეკამიე ახალი სახელმწიფო პოლიტიკისადმი იპოზიციურად განწყობილ ადამიანებს იკრებს. 1802 წელს ინგლისს მიემგზავრება ბონაპარტის შეურიგებელ მოწინააღმდეგება ქვეყნაში, რითაც ახალი ხელისუფლების პოლიტიკისადმი უნდობლობას გამოხატავს. შინ დაბრუნებულმა გახსნა სალონი, რომელიც თანდათანობით ნაპოლეონისადმი იპოზიციონერულად განწყობილ პოლიტიკურ ცენტრად იქცა.

საფრანგეთის იმპერატორი შეიქნა თუ არა, ნაპოლეონმა რეკამიეს სალონის დისკუსიებს მაშინვე მოუღო ბოლო. 1803 წელს გამოსცა ბერნარი, სალონის დახურვის შესახებ, 1805 წელს ხელი შეუწყო ბატონ რეკამიეს ბანკის გაკოტრებას, 1807 წელს კი შიულის უახლოესი მეგობარი მადამ დე სტალი – მისი პოლიტიკის აშკარა მოწინააღმდე-

გე – გაასახლა ქვეყნიდან. ეს მადამ რეკამიეს ცხოვრების ყველაზე მძიმე ჟამი გახლდათ. მეუღლე გაკოტების პირას ჰყავს, 1806 წელს კი მისი მესაიდუმლე, ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანი – დედა გარდაეცვალა. მადამ დე სტალის გადასახლების მიუხედავად, უიული მისი ერთგული რჩება. ვერც უკვე ხანძიშესულ მეუღლეს ტოვებს გადასახლებაში ვერც მადამ დე სტალს. ყველაზე 1811 წელს პარიზიდან მისი გაძევებით მთავრდება. მაგრამ მადამ რეკამიე ქალთა იმ დასს მიეკუთვნება, ვინც არ უშინდებოდა პროვინციას და მომდევნო რამდენიმე წელი იქ მოუხდება ცხოვრება. მისი სახლი აქაც იზიდავდა ადამიანებს მდგომარეობისა და ასაკის მიუხედავად. მის თაყვანისმცემელთა შორის ყმანვილკაცებიც ერივნენ, რომელთა შორის აღმოჩნდა მადამ დე სტალის შვილიც. მაგრამ მადამ რეკამიეს ერჩივნა შორს დაეჭირა თავი და შეენარჩუნებინა შეგობრობა და არა დროებითი თაყვანისმცემელი.

გადასახლებაში მხოლოდ ერთხელ დაიპყრო რეკამიეს გული მგზნებარე რომანმა. ქალბატონი რეკამიეს გრძნობები პრინც ავგუსტისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ მან მეუღლეს განქორნინება სთხოვა. თუმცა შემდგომ თვითონვე თქვა უარი, გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგანაც არ იკადრა მიეტოვებინა ასაკოვანი და გალაირშებული მეუღლე. ამ რომანიდან დარჩა მადამ რეკამიესა და პრინც ავგუსტის მგრძნობიარე მიმოწერა, რომელიც უიულის მტკიცე უარით დასრულდა.

უკვე რესტავრაციის ხანაში მადამ რეკამიე თავისუფად დაბრუნდა პარიზს, სადაც ისევ გაიღო მისი ცნობილი საბორნის კარი. თანდაყოლილ მომხიბვლელობას ცხოვრებისეული გამოცდილება დაემატა, ამით მადამ რეკამიე არა მხოლოდ საგულისხმო მოსაუბრე, იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ქალბატონი შეიქნა.

პირადი ცხოვრებისაგან უკვე აღარაფერს ელოდა და, როგორც ჩნდა, სულსა და გულში ემოციურ სიცარიელე რომ შეევსო, აღსაზრდელად აიყვანა მეუღლის ნორჩი დისშვილი, რომელიც მისი ოჯახიც იყო, ქალიშვილიც, მოგვიანებით კი – 1817 წელს მადამ დე სტალის გარდაცვალების შემდეგ – მეგობარიც.

სწორედ ამ წლებში მადამ რეკამიეს სალონში კიდევ ერთი სახე გამოჩნდა – გამოჩენილი ფრანგი პოეტი და ბელეტრისტი, ერთნაირად წარმატებული როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ სარბიელზე – ფრანსუა რენე დე შატობრიანი. ჟილიმ, რომელიც ის-ისაა 40 წლისა გამხდარიყო, მოუღლონელად დაივინყა პრინცი, მამაკაცებთან ურთიერთობის ანყობაში რომ ეხმარებოდა, და შეიყვარა ეს მწერალი მგზნებარედ და ხანგრძლივად. ეს გახლდათ მადამ რეკამიესა და მისი სალონის სულიერი აღორძინება. შატობრიანის ვიზიტების შედეგად მისი სალონი პოლიტიკურიდან იმ დროის საფრანგეთის ინტელექტუალურ და არტისტულ ცენტრად იქცა, სადაც ეპოქის ყველაზე ცნობილი პერსონები სტუმრობდნენ: დიდი ფრანგი მეცნიერი ანდრე-მარი ამპერი, უკვე დე ბოგარნე – წაპოლეონის პირველი მეუღლის – ჟოზეფინას ქალიშვილი, ბ-ნი ბერნადოტი – შვეციის მომავალი მეფე, პროსპერ მერიმე და სენტ-ბევი. მეგობრობდა ონორე დე ბალზაკთან, მისით აღფრთვანებული იყვნენ მხატვრები უაკველი და დაბატონი კარიზმა არ გაიმარავნა. მაგრამ მადამ რეკამიეს სალონი მოგვიანებით გადაიცვალა და დაბატონი კარიზმა არ გაიმარავნა.

უკვე დავიდი, უკვე დელაკრუა და მრავალი სხვა. ეს იყო ფრანგული ხელოვნებისა და მეცნიერების ნალები, მსოფლიო კულტურის სახელები – და ყველას შეკავშირება მაღალი რეკამიემ შეძლო.

მისი სახელი კარგი გემოვნებისა და განათლებულობის სიმბოლოდ იქცა, ის „ვარსკვლავი“ ხდება, რომელზეც საუბრობები ინგლისათვის გრძელია თუ იტალიაში, რუსეთსა თუ გერმანიაში. მისი გული კი შატობრიანს უცყრის. ამ დროისათვის შატობრიანი უკვე იმდეგაც უცულებულია პოლიტიკის, წარუმატებლად იქორნინა, დანერილი აქვს რამდენიმე ფილოსოფიური ტრაქტატი. და მთელია მა პერიპეტიონების შემდგომ თავშესაფარას მადამ რეკამიეს საზოგადოებაში პოულობს. პოლიტიკისადმი ინტერესის დაკარგვის მერე მთელს ცხოვრებას ლიტერატურას უძღვნის, უიული ხდება მისი მუზა. მადამ რეკამიე შემდგომი ოცი წლის მანძილზე მის გვერდით იყო, ძველებურად უყვარდა და სამაგიეროს არაფერს სთხოვდა.

მადამ რეკამიეს სილამაზე მხატვრებმა საუკუნოდ აღბეჭდეს. ყველაზე ცნობილი – დავიდის „მადამ რეკამიეს პორტრეტი“ – ლუუკრშია.

არსებობს სხვა მხატვრის – ფრანსუა ჟერარის მიერ შესრულებული პორტრეტიც. მოქანდაკე შინარმა კი შესანიშნავი ბიუსტი „მადამ რეკამიე“ შექმნა.

მადამ დე ტალიენი

ტერეზა ტალიენი 1770 წელს დაიბადა. მას რევოლუციის დროს ერთ-ერთ გამოჩენილ ქალად მიიჩნევენ. იგი ესპანელი ფინანსისტის, გრაფ დე კამარიუსის ქალიშვილი გახლდათ. მიღებული ჰქონდა შესანიშნავი განათლება. როდესაც მამა რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე ესპანეთის დესპანად დაინიშნა საფრანგეთში და ოჯახთან ერთად პარიზში გადავიდა, ტერეზამ – სილამაზისა და გონიერების წყალობით – მალევე მიაღწია წარმატებას პარიზის საზოგადოებაში და მისი სალონი ერთ-ერთი ცნობილი გახდა.

1788 წელს პარლამენტის მრჩეველ მარკიზ უან-უაკ დე ფონტენეს მისთხოვდა და ლუდოვიკ XVI-ის კარიზ წარსდგა. თუმცა 1789 წელს მეუღლეს გაცილდა (იმ დროისათვის კანონი უკვე რთავდა განქორნინების ნებას). მისმა მეუღლემ რევოლუციური საფრანგეთი დატოვა და ემიგრანტად წავიდა ინგლისში. ტერეზა კი მარკიზ დააპატიმრეს ბორდოში, სადაც – როგორც ემიგრანტის მეუღლე არისტოკრატი – იმაღებოდა. ამ დროს იქ იმყოფებოდა კონვენციის კომისარი უან-ლამბერ-ტალიენი, რომელიც კონვენციის მიერ იქ ჟირონდისტთა დასასჯელად იყო მივლინებული. რევოლუციური სასამართლო მოქმედებდა, საჯარო დასჯა საჯარო დასჯას მისდევდა. თუმცა უანამ „ეჭვმიტანილის“ ხვედრი აიცდინა ტალიენის წყალობით, რომელიც საყვარლად გაიხსადა და დიდი გავლენაც ჰქონდა მასზე. ტალიენი ყველა სურვილს უსრულებდა. ტერეზა მოხერხებულად ერეოდა მის საქმეებში.

უნინდელ დაუნდობლობას ტალიენმა ზომიერება არჩია, რის გამოც რობესპიერმა მოდერატიზმი დაადანაშაულა. კონვენციმა იგი უკვევე, პარიზში გაიწერა; მისი საყ-

ვარელი ქალიც დაპატიმრეს. ქალის გადარჩენის სურვილმა ტალიერი რობესპიერს დაუპირისპირა.

ტერეზა რობესპიერს მიიჩნევდა მისი დაპატიმრების მთავარ დამნაშავედ და რადიკალური ქმედებებისაკენ მოუწოდებდა, არც მისი კაცური თავმოყვარეობის შელახვას ერიდებოდა, როცა მას და მთელს საფრანგეთს მხდალს უწოდებდა, რადგან რობესპიერს ვერავინ უსწორდებოდა.

და ტალიერი 9 თერმიდორის გადატრიალების ერთერთი მთავარი ფიგურა ხდება. რობესპიერს კლავენ და ტერეზა თავისუფალია. რომელილაც დიდებულმა ხუმრიბით ტერეზას „თერმიდორელთა ღვთისშინებულიც“ შეარქვა და ეს ტიტული ახალგაზრდა ქალბატონ ტალიერის (სასწრაფოდ დაინტერა ჯვარი ტალიერთან პარიზში) განუყოფელ ნაწილად იქცა.

სალონი კი იმავე დღეს გახსნა, როცა ტალიერს გაჰყვა ცოლად. მის სალონში, როგორც წესი, თერმიდორელები იყრიდნენ თავს. ამ სალონს სტუმრობდნენ მწერლები, დიდხანს დადუმებულნი, და შეეძლოთ ემსკელათ ყოველივე ახალზე ლიტერატურაში, მის სიუსეტებზე, მხატვრები ისევ იბრუნებდნენ შთაგონებას, კუდიანთა სერობის საშინელებათაგან სულშეუთული, რევოლუციის ორივე ფრონტზე დაჭრილები აქ სიმყუდროვესა და თავშესაფარს პოულობდნენ. მონინაალმდეგე ბანაკის ნარმომადგენლის თავდასხმისაგან აქ ყველა დაზღვეული იყო, რადგან ამის ნებას არავის რთავდნენ.

მადამ ტალიერის სალონი პარიზული „ბომონდის“ თავისუფალი დროსტარების მთავარი ადგილი იყო. სწორედ მის სახლში ისმენდნენ პირველად უახლეს ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნანარმებებს, რომელთაც პარიზის საყოველთაო ქაოტურობა დაპრავდა. აი, რას წერდა „ე ინიტეურ“-ის უურნალისტი სალონის სტუმართა გართობაზე: „დგებიან 10 საათზე, ვახშმობენ 5-ზე, იძინებენ შუალამისას, ზაფხულობით – ბაღში – 5-6-ზე, ზამთარში – 3-ზე, სპექტაკლის ნახვის შემდეგ“.

ტალიერის სახლი პოლიტიკაში ჩართული ყველა თავშეყრის კერად იქცა, ვისაც სურდა თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის შეცვლაში უკეთესობისაკენ. ეს სალონი რევოლუციონერთათვისაც ხელსაყრელი გახლდათ. მადამ დე გონკური წიგნში – „ფრანგული საზოგადოება დიქტატურის ხანა“ – წერდა: „მშვენიერი ტალიერი აგუებდა ქალებს რევოლუციას, კაცებს – მოდას, ბურჟუებს – რესპუბლიკას, საფრანგეთს – გულის კარნახს“.

მადამ ტალიერს დახვეწილობას, ორიგინალობასა თუ ტუალეტის სითამამეში ვერავინ შეედრებოდა. ხან დავიდის მშვენიერი ელენესავით ჩაცმული გამოჩნდებოდა, ხან ვაკხანალის მონანილესავით მიდიოდა მეჯლისზე.

სხვადასხვა ფერის პარიკთა მოდაც მან შემოილო. საოცარი ატლასის ლენტები ჰქონდა ჩანაული, კაბა კი ისე გამჭვირვალე, რომ კარგად ჩანდა მთელი ტანი, მეტრდი კი თითქოს უნებურად გაშიშვლებოდა. პარიზელი ქალები ვერც კი ასწრებოდნენ მიებაძათ თავიანთი „დედოფლისათვის“, მსახიობი ლანქი, ვიკონტესა და ბოგარნე და მშვენიერი რეკამიეც კი დამარცხებულად აღიარებენ თავს გემოვნებისა და ფანტაზიის ამ მუდმივ პაექრობაში.

დირექტორის ხელისუფლების დამდეგს პარიზში მო-

დური გახდა სალონური პოლიტიკური საუბრები, მსგავსი ვოდევილური გართობისა თუ სასაცილო მასკარადის. ტერეზა არც ამ საქმიანობას ჩამორჩა. იგი საფრანგეთის ტახტზე ესპანეთის მეფის აყვანის მომხრეთა ჯგუფს მიეკედლა, რადგანაც იმდოვნებდა: ამ საკმაოდ უსაფუძლო გეგმის განხორციელების შემთხვევაში მამისთვის – გრაფ კაბრიულისათვის – მინისტრის პორთფელს მოიპოვებდა. მაგრამ მათი შეერებების ამბავი ელვის სისწრაფით გახმაურდა და ტერეზამ შეშინებულმა, ვაითუ მაცდუნებელი ინტრიგა უხერხულ სკანდალად გადაიქცესო, სასწრაფოდ მოულო ბოლო ამ ყოველივეს.

ამის შემდეგ ქალბატონმა ტალიერმა სამუდამოდ დაპკარგა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პერსონად ქცევის სურვილი და სალონთა თვითკმარი ძალაუფლებით დაკმაყფილდა.

მალევე 9 თერმიდორის გადატრიალებიდან ტალიერის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. მან თავისი საქმე შეასრულა და ახლა აღარავის სჭირდებოდა. დირექტორის ერთ-ერთი აქტიური წევრი და მოღვაწე ბარასი ცდილობდა ხელისუფლება შეენარჩუნებინა და განირიცხუაც მეგობარი ტალიერი. ტერეზამაც არ დაყოვნა და თავისი პატარა გოგონა – თერმიდორთან – ერთად ბარასის მფარველობის ქვეშ და მისგანვე ნაჩუქარ სახლში გადავიდა საცხოვრებლად. მაგრამ ზედმეტად ანგარიშიან ბარას სურვილი არ ჰქონდა მეტისმეტად მფლაველი საყვარელი შეენახა და სამოვნებით დაუტმო იგი ერთ ცნობილ გამყიდველსა და მოვაჭრეს, უჩვეულოდ გამდიდრებულს რევოლუციის წლების შიმშილით.

მადამ ტერეზას ახლო მეგობართა შორის იყვნენ გენერალი ბონაპარტი და მისი მეუღლე უოზეფინა, რომელსაც ცოტა არ იყოს მფარველური სიყვარულით უყურებდა მადამ ტალიერი და ხშირად ახსენებდა, როგორ გაიცნო ნაპოლეონი: ტულონის აღების შემდეგ მასთან მივიდა ერთი ოფიცერი, უამბი თავისი დამსახურებათა შესახებ და, იდავყზე გამოხეული ქურთუკის მკლავი რომ აჩვენა, უთხრა: „მოქალაქე ტალიერი ყოველისშემძლეა. შეუძლია მას დამატებით გარემონის ტულონის გმირს, იაფად შეიძინოს მაუდის ნაჭერი?“ რამდენიმე დღეში ტერეზამ ბონაპარტს თხოვნა შეუსრულა. აქედან მოყოლებული ნაპოლეონი მისი სალონის სტუმარი შეიქნა.

90-იან წლებში მშვენიერმა ტალიერმა გადაწყვიტა უკვე მყარად მოეწყო ცხოვრება და ტკბილი სიბერისათვის თავშესაფარი მოემზადებინა. უკრარი ამ მიზნის მისაღწევად არ გამოდგებოდა.

მხოლოდ 1805 წელს შექლო ამ ოცნების ასრულება და ცოლად გაჰყვა გრაფ კარამანს, რომელსაც შემდგომ პრინც დე შიმეს ტიტული ებოძა ნაპოლეონისაგან და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა დასრულდა. ქორწილისათვის ნაპოლეონმა მიღოცვა გაუგზავნა, უკვე იმპერატორ ნაპოლეონის მეუღლე უოზეფინამ კი პატივი დასძოვ და კიდევაც ეწვია. მაგრამ იმპერატორის სასახლეში მიწვევა პრინცესა დე შიმეს არასოდეს მიუღია. ტალიერის ყოფილ ცოლას და ბარასის საყვარელს სხვა გვარითაც ვერ იგუებდა მიპერატორის კარი. ეს კი ქალბატონ ტერეზას გაუნელებელი განაწყენების მიზეზი გახდა და მხოლოდ ბურბონთა რესტავრაციის ხანაში

საბა სულხანიშვილი

სალონია გაუსუნარი ხიდლი

XIX საუკუნის ცხოვრებამ ჩვენს ქვეყანაში თან მოიტანა ლიტერატურული წრებისა და სალონების კულტურა, ის სიახლე, რასაც მაღე და საქმაო წარმატებით აუღო ალღო ეპროპული სინამდვილისაკენ გახედულმა ქართულმა არისტოკრატიამ.

განსაკუთრებული მინშვნელობა ენიჭება ასეთ შეკრებებს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, რუსეთის განაპირა პროვინციად გადაქცეულში, არ გამოდის უურნალი, გაზეთი, არ გამოიცემა წიგნი, არ არსებობს თეატრალური დადგმები.

ლიტერატურული სული წრეებსა და სალონებშიღა ფეთქავს, უფრო მაინც სალონებში, რომელსაც არ ემუქრებოდა დეგნა-ანიოება ხელი-სუფლების მხრიდან, რადგანაც მისი შემქმნელი არ ყოფილან დაპირის-პირებული სამთავრობო პოლიტიკას და ცდილობდნენ ხელისუფალთა კეთილგანწყობის მოპოვებას და ამ კეთილგანწყობის გამოყენებას ქართული კულტურის აღმორძნება-გაშლისათვის.

განზრახვა მეტად გახედული გახლდათ. აღსრულებაც შესაძლებელი შეიქნა.

საგულისხმოა, რომ ქართულ ლიტერატურულ წრეებსა და სალონებს საუკუნის შემდგომ თავისი მეისტორიე გამოუჩნდა იაკობ ბალახაშვილის სახით.

ამჯერად ჩამოვეხსნათ, თუ რა გარემოებებმა განსაზღვრა 1940 წელს გამოცემა მისი მცირე წიგნისა, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგიისა და რეჟიმის თვალში დასაგმობი სახელწოდება ამშვენებდა: „ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში“.

იმხანად სალონი ბურჟუაზიულ მოვლენადაა შერაცხული და სასტიკად იკრძალება მისი არსებობა, როგორც იდეოლოგიური დივერსიისა, არაეს აქვს უფლება კეთილად მოიხსენიოს სალონი, მითუმეტეს, აპოლოგეტიდ დაუდგეს. ამიტომაც ერთი შეხედვითაც უცნაურია ამ სათაურის წიგნის გამოქვეყნება საბჭოთა რეჟიმის განსაკუთრებული მრისსანების შამს, მითუთო, რომ ავტორი გახედულებით მაინცდმაინც ვერ დაიქადნის, ის კი არა, საკმაო ექვს ინვესტიციისა და არა საქართველოში.

რაც შეეხება არქივებისა თუ ძველი პერიოდიკისა და გამოცემების შესწავლა-კონფიდენციალური მიერ მოხმობილ დოკუმენტსა თუ მითო-თებას შეუმონებლად ვერ ენდობი, მაგრამ რაც უნდა იყოს, საქმაოდაა ჩახედული სამნერლო ისტორიის კულტურებშიც და მხატვრული გემოვნებაც დახვეწილი აქვს.



გრიგოლ გაგარინი

დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში იგი სულ სხვა სილრმისა და ექსპრესიის ნარკევეს შექმნიდა, რასაც მიგვანიშნებს უაღრესად შეზღუდულ გარემოში ასერიგად მნიშვნელოვანი, დღემდე შეუცვლელი ნაშრომის მომზადება, თუმც აშკარა იძულებითა ჩანართები, რომლებიც ეძღვნება მეფისნაცვალთა – კოვალენსკისა და ერმოლოვსა – აგრეთვე მეფისნაცვალთა მუულლებებს – ელისაბედ როზენისა და ელისაბედ ვორონცოვას – სალონებს; ტფილისში გადმოსახლებულ დეკაბ-

რისტთა ლიტერატურულ წრეს; ალექსანდრ პუშკინის მიმოსვლისათვის ლამის კვალში ჩადგომას – ეს მის საპატივ-საცემოდ გამართული ნადიმი ორთაჭალის ბაღებშიო, ეს მისი მასპინძლობით გადახდილი ლხინი კახეთშიო, ეს მისი სტუმრობა „ტფილისკი ვეღომოსტის“ რედაქციაშიო; ის კი არა, მისი ძმის სტუმრობაც წინანდალში რაღაც განსაკუთრებული მოვლენის რაგბისა აყვანილი – ვერ ავერიმერთალუბს ზოგად შთაბეჭდილებას, ქართულ ლიტერატურულ წრეთა თუ სალონთა ერთიანი ქარგისაგან მოგვრილ სასიამოვნო განცდას, ღრმა პოლიტიკურ დანაშრევებითაც რომ იპყრობს ყურადღებას.

თვითონ ავტორი მორდებით აღნიშნავს: ხელნაწერთა საცავების დამტვრინებული ფოლიანტების, ძველი წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გაყვითლებული ფურცლებიდან მოხერხდა მკრთალი სახის აღდგენაო, – თუმც წარმოსახული სურათი საკმაოდ შთაბეჭდავია, რა კოდა მიუკვლევა იმათი მემუარული ჩანანერებისა თუ ცნობებისათვის, ვინც უშუალოდ მართავდა ან ესწრებოდა ამ წრეებისა თუ სალონურ შეხვედრებსა და მოხდენილი მონტაჟით გადაუბამს ერთმანეთისათვის ეს დოკუმენტური ჩენებანი იმ რწმენით, რომ:

– ვერავითარი გამოკვლევა ვერ შეცვლის თანამედროვისა და მოწმის ცოცხალ ჩენებას.

აგერ სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული წრე, ასეთი სისხლსაცე და მჩერეფარე ცხოვრების მიმდევარი, საიდანაც ნიკოლოზ ბარათაშვილიც უნდა ამოიზარდოს და დიმიტრი ყიფიანიც; აგერ ვახტანგ ობელიანის ლიტერატურული წრე, სპექტაკლის დადგმას რომ ამზადებენ და კიდეც ავიდონენ სცენაზე, დატუსალებას რომ არ შეეშალა ხელი მოყვარული მსახიობებისათვის; აგერ ლიტერატურული შეკრებანი გრიგოლ ობელიანთან; ლიტერატურული სადილი ელიზბარ ერისთავთან.

ყველა ეს ეპიზოდი მომხიბლავ სიუჟეტურ ქარგადაა შეკრული და წარმოგვიდგება იატაკევეშა მოძრაობის უშუალო ნაწილად, ხილულ გარსად, ლიტერატურულ-თეატრალური საუბრები უშუალოდ რომ გადაჯაჭვოდა პოლიტიკურ სამზადისა დიდი ამბოხებისაკენ რუსული უდლის გადასაგდებად და საქართველოსათვის დაკარგული უფლებების აღსადგენად.

იატაკევეშა სამზადისი ჯერჯერობით ბუნებრივ კალაპოტმი მიედინება, არც ამ მეგობრული თავყრილობების გამართვას უშლით ვინმე და გათამამებულნი ერთ დღესაც აღტაცებულნი რომ ლაპარაკობენ „ტფილისის უწყებანში“

გამოქვეყნებულ ლიტერატურულ თხზულებებზე, ხუმრობით აუტყდებოდნენ სოლომონ დოდაშვილს და განსაკუთრებით ელიზბარ ერისთავი უბნებოდა სიცილით: როგორ გაბედე დაგებეჭდა შენს უურნალში ისეთი ნაწარმოებები, რისთვისაც სხვა უურნალისტს პასუხისებაში მისცემდნენ. ის კი თავს იგულუბრყვილოებდა: არ მესმის, რას მეუბნებით, მე რა შუაში ვარო.

ავტორი უურნადღებოდ არ დატოვებდა რომან ბაგრატიონს, მამია გურიელისა თუ დავით და ეკატერინე დადიანების სალონებს, თუმც, რასაკვირველია, უპირველესად გამოაცალკებდა მარიამ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონებს, როგორც ყოველმხრივ სრულფასოვანთ, ტოლს რომ არ დაუდებდნენ ევროპულ სალონურ ყოფას.

განსაკუთრებით მაინც მანანა ორბელიანის სალონია ქვირფასი და მნიშვნელოვანი, როგორც გვირგვინი ამ საზოგადოებრივ-კულტურული სტილის ქართულ გამოვლინებათა.

სულ უფრო იმატებდნენ ამ სალონში ინგლისელები, ფრანგები, ინდოელებიც კი, და ქართველები აბუზლუნდებოდნენ: ძალიან გვავინორვებენ და ემანდ კიდეც არ გაგვაძეონ აქედანო.

აქედან ამოიზარდა უურნალი „ცისკარი“.

აქედანვე ამოიზარდა თეატრალური დასი.

ლუკა ისარლშვილს სახელი გასტეხოდა მაშინდელ საზოგადოებაში, როგორც უმკაცრეს ცერტიონს, ძალიან რომ ამნარებდა ჩვენს დიდებულ მოღვაწეებს, მაგრამ ჩახედვით საქამაოდ ჩახედულიყო საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, სულ ამ წრებში ტრიალებდა და მის მიერ დატოვებული ცნობები ამიტომაცაა გასათვალისწინებელი, მითუმეტეს, როდესაც მის დოკუმენტურ ჩვენებებს სხვა წყაროებიც უმაგრებს ზურგს და ზოგადი ვითარების გააზრებაც.

ამ შემთხვევაშიც უტყუარ სურათს აღადგენს:

— მანანა ორბელიანის სალონში იყო რაც ცისკრის გამოცემას და თეატრს მიეცა დასაწყისი. ერთ საღამოს თქვეს: მოდი ერთი გამოვცეთო, — და ის იყო. ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა. აქ შეიტყო გიორგი ერისთავზე, მოინონა, შემწეობა მისცა უურნალის გამოცემისათვის, თეატრისათვის.

თუმც ამ პასაჟში აქცენტი მთავარმართებელზეა გადატანილი, მის გულმონწყალებასა და ნებართვაზე, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ერთბამად კი არ გაისმა ეს სურვილი, არამედ მანამდე მზადდებოდა, დახვეწითაც იხვენებოდა, საერთო ნადილად და მისწრავებად გადაიქცა და გიორგი ერისთავი, როგორც ყველაზე თავვამოიდებული მოღვაწე იმ წრეში, არსებითად საზოგადოებრივ დაკვეთას ასრულებს, როდესაც ერთდროულად შეეჭიდება ქვეწისათვის ასერიგად სასიცოცხლო ორ საქმეს.

თანაც ამ ყოველივეს ფესვი 1832 წლის შეთქმულთა ლიტერატურულ შეკრებებში გაედგა და კვლავაც ის რწმენა და მიზანსწრაფვა ასულდებულებდა.

იაკობ ბალახაშვილი ხშირად იმოწმებს ალექსანდრე ორბელიანს, როგორც იმ სინამდვილის მემატიანეს, თუმც შეეძლო ცალკე თავად გამოეყო პირადად მისადმი მიძღვნილი მონაკვეთი — აკი მისი ეზო-ბალიც შესაკრებელად გადაექციათ ფარული ორგანიზაციის წევრებს და იქაურობას, გარდა პოლიტიკური თათბირებისა, არც გაცხოველებული ლიტერატურულ-თეატრალური სკა-ბაასი მოკლებია.

გულს დაგაკლდებათ, როდესაც მოისაკლისებთ და ვერსად აღმოჩენთ სურათს იოსებ მამაცაშვილის სალონისა, სადაც ჩაისახა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოება.

სამაგიეროდ, არ გამორჩენია პირველი საპიბლიოთეკო ამხანაგობის შექმნა ტფილისში — დიმიტრი ყიფანის თაოსნობით. მასაც სოლომონ დოდაშვილის შთავონება რომ ასაზრდოებდა, ამიტომაც ერთი მხრივ შეთქმულთა წრეს-თან გაედო ხიდი, მეორე მხრივ კი წერა-კითხვის საზოგადოებასთან, რომელიც უკვე ზღურბლზეა და მისი დარსება ახალ ხანას მოასაზვებს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

1882 წლის 13 აგვისტოს დაბა გორდში ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის გარდაცალება მწუხარებით აღასებდა გრიგორ იორბელიანს და ერთ კერძო ბარათში მასაც გამოიგლოვდა და ყველა იმ მათობსაც, რომელიც სანიმუშოდ ესახებოდა შთამომავლობისათვის:

— წავიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული. ვინცა შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა. ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხვნიცა: აბა ახლა თვალი გადავალე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბენედიქტ საქართველო.

ესაა გამოთხოვება არამარტო დიდებულ ქალბატონთა დასთან, არმედ სალონური ცხოვრების იმ სტილთანაც, ეს პირვენებანი რომ ამკიდრებდნენ.

თანდათან ახლოვდებოდა რევოლუციის სუნთქვა და საქართველო გადავსებოდა ფარული პოლიტიკური წრეებით, რომლის ფონზეც სადღაც გაქრებოდა სალონური ყოფა. ჩვენში რევოლუცია არ გამოჭედილა სალონებში, განსხვავებით საფრანგეთისაგან.

მარქსიზმი იმთავითვე დაუპირისპირდებოდა სალონებს, ისევე, როგორც სალონი ვერ იგუებდა მარქსისტულ წრეებს და ვერ შეიკედლებდა თავისთან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერატორის საგარეო პოლიტიკა საერთოდ და კერძოდ საქართველოსთან მიმართებით არც სალონის წევრებს ეხატებოდათ გულზე და მთელი არსებით უპირისპირდებოდნენ. მაგრამ ისინი უკვე გრძნობდნენ, მარქსისტთა სახით კიდევ უფრო უარესი პოლიტიკური ძალა რომ ლამობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ქართული ლიტერატურული წრეებისა და სალონებისადმი მიძღვნილ მომავალ მონოგრაფიაში, რომელიც განტვირთული იქნება ყოველგვარი კონიუქტურისაგან, აუცილებლად ისახება ეს წინაღმდეგობანიც... ჯერჯერობით კი გზამკელევად კვმარობთ იაკონ ბალასაშვილის წიგნს, კიდევ ერთ და-დასტურებას, რომ საქართველოში სალონებიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ ფრთას წარმოადგენდა, ამოზრდილს 1832 წლის შეთქმულების იდეურ ძარღვზე.

ვემარბოთ, მაგრამ იმასაც ყველა ვგრძნობთ, ახალი მონოგრაფია რაოდენ აუცილებელია როგორც სამცურავო ლიტერატურული, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისთაც — შევსებული XX საუკუნის სურათებითაც... და ამ ასწლეულისაც...

ლიტერატურულ სალონს ყოველთვისაც შერჩება თავისი განუმეორებლობა და სილამაზე.

ეკა ბუჯიაშვილი

ახალი სკოლა ქველ უპანში

თითოეული ჩვენგანის მეხსიერების შორეულ (ან იქნება არც ისე შორეულ) ნაპირზე დგას შენობა, რომლის ჭერიც ოდესალაც ყველაზე მაღალი გვერჩენებოდა, კედლები — ყველაზე მეტად გვათბობდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს გვასხვდა — ლამის მშობლიური განცდითაც კი — აპრიალებულ იატაკზე შოთენილი ხის ნახერზის სუნიცა და აქაური გარემოსთვის ჩვეული მდელვარებაც. იქნება ჩემსავით თქვენც გონახავთ სიზმარში ასეთი სურათი: ზიხართ მერხთან, მასწავლებელი დაფასთან გიძახებთ, თქვენ კი, ცოტათი გაკვირვებული — აქ რატომ და საიდან მოხვდით — ცოტათი დაბნეული, ბავშვობისძრობნდელი გულისფანცქალით ნერვიულობთ იმაზე, რომ გაკვეთილი არ იცით... და „კუკარაჩასი“ არ იყოს, თქვენ უკვე წლები შეებარვიათ, მასწავლებელი კი ისევ ისეთია, ზუსტად ისეთი, როგორიც მაშინ, წლების წინათ.

ეს ყველაფერი იქ, იმ შორეულ (ან იქნება არც ისე შორეულ) ნაპირზე დაგვრჩნია, სადაც დგას სახლი — რაღაცნაირად მშობლიური, ხან ღიმილისა და ხანაც სევდის მომგვრელი, ჩვენს მოგონებებს რომ ინაცავს.

მე ახლა სწორედ იმ შენობის წინ ვდგავარ, ჩემი ბავშვობის წლების დიდი ხანილი რომ გავატარე და არა წარმოსახვით, არამედ რეალურად ვალექ კარს, რომლის მიღმაც დღესაც ზუსტად ვიცი, სად რა არის, კიბის ყოველი საფეხურიც კი მახსოვს და თვალდახუჭულმა შემიძლია მოგატაროთ ყველა კუთხე-კუნტული. აქ ადრე 29-ე საშუალო სკოლა იყო, ახლა კი უცხო ფირნიში სულ სხვა რამეს მამცნობს.

ვაღებ კარს და... ერთი წუთით, სულ ერთი წუთით, ამო-სუნთქვა მაცალეთ და გეტყვითო... აი, აქ, ხელმარცხნივ სკოლის დაბაზი უნდა იყოს, ხელმარჯვნივ კა სპორტული დარბაზი, მაგრამ... ახლა თანამედროვე დიზაინის დერეფ-ნები მოგჭრით თვალს, უახლესი ინვენტარით აღჭურვილი, ევროპული დონის საკლასო ოთახებისკენ რომ მიგიძლვებათ... და მეც ერთი რომ მომქცა მხარი, ვხვდები, რომ სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, სამყაროში, სადაც კედლები — ზოგჯერ ახლოდან, ზოგჯერ შორიდან — კლასიკური მუსიკის ჰანგებს გამოსცემენ, სივრცე XXI საუკუნის რიტმით არის დამუხტული, დერეფნებსა თუ საკლასო ოთახებში კი არაერთ ცნობილ სახეს შეხვდებით — მაგალითად, კონსერვატორიის დოქტორებს: თენის ამირეჯიბს, სვეტლანა კორსანტიას, ედიშერ რუსიშვილს, ერნსტ არაქელოვს,

როდამ ჯანდიერს, დავით ჯიშვარიანს, თამარ გაბარაშვილს... რომელი ერთი ჩამოყითვალოთ.

უკვე ერთი წელია, რაც თბილისის ძველ უბანში, ჩუღურეთს რაონის ერთ წყნარ ქუჩაზე — იქ, სადაც ოდესაც იღია ჭავჭავაძესა და შიო არაგვისპირელს უცხოვრიათ — ბინა დაიდო კონსერვატორიასთან არსებულმა სამუსიკო სემინარიამ, რომლისთვისაც წელს ზოგადი სკოლაც გაიხსნა, რათა მუსიკალური ნიჭით დაჯილდობულ ბავშვებს სწავლის პროცესი გაუადვილონ — ერთ შენობაში მათ ზოგადი განათლებაც მიიღონ და მუსიკალური ხელოვნების მადლისაც ეზიარონ. ამ ყველაფერის სულინისამდგმელი კი თბილისის კონსერვატორიის რექტორი, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეა-

ტი, პიანისტი მანანა დოიჯაშვილი — ადამიანი, რომელმაც დიდი ღვნილი დასდო სამუსიკო სფეროს და ბევრწლიად განსაზღვრა ამ დარგის შენარჩუნება — უმძიმესი წლებისა და რეფორმების, ათწლეულობით ნაშენები ტრადიციული სისტემის რღვევისა და ღირებულებათა გადაფასების ურთულეს დროში მან არა მხოლოდ გადაარჩინა ქართული მუსიკალური ტრადიცია, არამედ მისი ღირსახითაც ეგრობულ სიმაღლეებს გაუტოლა. ...და რაკი მან ისიც კარგად უწყის, თუ რამოდენა მინშვნელობა აქვს მუსიკის სწავლებაში საწყის და შუალედურ რგოლებს, ამ დი-

დი ტრადიციების აღდგენასა და განახლებაზეც ზრუნვეს. თქვენი არ ვიცი, მე კი სიმბოლური მუონია, რომ სემინარია კონსერვატორიის „ქუდექვეშ“ იარსებებს.

სიმბოლურია ისიც, რომ სკოლის გახსნაზე ქალბატონმა მანანამ სასწავლებელს გადასცა ზარი თავისი კოლექციიდან და ახლა ამ ზარს, რომელიც თავისთავად სემინარიის რელიგიიდ იქცა, პირველასელებისთვის რეკაგა მათი პედაგოგი ზაქარია ქიტიაშვილი.

ახალგახსნილ სასწავლებელში — ზოგად სკოლას ქეთევან სიხარულიძე უძღვება, სამუსიკო ნანილს კი — გულნარა ნიკოლაძე. სწორედ ისინი მინევენ მეგზურობას ამ უცხო გარემოში.

ამ კლასებში ბავშვებს მაღალკვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან ყველა იმ საგანს, რომლებსაც განათლების სისტემის საათობრივი ბადე ითვალისწინებს. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესი შექრილი ცხრილის მიხედვით მიმდინარეობს და, პითაგორას თეორემაში გარკვევის შემდეგ, ბავშვებს შესაძლოა სოლფეჯიოს კარნახის წერა მოუწოდოთ. გაკვეთილების მერე კი ინდივიდუალური მუშაობა ინწყება მუსიკაში.

მერე, ცოტა მოგვიანებით, ქალბატონ მანანასაც რომ გავესაუბრები, მეტყვის:



სამუსიკო სემინარია „ჩვენი სკოლა“

— სამუსიკო განათლების სპეციფიკა დატვირთულ გრაფიკს ითვალისწინებს. იცით, რამდენად დაკავებულია ბავშვი, რომელიც დღეში ხუთი-ექვსი საათი მუშაობს ინსტრუმენტთან, ამიტომ შექრილი გრაფიკით მეცადინეობა აუცილებელი პირობაა. ეს გულისხმობს, რომ ბავშვი ორ სკოლაში აღარ ივლის და თუ ერთ კლასში ათი მონაცე იჯდება, ჩვენისა პროფესიონალმა პედაგოგებმა (როცა ნიჭიერ ბავშვებს კრებ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პედაგოგი, ამიტომ ისინი დიდი ყურადღებით შევარჩიეთ) უნდა შეძლონ, კლასში გატარებული საათები მაქსიმალურად გამოიყენონ და იქვე ასწავლონ. მუსიკის სწავლებას კი კონსერვატორიის პროფესიონალ-მასწავლებლები უძლვებან.

სკოლაში პირველ რიგში საფორტეპიანო და საორკესტრო (ყველა სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები) განყოფილებები გაიხსნა, სამომავლოდ გვექნება მუსიკის მცოდნეობის, საგუნდო დირიჟორობის, კომპოზიციის განყოფილებები.

კონსერვატორიის დარბაზები ნიჭიერი მოსწავლეების განკარგულებაშია. საჩვენებელ კონცერტებს, გრანტების მოძიებას განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვებისთვის, მათთვის საჭირო გარემოს შექმნას, სრულფასოვანი განათლების მიცემას — ყველა-ფერს, რაც ნიჭიერი მუსიკო-

სის გაზრდას სჭირდება — ჩვენ შევუწყობთ ხელსო.

ალბათ თქვენც მიხვდებით, რომ ასეთ სკოლაში სწავლა იმავე არ არის და ბავშვები, რომლებიც ამ კედლებში მოხვედრამდე საგანგებო გამოცდებს გადიან მუსიკაში, თანდათანობით სწავლობენ სირთულეების დაძლევასაც და შრომასაც, რომლის შედეგებსაც აქ მხოლოდ შემოდგომით კი არა, მთელი წლის განმავლობაში ითვლიან. ყოველყვირეულ დახურულ კონცერტებში მონაწილეობის შემდეგ გამორჩეული ბავშვები ღია კონცერტებზე დაუკრავენ, ამას მოსდევს შემაჯამებელი, საშობაო თუ საალდგომო კონცერტები და საუკეთესოებიც კონსერვატორიის მცირე და დიდ დარბაზში წარდგებიან უფრო ფართო მსმენელის წინაშე.

სწორედ აქ, სემინარიის კეთილმოწყობილ საკონცერტო დარბაზში ჩაუტარებიათ ის საშობაო ლონისძიებაც, რომლის სულისჩამდგმელიც ქალბაზონი ქეთევანა დადიანი იყო. ეს სარკებიანი დარბაზი კი თურმე ფიზიკულტურის გაკვეთილებს ეთმობა — ბალეტის დასის მოცეკვავე მუსიკის ფონზე აქ ბავშვებს რიტმიკას ასწავლის.

თუკი ჩემთან ერთად გამოაგრძელებთ გზას, აქაურ „შარდენსაც“ გაჩვენებთ — ეზოს პატარა ნანილს, სადაც სამომავლოდ სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა გაიმართება... და უთუუღ წარმატებულადაც, რადგან დიდი ხანია ალმაზაჩინეს, რომ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სულიერი სილრმით, სიფაქიზითა და მიდგომითაც გამოირჩევან და ამიტომ, არცთუ იშვიათად, ხელოვნე-



ბის სხვა სფეროებშიც ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ფერისა და ხაზის სამყაროს კარს კი მათ ცნობილი მხატვრები ქეთი მატაბელი და სოფთ კინტურაშვილი გაუღებენ.

სხვათა შორის, ეს არქეოლოგიური გათხრების ნიმუშებიც ამ სკოლის მოსწავლეების მონაბოვარია — ისტორიის პედაგოგთან ლაშა მამაგეიშვილთან ერთად, ატენის ხეობა რომ დალაშქრეს, უშუალოდ მონანილეობდნენ სამი უძველესი ჭურის გახსნაში და მოძიებული ნივთების გასუფთავებაში. შემდეგ კი სკოლაში პრეზენტაციაც გაუმართავთ და საგანგებოდ მომზადებული მოხსენებებით გაუზიარებიათ თავიანთი შთაბეჭდილებები.

ეს კიბე კი, რომლის თითოეული საფეხური მახსოვს, ზედა სართულებისკენ მიგიდვევა-ბათ. შენობს მეორე სართულზე თურმე ინტერნატის გახსნა იგეგმება, სადაც რაიონებიდან ჩამოყვანილი საუკეთესო მოსწავლები იცხოვრებენ.

— მართალია, სკოლა უნინარესად მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებზეა გათვლილი, მაგრამ ჩვენი მიზანია ზოგადი განათლებაც და მუსიკალური ცოდნაც ერთნარად მაღალ დონეზე მივაწოდოთ და მოსწავლეებს ამით სამუალება მივცეთ, რომ როცა გაიზრდებიან, თვითონ აირჩიონ, თუ რომელ გზას გაჰყვებიანო, — მეუბნებიან აქაურობის მესვეურნი.

ამიტომაც აღნიშნა ქალბაზონმა მანანა დოიჯაშვილმა:

— ჩვენ მხოლოდ ხარისხზე ვიქნებით ორიენტირებულნი, ამიტომ ყოველი წელიწადი საკონცერტო სიენაში მოხვედრების მოთხოვნების დაკმაყოფილებას — დარჩებიან, თუ არადა მათ ნაცვლად ახალი ნაკადი შემოვა. ჩვენი მუსიკოსები განათლებული მოქალაქეები უნდა გაიზარდონ. ეს აუცილებელი პირობაა. ვნახოთ, რა გამოგვივა, სურვილი ძალიან დიდი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი სერიოზულ დონეზე განხორციელდეს, მითუმეტეს, რომ საქართველოში სამუსიკო სფეროში ასეთი ნიჭიერებააო.

უსმენ მათ, ათვალიერებ ამ გარემოს და გჯერა, რომ თუ ამ XXI საუკუნის მზით გაბრწყინებულ დერეფნებს გაჰყვები, მიადგები გზის გასაყარას, რომელთანაც წლების შემდეგ ეს პატარები აღმოჩნდებიან ზღაპრის გმირებივით, ოღონდ, ზღაპრისგან განსხვავებით, ამ გზაჯევარებინს ასეთი წარწერა ექნება: ამ გზით თუ წახვალო, გაგომართლებთ; იმ გზით თუ წახვალო... იქითაც!

გაიღლის დრო, ვინ იცის, რა სიმაღლეებს დალაშქრავენ ეს პატარები, დღესდღეობით უმნიშვნელოვანესი მოვლენის სათავეებთან რომ დგანან და ახალ სკოლასთან ერთად დგამენ პირველ ნაბიჯებს, ხვალ კი აქ გატარებული წლები მათი მეტსიერების ერთ ძალიან მშობლიურ ნაპირზე დაიდებს ბინას — შენობაში, რომლის ჭერიც ყოველთვის ყველაზე მაღალი მოეჩვენებათ; იმ დიდ სახლში, სადაც კედლებს წარსული ახსოვთ... და თბილა, თბილა.

ვაჟა ბეთანელი

პეტლევიძის სამოთხის გზაზე აცუ გვარესოვდეს საგურამო

12 სექტემბერს საგურამომ ტრადიციულად უმასპინძლა სტუმრებს საქართველოს ყველა კუთხიდან. აღინიშნა წინამურის ტრაგედიის 103-ე წელი. საზოგადოების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ შემცეს გვირგვინებით ილია ჭავჭავაძის ძეგლი და ობელისკი წინამურში, კიდევ ერთხელ აღესრულა წმინდა ილიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი მისასვე სახელობის ეკლესიაში, კიდევ ერთხელ გაიღო საგურამოს სახლ-მუზეუმის კარი დიდი მამულიშვილის ღვაწლის დამტასებრებლთათვის.

თავკრილობას უძლვებოდა უურნალისტი თამაზი ტყემალაძე:

„ჩვენს საზოგადოებას, ამ წმინდა ადგილის პატივცემულ სტუმრებს, რა თქმა უნდა, არ სჭირდება იმის შესხენება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ისტორიაში წინამურის ტრაგედიას, რომელიც 103 წლის წინათ მოხდა და დღემდე მოვცემის მისი საბედისწერო ექი. ჩვენი ვალია, ყოველი წლის 12 სექტემბერს შევიკრიბოთ საგურამოში, თაყვანი ვცეთ ერის მამად აღიარებული წმინდანის სსოვნას და ერთმანეთს შევახსეროთ მნიშვნელობა და ფასი იმ იდებისა, რომელიც ილიამ დაგვიტოვა როგორც ანდერძი და გზამკევლები მომავლისაკენ საგალი გზისთვის“.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც აღინიშნება ეს ტრაგიკული

დღე. წლევანდელი ჩვენი შეხვედრა განსაკუთრებულია, რადგან „ილიას ფონდს“ მხარში ამოუფენენ თანამოაზრენი და მეგობრები, მათ შორის გახლავთ კომპანია „კახეთის ტრადიციული მეღვინიერების“ მესვეური, ბატონი ზურაბ ჩხაიძე, ერთ-ერთი ასკანელ ძმათაგანი.

საქართველოს განათლებული საზოგადოების წარმომადგენლები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, სხვა დარგების მუშაკები, მობრძანდენ აქ იმისათვის, რათა ისაუბრონ წინამურის გაკეთილზე, ილიას ფენომენზე, ქვეყნის ანმყოსა და მომავალზე.

მრავალფეროვანია დღევანდელი შეხვედრის პროგრამა. ცნობილი მწერალი, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი, „ილიას ფონდის“ ერთ-ერთი დამარსებელი, ბატონი როსტომ ჩხეიძე წარმოადგენს „ილია სამეგრელოში“, გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი, ბატონი კახმეგ კუდავა წარმოვიდენს იონა მეუნარგიას თხზულებათ ხუთტომეულის პირველ ტომს, ხოლო გამომცემლობა „პეგასის“ დირექტორი

მარინა ცხადაია კი — აკაკი ბაქრაძის წიგნს „ილია ჭავჭავაძე“. საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბეგუაძე დასახულებს იმ ათეულს, რომლებსაც მიენიჭათ „მუზეუმის მეგობრის“ საპატიო წოდება. მოისმენთ სიტყვებს, ლექსებს, სიმღერებს, ერთი სიტყვით, ვეცდებით, საკუთრისი პატივი მივაგოთ დღდ წინაპარს, რომლის ხსოვნის გაფრთხილება ყველა ჩვენგანის წმიდათანმიდავ ვალია.

როსტომ ჩხეიძე:

„წინამურის ტრაგედია, გალაკტიონმა სამართლანად ეპოქის დასარული რომ უწოდა, საბედისწერო მოვლენად არის მონიშნული საქართველოს ისტორიაში. ეს იყო მარცხი, რომელსაც გარნისისა და კრწანისის ბრძოლების მწარე დასარულს შევადარებდი. ილიას მკვლელებს უნდოდათ ქართული ეროვნული იდეა მოეკლათ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, რადგან შეუძლებელია მოკლა იდეა. ილია, როგორც საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული, დღესაც წინ მიგვიძლის ქართველობას, დღესაც გვამზნევებს, დღესაც გვაძლევს სიცოცხლესა და ძალას. ამიტომაც არის, რომ სულის მოსათქმელად მის უკიდეგანო სამყაროს მიგაშურებთ ხოლმე. ილიამ, როგორც ფერმენტი, შეინოვა ყველაფერი, რაც მანამდე არსებობდა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში, თავის ქურაში გამოატარა

და კვლავ ხალხს, მშობელ ქვეყანას დაუბრუნა.

ძნელია, მეტისმეტად ძნელია ილიაზე წერა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს სიძნელე ქმნის მიმზიდველობას და ამდენად უფრო გასახარია, როცა დიდი მამულიშვილის შესახებ შექმნილ ლიტერატურას ახალი, სანდო გემოვნებით დაწერილი წიგნი შეემატებ ხოლმე.

ჩვენ წინაშეა გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემული წიგნი „ილია სამეგრელოში“, რომლის ავტორია ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია. ამ თემას, მის წარმატებით ხორცშესხმას გაბედულება სჭირდებოდა, სწორედაც რომ ახალგაზრდა კაცის გაბედულება, მიზანსწრაფე და, ვიტყობი, ემოციურობა, რაც სიცხოველესა და გამომსახველობას მიანიჭებდა ამპავს, საქვეყნო ეპიზოდად რომ არის შემორჩენილი ჩვენს ისტორიაში.

ერთი შეხედვით, თითქოს რა არის ისეთი — თუნდ ილია ჭავჭავაძე, ერთხელ გრიგორი გრიგორი გავილიდა სამეგრელოში და ერთ ფრაზას დატოვებდა, მაგრამ დაუვინყარა, დამაფიქრებელს: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახეო“.



ხეში ამეტყველებული ილიას პერსონაჟები

05018 გზით

ზვიად კვარაცხელია ახერხებს დაგვანახოს ამ მოვლენის შინაარსიც და მნიშვნელობაც. „ილია სამეგრელოში“ — ეს წიგნი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მონაპოვარია თავისი მხატვრულობით, პროფესიულობით, პასუხისმგებლობის გრძნობითა და პოლიტიკური მუხტით. ავტორი, როგორც ითქვა, ახალგაზრდა კაცია, მაგრამ მისი წარმატებული დებიუტი გრძელდება, ახალ-ახალ სიღრმეებს აგნებს, ახალ-ახალ საშუალებებს იყენებს ნიჭისა და შესაძლებლობების გამოსავლენად. ამ წიგნში ვხედავთ ყველაფერ იმას, რაც საჭიროა მსგავსი წარმოების შესაქმნელად, ეს არის მხატვრული და ანალიტიკური ნიჭის ბედნიერი შეხვედრა, მნერლური და სამეცნიერო პოტენციალის სინთეზი. ამიტომაცაა თანაზომიერი მისი თხრობა იმ ყაიდის თხზულებაში, რომელსაც სხვას ვერაფერს დაარქმევს, თუ არა დოკუმენტურ მოთხრობას.

სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახეო..

ამ ფრაზის ვრცელ კომენტარადაც შეიძლება აღიქვა ეს წიგნი, ეს დოკუმენტური მოთხოვბა, რომელიც წარმოგვიდგება ექსპურსებით დაქსელილ მოზაიკურ სურათად, ილიას სულიერი სამყაროსაკენ რომ მიგვიძლვის.

დღეს აქ წინამურის ტრაგედიის 103-ე ნლისთავზე შევიკრიბეთ და ამიტომ მინდა გავიხსენო სიტყვა, რომელიც ერთ-ერთმა ლირისეულმა ქართველმა ნარმოთქა ილა ჭავჭავაძის და კარალავაზე 1907 წლის 9 სექტემბერს: „შენ შეგვაყავრე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტრებთან ბრძოლა... სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და მედგრად გამოისარჩილე დაჩაგრუულ სამეგრელოს“.

ეს სიტყვები იონა მეუნარგიას ეკუთვნის.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გამისხენებია ეს ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გამომცემლობა „არტანუჯამა“ დაიწყო გამოცემა მისი თხზულებების ხეთომეულისა, რომლის პირველი ტომი, შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული, ჩვენ წინაშეა და შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით ემსახურება ეს უკვე კარგად ცნობილი გამომცემლობა ქართველი წიგნის კულტურის ამაღლების საქმის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „არტანუჯის“ დამოკიდებულება ქართული კულტურის ისტორიისადმი, კერძოდ, სურვილი, რაც შეიძლება ფართოდ წარმარინოს ქართული დოკუმენტური და ბიოგრაფიული მწერლობა. მეტთხველს პირველად ეძლევა საშუალება სრულად გაეცნოს იონა მეუნარების შემოქმედებას, მის ნალვანს.

ეს არის ნამდვილი მეგზური მე-19 საუკუნის სულიერ სამყაროში შესასვლელად, ისტორიულ პირვენებათ უკეთ შესაცნობად, მათ შორის, ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძის პირვენული და შემოქმედებითი პორტრეტის დეტალების აღსაფენად.

აღსადგენი და დასადგენი ილიას ფეხომენის გარშემო კიდევ ბევრი იქნება, რადგან, რაც დრო გადის, სულ უფრო აქტუალური ხდება მისი ნააზრევი, იდეები და ფიქრები.

ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და გვახსოვდეს, გვახსოვდეს სა-
გურამი, რომელსაც არტურ ლასისტმა „სამოთხე“ უწოდდ
და გვახსოვდეს ყვარელი, რომელსაც აკაკი წერეთელმა ჯერ კა-
დევ ილიას სიკონჭლეში „საქართველოს ბეთლიმზ“ უწინდა.

ბეთლემიდან სამოთხის გზაზე არის გოლგოთა — წინამური, როგორც ცაფრთხილება და მუდმივი ფხიზლობის მიზეზი.

ახლა კი, ძვირფასო მეგობრებო, სიტყვას გადავცემ თანამედროვე ქართული კრიტიკის „სოხუმურ ფრთას“ — ნინო ვახანიას, სალომე კაპანაძესა და მარინე ტურავას“.

ნინო ვახანია:

„ილიას ხსოვნა საქართველოს ხსოვნაა. ილიას შესახებ დაწერილი წიგნების პოლულარობა მომავლის იმედით ავსებს გულს.

ზვიად კვარაცხელია ტრიუმფით შემოვიდა ქართულ მწერლობაში. დამსახურებული ტრიუმფით. მისი განათლება, ნიჭი, გემოვნება, მისწრაფება კარგად გამოვლინდა პირველსავე ნანგრებში და მას შემდეგ იზრდება, იხვენება, ოსტატდება. საკუთარი ნიჭის განვითარებას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება და ასეთივე განსაკუთრებულია დიდი შრომისა და გარჯის შედეგით მიღებული სიხარული.

შხატვრულ-დოკუმენტურ პროზას ჩვენს დროში ბატონმა როსტომ ჩხეიძემ მოუპოვა განსაკუთრებული პოპულარობა. საერთოდ, დიდ, მონუმენტური, სრულყოფილი ქმნილება, ჩვეულებრივ, იწვევს ხოლმე მის ნინაშე შიშა, კრთომას. ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა შექმნილია ბოგრაფიულ რომანთა (ციკლი (თეულლობით რომანი), ამ ჟანრის ნაწარმოების დაწერა ახალგაზრდა კაცისგან საკუთარი შესაძლებლობისა და მონაცეპის დიდ რწმენას მოითხოვს. მიხარია, რომ ზვიადი შეეჭიდა ამ დიდ საქმეს და, იმედია, ნარმატებითაც დაძლევს.

სამეცნიეროში მოვლენა და საქართველო ვნახეო — ამ ფრაზაზე აიგო და შეიტმნა ნიგინ „ილია სამეცნიეროში“, რომელიც „არტკანუჯის“ მიერაა გამოცემული და ახლავს როსტოკი ჩევიძისა და ვასილ კინაძის შესანიშნავი წინასიტყვა და ბოლოობება.

მნერალი კვალდაკვალ მიჰყება იღიას და მკითხველ-საც მას აადევნებს, ვეცნობით საქართველოს იმდროინდელ ყოფას, სამეგრელოს ცხოვრებას, გხედავთ იღიას თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებს, გახსნილია იღიას მოგზაურობის არა მარტო უშუალო მიზანი, არამედ დაფარული არსიც. ზეიადი მარჯვედ ამთლიანებს სხვადასხვა სურათს და ქმნის ლამაზ მოზაიკას.

პერსონაჟთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, როგორც მოსალოდნელი იყო, იონა მეუნარგიაა. დღეს ძალიან გვაკლია ბიოგრაფიული რომანი XIX საუკუნის ამ დიდი მოღვაწის შესახებ. ზეიადმა ეს, შეუძლია, საზოგადოებრივ დაკვეთადაც მიითვალის.

წინაპართა ხსოვნა ხომ მომავლის საძირკველია“

სალომე კაპანაძე:

„არ არის ადვილი, როგორც როსტომ ჩხეიძე ამბობს, კვალში ჩაუდგე იღლის. სამისოდ ნიჭიერებასთან ერთად დიდი გაშე-დულება გჭირდება და ეს გაძლევულება აუცილებლად ქვეყნის სიკარულითა და მასზე ზრუნვით უნდა იყოს ნასაზრდობი.

სიმბოლურია ახალგაზრდა, ნიშიერი მწერლის ზვანდ კვარაცხელიას წიგნის „ილია სამეგრელოში“ წარდგენა სწორედ აქ, საგურამოში, სადაც ილიას ბუმბერაზ აჩრდილ-თან გრძენობ სიახლოვეს.

როგორც ერთ-ერთმა მათთავის მინდა გიორგიათ, რომ
მან ნამდვილად მოახერხა ილიას სამეგრელოში მოგზაურობის
თითქოს ნაცნობი დეტალებისგან, ნაცნობი ფოლიანგეტყიდან

ილიას გზით

კვლავ შეექმნა ილიას მატიანე მისთვის დამახასიათებელ გულწრფელობითა და მხატვრულ პრიზმაში გარდატეხის უნარით. უკვე ნაცნობ სახეებს ზვიად კვარაცხელის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში თითქოს ახლი სიცოცხლე შეემატათ.

კვიქრობ, ზვიადმა უკვე მკეიდრად მოხაზა თვისი გზა — ის მწერლობის საუფლოს ბინადარია. მინდა ვურჩიო ყველას, ჩემთან ერთად გაიზიაროს მის ნიჭთან შეხვედრის კმაყოფილება. მისი სახით უნდა გვეიმედებოდეს, რომ „მომავალი ჩვენია“.

მარინე ტურავა:

„ძნელია, დღეს არ გახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერი, რომელმაც მოკლა ვახტანგ გორგასალი, აშოტ კურაპალატი, ნინაშურთან ესროლა იღას, მაგრამ, ამასთანავე, ვართ ერი, რომლის წალშიც მშა იღა ჭავჭავაძე, რომ არა ჩვენი დიდი წარსული და მრავალსაუკუნოვნი ეროვნული ცნობიერება, არ გვეყოლებოდა მოღვაწე, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ჩვენი ეროვნული იდეალი, ადგილი სამყაროში და გზა ამ ადგილის დასამკვიდრებლად. დღეს, ნინშიურის ტრაგედიიდან 103 წლის შემდეგაც, ჩვენ ისევ ვიბრძვით საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად და ეს ბრძოლა კიდევ უფრო მძაფრი და დაუნდობელია, ამიტომ დღესაც ისევე გვჭირდება ილიას საქმის ერთგულება, როგორც საუკუნის წინათ.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედამა“, წერდა პოეტი ილია. რამხელა ბენდინერებაა, რომ დღევანდელ საქართველოშიც არიან სამშობლოს ბედით სიყრმიდანვე გულანთებული ახალგაზრდები, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება ზვიად კვარაცხელიაც. მისი წიგნი „ილია სამეგრელოში“ ფაქტორივად ერთი ფრაზით შთაგონებული მხატვრულ-დოკუმენტური პროზის წიმუშია.

თანამედროვე სალიტერატურო სიკრცეში სულ უფრო მკვიდრდება დოკუმენტური უნირი, რომელიც აეტორისაგნ მოითხოვს შემოქმედებით ნიჭსაც, ეპოქის, დროის ანალიზის უნარსაც და მეცნიერულ ჭვრეტასაც. ზვიად კვარაცხელიას სამივე თვისება აქვს მომადლებული, ამიტომაც არის წიგნი საანტერესო, ექსპრესიული, ემოციური.

ავტორის თვალით დანახული ილია ჭავჭავაძე ასეთია — „პირბუდალი და თვალებმცინარე, ყოველი ქართველისაგან საბატიო და სათავევანებელი. დინჯი, აუჩქარებელი, მოზომილი ქცევით მოშურნებიც გაჩინია. საქმეში ილბალი მოსდგამს. მაგრამ შრომაც ქანცისგან ყვეტამდე იცის და მიღწეული უფრო ამ უშურველობის ნაყოფია, ვიდრე გამართლებისა ცხოვრების სარბილზე“.

ასევე აცოცხლებს ზვიად კვარაცხელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის არაერთ ცნობილ მოღვაწეს, ილიას თანამედრობლს, ჩვენთვის ნაცნობ თუ ნაკლებად ცნობილ ავთენტიკურ პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უმნიშვნელოვანეს მოვლენას ეძღვნება, რომელმაც სიმბოლურად გააერთიანა XIX საუკუნის მიწურულის ამერ-იმერი, სრულიად საქართველო, იგი არ არის ამ ერთი, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის აღნერა, ეს არის წიგნი — პოზიცია, ღირებულება-თა სისტემა, იმის დასტურად, რომ დღევანდელი საქართველო აგრძელებს იღას გზას. ჩვენ ვართ ჩვეულებრივი ერი, ჩვენი გმირებითა და ანტიგმირებით, და თუ დღევანდელ სამყაროში გადარჩენა გვინერია, მხოლოდ ჩვენი უშურველობით, შევთხოვთ წმინდა იღა მართალს მეოს გვეყოს ამ ბრძოლში და ევედროს ქრისტე ღმერთს ჩვენი მამულის გადასარჩენად!“

ამჯერადაც საგულისხმო გახლდათ ახალგაზრდა მწერლის ნინო სადღობელაშვილის გამოსვლაც:

„გამჭვირვალე დღეა 12 სექტემბერი.

ისეთივე გამჭვირვალე, როგორც ჩვენი დიდი წინაპრების სახელი, მათი სულები, ხატება, რომელთა შუქზე ყველაზე უკეთ დღევანდელობა კი, ისევე როგორც ყოველი დრო მარადისობის ტრიალში, — ავიცა და კარგიც, ცოდვიანიც და მადლიანიც, უიმედოც და საიმედოც.

საიმედო, საამაყოა, როცა ჩვენს მრავალფეროვან მწერლობას, ჩვენი წინაპრების ნალვანს და ნაფიქრს ღირსეული მემკვიდრე უჩნდება. ის თავისი ახალგაზრდული ენერგიით, მაღლმოსალი ნიჭიერებით დროთა კავშირს განამტკიცებს და, სწორედ აქედან იბადება ჰარმონია, ეს ყველაზე კოსმიური მოგივი სამყაროში: როცა წინაპრისგან იშვება მომავალი.

ასეთი მომავალია (ანმყოთი დადასტურებული) ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია.

მის შემოქმედებაზე ფიქრისას მთლიანად განიციფრი ქართულ ლიტერატურას, მის გრძელ და რთულ გზას. გეახლობლება დიდი სახელები.

წიგნი, რომლითაც ზვიადი დღეს წარსდგა სტუმრების წინაშე, მსატვრულ-დოკუმენტურ უანრის ეკუთვის. მასში ჩვენი წარსულის ერთი ეპიზოდია სოუსეტად აღებული — როგორ იმოგზაურა იღა ჭავჭავაძემ სამეგრელოში და, როგორ „წახა იქ საქართველო“.

ზვიად კვარცხელიას მიერ გაცოცხლებული ეს ამბავი თავისი სატორითა და შინაარსით უმნიშვნელოვანებია ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში. დანერილიც ისე აქვს მწერალს, რომ უნებლივ თანამონანილე ხდები იმ მშვენიერი ეპიზოდების, იმ დიდებული მასპინძლობის, რითაც მეგრელებმა თავიანთი დიდი მასის — ილიას წინაშე ისახელეს თავი.

და ეს გრძელი, უხვი, ფერადი სუფრა, ეს აუკვივებული მასპინძლები დიდიან-პატარიანად — მეტაფორაა ყოველი ქართველის გულში გაშლილი საპატიო სუფრისა — დიდი წინაპრების მისარქებლად, მისახმობად.

რამდენჯერაც ვუმასპინძლებთ მათ წაფიქრს და ნალვანს ჩვენს გულსა და გონებაში, იმდენჯერ ხელახლა დავიბადებით ჩვენც და ისინიც.

ზვიად კვარაცხელიას შემოქმედებაც — ამ კონკრეტულ თხზულებიანად — ასეთი დაბადების მადლითა მონიშნული.

და კიდეც მოთავდა საჯარო სჯა-ბაასი ზვიად კვარაცხელიას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაზე, რამაც ამ თავყრილობაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა.

* * *

ნოდარ გრიგალაშვილი:

„ბატონები, ია, ამ სახლში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, სახლში, რომელიც სიბერის დღეთი სიმშვიდისათვის აიშენა იღა ამ ერთი, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის აღნერა, ეს არის წიგნი — პოზიცია, ღირებულება-თა სისტემა, იმის დასტურად, რომ დღევანდელი სატორითა სულების მეცნიერებით. დილით იღა თბილის მიერთობაში.

მოურავმა სთხოვა — საშიში დღო არის და სტრაუნიკები იახლეთ. ილიამ მეტაცრად უბასუხად გაათენა ღამე 27 აგვისტოს (ძველი სტილით). დილით იღა თბილის მიერთობაში. თანა ახლდა ოლდა და არტურ ლასტი.

მოურავმა სთხოვა — საშიში დღო არის და სტრაუნიკები იახლეთ. ილიამ მეტაცრად უბასუხად გაათენა ღამე 27 აგვისტოს (ძველი სტილით). დილით იღა თბილის მიერთობაში. გეორგი მარტინი მინდა შევაჩერი თქვენი ყურადღება, ვინძლო, მისი პასუხი უფრო გასაგები გახდეს ჩვენთვის.

ილიას მისი თანამედროვენიც და დღევანდელი მეტიხე-ლიც იცნობენ დიდ შემოქმედთან ერთად დიდ პრაქტიკისად.

ილიას გზით

გნებავთ პრაგმატიკოსად. სხვაგვარად როგორ შექმნიდა და როგორ უხელმძღვანელებდა იმ დანესებულებებს, რომლებიც ერთად აღებულ დღევანდელი კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებს ასრულებდნენ ქართველთათვის იმ დროში.

მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ილია გამოუსწორებელი რომანტიკოსი და ადამიანისადმი გულუბრყვილოდ მიმნდობი, მოყვასისადმი უსაზღვრო რწმენით შეპყრობილი კაცი იყო.

მას არ უყვარდა თავის სულიერ სამყაროზე საუბარი, ინტიმურ გრძნობებზე სხვათა ყურადღების მიქცევა. ასე მგონია გული გავიუატიურეო, — ეს მისი ფრაზაა, — როცა ქალის სიყვარულზეც კი ხმამაღლა დასცდა სიტყვა. თავისი ხასიათის თვისებებს ილია მხოლოდ საკუთარ პერსონაჟებს ანდობდა. შემთხვევითი არ იყო რომ ამბობდნენ, ოთარანთ ქვრივი კაბაგადაცმული ილია არისო. მეორე მხრივ, გიორგი ვით ისიც მორიდებული იყო და განითლების უნარი ჰქონდა.

ილიამ თავისი დაფარული თვისება, გულუბრყვილო ნდობა ადამიანისა, უსაზღვრო რწმენა სიკეთისადმი, თავის პერსონაჟს — პეტრეს ანდო მოთხოვბაში „სარჩობელაზედ“.

პეტრეს ვერაფრით წარმოუდგენია — ნუთუ შეიძლება დღისით მზისით, ამ დუნია ხალხის წინაშე კაცმა კაცი ჩამოახრჩის.

რაღა უნდა მომხდარიყო ამ გულუბრყვილო რწმენის შესაცვლელად იმაზე მეტი, რაც ხდებოდა?

სახრჩობელაც გაემზადებინათ, მსხვერპლიც მზად ჰყავდათ, სეირის მაყურებელი ხალხიც შეეყარათ და ჯალა-თებიც მზად იყვნენ... არაო, პეტრეს არ სჯეროდა...

რაღა უნდა მომხდარიყო, ილიას რომ ერწმუნა, მისთვისაც საშიში დრო რომ იყო. ყოველდღე წითელი ტერორისტები ჩიტებივით ხოცავდნენ ადამიანებს. თვით ილიას ხომ სული გაუმნარეს გაზეთებიდან. უსახელო ბარათებიც მრავლად მისდიოდა, ზედ რომ ხანჯალი და კუბო ეხატა.

არაო, — ილია მანიც ამბობდა, — საქართველოში ილიას ვერავინ ესვრისო. იქით ამშვიდებდა თავის თანამეცემებრეს და გულისგულში პეტრეს გულუბრყვილობით მართლაც სწავლა, რომ ქართველი მას ვერ გაიმეტებდა.

აი, ეს რწმენა გამოკრთა ილიას პასუხში, მოურავს რომ მკაცრად მიუგირ: ილია ჭავჭავაძეს თავის სამშობლოში სტრაჟიკები არ სჭირდებათ.

ან ამ რწმენით უნდა მომკვდარიყო ან ეცხოვრა შიშით, არაფრინის განცილი სტრაჟიკებამომდგრა.

ჯერ უცხოელთან, ლაისტთან როგორ იზამდა ამას, სტრაჟიკებს როგორ აიდევნებდა, მერე თავისი ბუნების წინააღმდეგ როგორ წავიდოდა.

დაეშვა საგურამოს თავდაღმართზე სამი თეთრი ცხენი და უკანასკნელად გამოაცილეს თავის სახლ-კარს 70 წლის მოხუცი.

დიდხანს გაჰყურებდნენ მათ დატუქსული მოურავი და სტრაჟიკები, რომელთაგან ორი — აღნაგი ვაჟკაცი, სხვათა შორის, აჭარლები იყვნენ, იქნებ იკითხოთ, სტრაჟიკებს რა უნდობათ ილიას მამულშით. ილიამ მოინდომა მათი გაყვანა, მაგრამ სოფელი შეევედრა: თქვენ რომ დაითხოვოთ, ჩვენ ჩაგვისახლდებინ და შეგვაწუხებენ, თქვენთან კი ვერაშერს ბედავენ, თან ყაჩაღებსაც ეშინიათ სოფელში პარპაშით. ამ თხოვნის გამო დარჩენ ისინი ილიას მამულში.

ილია ჭავჭავაძეს თავის სამშობლოში სტრაჟიკები არ სტირდებათ — ნუთუ შეცდა ილია, ნუთუ სამი დღის შემდეგ გულთან ერთად ეს რწმენაც დაუხვრიტეს?

არა, ილია რაც იყო, იმდა დარჩა უკანასკნელ წამსაც კი. მისი ბოლო სიტყვებია: „რას სჩადიხართ“. ხალხმა ამ სიტყვებს იმთავითვე მოაბა ლეგენდა: „რას სჩადიხართ, ილია ვარ!“

არა, ილია ვარო, ვეღარ თქვა, ვეღარ მოასწორ, თუმცა კი ამ შეძახილში ისევ ის რწმენა გამოსჭვივის, რომ თუ ეცოდინებოდათ ვინ იყო, ქართველები ილიას არ ესროდნენ...

ვერც ილია მოჰკლეს და ვერც ილიას ეს რწმენა.

მე დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ილია საქართველოს და ქართველებს არ მოუკლავთ.

ტყვეში ჩასაფრებულ იმ ხუთ ცხოველს ეროვნება არ აქვს. მათ საერთოდ არ იცოდნენ ვის კლავდნენ, მათ არ იცოდნენ ილიას ფსი. ილიას მკვლელობა ქართული წარმოშობის რუსმა ბოლშევიკებმა დაგეგმეს. ილია ის კაცი არ იყო, მისი მოკვდინება ბახვში, ვიღაც დიომიდე მახარაძის ბინაში გადაწყვეტილიყო. ილიას ხელყოფას ვერც ფილაპე მახარაძე გაბედავდა და ვერც მაშინ დამწყები ტერორისტი სერგო ორჯონიკიძე.

ილიას მკვლელობაზე გადაწყვეტილება იმპერიის ცენტრში — პეტრებულებში იქა მიღებული. ნებართვა მიღებული ვლადიმერ ლენინისგან. ორგანიზატორი იყო იოსებ სტალინი. არც ერთია მინძლოლი და არც მეორე ქართველი. ორივე რუსეთის იმპერიის იმპერატორები გახდნენ. მათ მოკლეს ილია და თოთხმეტი წლის შემდეგ მათ მოკლეს საქართველოს დამოუკიდებლობაც. ახლაც მათი სულიერი შეიღები მართავენ რუსეთს. ტყვია, რომელიც ილიას ესროლეს, ისევ საქართველოზეა დამიზნებული.

ბატონებო, თვითგვემის ნაცვლად ამის გააზრება მართებს სრულიად საქართველოს „*“

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმის დირექტორი თამარ ზურიაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი გიზმ თავაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

ლექსები წაიკითხეს მარიამ წილაურმა, კატო ჯავახიშვილმა, თემურ ჩალაძეშვილმა.

ქართული ხალხური სიძლერი შესრულეს სიძლერის კვარტეტმა დავით არჩეაძის ხელმძღვანელობით, ანსამბლ „ქართული ხმების“ ცნობილმა სოლისტმა ზურაბ ლოლაძემ და ნორვეგიელმა სტუმარმა სვენდ ვოგებმა.

მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ დაასახელა ის მეცნიერები და მოღვაწეები, რომლებსაც მიენიჭათ საპატიო წოდება: „ილიას მუზეუმის მეცნიერება“.

ესენი არიან: ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, ფონდ „ქართუს“ გენერალური დირექტორი ირაკლი ლარიბაშვილი, ამავე ფონდის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ნათელა ყალიბავა, შპს „კალასის“ დამფუძნებლები: გიორგი გაგუა, გიორგი ანდლულაძე, ვაჟა უსანეთაშვილი, თენგიზ გავაშვილი, ილია შონია, კომპანია „კახეთის ტრადიციული მემკვიდრეობის“ პრეზიდენტი ზურაბ ჩხაიძე (ასკანელი) და ბიზნესმენი მიხეილ ლოლაძე.

როდეოდე?

ამ ოთხი წლის წინ ქართულ ლიტერატურულ პრემიებს „გალაც“ შეემატა.

თბილისის საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე გა-მოქვეყნებული ინფორმაცია გვაძლინდს: „ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ სამადაშვილის ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით, უკვე ოთხი წელია იმართება და „თბილისობის“ დღესასწაულის ინტელექტუალურ წანილად იქცა. კონკურსის მიზანი მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია და მწერლების ერთგვარი წახალისებაა“.

მართლაც, პრემია „გალა“ არ გახსნავთ ჩევნი ლიტერატურისადმი რომელიც კერძი მეცენატის კეთილი წების გა-მოხატულების შედეგი. იგი ბიუჯეტიდან ფინანსდება, სხვათა შორის, ის ბიუჯეტიდან, რომბლის შესავსებადაც ჩვენ — შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები — მწირზე მწირი ხელფასიდან, სიმბოლურად რომ ამეტებს სიღარიბის ზღვარს მყოფი ადამიანების დახმარებას, ყოველთვიურად ოც პროცენტს ვიხდით.

როდესაც სახელმწიფო საკუთარი სახსრებიდან რაიმე სფეროს, ამ შემთხვევაში — ლიტერატურის განვითარების ხელშესაწყობად პრემიის სახით თანხას გაიღებს, ამით ხდება მანიფესტირება, რომ იგი ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად, პრიორიტეტულად მიაჩინა.

მაგრამ რამდენადც პოზიტიურია ეს მანიფესტირება, იმდენადც არასახარბილო, ნეგატიური შედეგი მოაქვს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები, რომელთაც მინდობილი აქვთ საქმე, მას, პრაქტიკულად, ან სხვა მიზნებისათვის იყენებენ, ან კომპენტენცია და გავლენა არ ჰყოფნით, მართებულად განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მათი არჩევანი კონკურსის მიზნებს.

საქმე შემდეგშია:

მიმდინარე წელს საკონკურსოდ წარდგენილ იქნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაცატიონის კვლევის ცენტრის“ მიერ წარმატებით გახსორციელებული პროექტი — სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გალაცატიონოლოგია V“. აქსიომაა, რომ ნებისმიერი მცირე თუ დიდი კონკურსის შედეგი ვერ იქნება ყველა მონაცილისთვის პირველობის მომტანი. ამისათვის რამდენიმე საუკეთესო შორის უპირატესობა სწორედ იმ ერთს ენიჭება, რომელიც ყიურის წევრით საბოლოო აზრით, მჯობის მჯობისადაც და აქ მცირებულის გარდა, სუბიექტური ფაქტორიც, შემთხვევათა დიდ ნაწილში, არათუ გამორიცხული, გადამწყვეტიც კია. მაგრამ ამჯერად საქმე კონკურსში გამარჯვება-არგამარჯვებას კი არა, იმას ეხება, რომ უნიკალური პროექტი — სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გალაცატიონოლოგია“ წომინანტთა შორისაც 30 მ მოხვდა, კახა თოლორდავას „საუბრები ჯაზზე“ კი — მოხვდა!

ვნახოთ, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი.

„გალაცატიონოლოგია V“ (516 გვ.) სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულია, მიძღვნილი გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. წიგნი კომპლექსურად აერთიანებს პოეტის შემოქმედების ნიმუშებს, მხატვრულ ლიტერატურას, მხატვრულ და სამეცნიერო ესეებსტიკას, უახლეს სამეცნიერო გამოკვლევებს, რეცენზიებსა და კრიტიკულ წე-

რილებს, ასევე, მემორიალურ -ბიოგრაფიულ მასალას და სხვ. ეს ყველაფერი გაფორმებულია ფართო მკითხველი საზოგადოების უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფოტომასალითა და გალაცატიონის გრაფიკული ნამუშევრებით.

კახა თოლორდავას „საუბრები ჯაზზე“ (230 გვ.) არის ინტერვიუების კრებული ჯაზის თემაზე. წიგნი ორენოვანია, ინგლისურ-ქართული. მაშინ ვეცნობით თვრამეტ უცხოელ მუსიკის. დარგობრივად იგი მიეკუთვნება არა ლიტერატურას, რისი ხელშეწყობაც კონკურს „გალაცა“ მიზანია, არამედ მუსიკათმცოდნეობას, ხოლო თუ უფრო ვიწროდ განვსაზღვრავთ პროფილს, არტისტინალისტიკაა, მუსიკის განხერით.

ვინც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თვალს ადევნებს კულტურის სიახლეებს, ეცოდინება, რომ კონკურსის წომინანტების გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალმა ზაალ სამადაშვილმა, რომელიც „გალაცა“ დარსების ინიციატორია, საჯაროდ განაცხადა, რომ საკუთარი წიგნი კონკურსდან მოსხნა და ამით საზოგადოებას გაუჩინა მოლოდინი კონკურსის ბიუჯეტურად წარმართვისა (თუმცა, როგორც „შორტლისტის“ გამოკვეყნებით გაირკვა, იგივე წიგნი „მოთხოვობები ბიჭებისათვის“ მაინც გახდა წომინანტი, ოლონდ სხვა — წიგნის მხატვრობის წომინაციაში).

ბიუჯეტურობის იმედს აძლიერებდა ისიც, რომ წლევანდელი ყიურის შემადგენლობას ზაალ სამადაშვილმა პრესკონფერენციაზეც და საჯარო ინფორმაციაშიც „თავისი საქმის დიდოსტატები“ უწოდა.

საინტერესოა, ამ დიდოსტატებს ვინ შეუბორება მარჯვენა? ვინ მოახერხა, რომ, როგორც ირკვევა, მათ თვალითაც არ უნახავთ წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტის წომინაციაზე წარდგენილი ჩვენი უნიკალური კრებული „გალაცატიონოლოგია“, რომელიც ზედმინევნით შეესაბამება საჯაროდ დეკლარირებულ კონკურს „გალაცა“ მიზნებს — ლიტერატურის პოპულარიზაციას.

იქნებ ჩვენი ეს განაცხადი მცდარია და ყიურის წევრებისათვის არავის „დაუმალავას“ კრებული „გალაცატიონოლოგია“, მაშინ დიდოსტატებმა ნამდვილად არ იციან, რას ეწოდება, რა არის ლიტერატურა და რა — არტისტინალისტიკა, მუსიკის განხილვით. მათ ვერ ან დაინახეს, რომ ჩვენი პროექტი ლიტერატურის პოპულარიზაციას — კონკურს „გალაცა“ ძირითად მიზანს ემსახურება, კ. ტოლორდავას წიგნს კი საერთო არაფერი აქვს მწერლობასთან, ლიტერატურასთან.

იქნებ, უძრალებ, საკრებულოში მისულ ყიურის წევრებს თვალში უფრო კ. ტოლორდავას წიგნის მცირე ზომა და, რაც მთავრობა, მისა გარეუანის გაფორმება მოუვიდათ, სივრცის ნახევარზე მეტი უზარმაზარ იგლისურენოვან დასახელებასა და მუსიკოსების ასევე ინგლისურენოვან სახელებს რომ უჭირავს, ქართულად კი მოკრძალებულად, უნივრილები შრიფტით, მხოლოდ მოკლე სათაური და ავტორის გვარია აღნიშვნული?

გადაშალეს „საუბრები ჯაზზე“ და სიხარულით ცას ენიენ, როცა შემოღვავა გამორიცხულია, სულ რაღაც 90 გვერდი დახვდათ ქართულად წასაკითხო (დანარჩენი — იგივე, ოლონდ ინგლისურად), მერე კი შემაშინებლად სქელი, 516-გვერდიანი „გალაცატიონოლოგია“ წასეს და სარჩევში ჩაუტედავად გვერდზე გადადეს!

გამოხატვება

ვითომ დასაჯერებელია, რომ „გალაკტიონლოგია V“ — საგანგებოდ ამ კრებულისათვის შექმნილი უახლესი გამოკვლევებითა და მხატვრული ესეისტიკით, დასავლური კულტურული აზროვნების კონტექსტში — თავის კუთხინილ ადგილზე რომ ათავსებს ქართველი პოეტი-გენიონის შემოქმედებას, — როგორც პროექტი, საუკეთესოდ თუ არა, იმაზე უკით მაინც ცერ მოემსახურებოდა ლიტერატურის პოპულარიზაციას — კონკურს „გალას“ ძირითად მიზანს, ვიდრე კ. თოლორდავას ინტერიური უცხოური ჯაზის თემაზე?

არათუ „თავისი საქმის დიდოსტატები“, ვინმე მეტნაკლებად მოაზროვნე ადამიანი ქართული ლიტერატურისათვის ამ ორი წიგნის მნიშვნელობაზე ოდნავაც რომ დაფიქრებულიყო, ერთმანეთისათვის შეედარებინა მათი ჭეშმარიტი ღირებულება, იქნებ ის კითხვაც დაბადებოდა, მაინც რა დაუჯდა ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს თითოეული მათგანი. „ჯაზზე“ დახარჯული სახსრები იმდენჯერ დიდია, რომ „გალაკტიონლოგიას“ გარდა, ჩვენი ლიტერატურისათვის სასარგებლო არაერთი სხვა პროექტის განხორციელება გახდებოდა შესაძლებელი!

მაგრამ რაღა დროს ესენია, ან სად „გალაკტიონლოგია“ და სად უცხოური ჯაზი!

ვინმეს კიდევ ადარდებს, რომ აქ ერთ მხარეს ქართული ლიტერატურულ-კულტურული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილის აუნაზღაურებელი და დაუნახავ-დაუფასებელი ენთუზიაზმია, მეორე მხარეს — კულტურისა სამინისტროს მიერ დაფინანსებული და ამერიკის საელჩოსა და „ისტერნ ფრომორუშენის“ ხელშეშველებით „მოხერხებული“ პროექტი? — იქნებ რაღაცით იმ პროექტზე უკეთესი, რომლის გამოც სულ ახლანან იმავე კ. თოლორდავას — კულტურის სამინისტროს კიდევ ერთი ძვირადღირებული წამოწყების პროდუსერს, — საჯაროდ მოუხდა თავისმართლება.

რაც მოხდა, აღარ შეიცვლება და რაღა აზრი აქვს ამ წერილს? — უეჭველად იფიქრებს მრავალი მკითხველი და მართალიც იქნება, თუ მისი ხედვა კონკრეტულ უსამართლობას არ მოსცილდება და არ შეეცდება, მასში საზოგადო სატკივარი დაინახოს.

ასეთი ლექსები იშვიათად ქვეყნდება. ალბათ იმიტომ, რომ მოდაში აღარ არის, ან აღარ ინერება, ან ამ ტიპის პოეტები აღარ არსებობენ. რა ლექსებზეა საუბარი? ეს ის ლექსებია, რომლებშიც პირდაპირ, აღალად, ტროპული დამუშავების გარეშე არის გადმოცემული სათქმელი. ჩვენ მიერჩიეთ რთულ, მეტაფორულ, ზერეალისტურ პოეზიას და ამ დროს დაგვავინწყდა, რომ ლექსი უშუალობის, უბრალობის, სიმარტივის (ძეველი, ჰიმნოგრაფიული გაგებით) გამოხატულება უნდა იყოს.

სასიამოებიდ გამაცემირვა და აღმაფრთოვანა ირაკლი გაკაბაძის ლექსებმა („ჩვენი მწერლობა“, №20, 2010). ბოლო დროს იშვიათად წამიკითხავს ისეთი გულიანი, წრფელი, უძუალოდ ამოთქმული სტრიქონები. როგორი ემოციაა, როგორი ძალაა, როგორი სულიერება. ყველაფერი ბუნებრივი და ადამიანურია — სიტყვა, ფრაზა, აზრი, განცდა, ტკივილი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მას იმდენი სათქმელი აქვს, რომ დრო აღარ ჩჩება კოექტობისა და მკითხველის წინაშე თავმოწინებისათვის. აი, მაგალითად, „ბესლანის ბავშვები“ — ლექსი საზარელ ტრაგედიაზე, რო-

ჩვენ კი გვჯერა, რომ პროტესტს აქვს აზრი, რადგან ჯერ კიდევ ბჟუჟაცს იმედი, რომ ვინმე, ხელისუფალი იქნება თუ მეცენატი, როცა ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ღირებულებებთან შეხება და მათი ანონვა მოუწევს, უკეთ დაფიქრდება და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, რათა ადამიანებს, რომელთაც არ გაქვრობიათ ძალა და სურვილი ქართული საქმის მსახურებისა, „სიძნე-ლე გზისა გაუადვილდეს“.

გალაკტიონის კვლევის ცენტრი

P.S. წერილი უკვე გამზადებული იყო, როდესაც გახმანდა, რომ ნომინაციაში, წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი „გამარჯვება წილად ხვდა კ. თოლორდავას, რომელმაც სამადლობელ სიტყვაში „უხერხულად“ აღიარა:

„უზებდი ცეცხლა მუსიკოსს მადლობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლიტერატურული პრემია არის!“

ამით კიდევ ერთხელ დასტურდება უიურის არაობიერ-ტურობა და გულგრილი დამოკიდებულება ეროვნული ფასეული ძალისათვისა და ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული საზოგადოების მიმართ.

რეაზციისაგან:

ყოველი ლიტერატურული მოვლენა, განსაკუთრებით მაინც კონკურსები, მეტ-ნაკლებ ხმაურს, შეხედულებათა განსხვავებულობას იწვევს საზოგადოებაში. ხან შეფასებანი პოლარულადაც დაპირისპირებულია. ცივილიზაციულ გარემოში ამგარი კამათი ჩვეულებრივ მოვლენად ალიქმება და, დასავლეთის ქვეყნებისა არ იყოს, ჩვენც მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ დისკუსიის გადატანას კულურებიდან ლიტერატურულ პერიოდიკაში, რათა მსჯელობაც და თვალსაზრისთა შეჯახებაც სამწერლო ფარგალში ტრიალებდეს — უკეთესის სურვილით. გალაკტიონის კვლევის ცენტრის გამოხმაურებას ვპეტდავთ იმ შევებით, რომ უსათულდ დავუთმობთ ჩვენს ფერწერებს სანინაალდევეგ შეხედულებასაც. ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება „გალასაც“, რომელიც ჩვენი სამწერლო ყოფისათვის აუცილებელ პროექტად გვესახება, და სხვა ლიტერატურულ კონკურსებსაც.

ეპისტოლე

ასეთი ლექსები იშვიათად ქვეყნდება. ალბათ იმიტომ, რომ მოდაში აღარ არის, ან აღარ ინერება, ან ამ ტიპის პოეტები აღარ არსებობენ. რა ლექსებზეა საუბარი? ეს ის ლექსებია, რომლებშიც პირდაპირ, აღალად, ტროპული დამუშავების გარეშე არის გადმოცემული სათქმელი. ჩვენ მიერჩიეთ რთულ, მეტაფორულ, ზერეალისტურ პოეზიას და ამ დროს დაგვავინწყდა, რომ ლექსი უშუალობის, უბრალობის, სიმარტივის (ძეველი, ჰიმნოგრაფიული გაგებით) გამოხატულება უნდა იყოს.

სასიამოებიდ გამაცემირვა და აღმაფრთოვანა ირაკლი გაკაბაძის ლექსებმა („ჩვენი მწერლობა“, №20, 2010). ბოლო დროს იშვიათად წამიკითხავს ისეთი გულიანი, წრფელი, უძუალოდ ამოთქმული სტრიქონები. როგორი ემოციაა, როგორი ძალაა, როგორი სულიერება. ყველაფერი ბუნებრივი და ადამიანურია — სიტყვა, ფრაზა, აზრი, განცდა, ტკივილი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მას იმდენი სათქმელი აქვს, რომ დრო აღარ ჩჩება კოექტობისა და მკითხველის წინაშე თავმოწინებისათვის. აი, მაგალითად, „ბესლანის ბავშვები“ — ლექსი საზარელ ტრაგედიაზე, რომელიც არასოდეს დაგვიინცევდება.

კიდევ ერთი თავისებურება შევნიშნე ამ ლექსებში. ეს არის კომიტიციურად, აზრობრივად და ემოციურად სრულიად თანაბარი ნაწარმოები. ლექსში ვერ გამოყოფ ცალენი სტრიქონები უძღვის. როგორ ასტრინად, ლამის კინემატოგრაფულად გამოხატავს სატკივარის მისამართი. ეს ხომ სურათია, მხატვარის მისამართია, მხატვარული ტილოა, რომელიც არასოდეს დაგვიინცევდება.

თენაზ საპირობილი

როსტომ ჩხეიძე

აღსარეპარატურულისა

VII.
თვალშევლებით
მცირების ლაპორატორიაზი

ხან ვინ გააგონებდა და ხან ვინ — „სამოსელი პირველი“ სამხრეთმარიკული პროზისაგანაა ძალიან დავალებული. არა ცხრებოდა ჩურჩულ-ტუტუნი, ქილიკის ხმებიც გამოერეოდა. უპირველესად გაბრიელ გარსია მარკეს ახსენებდნენ, თუმც არც მარიო ვარგას ლიოსასა და ხულიო კორფასარს გამოტოვებდნენ.

საბაბად „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და ეხვიათ ხელზე, მთავარი გმირის გატაცება სამხრეთა-მერიკული პროზით, სულ ეს მწერლები და მათი პერსონაჟები რომ აკერია პირზე და გარშემოც ისეთი მონდომებით დაეძებს მათ უნებურ პროტოპებს, კიდეც პოლუობს.

მოლური გამხდარიყო საბჭოთა კავშირში ეს თხზულებანი და ქართულ სნობურ წრეებსაც ისე მოედებოდა, თითქოს სხვა მწერლა — ამ რამდენიმე სამხრეთამერიკელის გარდა — არც არასოდეს ყოფილა, მათ შორის თვითი ის უილიმ ფოლკერიც, რომელსაც ლიტერატურულ სკოლასაც წარმოადგენდა სამხრეთამერიკული ბელეტრისტიკა, განსაკუთრებით კი მაინც მარკესის მოთხოვებები და, განსაკუთრებით, „ასწლიანი სიმარტოვე“ (სხვათა შორის, „საქმის“ მთავარი გმირისთვისაც ერთ-ერთი უსაყვარლესი რომანი).

არაერთ საერთოს პოლულიბდნენ თუ პირნას იჩემებდნენ „სამოსელ პირველსა“ და ამ ნაწარმოებებს შორის. და თუმც ამ მოსაზრებებსა თუ მსჯელობას კრიტიკულ სტატიაში არსად უჩინია თავი, გურამ დოჩანაშვილი გაბეზრდებოდა და შემფოთდებოდა კიდეც ამგვარი აუკიოტაშით იმ რომანის გარშემო, რომლის უკანასკნელი ნანილიც ის-ისაა დაბეჭდილიყო უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე და ჯერ წიგნადაც არ გამოვეყნებულიყო; და დაისაჭიროებდა დიალოგის შედგენასა და მეითხველის ნინაშე გამოტანას „ლიტერატურული საქართველოს“ 1979 წლის 25 მაისის ნომერში.

შთამაგონებელი მოტივი სწორედ ესაა იმ დიალოგისა — უურნალისტ რუსუდან თვარაძესთან, თუმც სხვადასხვა თემებსაც გადაწვდება. ეს აწუხებს, ეს ამოჭრია გულში და თანაცი ისე გალიზიანებულა, ხსნებითაც არ ახსენებს არც მარკესაა და არც ლიოსას, ერთადერთს კორტასარს დაასახელებს, ვის გავლენასაც შედარებით ნაკლებ უკისუნებდნენ, თანაც დაასახელებს როგორც უურნუნ შემოქმედის ნომერს.

ზოგადად მინიშნებდა ინტერვიუერი ამ მწერლებს („მკიოთხველთა ერთი ნაწილის აზრით, თქვენს რომანს უცხოურ მწერლობასთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ქართულთან. ამასთან ფიქრობენ, რომ ეს შეხედულება მხოლოდ გმირთა სახელებიდან როდი გამომდინარეობს“) და ესეც ზოგადად მისდგებოდა და რას მისდგებოდა „მკიოთხველთა იმ ნაწილსაც“ და სამხრეთამერიკელთა ამ ჯვეფსაც, მოჰყვებოდა მტკიცებას, ქართული ლიტერატურიდან მოვდივარო, და

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №19, 20, 21

იაკობ ხუცესამდე გასდებდა ხიდს, თავს კი იმით დაიზღვევდა, რომ თავისებურ ქრონოლოგიასაც მოიშველიებდა: ეს მწერლები 1969 წლის შემდეგ გამოჩნდნენ, მე კი იმსანად „ლამაზ ქალაქის“ ნახევრამდე ვიყავი მისული (აგრეთვე უკვე დაბეჭდილი იყო ჩემი მოთხოვობა „მხიარული ბორცვი“) და ამ რომანის შესაფერისი წერის მანერა ამორჩეული მქონდა.

და აქედან გადაწვდება მათი შემოქმედების ერთ დიდ ხარვეზს — ურნუნბობით შობილს, თორემ გული როგორ მოუთმენდა, ნამიერად მაინც არ გაემჟღავნებინა ვასიკო კეუერაძისებური აღტაცებაც: ისინი აღგვაფრთვოვანებენ ჭეშმარიტი, საოცრად ამაღლებული ოსტატობითა (განსაკუთრებით პასაჟის) და გაუნელებელი ინტერესით ნასაკითხავ ამბავთა სიუხვით.

იმას სულ ამ მწერლებისა და მათ პერსონაჟთა სახელები ეკერა პირზე, გარშემომყოფთა გარეგნობასა თუ ქცევაში იმათ გმირთა მსგავსებას ეგიძებდა მოუწყინრად და ამ ძებნა-ძებნაში აკა ადასტურებდა კიდეც; და დაუფარავად ეხარბებოდა ყველასი, რომელთაც ამ მწერალთა მოთხოვებისა და რომანების პირველად წაკითხვის ბედნიერება ჯერაც წინ ჰქონდათ!..

სიამოვნება კი არა, სწორედაც ბედნიერება!..

და ახლა უთუოდ ნანობდა გურამ დოჩანაშვილი თავისი პერსონაჟის ამ გატაცებას: სამხრეთამერიკელთა აპოლოგია, მათი თხზულებების პოლულარიზაციის კეთილშობილური მცდელობა ასე როგორ შემოატრიალეს ჩემს წინააღმდეგ ჩემმა მოქიშპე ადამიანებმაო.

შემოეტრიალებინათ კი...

არც ეს აუიოტაში მომზდარიყო თავისით და სპონტანურად.

პარალელური თხრობა და ამბავთა ერთბაშად გაპოპულარებულ სამხრეთამერიკელებს, „სამოსელი პირველის“ ასეთივე სტილური მანერა ვითომ რატომ უნდა დაკავშირებოდა მაინცდამაინც მათ ზეგავლენას, როდესაც ისინც ამ მხრივ ჯეიმზ ჯონისისა და უილიამ ფოლკნერისაგან დავალებულიყვნენ, და რატომ არ შეიძლებოდა, რომ გურამ დოჩანაშვილი შეგირდებისაგან კი არ შთაგონებულიყო, არამედ მათივე მასწავლებლებისაგან — ასლი რად უნდოდა, როდესაც დედანი მასაც წინ ედო?!

ეს ის არგუმენტი გახლდათ მის ხელში, დარწმუნებული იყო, ბოლოს მოვალებ ამ მოარულ ხმებს და ერთხელ და სამუდამოდ დავუკარგავ ხალისს მათ გამავრცელებლებს.

თუმც ველარ განჭვრიტა, რომ არ ღირდა ზეპირად მოარული ხმების აყოლა და დაუკიცი მტკიცება: „სამოსელი პირველი“ თვითმყოფადი ნიმუშა და ტყუილურ ბრალოდ ექცებთ მის სათავეს სამხრეთამერიკულ ზროზაში.

აი, შემოქმედებითა ლაბორატორიის ზოგიერთი გარემოებისა თუ დეტალის გამომზეურება დიდად საგულისხმო გახლდათ და უფრო მეტი მასალა რომ შეეთავაზებინა მეთხველისთვის ამ მხრივ, დიალიგი გაცილებით უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდებოდა მკიოთხველისათვის, თორემ მისი ერთი ნაწილის დაპირისპირება მეორე ნაწილთან ვერ იყო მაინცდამაინც მარჯვე ჩანაფიქრი, სარგებლი რომ მოეტანა.

ნუთაბი და ცლეპი

თვითონაც ნანობდა მოგვიანებით: გრძნობებს დაუფიქრებლად ავყევიო.

ამ რანგის რომანს უფრო მოზომილი და ღრმა განსჯა შეჰქეროდა, უფრო გააზრებული გზამკვლევის შექმნა, ვიდრე მკითხველთა ერთ ნაწილთან პაექრობაა.

შემოქმედებით ლაბორატორიის ზოგიერთი გარემოებისა თუ დეტალის გამომზეურება...

„სამოსელი პირველი“ თურმე დროდადრო ინერებოდა, ნაფლეთ-ნაფლეთ — პირველი გვერდებიდან ალექსანდროს ლექციაზე გადასულიყო, მერე ანა-მარიას გამოჩენაზე, მერე ისევ უკან დაბრუნებოდა გვეგვე... წერდა უთავბოლოდ, აუარება ხალხი ხვდებოდა, თანაც — წყვდიადში, ჯერ არ იცნობდა, ძლიერი იმუშავდებით ამონუტდებოდნენ და ეს კი მთელი თავისი შესაძლებლობებით ებდაუჭებოდა... პირველ ორ ნაწილზე მუშაობა ხანდახან, როცა თავისითვის სულსწრაფობა შეუტყია, თვეობით გადაუდევს და მოთხრობებს ჩაჯდომია.

ირწმუნებოდა: მთელი ჩემი მცირე (მორიდებულობა მეტის თქმას არ ანებებდა!) შემოქმედება ერთ მთლიანობად მიმართია, რადგან მოთხრობებზე მუშაობისასაც არ მასვენებდა რომანზე ფიქრი, ჩემი მოთხრობებით იმ ნაპარალების შესავებად ვემზადებოდი, რომანში წამდაუწუმ რომ ჩნდებოდა ხოლმეო.

სამხრეთამერიკულ მწერალთა კბილის მოსაქრელად კი მსჯელობაში შემოიტანდა „ვოკრუჟ სვეტა“ -ს 1969 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ ვ. სობოლევის სტატიასაც კანუდოსზე — ქალაქზე, რომელიც ნამდვილად არსებობდა.

— ეს ოთხგვერდანი წერილი, სიმცირის მიუხედავად, ძალიან დამტებმარ, რადგან სწორედ იმსანად მჭრდებოდა ნანარმოებისათვის ის ხერხემალი, რალაც რეალურ მონაცემებზე რომ იქნებოდა დაყრდნობილი. განსაკუთრებით გამომადგავა ვაკეიროთა ცხოვრების მოკლე აღწერა (აქ გვხვდება სახელი ზე, ოლონდ სხვა გვარი აქვს...); ჰყავდათ თავიათი კონსელური (გაკვრით, ყოველგვარი დახასიათების გარეშე არიან მოხსენიებული მარშალი ბეტანკური და პოლეოვნიკი სეზარ, წამით ჩანს ცალფეხა ჭინკა სასი და ეკლოვანი ბუჩქნარი კატინგა, ოღონდ ის დანიშნულება, მე რომ შევუფარდე, რა თქმა უნდა, არა აქვს).

განაცხადებდა იმასაც, რომ მუშაობის დაწყებისას თუ როგორ მოხვედრია გულზე ერთი მწერლის (ასე ვინაობის დაუსახელებლად ურჩევნია მინიშნება) ნათქვამი: ქართული გრძელ წინადადებებს ვერ იტანსო. და ამ მოსაზრებას არამცულ თეორიულად უარყოფდა, თავისი რომანის სტილისტიკითაც დაუსირისპირდებოდა, რათა ხელშესახებად დაედასტურებინა, თუ როგორ არ უშლის ქართული წინადადების სიგრძე მის ტევადობასა და დახვეწილობას.

— ახლა კი დროა გამოტყედე, — ჩაურთავს მსჯელობისას და კიდეც გაფაციცდება მკითხველი, რალაც აღარების მოწმენი შევექნებით, თავის უშუალო წინამორბედს გაამუღავრებს (აბა, მთელი ქართული მწერლობა რომ მოხსენა წინამორბედად და ხალხური პოეზიაც ზედ დაასართო, მკითხველს ეს და ამგვარი პასუხები რას დაამატაყოფილებდა).

და გურამ დოჩანაშვილიც მომხიბლავი მიმიტობით ამოთქვამდა:

— რომანზე მუშაობისას, ამბებისა და წინადადების აგებისას, ყველა მწერალზე მეტად რამდენიმე კომპოზიტორი, განსაკუთრებით კი ბახი, წამდაუწუმ მასენდებოდა, და პირველი ორი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ ძალიან გამახარა მაკა ჯოხაძის წერილმა, რომელშიაც ავტორმა ჩემი წერის მანერას პოლიფონიური სტილით თხრობა უწოდა.

* * *

სწორედ ეს სიტყვა „პოლიფონიურობა“ აღმოჩენილიყო იმ ესეის — „გზა მშვიდობისა, დომენიკო!“ — შექმნის უშუალო საბაბი.

მაკა ჯოხაძე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში იმყოფებოდა, ახალი მოთხრობა მიეტანა, და რედაქტორთან საუბრისას ახსენებდა „სამოსელ პირველს“ და თავის აღტაცებასა და ზოგიერთ შთაბეჭდილებასაც გაუზიარებდა.

მსჯელობისას ამასაც ჩაურთავდა თუ არა: ლამაზ-ქალაქის მკვიდრნი თითქმის ყოველთვის და ყველგან ერთად არიან, და ამას ხელს უწყობს თხრობის მანერაც, პოლიფონიურს რომ მაგონებს — ერთდროულად, პარალელური მონაცელებით ვეცნობით ორ, სამ, ოთხ, ზოგჯერ უფრო მეტ სიტუაციასაც, არსად, არცერთ თავში არ იწყება და არ მთავრდება ამბავი ერთი პერსონაჟისა, ისინი ყოველთვის ერთმანეთში გადადიან, ქალაქს თითქოს არ სცალია მხოლოდ ერთი კაცისათვის. ძალან ძლიერი უნდა იყო, მარტობას რომ გაუძლო, ამ მარტობას არიდებენ თავს ლამაზ-ქალაქელებიც და ერთადაც თითქოს იმზომ არიან, რომ როგორმე დროზე დაღამდესო, — ვატანგ ჭელიძე მაშინვე ეტყოდა (ნამდვილი რედაქტორი ამისთანა შემთხვევას ხელიდან ან კი როგორ გაუშვებს!):

— რასაც მელაპარაკები, დამიწერე, ახლა ისეთი კარგი რაღაც მითხარი, წერილის ძარღვია და ნუღა გადადებ, თორებ მერე შეიძლება შთაბეჭდილება გაგინელდეს.

ის ცოტა შეყომანდება, ჯერ არც იცის, რომ ესეისტიკა მისი შემოქმედების მძლავრ ნაკადა უნდა გამოიკვეთოს:

— მოვსინჯავ... ოლონდ რა გამომივა...

— მოსინჯავ კი არა, აუცილებლად მომიტან. აი, ვინიშნავ, რომ უახლოეს ნომერში შენი წერილი დაიბეჭდება გურამ დოჩანაშვილზე.

არა, ვახტანგ ჭელიძეს ვერ გააწილებ!

და მართლაც სამწერლო გაზეთის უახლოეს ნომერში პირველად შეფასდებოდა „სამოსელის პირველის“ სტილური თავისებურება, მისი ის მუსიკალური საწყისი, რაც გურამ დოჩანაშვილს თან ეამაყებოდა და თან კიდეც შეაფიქრიანებდა ხოლმე — ნეტა თუ მართლა შევძლებ თხრობის იმ პოლიფონიურობით გაშლას, სიტყვისა და მუსიკის გადაკვეთის ზღვარზე რომ ილანდება და ასეთი მოუხელოებელიაო...

მოუხელოებელი — გაზავებული ნაღვლიან საიდუმლოში... აბა, სტილური გარღვევა ნაღვლიანი საიდუმლოს გარეშე?!

* * *

დასავლეთში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მხატვრულ ქმნილებათა პოლიფონიურობაზე მსჯელობა და საგანგებო ნაშრომებიც იქმნებოდა ამა თუ იმ მწერლის სტილური მანერის მუსიკალურ საწყისებზე. განსაკუთრებით მანინც თომას მანი გატაცებულიყო ამგვარი ძიებებით — როგორც ბელეტრისტი და როგორც ესეისტი, და მუსიკალურ თხზულებებს მარტოდენ ზოგადესთეტიკური თვალსაზრისით ანდა უბრალოდ ტებობისათვის კი არ უგდებდა ყურს, არამედ ჩასაფრებული მონადირესავით გაფაცებულიყო: ჩემს სასარგებლოდ რა გამოვიყნო, რომელ

თუთაში და ლეგი

ბგერებსა თუ მელოდიურ მონახაზს მოვუნახო ლიტერატურული შესატყვისი ანდა რა სტილურ მოდულაციებს მივ-მართო ამათ კვალიბაზე.

დასავლური პროზის ეს შინაგანი სწრაფვა მუსიკალურობისაკენ ნიშანდობლივი აღმოჩნდებოდა ჯერ კიდევ ვა-სილ ბარნოვისათვისაც, ვინც ქართულ საგალობლებს ჩაუ-ფენდა თავის წერის მანერას და ასე გამოძერნავდა იმ ორი-გინალურ სტილს — თავისი მკვეთრი რიტმიკითა და შინა-განი მელოდიურობით — რომელიც მთელს სკოლას გაა-ჩენდა ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში, გრიგოლ რობა-ქიქი, კონსტანტინე გამასახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, ლევან გოთუა თუ ოთარ ჩხეიძე ერთი მხრივ ამ აღმოჩნდას რომ დაენაფებოდნენ და თავთავისებურად გაიაზრებდნენ ორიგინალური ხელნერის შესამუშავებლად, მეორე მხრივ კი გაითვალისწინებდნენ დასავლურ სამწროლო პროცესებ-საც, მეორე საუკუნის ევროპულ-ამერიკული პროზის მისწ-რაფებას პოლიფონიურობისაკენ და ასე გამოძერნებოდა თვითეულის მხატვრული სამყარო, რომელთაგან გურამ დორჩანამგოლისათვის ყველაზე მახლობელი ოთარ ჩხეიძის სტილური მანერა აღმოჩნდებოდა — ჯერ მარტო იმიტო-მაც, რომ არც ვასილ ბარნოვს და არც მისა სკოლის სხვა ბელეტრისტებს იუმორი საერთოდ არ გააჩნდათ (მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძესთან გაერთობა ერთი-ორგან), გურამ დორჩანამგოლი კი იუმორად დუღდა და გადმოდუღდა მხატ-ვრულ ძიებებიც და ყოფით რეალობაშიც (რაც ასე პარმო-ნიულად ყოველთვის ვერ ხერხდება) და ოთარ ჩხეიძესთან ამ მხრივაც იპოვნიდა იმ საერთოს, ნინადადებათა ვრცელი პერიოდებისა არ იყოს, „ბორიაყის“ შემოქმედიც მტკიცედ რომ დაუპირისპირდა ქართული ნინადადების ამ ვითომდა შეზღუდულობის თეორიას: სიგრძეს ვერ იტანს, რადგანაც ასეთ დროს გამოშასხველობასა და ექსპრესიას კარგავსო.

აბა, თუ ვერ იტანდა — მაშ თუნდ „სამოსელი პირველის“ გრძელ-გრძელი ნინადადებები რას ნიშანვდა, ვრცელ პერი-ოდებად გადაჭიმული და ცხოველმყოფელობითა და ექსპ-რესით აღბეჭდილი, დიდებულ თხრობაში რომ გითრევდა და აღტაცებას გვერიდა ფანტასტიკურის, სათავეადასავ-ლოს, გროტესკულის, ტრაგიკულის, იუმორისტულისა თუ დრამატულის იმ უცნაური ნაზავით, პარმონიულად რომ გა-დადიოდა ერთიმეორები, მათი სინთეზი კი იძენდა ქართულ რომანისტიკაში ერთ-ერთი ჩრეული ქმნილების სახეს... და ავტორი ღრმად, გულისგულში „ვეფეხისტყაოსანსაც“ გახე-დავდა, ვითომდა მარტოდენ იმ აზრით: ამ რომანის ონომას-ტიკად და ტოპონიმიკად უცხოურ გარემოს შერჩევა შენ შთამაგონე და არა სამხრეთ ამერიკელმა მწერლებმა...

დიალოგისას შოთა რუსთველსაც ახსენებს, ოლონდ რა-ლაც განსაკუთრებულად სულაც არა, ჩამონათვალში გაუ-რევს, თითქოსდა „ვეფეხისტყაოსნის“, „დავითიანისა“ და „ბედი ქართლისას“ შემოქმედთ თანაბარი ზეგავლენა მო-ეხდიოთ „სამოსელი პირველის“ შექმნაზე.

და დაკვირვებული მკითხველი თავისით მიხვედრილ-ი რომანის „გაუცხოების“ შთამაგონებელ საწყისს.

...არა, „მხიარული ბორცვი“ რა მარჯვედ მოიშველია, როგორც კი დაისაჭიროვა, თორემ ამავე დიალოგისას თა-ვის მოთხოვდებს რომ ჩამოთვლის „მკითხველთა იმ ერთი ნაწილის“ დასამუნათებლად: გადაიკითხონ და დარწმუნდნენ, რომ მათ სხვა მოთხოვდებზე მეტად აქვთ საერთო ამ რომანთანო, — „მხიარული ბორცვი“ აღარ გაახსენდება.

სამაგიეროდ, არ გამორჩება: „აჩხოტელების ბატონი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“ და „საქმე“, — რომელთაგან პირველი ორის რაღაც გამორჩეუ-ლი დაკავშირება „სამოსელ პირველთაა“ ცოტა არ იყოს ხე-ლოვნური ჩანს და მათ ნაცვლად მაჰმუდ აალის სახება რომ შემოგვანათებდეს, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა.

უილიამ ფოლკნერს ყოველთვის განსაკუთრებული პატი-ვისცემით რომ იხსენიებდა, ამჯერად ამიტომაც მოერიდე-ბოდა მის დასახელებას, რავდა სადაცოც გასჩენდა მის შე-ხედულებებთან, და ზოგად მინიშნებას ამჯობინებდა: ძალი-ან მცდრალ მიმართა ის აზრი, თითქოს პატარა მოთხოვობაში შემავალი ფრაზები მწერლისაგან ყველაზე დიდ ოსტატობა-სა და დახვენას მოითხოვდეს — რომანის ტვირთი გაცილე-ბით მძმიერა, მრავალნახანგა და ძნელად მოსავლელიო.

თუ არადა, აგრ მისი პირადი გამოცდილება: „სამოსელ პირველში“ არ იყო გვერდი, ხუთჯერ მაინც რომ არ გადა-წერილიყოს.

თავს ამით მოიწონებდა:

— ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, მგონი, პატიოს-ნად ვიმუშავე...

უანრობრივად როგორ განსაზღვრავდა ამ თხზულებას, ფანტასტიკურ რომანად ხომ არ მიიჩნევდა?

კლასიფიკაცია „რომანი“ ყველაფერს უნდა ხსნიდესო, — განუმარტავდა მკითხველს, — სხვადასხვა „იზმ“-თა არსზე საკმაოდ ბუნდფანი ნარმოდიდებენა მაქვს, ოღონდ შეგნებუ-ლად. ერთადერთი ნამდვილი, ნაღდი მიმდინარეობა, „ზმ“-ით დამთავრებული, ჩემთვის რეალიზმია, ოღონდ იმ პირო-ბით, თუ კაფკასაც აქ მოყიყოლებთო („ეს ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, თანდაყოლილ შავ უცნაურობებთან ერთად, უაღრესად გულწრფელი და პატიოსანი მწერალია“).

დიალოგისას მხოლოდ გახმეორებულია ის თვალსაზ-რისი, „საქმეში“ უკვე რომ გაცხადებულიყო:

— დიდად ეეჭვებოდათ ცალკეული ნაწარმოების რომე-ლიმე „იზმით“ შეფასება, ყველ შემთხვევაში ნაკლებ ყუ-რადღებას აქცევდნენ გამოთქმებს „რომანტიზმი“, „რეა-ლიზმი“, „აპსტრაქციონიზმი“, „ექზისი...“ და ასე შემდეგ — მხატვრულ ნაწარმოებს ძირითადად ორი საზომით აფასე-დნენ — ეს იყო სინამდვილე და... ტყუილი. სინამდვილე მარ-თლაცდა ჭეშმარიტი, ძლევამოსილი გაგებით, და ტყუილი, ხანდახან ისე დაფარული, ისეთი დიდი ოსტატობით შენილ-ბული, ხშირად — შეუნიბავიც, უმწეო, აფართხალებული.

და როდესაც ტყუილი ხანდახან შეიძლება ყოფილიყო ისეთი მარტივი ფრაზაც, როგორიცაა: კაცმა მლაშე ჭამა, მოსწყურდა და წყალი დალია, — უერად შემოცურდებო-და ფრანც კაფკას ლანდი იმ გამჭვირვალე მინიშნებით: ხან-დახან კი ვინმე მადლიანის გონებითა და ხელით ადამიანის ხოჭოდ გადაქცევა ეჭვმიუტანელი სინამდვილე იყოო.

— სინამდვილე — ეს ყველაზე რთული, მაგრამ ერთა-დერთი გზა, მწვერვალისაკენ მიმავალი.

მიაქციეთ ყურადღება, „ეკნისტენციალიზმის“ სრულად რომ არ გამოთქვამს და ამ ტერმინის შეკვეცას ამჯობი-ნებს? ასე გამოხატავდა თავისი ათვალწუნებულ დამოკიდე-ბულებას ამ მიმდინარეობის მწერალთა გუნდისადმი. მიზე-ზიც ჰქონდა: მაგათ ღმერთი არა სწავლათ.

რასაც იმხანად წერდა ანდა ის-ისაა მოეთავებინა, ყველა-ზე უმჯობესად რომ მიაჩნდა, ამის ფსიქოლოგიურ მიზეზსაც გამშლავნებდა დიალოგში: როგორც მკითხველი, ჩემი ღრმა

რწმენით, ავტორი სხვებზე გაცილებით მეტად არაკეთილ-განწყობილი მკითხველი უნდა იყოს — ავი თვალით იქამდე უნდა უჩინეკინოს თავის ნანარმოებს, სანამ, თუ ვერ შეიძულებს, აითვალწუნოს მაინც — ეს აუცილებელია შემდეგი ნა-ნარმოების შექმნისათვის, იმ დაურკებელია სურვილისათვის, სუვთა ფურცელზე ისევე რომ დაგახარევინებს თავს.

აქაც პირდაპირ გამოთქვამდა იმ შეხედულებას, რაც რამ-დენიმე წლის წინათ „საქმეში“ ჩქარ-ჩქარასათვის მიეწრა:

— ერთი მშვენიერ ჩვევა ჰქონდა: მოთხრობას რომ და-ნერდა, იმ მოთხრობის შეძლება იცოდა — იმდენჯერ გა-დაიკითხავდა, და ისე მიზეზინად, სანამ ყელში არ ამოუვი-დოდა, მერე განზე მიაგდებდა და ახალი მოთხრობისათვის ემზადებოდა, ასე რომ, ეს გულწრფელი შეძლება დიდად შეველოდა — ყოველი ახალი მოთხრობა წინას სჯობდა.

და კიდევ — ლუკასათვის, ვინც თავის პირველ წიგნს, რომელშიც მოცლილობის უამს ირიოდ მოთხრობის წა-კითხვა თავისუფლად შეიძლებოდა, წიგნს, რომელიც:

— მას, ავტორს, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ იმ პირ-ველი სიყვარულით ეყვარებოდა, მაგრამ მისთვის, ავტორი-სათვის, უცნაურად გაუსურულდებოდა — ასეთი იყო წესი.

ეს უმუალოდ მისი წესია — გურამ დოჩანაშვილის, და წესს იმიტომ არქმევს, ახალგაზრდებს მიანიშნებს: ამ გზით სვლა გერჩიოთ, პირველმა თუ შემდგომმა წარმატებებმა თავბრუ რომ არ დაგახვიოთ და იქვე არ ჩარჩეთ, სადაც წარმატება მოგენერინდათ.

ახლა, როცა რომანზე მუშაობა დასრულეთ, გაქვთ თუ არა რამე ახალი ჩანაფიქრიო? — ეკითხებოდა უურნალისტი და გურამ დოჩანაშვილი პასუხობდა, რომ პროზას ცოტა ხნით უნდა ჩამოშორებოდა, რადგანაც პროზა არ იყოს გა-დაღალა და ვერ გრძნობდა მზადყოფნას, რათა შედგომოდა თავისი დიდი ხნის ოცნებას — მოთხრობას შაპ-აბასზე.

წეტა რატომ აკვიატებოდა ეს ოცნება, რა ჩაეფიქრები-ნა, როგორ განეზრახა?

ოცნება ოცნებად დარჩებოდა მწერლისათვის, გამოცა-ნა გამოცანად მკითხველისათვის.

დრო კი... გადიოდა!..

VIII. მუსიკა — პროზის იდუმალი რიტო

იმ ლიტერატურული დიალოგისას პროზის უფსკერო წიაღსაც ახსენებს.

ვერაფრისდიდებით ვერ ეგუებოდა გამოთქმის „პრო-ზაული“ იმ მნიშვნელობით გამოყენებას, როგორც დამკ-ვიდრებულიყო.

პროზას მისთვის მარტოდენ მკაცრი, ბრძნული კანონე-ბი კი არ ჰქონდა, არამედ თითქოს მინიერი, და მაინც უხი-ლავი რითმებითა და რიტმებით აღვსილიყო, და ისე შეიყვა-რებდა ამ უანრს, რომ ეჩვენებოდა, პროზა უფრო მეტს ჰქარგავს თარგმნისას, ვიდრე ლექსიო.

ამ შეხედულებასა თუ განცდას ლუკას მიანერს, მაგრამ მისია, უმუალოდ მისი, პერსონაზზე პირდაპირ გადატანილი, რათა მიგახვედროს, რომ გმირის ნაწერებიც სწორედ იმ უხილავი რიტმით (და თურმე რითმებითაც!) განიმაჭვალებოდა, რაც ასე შესაგრძნობი გახლდათ თვითონ გურამ დო-ჩანაშვილის თხზულებებში; და არამარტო უხილავი რიტმი

(რითმა და უხილავად დარჩენილყო!), მკვეთრი რიტმიკაც მისი სტილური მანერის ერთი ყველაზე არსებითი ნიშანი შე-იქნებოდა და შინაგანი მუსიკითაც ისე გაიჭირთებოდა, თითქოს ანა-მარია უკრავდა თავის ჯადოსნურ ჰანგებს.

მუსიკას საგანგებოდ უკვირდებოდა ამ მხრივ — რისი სესხება შეიძლებოდა აქედან, რისი შენაცვლება სიტყვიერი ხელვნებით, და არამარტო ზოგიერთი გარეგნული ნიშნი-სა, არამედ შეფარული მელოდიის, რის გადმოტანასაც გან-საუთრებული ნიჭი ესაჭიროებოდა და იდუმალად ჩაფენა თხრობის დინამიკაში — მის გასაძლიერებლად და რაღაც იღუმალზე ამ მხრივაც მისანიშნებლად.

აკი თომას მანი ანიჭებდა მუსიკის გამოყენებას გამორ-ჩეულ მნიშვნელობას პროზაიკოსისათვის სტილური ექსპ-რესის მისაღწევად, ოლონდ ეგაა, მისი შეხედულების გა-ზიარება არაფერს წიშნას, თუ ენის იდუმალების განცდა არ გაგარინია და მელოდიის ბუნებას ისე ღრმად ვერ წვდები, რომ ისინი ერთმანეთს ჰარმონიულად შეუზავო — მშობ-ლიური ენის მუსიკა და მუსიკის ენა ერთ განუყოფლობად შეიგრძნო და მხატვრული მანერა ამ ჰარმონიით ააგსო.

გურამ დოჩანაშვილს მხოლოდ გაახარებდა საკუთარი მიხვედრის დადასტურება თვით თომას მანის მიერ, და უფ-რო თავდაჯერებით მიაყურადებდა ენის მუსიკასაც და მე-ლოდიათი მი ათასფერად სამყაროსაც, რომელთან ზიარება-საც ვიოლონჩო უავილებდა — საგულისხმოა, რომ ლიტერა-ტურულ ასპარეზზე „ცისკრის“ ფურცლებიდან სწორედ ვი-ოლინოზე დამკვრელი ყმანვილის ამბით შემოაბიჯებდა, ავ-ტობიოგრაფიული შტრიხებით რომ შემკობდა. თუმც მის პირველ ბელეტრისტულ ცდებს მწერლური ტალანტი მაინ-ცდამანიც არ ეტყობოდა და, არ გამიკვირდება, თუკი შე-ვიტყოს, რომელიმე მის კეთილისმყოფელს კადეც რომ ეთქ-ვა: გურამ, შეილო, იქნებ ხელი დროულად აიღო ამაო გარვა-ზე და შენთვის უფრო შესაფერის საქმეს მოეკიდოო.

მისი დებიუტი არ გამოიწვევდა ისეთ შეგულიანების სურვილს, რაც უთუოდ მოჰყვებოდა — და მოჰყვა კიდეც — გურამ რჩეულიშვილის, თამაზ ნატროშვილის, მერაბ ელიოზიშვილისა თუ სხვათა გამორჩენას იმავე „ცისკრის“ იმავე „ჭაშნიკის“ რებრივით.

თურმე როგორ შეიძლება დატრიალდეს წუთისოფელი!..

გურამს კი თავისი მევიოლინური წარსული ამჯერად „მიხეილი და ალექსანდრეს“ სიუჟეტურ ქარგაში გადაპ-ქინდა, ალექსანდრეს ამ ინსტრუმენტს რომ შეურჩევდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიურ ორ-კესტრიშიც განამეტებდა, ორკესტრში, რომლის დასახასი-ათებლადაც ამ მახვილობინივრულ ფრაზას იქმარებდა: ასე-თი განსხვავებული ხალხი სტადიონზე თუ შეიკრიბებაო.

„იოპან სებასტიან ბაზი“ თითქოს ურიგო ნოველა არ გა-მოუვიდოდა, მაგრამ თვითონ გულს ეთანაღრებოდა: ხე-ლოვნურია, რაღაც აშკარად აკლია.

არ ვეთანხმებოდა: ძალიან ცოცხლადა დანერილება და რინგის მოულოდნებია და მოკვეთილი, კლასიკური ნოვე-ლის შესაფერისი-მეთქი.

ეგ კი, ეგ კიო, — თავს მიეწვევდა, — მართლაც ხალისინი საეთხავი უნდა იყოს, ფინალიც ნოველურია, მაგრამ რად გინდა, ხელიონურია, რაღაც დაგადინიერი.

მუსიკის წინამე ვალში გრძნობდა თავს და სულს მოათ-ქმევებდა ჯერ ანა-მარიას სახის შექმნა „სამოსელ პირ-ველში“, თვით მუსიკად რომ გაასიმბოლოვებდა, მერე კი

„ვატერ(პო)ლომ ანუ ალდგენითი სამუშაოები“, მთავარ გმირად მუსიკოსს რომ შეარჩევდა და სამყაროს იდუმალ, ჯადოსნურ ხმათა შესაცნობად ფლეიტას უბრძებდა, „მთვარის სალუქი, ვერცხლად თხიერი სული“ რომ ედგა, თვითონ მოთხოვობას კი მუსიკისადმი აღვლენილ საგალობლად გადააქცევდა და ჰორი, რა ზეაღმტაცი განცდით, რა სასოებით ჩამოთვლიდა ფანალში „პარტ-დიად-მპყრობელთ“, „დიდბატონებს“, მისთვის ხან ჩუმჩუმად, ხანაც ძლიერ ხმამაღლა სათაყვანებელთ, რაკიდა ასე თვალნათლივ არსებდნენ თვით მეუფეს — სრულიად ჰაერს.

ჯერ თითქოს მხოლოდ გვარებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ გულს დააკლდებოდა და იქვე შესთხოვდა მყითხველს, ერთხელ კიდევ გამამეორებინეთო — ამჯერად სრულად: იოპან სებასტიიან ბახიო, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტიო, გეორგ ფორდოის ჰენდელიო, ანტონიო ვივალდიო, ჯოაკინო რიტინიო, ჯუზეპე ვერდიო.

არ მოინდომებდა, მაინცდა-მაინც ხუთეულში ჩაეჭედა ეს სახელები და ბეკარი შერჩევი-სას რომელიმეს შელეოდა. ექვს კომპოზიტორს ალეტაცა და ბარემ ჩამონათვალშიც ექვსეული ყოფილყო, მისი ყოფითი და შემოქმედებითი ბიოგრაფიის განუყრელი თანამგზავრები.

ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ბესამე კარის კვალზე თუ მოუწევდა სიარული, ამას ნამდვილად ვერა — კამორას შემოზღუდული სივრციდან ჩიტს ვერ გაეძნია და ხელისუფლებისათვის არცთუ სასურველი მწერალი ესპანეთში როგორ მოხვდებოდა...

მაგრამ ჩამოიქცეოდა კამორას ზლუდეები, საქართველო იმპერიის განაპირა პროვინციობიდან სახელმწიფოებრიობას დაუბრუნდებოდა მისი სიყრმის მეგობრის, ან შორეულ ნაცნობად გადაქცეული ზვიად გამასახურდიას წინამდობლით, და თუმც იმხანად გურამ დოჩანაშვილს საპრეზიდენტო გარემოს ვერც მიაკარებდი, საზღვარს-მილმა სამყარო უკვე აღარ იქნებოდა რაღაც საოცნებო, და ქართველობა მიმისახილვად თუ დიდხანს დასრჩენად რომ დაადგებოდა შორეულ გზებს, გურამ დოჩანაშვილსაც ებოძებოდა წყალობა — ესპანეთში გამგზავრება (მოგვიანებით — იტალიაშიც). და იქ შემთხვევით რომ აღმოჩნდებოდა მუსიკოსბათან და ერთს ვიოლინოსაც დაუნახავდა, ისეთ გაოცებულ სახეს მიიღებდა და ისე ჩაეკითხებოდა: ეს რა არსო? — იმასაც და სხვათაც ეგონებოდათ, ცხოვრებაში პირველად ნახა ვიოლინო, — და მონდომებით დაუწყებდნენ ახსნას მისი დანიშნულებისას.

ეს ისე გაოცებული გამომეტყველებით უსმენს და, როდესაც ითხოვს, ეგებ ხელში დამაჭრიონთო, მევიოლინეს ფერი გადაუვიდოდა და განაფიქრი შებლზე აღებეჭდებოდა:

ნამდვილად (აბა, ესპანელი „ნალდადო“ ხომ არ გაივლებდა, ასეთი თბილისური გამოთქმა საიდან ეცოდინებოდა!) გატეხავს!.. — მაგრამ სტუმარს უარს როგორ ჰკადრებდა.

ჰაიი, თაღლითი — თავიდან ისე ატრიალებდა ხელში ვიოლინოს, თითქოს ვერაფრისდიდებით ვერ გაეგო, ამ უცნაურ საგანს მუსიკალური მელოდია როგორ უნდა აეუდრებინა, მერე მიიღებდა ყელზე, ხემს გაუსვამდა სიმებს და...

— ასე არასოდეს დამიკრავს, რაღაც უჩვეულო შთაგონება მეწვია და სახტად დაგტოვე ის შევიოლიზეცა და ყველა, ვინც გარშემო შემომეჯვარა!..

ანრუშმანუნებდა, ჰა, თავისივე ერთი პერსონაჟისა არ იყოს, სხვა რა შეიძლება მომხდარიყო — სახტად დარჩენა კი იმისა იქნებოდა, თავიდან ყველას ასე რომ მოაჩვენა, პირველად ვხედავო.

სამშობლოში რომ დაბრუნდებოდა, მხოლოდ მაშინ დაიჯერებდა, ესპანეთი რომ მოხსილა უკვე, თორემ მანამდე სულ შიშში იყო, ვაითუ გამგზავრება დაბრკოლდესო. წამდაუწუმ იმეორებდა და გააბებრებდა მეულლებ, რომელიც მოთმინებით უხსნიდა, რომ ჩაშლით შეუძლებელია ჩაშლილიყო ეს მგზავრობა, ვითომ რუნდა მომხდარიყო ამისთანა... მაგრამ მისი მღელვარება ვერა და ვერ დაეცხორ. ის კი არა, აეროპორტს რომ უახლოვდებოდნენ, მაშინაც არ ჩამოეხსნებოდა აფუთფუთებული ეჭვი: ზედ ტრაპზე რომ მოხდეს რაღაც გაუთვალისწინებელიო?.. და თვითმფრინავის სავარძელში მოკალათებულს გული გადაელეოდა აფრენის მოლოდინში:

რაღაც ძალიან ჭიანურდება გამგზავრება და შესაძლოა გამოგვიცხადონ: უკანვე მოგიწევთ ჩასვლაო, და ახლა, მუსიკის ჰანგებში გახვეული, თან ჰაერში დალივლივებდა და თან მყარად შეიგრძნებდა ფეხებში ესპანეთის მიწას.

თან ზეცაში ფარფატი, თან მყარად მიწაზე!..

თავისი ხელიბის საიდუმლოებას რომ უტრიალებდა, სიზიფე ახსენდებოდა და სულ უფრო რნმუნდებოდა: მეც ქვის მზიდავის ბედისწერა მელოდება — ვაებით გამოჩირქინილ ვეება ლოდებთან ჭიდილი, და თუ ჯერ მცირე კენჭი აპქონდა მთაზე, შემდევ თითქმის ქვა, შემდგომ და შემდგომ, თანდათანისთ, მოზრდილი ლოდიც, და ბოლოს კი, იცოდა ესეც, რაღაც ვერაგად აუტანელ სმიმიეს, მხრებში სადგისად ჩამფლობსა და დამმინტებულსაც უნდა შეჭიდებოდა.

ვანოს („მიწა და ვანო და წიფელი, ხე“) მიაწერს ამ ფიქრებს, მაგრამ თვითონ ჩასახლებულა პერსონაჟის სულში, და საკუთარ განვლილ გზას გამოსცეკრის, როდესაც იმას აატანინებს ჯერ მხოლოდ ბორცვზე პირველ კენჭს, და ძველი წესისამებრ, მაშინვე დაბლობისაც უნდა დაგორებინებს.

სიზიფეობა მოითხოვდა თავის ამგვარ გამეტებასაც — თავიდან მცირე რამ ტანჯვის სიხარულით მიხტომას რომ



მხატვარი ვახტანგ რუსუა

ნუთები და ცლეპი

ნააგავდა კენჭის დაგორება, შემდეგ კი ჯიქურ გარდაისახებოდა სიზიფეს ლოდად, და სტილური თამაში გარეშეთავის უწყინარ გართობად თუ მოჩანდა, აბა, მწერლისათვისაც გეკითხათ, თამაშის ხსენება ამ მწარე სიტყვებსაც რომ დაცდენინებდა: მტერს და მანყვარს! — თუმც ერთბაშად ნამოაგონდებოდა ამაოებას გამოგლეჯილი მხატვრული მონაპოვარიც და სიამაყით აივსებოდა:

— მაგრამ კი, ლირდა, ძალიან ლირდა...

ძალზე რთულ ხელობად შეეგრძნო და შეეცნო პროზა, ხელოვნებათაგან ალბათ პირველადაც:

— თუმც მიწიერი, მაინც ზეგარდმოდ გახლდათ ნაერთი, თავად მუსიკის, თვით პოეზიის, ფერწერის და არქიტექტურისა...

ხელოვნების ის სახეობანიც თუ გადადიოდნენ ერთიმეორეში, პროზა ყველას ერთად შეირჩყავდა — მინასა და ზეცას შერის გამოკიდული, და ამ დითირამბისას გუსტავ ფლობერს გამოარჩევდა დიდებულ ბელეტრისტთა უსარულო მწერივიდან და მისი რომანის ხსენებით დააგვირგვინებდა ამ გზნებით გაედრონილ პასაჟეს:

— ხოლო ზეიმად მაშინ ხდებოდა, დიდ, უზარმაზარ, ფერადოვან ქანდაკებად თუ აგოროზდებოდა, როგორც „სალამპო“, მაგრამ ეს ჩვენთვის, აღფრთოვანებული მკითხველებისთვის და ასა, ერთი, ავტორისთვისაც გეკითხათ — რაისი გლეხი, რისი მუშა, ვინ კატორლეული... — ყველაფრობაზე მძიმე იყო.

ფლერი მაინც განსაკუთრებულად მიჰკვროდა გულზე და ისეთი განცდაც უჩნდებოდა, თოთქოს იმისი სული გადმოსახლებულიყო მასში. მართლმადიდებელ ქრისტიანეს სულთა გადასახლებებისა ნაკლებად სჯეროდა, მაგრამ ამ ერთ, ერთადერთ, გამონაკლის შემთხვევაში იზიარებდა ინდოელთა რწმენას. რაც ვასილ ბარნოვისათვის მხატვრულ-იდეური მრწამსია, გურამ დოჩანაშვილისათვის ყოფით განცდად და აზრად ქცეულიყო და გუსტავ ფლობერის სულიერ შთამომავლად კი არ მიიჩნევდა თავს, არამედ ქართულ სინამდვილეში ხელახლა დაბადებულ ფლობერად, და მისებური უჯიათობით ამიტომაც მისტანებოდა სტილური სრულყოფილების მიღწევას.

რაღა იმას ეთქვა და რაღა ამას:

— ო, ხელოვნება, ხელოვნება! ეს რა პოროტი ქიმერაა! და რისთვის გვიღრღნის იგი გულს?..

— პირდაპირ უგუნურება ასე ტანჯვა!

— სტილი — ეს ყველაფერია!

— ძვირი გვიჯდება სტილი, სტილი!

მაგრამ ფლობერის ერთ-ერთი მხატვრული პრინციპი ისიც რომ გახლდათ: არ შეეტანა ნანარმოების საკუთარი მე?

გურამ დოჩანაშვილის რომანსა და მოთხოვობებში ისე გადიგამოდიოდ საკუთარი მე, როგორ გინდა შელეოდ?

თუმც თავის გასამართლებლად ის აზრიც შეიძლება მოემარჯვებინა, რომ ახალ დროებაში „სალამბოს“ შემოქმედიც ვერ დაალწევდა თავს უაღრესად სუბიექტურ ნაკადს და ველარ შენარჩუნებდა იმ მხატვრულ სისტემას, ისე ჩანთქმულიყო თავის ნანარმოებში, როგორც ღმერთი ბუნებაში, ყოფილიყო უხილავი და ყოვლადებლიერი, რათა ყველგან გეგრძნო, დანახვით კი ვერსად დაგენხა... მაგრამ გურამი მის იმ ფრაზას უფრო მოეჭიდებოდა: მაღდმ ბოვარი — ეს მე ვარ, — და თავის მხრივ დაურთავდა: მაგრამ ამ გადაწყვეტილებაზე რამდენად მართალი, რამდენჯერ უფრო მეტი, აუცენებლი და ვერავლილი, ეს ჭაობისეული აღსარებათ.

ხდება, ცხადია, რომ მხატვრული პრინციპები ყოველთვის ვერ შენარჩუნდება შემოქმედებითი პროცესისას და ხან მცენეთო გადასხვაფერებასაც განიცდის, და გურამიც ამ ფრაზის იმედად ამიტომაც გახლდათ — ფლობერს თუ დაერლვა თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება, განა რა მოხდა, რომ მისი სულის ხელახალა დაბადებისას ეს პრინციპი საერთოდ აღარ დაცულიყო... და აღარ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ეს ფრაზა ფრანგ რომანისტს თვითონ არსად ჩაეწერა და მხოლოდ უურნალისტის მეოქებით შემორჩენილიყო. ეგებ სულაც იმას შეეხება? ან შესაფერისად ვერ გაეგო მწერლის ნათქვამი და თავის გუნებასად შემოეტრიალებინა? გურამ დოჩანაშვილი რას დაგიდევდათ — იმ ფრაზას ამოსნევდა, მისთვის ყველაზე სახე-ირ კომენტარს დაურთავდა და... მოისვენებდა.

შეეხებულრებოდი: წინარე ცხოვრებაში ფლობერი თუ იყავი, არ გაინტერესებს შენს მაშინდელ პირად მიმოწერას ხელახლა გადახედო-მეტქი? — და ფლობერის ქართული ხუთტომეულის მეხუთე ტომს შევთავაზებდი გასაცნობად.

ხემრიბად... სულაც არ ჩამომართომევდა. და დოდად მადლიერი დამრჩებოდა: რა კარგი პერი, რომ შემახსენე, წამდაუნუმ ხელში მიტირავს და არა მნიშვნელება მისი ფურცვლაო.

და იმ ხელს ფაქიზად გადაუსამდა ხოლმე წარმოსახევით ამიტვერისტო, ცეცხლმოუდებს, მუუჯებიანს, ანა-მარიას მოციაგე ქვას — ლოდზედაც მძიმეს... და მრავალი ქვეყნის ამ-შენებლად შეიგრძნობდა თავს, უცნაურ მეცეფ, მრავალი ყმა რომ ჰყვედა, მაგრამ მაინც ყველას მონად ქცეულიყო, და ცდილობდა ის, სწორედ ის სამოსელი რაც შეიძლება მეტი ხალხისათვის გადაეწვდინა და გადაეფარებნა, რათა უფრო მდიდარი შეემნილიყო, უფრო ტანჯული... განამებულიყო და გაეხარა... და უბედუნიერესი უბედულის სახელ მოეხვეჭა... და თუმც სიძულვილიც კარგად შეეძლო, წამითაც არ ავინცდებოდა, თუ დედამინას რა ატრიალებდა...

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი რეიტინგ-ლისტი, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

თავის რჩეულ ხუთეულს გამოარჩევდა პროზაიკოსთაგან.

უილიამ ფლობერსაც სწორედ ხუთი ბელეტრისტი გამოერჩია, ოღონდ ამერიკელ მწერალთაგან და, თანაც, უურნალისტის მიერ შეთავაზებული სია თავის ნებაზე გადაელავებინა, ეს იყო და ეს, გურამ დოჩანაშვილი კი მისთვის ხელმისაწვდომ კლასიკას მიმოავლებდა თვალს და საკუთარ რეიტინგ-ლისტს რომანში („ლოდი, ნასაყდრალი“) მიუწენდა ადგილს. სად ეცადა უურნალისტებისათვის, ვიდრე მოიფიქრებდნენ და მისთვის უსაყვარლესი პროზაიკოსების დასახელებას სთხოვდნენ.

ფლობერის კვალს ნებაყოფლობით დაადგებოდა, მითუფრო, რომ თვითონ მასაც, „აბესალომ, აბესალომის“ შემოქმედსაც მონიშვნებით მიიჩნევდა თავის რეიტინგ-ლისტში ამ ფლობერის პირისთა დაგენერიკულისთვის: პროზას შეჭიდებულთაგან ყველაზე მეტად თავის უცნებელადებული, ყველაზე მეტად მოულოდნებად დამყარებელი.

კიდევ ლევ ტოლსტიო: ვინაც სადამდე აიყვანა მოჩვენებით სიმარტივე, როგორი ურცელობა.

კიდევ გუსტავ ფლობერი: სიტყვისა და წინადადების ყველაზე მეტად მოუღლელი აშიკი, ამა საქმეში კეთილშებილი მედავი.

თუთაში და ლეგი

კიდევ მიგელ დე სერვანტეს საავედრა: რაც რამ „მხატვრული“ დაწერილა, სუყველაფერზე დიადის პატრონი.

მეხუთეს მაშინვე არ დაასახელებდა და ცოტა ანგალებდა მკითხველს, ღრმად ჩააფიქრებდა, „იმაზე ცოტათი შემდგომ“, ასე რომ გადაავადებდა მის მოხსენიებას, და კვლავ ფოლკნერს რომ დაუბრუნდებოდა — მისი ზოგიერთი რამ ვითომ გადაკითხული მქონდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავუგე, მხოლოდ ორმოცდათს გადაცილებულმა შეიცანი მისი ნამდგომა, მძლეველი ფასიო — იმ მეხუთეს კვლავ იდუმალების ბურუსში გახვევდა: კიდევ კარგი თავისი საქმის და-საწყისში არ წავიკითხე, თორებ ნაღდად გამსრუსდათ.

მხოლოდ რამდენიმე გვერდის შემდეგ უნდა გაცხადებულიყო მისი ვინაობა — თურმე... მიხაილ სალტიკიოვ-შჩედრინი, ისევე შემაცბუნებლად რომ გაისმოდა მკითხველისათვის, როგორც მე მეტოშა, პირადი საუბრისას რომ მიხსნა განსაკუთრებული მონინებით, და როდესაც გავი-ოცე, არც ჩემი წიგნიერება შეუგდია ეჭვის სასწორზე და არც თავისი შეხედულებიდან დაუხევია: შენი ხნისას არც მე მომენტონებოდა, ისევე, როგორც არც ფოლკნერით ვყოფილვარ იმჟამად მოხიბლულიო. ფოლკნერის ხსნებისას სიამე ჩამელვრებოდა გულში: მისი რომანებიც და მოთხორ-ბებიც გაუგდებლად მიჭირავს ხელში-მეთქ. და: სალტი-კოვ-შჩედრინზეც ეგ დაგემართება, ოლონდ მისა დრო რო-დესაც დაგიდგებათ. ხოლო რაკილა არც სხვათაგან ელოდა ამ მწერლით ალტაცებას მაინცდამაინც, „ლოდი, ნასაყდრა-ლის“ რამდენიმე ფურცელი ამ მწერლის დითორამბად გა-დაიქცეოდა.

იმ თხ შემოქმედზე ერთად რასაც დაწერდა, სალტი-კოვ-შჩედრინზე ბევრად მეტი სწორედ ამიტომ გაემტეტებო-და — მისი დასამკვიდრებელი ხდებოდა ჩევნს საზოგადო-ებრივ ცნობიერებაში და ცდილობდა ძალ-ღონე არ დაეზო-გა, გზაქველევად რომ მოუძლოდა. მიღწევით კი რას მიაღ-წევდა, აბა, რა მოგახსენოთ...

ეს მართლაც გამოკვეთილი რეიტინგ-ლისტია, განსხვა-ვებით „საქმეში“ ჩართული რეიტინგ-ლისტისაგან, რომე-ლიც გარეგნულად სრულიად არ მოგაგონებს რაღაც ამგ-ვარს — აი, ის პასაჟი, სამეულზე რომ მიანიშნებს საკმაოდ მკაფიოდ.

იმ სამეულიდან მხოლოდ სერვანტესს შეუნარუნებდა ადგილს ამ ახალ სიაშიც.

ტოლსტოი, ეტყობა, დოსტოევსკის ჩანაცვლებოდა.

ფოლკნერი — ჯოისს.

ფლობერის გამოჩენაც არ ყოფილა მოულოდნელი, ისე-დაც ხშირად იმეორებდა: ყველა დიდ მწერალს, რაოდენ ნა-ყოფიერადაც უნდა წარმოგვიდგებოდეს მისი შემოქმედე-ბა, მაინც ერთი რომანი აქვს გამორჩეული, ფლობერი კი ერთადერთია, ვისაც ორი ტოლფასი ძალის რომანი მოეპო-ვება — „მადამ ბოვარი“ და „სალამბოო“.

არა, ეს სალტიკიოვ-შჩედრინი საიდან შეიძლება მოხ-ვედრილყო ხუთეულში?

ამ დაეჭვების გამოთქმა, ვიცი, მოწყალედ გააღიმებს გურამს: დაგიდგება მაგისი დროც და შენით დარწმუნდები, რამხელა ხელოვანი ყოფილაო.

ასეა თუ ისე, სულიერ საერთოს რომ პპოვებს, აშკარაა, და ვისაც სურვილი გაუჩნდება ჩაუკვირდეს გურამ დოჩა-ნაშვილის მხატვრულ-სტილური აზროვნების მანერას, ჩე-მი არ იყოს, დაე გულდასმით გადაიკითხოს სალტიკიოვ-

შჩედრინის პოლიტიკური სატირის თვალსაჩინო ნიმუში „ერთი ქალაქის აბავი“, და ნარკვევების სერია გლუპოვო-სა და გლუპოვოლებზე; სხვა ქმნილებანიც, ცხადია. ოლონდ უშუალო ანალოგიებს მაინცდამაინც ნუ დაუწყებთ ძებნას — მასაც რიგიანად იცნობდეთ, პირველად წაკითხ-ვის ბედნიერება გამოგეცალოთ, ესა და ეს.

...ჩევნ ყველასა გვაქვს ჩევნ რეიტინგ-ლისტი, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

IX. გროტესკი, ენა, ძირზასი ლანდი

ის კომპოზიციური აღნაგობა, რაც ასე შთამბეჭდავად გამოიკვეთებოდა „ვატერ(პო)ლონი“ მხატვრულ სიერცე-ში, განმეორებისას აშკარად გაფერმკრთალდებოდა და „იყო ერთი კაცი“ ისედაც თავისი წინამორბედი მოთხორ-ბის ანარეკლად გამოჩნდებოდა. ანა მანიანი წარმატებით ვერ ჩაენაცვლა კარმენს და მისებური მხატვრული ძალით ამიტომაც ვერ გაიყოლია სიუჟეტი.

საკუთარი თავის განმეორებანი ემართებათ მწერლებს — უნებლიერ თუ გარკვეული განზრახვით, და ხან თუ გა-მართებიათ თავისივე ძველ ნაზრებთან დასესხება, ხანაც ამაო გარჯა გამომდგარა, ყოველ შემთხვევაში წინა-მორბედ თხზულებებთან შედარებით. და თუმც გურამ დო-ჩანაშვილი სხვა დროსაც შეგნებულად აირჩევდა ამ ხერხს, როდესაც მოთხორბა „ზღაპარი შედევრისა და იმის მასა-ლაზე ანუ ჩევნი“ ძირითადად ადრეული სიუჟეტური მონა-საზებით გადაივისებოდა, ამჯერადაც ხელიდან გაუსხლტე-ბოდა ის მთავარი ძარღვი, რაც დოჩანაშვილურ შთამბეჭ-დაობას ქმნის ხოლმე.

რაღაც ისე გამოდიოდა, თავისივე ძველი თხზულებების პოსტმოდერნისტულ გადაწყვეტილების შესდგომოდა, თუმც მაინ-ცდამაინც დამაჯერებლად ვერ ეგრძნო თავი ამ ახალ გარე-მოში, მაგრამ რა ეღონა, როდესაც კლასიკურ კომპოზიცი-ას ვეღარ ინარჩუნებდა.

ის, რაც „სამოსელ პირველში“ სწორედაც კლასიკური კომპოზიციური სტრუქტურის ლამის მათემატიკურად გა-მოზომილ მშვენიერებას გადაგვიშლიდა თვალინი, თვალ-დათვალ იფშვნებოდა და როდესაც „მიწა და ვანონ და წიფე-ლი, ხე“ ასე მოინათლებოდა: ალეგორიული ესე პროზა-ზე, — ეს სტილური არტისტიზმისათვის ნიშანდობლივი, მკითხველის გათამაშების ხერხი კი აღარ იყო, არამედ ქვეცნობიერი სურვილი, უანრობრივ აღმოჩენების შეფა-რებოდა — თითქოს მოთხორბა გახლდათ, მაგრამ უფრო მაინც ესე, თუმც მოთხორბას უფრო ჰგავდა, ოღონდ ესე-ის კანონებით უნდა განგესაჯა, რაღაც თავისებურ სინთე-ზად წარმოდგებოდა ორივე უანრისა — ორივე იყო და... არ-ცერთი არ გამოდიოდა.

* * *

მერეა კიდევ და:

გროტესკი მისი საუფლო გახლდათ, მისი დაუშრეტელი, უფსკერო წარმოსახვის უერცესი ასპარეზი, მხატვრული გამომგონებლის წყარო და შთამორბედის ამომზევები. ხელს შეახებდა ყოფით რეალობას, რაღაც ჯადოსნური ჯოხით გროტესკის საბურველში გახვევდა და ისეთ მბრძა-

ნუთაგი და ცლეპი

ნებლად იგრძნობდა თავს, როგორც მისივე პერსონაჟი ფიროსმანი, ამაყად რომ ჩაიცინებდა, თუ მის შემოქმედებით სამყაროს ვერ შეამჩნევდნენ, მის ბრნყინვალებას ვერ ირწმუნებდნენ და ეგონათ, არაფერი აბადიათ.

მბრძანებლობის სიმაღლიდან კინიდებოდა ამქვეყნიური ვნებათალელვანი, და გროტესკის საუფლოს შეფარებულს ყოფითი რეალობა მხატვრული სინამდვილის დანამატად წარმოუდგებოდა. იქნებ მთლად უმნიშვნელოდაც არა, მაგრამ მანც დანამატად, რომელსაც გარკვეულად უნდა შეეგვსო მხატვრული სამყარო, აი, პირიქით კი წარმოუდგენელი გახლდათ — მხატვრული რეალობა ყოფითი სინამდვილის დანამატად, ის კი არა, მათი თანაფარდობაც არ ეჭაშინებოდა და დიდ განსხვავებას ველარ ხედავდა, რაიმე ცხადში გაეხარდებოდა თუ ოცნებაში.

გროტესკი ენტოდა თავისი მაგიური ძალით და რეალისტური ხელოვნების ანდამატი კი ვერ იზიდავდა — არა, არ იყო ეს მისი ასპარეზი, რაკიდა ყოფითობას ის უფრო უახლოვდებოდა. თან მხატვრულ სინამდვილეს წარმოსახავდა რეალიზმიც, თან ფესვი მანც ყოფით რეალობაში ედგა, და გურამ დოჩანაშვილის გონება საკმარისი შთაგონებით ამოტომაც ვერ აევსო.

გახსოვთ?

ერთადერთი ნამდვილი, ნალდი მიმდინარეობა ჩემთვის რეალიზმაო...

თეორიული განსჯა ამ შეხედულებას კარნახბდა, მაგრამ მხატვრული მიღრეკილება სხვა მხარეს მიაქანებდა...

გადმოიხრებოდა აქტ, რეალიზმისაკან და... ერთბაშად უფერმკრთალდებოდა მხატვრული ოსტატობა. ვერა, ვერ გრძნობდა თავს ჩვეული სითამამით ამ გარემოში — ლორდ ბაირონისა არ იყოს, ვისაც ხელი გაექცეოდა თუ არა რეალიზმისაკენ, მაშინვე დაძლეულრულივით გამოეცლებოდა და პოეტურ ეპოსს აფარებდა თავს, რომანტიზმის ასპარეზზე გაშლიდა თხრობას და თავს ისე გრძნობდა, როგორც სრულუფლებიანი მბრძანებელი, ნაპოლეონსაც რომ ეცილებოდა პირველობას და ნიშნავს უგბდა — ოღონდაც თავის სამყაროში.

ნაპოლეონს გურამ დოჩანაშვილიც წამოჰკრავდა ერთი-ორჯერ ხელს („ვატერ-პოლოი ანუ ალდგენითი სამუშაოები“, „ლოდი, ნასაყდრალი“) და სწორედ იმავე რაკურ-სიდან, ხელოვნებასა და პოლიტიკურ რეალობას რომ შეპირისპირებდა და ხელოვნებაში მოპოვებულ გამარჯვებას ბევრად აღმატებულად გამოაცხადებდა პოლიტიკურ ასპარეზზე ძლევამოსილ სვლასთან შედარებით. ეს აღზევება იმ აღზევებას ბევრად ერჩივნა და ირონიით გახედავდა ყველა დროის მბრძანებელთ, რომელთაც რაც უნდა ეცადათ და თავიც გადაეცლათ, მწერლობას ვერ მომაწვდევდნენ მუშში და ვერც ვერასოდეს გადაფარავდნენ ლიტერატურში მოპოვებულ ტრიუმფებს.

თუნდ ნაპოლეონმაც რაც ვერ შეძლო მახვილით, ლორდ ბაირონიც და ონორე დე ბალზაკიც კალმით მონაწადინებდნენ ამ კრანდიოზული განზრახვის აღსრულებას — მსოფლიოს დაპყრობას. და გურამ დოჩანაშვილი თავის მხრივ უდასტურებდათ — მწერლის, ხელოვანის ძალ-ღონე სულ სხვაა და პოლიტიკოსები და მხედართმთავრები ამაოდ ნუგაჯიბრებიანო.

რეალიზმის საცეკვებს კი გროტესკში შეაფარებდა თავს — ბაირონის რომანტიზმი მისთვის გროტესკით ჩანაცვლდებოდა და საკუთარ ნებაზე დაპეროდა, საითაც მოისურ-

ვებდა, თავის დაზოგვა, ძალ-ღონის თანდათანობითი ხარჯვა არა სჩვეოდა და ამ საუფლოში ერთიერთმანეთზე რთულ მხატვრულ ამოცანებს ამიტომაც დაისახავდა — ძალიც შესწავდა ქადილისა.

მოთხოვნებს კიდეც რომ ჩამოვეხსნათ, „სამოსელ პირველში“ ბრნყინავს გროტესკულ ხასიათთა მთელი გალერეა — რალაც დაუსრულებელ ნაკადად.

ასერიგად შთამბეჭდავი, მეხსიერებიდან ამოუშლელი პორტრეტები.

ლიტერატურული პორტრეტის უანრსაც მოჰკიდებდა ხელს — შესაძლოა მთელი ციკლიც განეზრახა, შესაძლოა დროდადრო შეექმნა საამისო ნიმუშები და ციკლად თავისთავად გამოკვეთილიყო... ასეა თუ ისე, ამ წამოწყებას გარგელება არ ეწერა და... არც მაინც დამაინც გულდასანყვეტია, გიორგი შეატერიშვილისა და ისევე ნიმუშები რომ არ ამოსდგომისა გვერდით.

დიდი სიყვარულითაც არის ორივე დაწერილი და დიდი მონდომებითაც, მაგრამ... სიყვარული და მონდომება უკარი ალმოჩნდებოდა რეალიზმის გარემოცვაში — გურამ დოჩანაშვილისათვის შეუფერებელი მხატვრული პალიტრის მომარჯვებისას.

გიორგი შეატერაშვილის სიყმანვილიდანვე იცნობდა, როგორც თავისი უხსოესი მეგობრის — ბედის — მამასა, ვიც თავის აღმზრდელადაც მიაჩნდა, იმდენი რამ შეეთვა-სებინა მისგან. მისი ნაწერებითაც მოხიბლულიყო და „მევდრის მზე“ ყოველთვის ეგულებოდა ქართული ბელეტრისტიკის შედევრთა შორის.

თოთქოს უკეთესი პირობები რაღა გინდა სრულფასოვანი მხატვრული სილუეტის შესაქმნელად — შინაურ გარემოში იცნობ პიროვნებას, უმირავეჯერ მოგისმენია მისი საუბარი, დაკვირვებისარ, ხშირადაც წამოგვნებია, მის შემოქმედებაში ღრმად ჩაგიხედას და პიროვნებადაც და მწერლადაც პარმონიულ მთლიანობად გინამებია, თან წერის უნარი ისეთი მოგმადლებია, საუკეთესოთა შორის მოგიპოვებია უკვე ადგილი და შეს ახალ-ახალ ნაწერებს დაეძებს მკითხველი. მართლა დაეძებს, ილუზიებს კი ეპოტინები.

და ამ მეტარულ თხზულებასაც რომ დახედავს იგივე მკითხველი, ნინასწარვე განეწყობა შთამბეჭდავი პორტრეტის გასაცნობად, ისეთი დეტალებით დაზუნდულად, სტატის რომ შეუძლია მიაკვლიოს მეორე სტატის ხასიათსა თუ ქცევაში.

გურამ დოჩანაშვილი წერს გიორგი შატერაშვილზე!

და რაც უფრო ამაფონიერებელი მოლოდინი, მით მძაფრი ალმოჩნდება განვილების განცდა.

ასე ხომ ცველა დაწერდა, ვისაც ასე თუ ისე შესწევს წერის უნარი.

ფინალად კიდევ რაღაც იმედს ებლაუჭები, იქნებ ის განათდეს ისე, რომ ახალი თვალით შემახედოს ყოველივეს, მაგრამ დასასრულიც არაფრით გამოირჩევა, და ამ თხზულებას — გნებავთ წერილი დაარქვით და ნაკლები მოთხოვნილებაც წაუყინება, ვიდრე ლიტერატურულ პორტრეტს — ის დანიშნულება რჩება, რომ კიდევ ერთხელ მოაგონის მკითხველს ღირსეული პიროვნება.

ამის შემდეგ აღარც უნდა გაგიკირდეს, რომ ისევე ნინეშვილის კოლორიტული ხასიათის გამოკვეთაც ვერ უალოვდება გურამ დოჩანაშვილისაგან მოსალოდნელ მხატვრულ ეფექტს.

მოსალოდნელს?

თუმც მოსალოდნელს მაშინ, გროტესკული ხედვით რომ გაენათებინა. ისე იოსებ ნონეშვილის სილუეტის მოხაზვისას შესაძლებელი გახლდათ გროტესკული ელემენტების შემოტანაც, მაგრამ იმთავითვე უარყოფდა ამ მანერას, თხრობის სტილისტიკას რეალისტურ-დიორიამბულ სულისკვეთებას დაუმორჩილებდა და... უნებურად ამ მცირე თხზულებასაც წინასწარვე განირავდა.

არამცთუ დიდებულად გამოკვეთილი გროტესკულ ხასიათთა ფონზე, განსაკუთრებულ განზოგადებას რომ იძენენ — ვთქვათ, ალექსანდრო, დუილიო, კუმეო, მარშალი ბეტანეური, პოლკოვნიკი სეზარი, მხატვარი გრეკ რიკიო, გნებავთ თქევენც შემომაშველეთ — ეს ორივე პორტრეტი ვერ უახლოვდება თუნდ ამხანაგთმაძიებელი ედმონდოს ხასათს. ხომ თითქოს ასეთიც ვინ არის — ერთი რიგითი, უმნიშვნელო პერსონაჟი, რომლის ამოკლებაც ოდნავადაც არ დაეტყობა „სამოსელი პირველის“ გმირთა შთამბეჭდავ, კოლორიტულ გალერეას — ამისთანები იქ უხვადაა, მაგრამ გიორგი შატბერაშვილისა და იოსებ ნონეშვილის სილუეტთა გვერდით მონუმენტივით წამოიმართება და იმ სიცინცხალითა და ექსპრესიით სუნთქავს, რაც იმ პორტრეტებში მიუღწეველი დარჩა.

მიზეზი ხელისგულზეა — ეს გროტესკული ფერებით ისატება, ისინ — რეალისტური მანერით.

როგორც ანთეოსისთვის აღმოჩნდებოდა საბედისნერო მიწიდან მოწყვეტა, ისევე გურამ დოჩანაშვილისთვისაა წამგებანი გროტესკული სამყაროდან დაშორება — რაც უფრო დაცილდება, მით შეტად უმწევდება. და უნებლიერ ემსგავსება ანციური მითოლოგისა ამ პერსონაჟს, დედამიწიდან ჰაერში აზიდული მადლსა და ძალ-ლონებს რომ კარგავდა.

...ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი საუფლო, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

* * *

თავის პირველ ლიტერატურულ ცდებს რომ გაიხსენებს „სამოსელი პირველის“ ირგვლივ დატრიალებული დიალოგისას, პირველ ყოვლისა ამ თვითყვედრებას მოჰყვება: მეტად ლარიბი და გაქუცული მქონდა ჩემი დიდებული მშობლიური ენის სიტყვათა მარაგი, ლვარჭნილ წინადადებათა უსუსურობასაც ვერ ვამჩნევდი.

მაინც ვერ იჯერებს გულს ამ მაცრი გამოთქმებით საკუთარი თავის მიმართ და მხატვრულ სახეებსაც მოიშველიებს მეტი სიმძაფრისათვის: „ცისკარში“ მიტანილი პირველი მოთხოვნების ნებისმიერი გვერდი იქაურ მშვერიერ მოქართულეთა წყალობით პროზაზე მეტად შავ-წითელი ფერებით შესრულებულ დეკორატიულ მოტივს უფრო წააგავდო.

დედაენის შესწავლისათვის მხოლოდ კითხვა კმარიდავითომ?

მისთვის — არა... და ბედნიერად მიაჩნდა თავი, თხუთმეტ წელიწადს რომ არქეოლოგობდა — წელიწადში ხანდახან რეა-ათი თვე ჩემის სოფლებში უნევდა მუშაობა და ცხოვრება, ლაღი და შეურყვნელი ქართულის გარემოში, და ეამტებოდა, რომ: მაგარ ჭორიკანასავით ერთთავად ყურები ჰქონდა დაცემეტილი.

იფიქრებდა, მკითხველს არ ეგონოს, თითქოს ჩემს თავს ამჟამად უკვე ქართული ენის დიდ მცოდნედ ვთვლიდეო, და დაბეჯითებით რომ განაცხადებდა: შუაგზამდეც არა ვარ ალბათო, — იქვე დასძნდა: მშობლიური ენა ის საბა-

დოა, რომლის ფსკერამდეც ვერასოდეს დახვალ თუნდაც იმიტომ, რომ ფსკერი არ გააჩნიაო.

ფსკერამდე ვერ დახვიდოდი, მაგრამ უფსკერო სივრცეში ლალად და თამამად კი უნდა გეგრძნო თავი, თუკი ნამდვილ პროზას შექიდებოდი, ხან თუ ვერაფერს მოუხერხებდი, ხან შენს ნებაზეც გეტარებინა სიტყვაც და ფრაზაც, იმ ფარული აგებულებისათვის მიგეკვლია, ცვილივით დამყოლს რომ გაბადიდა ერთი შეხედვით უჯიათ გამოითქმას, და იმ სალამაზესა და სულნელს შეგაცნობინებდა, რაზეც ზედაბირული აღქმა გულგრილად გადასრიალდებოდა.

გაფაციცებული ყურისგდება გაფაციცებულ ყურისგდებად.

და კიდევ — არ წყინდებოდა სახარების კითხვა.

და კიდევ — არ ბეზრდებოდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაძმა“ ჩახედვა.

და აღარც ენება ამოყვინთვა ენის წიაღში დანთქმულსა და ბედნიერს ახალ-ახალი შრეების აღმოჩენითა და უცნაური მიგნებებით, ზოგჯერ სახელიც რომ ვერ დაერქმია, მაგრამ ხომ გადაგშლობდა თვალწინ და მაცდურადაც გებატიუბებოდა კიდევ უფრო ღრმად ჩასაღწევადაც.

ოლონდ ეგცვაა:

ენობრივი ძიებანი ალბათ სადღაც უნდა დაოკებულიყო, ექსპერიმენტატორისას, სერიგად აუცილებელ მხატვრულ აზროვნებისას, რაღაც მიჯნა უნდა დასდებოდა, ის უხილავი საზღვარი, რომლის იქით გადაბიჯებაც უკვე საყრდენს გამოგაცლიდა და ვეღარც შენს ხელში აქმდე მართლაც ცვილივით მოქნილი სტყავა დატრიალდებოდა ძველებური ხატოვანებითა და სიმსუქექით, და ვეღარც ფრაზა თუ პასუ აღიღესებოდა იმ ექსპრესიითა და სიღრმით, საერთო დინებიდან მოწვეტილც რომ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკათველზე, თორემ სტილური არტისტიზმის მდინარებაში ჩართული ხომ კიდევ უფრო მეტადაც შთანთქამდა თავის წიაღში.

სიტყვის ეს ფაქიზეს შეგრძნება, მისი ფარული საწყის წვდომა ჯერ კიდევ როდის შეიქნა საცნაური, ვასიკო კეუზერაძე ადამიანურ ხასიათთა რაც შეიძლება ზუსტი წარმოჩენის მცდელობისას სიტყვის მაგიურ ზემოქმედებას რომ იმველიებდა.

აგრე, ჩაევლო მისთვის გვერდით, ერთ დროს საცოლეს, ეპ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსეს, როგორიცაა სიტყვა... „მოისისფრო“, გვერდით კი მიჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომტეცველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავეძესი“, და ის კი, მიტოვებული საქმრო, განზე იდგა ზედმეტი, როგორც სიტყვა... „მაშასადამე“ ...

ლევან გოთუას შემდევ ამდენი ნეოლიტიზმი აღარც დახვაბებულიყო ჩვენს ლიტერატურაში, გურამ დოჩანაშვილი რომ ქმნიდა თავდაბუზოვავი ენტუზაზმით, და სიტყვებს ვითომდა უხეშად, არად, მახვილონივრული დახვეწილობით რომ უცვლიდა გრამატიკულ ფორმას, უკვე ვეღარც დავითვლიდით, იმდენსა და იმდენგვარს გვთავაზობდა; და, ვთქვათ, კარმენს რომ მიმართავდა: მიყვარხარ და მტკვისარო! — სხვასთან ეს „მტკვისარ“ ყურს თუ მოგვჭრიდა ანდა თვალში გვეცემოდა მაინც, მის თხრობაში ვეღარც კი აღვიქვამდით მის „უცნაურობას“, ისე შეგრეოდით სიტყვათა ბრუნეა-ტრიალის რიტმისაც და გამომსახველობასაც. დაას — რიტმისა და გამომსახველობასას. და ალბათობის სიტყვათა ბრუნეალდებოდა გართმეტი სიტყვისას გამომსახველობასაც. დაას — რიტმისა და გამომსახველობასას. და ალბათობის სიტყვათა ბრუნეა-ტრიალის რიტმისაც და გამომსახველობასაც.

ნუთები და ცლეპი

პერსპექტივაში თუ გახედავდი, თორემ, აბა, თვითონვე განსაჯეთ: მგონისადაცმაინცცოტათიოდნავთითქისადიაქნებ — უკვე იოლად ამიღიცნობდით მათი მაინცდამაინც ამგვარად თავმოყრის მიზეზსაც — ვითომდა მოკრძალებული, სიმცირისა და ალპათობის გამომხატველი სიტყვები ერთბაშად უზარმაზარსა და უსაზღვროზე რომ მიგვანიშნებდა თავისი ფორმით — და მხატვრულ ეფექტსაც მოარებით, გადაკვრით ეგრძნობინებინა ჩვენთვის მთავარი.

მოიშველიებდა მისთვის ჩვეულ, კიდევ ერთ „უცნაურ“ კომპოზიტს და ისეთი სიცინცალით წარმოგისახავდა სურათს, თავისი გარეგული ჰლასტიკითაც და ღრმა ფსიქოლოგიზმითაც, სხვებს იქნებ ვრცელი აღნერითაც ვერ მიერნიათ ამ შთამბეჭდაობისათვის: პირ-და-პნეულ-გახარებულ-ღმილიანნი.

სახელგანთქმულ ვატერპოლისტს ეგებება ასე ხალხი, გაოგნებული და ბედნიერნი ერთსა და იმავე ღრის, ეს რა ღვთის წყალობა გვეწვია, ამხელა პიროვნების ხილვის მოწმე რომ შევიქენით, რა ღირსნი ვართ ამ განუზომელი წყალობის, მაგრამ ღირსნიც ვართ, რატომაც არა, თორემ რატომ სხვებს არ დაეთოვათ თავზე ეს სიხარულიო.

ერთი შეხედვით „უცნაურად“ გამოსჩანდა „გულსულში-განშემატევივარიც“, მაგრამ მისა მიგნება წამიერ გაელგვებაში მარჯვედ მოაქცევდა საზოგადოების განწყობას, მთელი არსებით რომ გადაშევებულიყვნელ სპორტული შეჯიბრის რომეტრიალში, თითქოს მთელი ქალაქისა და მთელი სახელმწიფოს ბეჭიც ამ შერვინებაზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

ამისთანები, ჰეეეე..!

ყველა ამსთან გამოვლენას ენობრივი გროტესკისა თუ ენობრივი ექსცენტრიკისა დამაჯერებელ ახსნას უქენიდა ლევნ ბრეგაძე.

მაგრამ... მაგრამ საცთურიც დიდი ახლავს სიტყვის თამაშს, ვაითუ ძალიან გაგიტაცის და ველარც გაიგო, ისე გადაგაცილოს იმ უხილავ ზღვარს, რომლის იქითაც უკვე ველარ გამოგვება მხატვრული ძალ-ღონე და თვითმიზნურ ძიებათა ტყვეობაში უფრო აღმოჩნდები, ვიდრე იმ მხატვრული აღმაფრენისა, აქამდე ძეირფას ნადავლს რომ მიგაგნებინა და გროტესკული იერით აღეჭდილი მხატვრული სამყარო ასერიგად დაგიმშვენა.

მითუმეტეს — ამოუნურავი სულაც არ არის იუმორი, ასე ადვილად ვერ გაგწედება მთელი სიცოცხლე, ეს მისი თავისებურება და ნუ დააბრალებ, რომ მაინცდამაინც შენ გომუხთლა.

დიდი იუმორისტებიც ამოუნურულან, დაშრეტიათ სიცინცალე და სიმახვილე და ან ხელი აულიათ ამ სტილურ მანერაზე და ან საკუთარი თავი უმეორებიათ და უმეორებიათ მომბეზრებლად.

თვით ლორენს სტერნსაც დაეტყო დაღლა, იმ განსაცვიფრებელი რომანის შემოქმედს — „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ — რომლის იუმორიც მიუწვდომელ სიმაღლედ რჩება მსოფლიო ლიტერატურაში და გასაკვირი არ არის, თომას მანი საგანგებოდ რომ გადაიკითხავდა კიდევ ერთხელ, რათა ის მაღლი მის რომანშიც არეკლილიყო და თხრობას მეტი სიხალისე შეეძინა.

„სენტიმენტალურ მოგზაურობაში“ სტერნი საკუთარი თავის აჩრდილილადა და მკელევარები ამ გარემოებას იმით ხსნიან, კლერიკალური წრეები ძალიან დაესხნენ თავს მწერალს, „ტრისტრამ შენდის“ შექმნისათვის და ამ არაჯანსაღმა აუიოტაშემა მოახდინა არასასურველი ზეგავლენა მისი წერის მანერაზეც.

თუმც ეს მისი ერთგვარი გამართლების ცდაა, თითქოს დიდებულ შემოქმედს რაიმე დაეშავებანოს, იუმორი ძველებურად თუ ველარ მიჴყვა ბოლომდე. ის არალიტერატურული შემოტევებიც რომ არა, მოსალოდნელია, რომ „ტრისტრამ შენდის“ თავბრუდამხვევი იუმორი თავისი ათას-გვარი სახესხვაობით აქ ველარ განმეორებულიყო. დიდი-და-დი მკრთალად მაინც აღეჭდილიყო, თორემ შესაძლოა ალაგ-ალაგაც კი ველარ დაჩინებიდა სტერნისებური ძალით.

არ ასტებიან კლერიკალური წრეები ჩარლზ დიკენსს, არც არანაირი შემოტევები განუცდა სახალხო სიყვარულით გარემოსილს, მაგრამ, აბა, გადახედეთ მის ბოლოდროინდელ თხზულებებს ამ თვალსაზრისით — განა იცნობთ ძველ დიკენსს?

ანდა მარკ ტევენის გვიანდელ თხზულებებს ჩახედეთ — განა ეს ის მარკ ტევენია?

ისიც გასაკვირია, გურამ დოჩანაშვილის იუმორი საკუთარი თავის აჩრდილად მაინც რჩებოდა, მაგრამ იმავ-დროულად სტილური ძეგებების გამკვეთრება რომ მოინა-დინა და სიტყვის თამაშის გადაქცევა მოთხოვნებისა და რომანების ზოგადენობრივ მანერადაც, სტრუქტურადაც, სულისკვეთებადაც, არტისტიზმის საჯილდაო ქვის აზიდვა უკვე გაუძნელდა და, თუ არ ვიგულისხმებო სნობების ალტაცებას ამ ქმნილებებზე შემოგარსული ხელოვნური ბუნ-დოვანებითა და ყოველწამიერი დაბრკოლებებით, არამც-თუ „სამოსელი პირველის“ წარმატება ველარ განმეორდა მიახლოებითაც კი, არამედ ველარც კეჭერიაქეთა ციკლისა, და კიდევ მათი: „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“, „საქმე“, „ვატერ(პო)ლონი ანუ აღდგენითი სამუშაოები“...

„ლოდი, ნასაყდრალი“ ჯერ მხოლოდ გაგრძელებებით ქვეყნებოდა, როდესაც ამკარად მეცა თვალმი ის გადამეტებანი, რომელთა დანიშნულების ახსნა ცოტა არ იყოს ძნელდებოდა და, რაც უფრო წინ მიერნებდი, სიტყვათა ტევ-რი უფრო და უფრო ხშირდებოდა და გაუვალი ხდებოდა, და სიუჟეტის გამორჩევაც ჭირდა — ბოლოსდაბოლოს, რაღაცას ხომ უნდა დაყრდნობოდა თხრობა, რომელიც წინასწარვე გაგრძნებინდებდა, რომ ძალიან დიდხანს გაგრძელდებოდა.

და აკი ასეც მოხდა — როდესაც წლების შემდგომ როგორც იქნა მოთავდა, გარეგული სიდიდით უკან მოიტყოვა თავისითავად დიდტანიანი „სამოსელი პირველი“, არადა, მისი კლასიკური კომპოზიციური აგებულებისაგან განსხვავებით „ლოდ, ნასაყდრალ“ მეტალი ლეროც არ აღმოჩნდა ხერხემლად, რომელსაც ეს ბევრგვარი განშეობება მოეჭიდებოდა.

ცხადია, სულაც არ არის აუცილებელი, ამჯერადაც კლასიკური კომპოზიცია შეენარჩუნებინა და დაე მასაც დაეშვალი სიუჟეტური სიმტკიცე დასავლელ მოდერნისტებით, მაგრამ კომპოზიციურ აღნაგობას რაღაც ხომ უნდა შენაცვლებოდა?! გნებავთ ხასიათები, გნებავთ აზრის რაღაც განსაკუთრებული სილრმე, გნებავთ სტილური ამოფ-რქვებანი, გნებავთ იუმორი... დიდად დაგრძელებული მისებური ერთს მისებური დამინც გაიპრეციებდი თავს, რომ გურამი საბოლოოდ ერთს მისებური დამინც გაიპრეციებდა და სა-სიმოვნოდ განცვიფრებულს დამტოვებდა, არ შემეძლო ჩემი შთაბეჭდილებება არ გამომეტევა ამა თუ იმ ლიტერატორთან საუბრისას, როდესაც ამ ახალ რომანზე ჩამოვარ-დებოდა სიტყვა.

გურამი პაატას შეხვდებოდა, ჩემს ბიძაშვილს, და ჩემზე შესჩივლებდა:

თუთაში და ლეგი

— გამოჩენითაც აღარ გამოჩნდა, თანაც თურმე არ მოსწონს „ლოდი, ნასაყდრალი“. ეს რომ მითხრეს, ძალიან მეტკინა გული! არაფერს გეტყოდი, ძალიან რომ არ მტკენოდა.

მე ძალიან შევწუხდებილი და ჩემს თავზე მომვიდოდა ბრაზი. გურამის დაწერილზე — რაოდენ ნირნამხდარიც უნდა დავრჩენლიყავი — განა როგორ გამოვხატავდი ჩემს აზრს, თუ არა რბილად, თავშეკავებულად, მისადმი დიდი სიყვარულით... მაგრამ ხომ ვიკოდი, რა გარემოშიც მინვედა ცხოვრება და როგორ ამცნობდნენ, ყასიდი თანაგრძნობით როგორ გააღიზანებდნენ, რას წაუმატებდნენ, თავანთ შეხედულებებსაც მე მომანერდნენ... დამიეჭირა რა ენაზე კბილი!..

მამას ვეტყვი: ასეა და ასე-მეთქი, — და მირჩევდა: აუცილებლად მოინახულე და შენ თვითონ აუხსენი, ესეც იცოდე, ადამიანს პირში რომ ეტყვი თუნდაც უარყოფით აზრს, ნაკლებად ეწყინება, ვიდრე მიტანილი ამბავი, მიტანილი ხმა გაცილებით უფრო მოქმედებს ფსიქიკაზე, უფრო გაზირდებულად მოაჩვენებს ყველაფერს, თუნდაც ხელოვნურად არც არაფერი წაუმატონო.

ნატომ: მეც წამოგყები, თუ გინდაო!..
კეთილი, ერთად წავიდეთ-მეთქი.

ზარი არც დამირეკავს, არ დამიკაუნებია. ვიცოდი, კარს ყოველთვის ლიას ტროებდა, თითქოს მისი საცხოვრისი დედაქალაქი კი არ ყოფილიყოს, არამედ მყუდრო, ძველი დროის ნაშთად შემორჩენილი სოფლები, მის მიერვე არაერთგზის აღნიშვნილი („შენი მწვანე და“ თუნდაც, ანდა „განმსდგომი შუალედი“) — სისუფთავის, სიწმინდის, სინრფელის კერძობად შემონახული.

სავარძელში იჯდა, სადლაც დასალიერს მიჩერებული, თუმც დანახვით მაშინვე დამინახავდა და ჯოხესაც კი აღარ მიაქცევდა ყურადღებას, იქვე მიყუდებულს, მსწრაფლ წამოიჭრებოდა და ისე ჩამიკრავდა გულში, მიერვდებოდი, არ არსებობდა ძალა, რომელიც ერთმანეთს დაგვაძორებდა და მხოლოდ შორიდან გვეცოდინებოდა ერთიმეორის ამბები.

ზეპირ საუბარში იუმორი არ მოკლებოდა და ისევ იმ ძველ გურამ დოჩანაშვილად რჩებოდა, პიროვნული კოლორიტითაც რომ გამოირჩეოდა, და ყოველთვის დასამახსოვრებელი ამიტომაც გახლდათ მისი სიტყვაც, ფრაზაც, წაამოიცოდი.

და უცრად:

— ჩემი გაძლება რა გაძლებაა, ირაკლის მერე, თავსაც მოვიკლავდი, კიდეც მიიფიქრია ამაზე, მაგრამ არცერთხელ არ დამაცლიდა: რაღაც ახალ გზას მივყები, მეც არ ვიცი, რა გამოვა, თუმც... თუმც მჯერა, ყველაზე ლირებული ეს იქნება, რაც აქამდე დამინერიაო.

— ჩემი გაძლება რა გაძლებაა, ირაკლის მერე, თავსაც მოვიკლავდი, კიდეც მიიფიქრია ამაზე, მაგრამ არცერთხელ არ ამაღლებინა ხელი ამ განზრახვაზე, არამედ იმის გახსენებამ, რომ თვითმკვლელობისათვის უფალი დამსჯის და ირაკლის იქ აღარ შემახვედრებს... სასუფეველში უიმისოდ დამტოვებს... და ჩემი ნებთი როგორ დავკარგო სამუდამოდ!... ისევ იმ შეხვედრის მოლოდინი მასულდგმულებს.

რა სიამაყით შეავლებდა ხოლმე თვალს შვილს და არ წყინდებოდა გამეორება: უკვე ჩემზე მაღალიაო.

ის ურჩევნოდა მამულსა, ყოველ დროსა და ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით — დრამატული ხვედრი თუ დასტეხოდა, როგორც ამას, ჩვენსას — რომ შვილი დამჯობინებოდა მამას.

და ხარობდა გურამი: სწორედ ისეა, როგორც მამულს ურჩევნიაო...
ჯერ უზომო სიკეთის ფრქვევით დაემახსოვრებინა თავი გარშემომყოფათვის, და უკვე სტუდენტს სამი წლის ბავშვთან რაღაც მარტივი თამაში შეეძლო საათობით გულით ეთამაშა, და ხელოვნებათმცოდნების დამწერბელასელებთან რომ მასწავლებლობდა, ექსკურსიაზე დაჰყავდა ხოლმე... და გურამს რომელილაც ნაცნობი ეტყოდა, დავინახე, თავის სახლთან შორიაბლოს რომ გადმოვიდა ირაკლი, ბაგვები ავტობუსიდან გამოედევნენ და ისე ჩამოეკიდნენ მხრებზე, ხელებზე, კისერზე, ეს აწონილი და გამხდარი ჭაბუკი ნაცნის ხესავით დაიხუნდლა და მთელი სავსებით, გულიანად დაიწყო სიცილი: გამიშვით, გამიშვით, ხვალაც ხომ ერთად ვიქებითო... — არ წახვიდეთ, მასწ... არ წახვიდეთ, რა, მასწ... — ისე ეხვეწებოდნენ.

ეს სურათი, დაუკინებარ კინკადრს რომ მოგაგონებთ, რომანში გადაინაცვლებდა, „ლოდი, ნასაყდრალი“, რათა ლალი სიცილი მჩერლის გულში ჩაღვრილი ცრემლებით დაბოლოვებულიყო.

„აღარ ჰყავდათ.

წავიდა“.

რამხელა ტკიფილს იტევდა ორ ფრაზად და ორ აბაზაცად დაცალაკევებული ეს სამად სამი სიტყვა.

ამ რომანშივე ჩაერთოვოდა ის ეპიზოდიც, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამ სიტყვებით რომ მოეფერებოდა: ირაკლის მამაო. და თან რამდენჯერმეც გაუმტერებდა. და მანამდე ირაკლის მისი შვილობით რომ აფასებდნენ, ახლა უწმინდესისა და უნეტარესის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვათშეთანხმება — ირაკლის მამა — საოცნებოდ მოერვენებოდა და კიდეც ამოსკდებოდა გულიდან ფურცელზე გადმოსალვრელად:

— ირაკლი, თქვენ უწმინდესობავ, როგორ, და რამდენად უკეთესი იყო ჩემზე, მე ხომ ვიკოდი; არ მეგულება, შვილი რომ ასე სჯობონდა მამას, რამდენად უფრო — ნიჭით, ბუნებით, სიკეთით, თანდაყოლილი თვისებებით, გარეგნობით ხომ — ცა და მინა...
ის ურჩევნოდა მამულსა...

წუთისოფლის გაუტანლობას კი...

ჯერ მხოლოდ ის მოქსწორ, რომ რეჟისორმა თემურ ფალავანდიშვილმა მიიწვია საყმანვილო ფილმში „ჯადოსნური ლამე“ გადასალებად. სცენარის ავტორი წუკრი მამულაშვილი გახლდათ და მასვე ეგულისხმება მერვეკალასელი ირაკლიც მსახიობად მომავალ ფილმ-ზღაპარში... მერე კი როგორ და რანაირად წარიმართებოდა მისი ცხოვრების გზა, მხოლოდ იმედით შეიძლება მიგედევნებინა თვალი, ის საბედისნერო გადმოვარდნა რომ არა წყნეთის ერთერთი სახლის აივნიდან, გულის გასახალისებლად რომ სწვეოდა მეგობარს და...

რეანიმაციაში მოხვედრა და გაჭიანურებული გონდაკარგული ყოფნა ჯერ მაინც არ გტოვებდა მთლად უნუგეშობ, და მშობლებიც, დაც, ნათესავებიც, მეგობრებიც, წაცნობებიც და უცნობებიც — გურამ დოჩანაშვილის თავსადატებილ უბედურებას თვით უცნობებიც რომ განიცდიდნენ უკიდურესი სამძაფრით — იმედის ნაპერწკლებს ეჭიდებოდნენ. მითუმეტეს, ყველას გვახსოვდა რამდენიმე წლის წინათ ირაკლი ლომიურის გადმოვარდნაც — ეს უკვე თბილისის ერთ-ერთი სახლის — აივნიდან და ისე მძიმედ დაშავება, ლა-

თუთაბი და ცლეპი

მის ერთი თვე გონს რომ ვერ მოვიდოდა... და თუ ბევრს უკვე გამოტირებულიც ჰყავდა, მაინც გარღვევდა ჩაგუშებულ წყვდიადს და დაუბრუნდებოდა იმ სამზეოს, რაც მისი უმცროსი სესნიასათვის სამუდამოდ დახშული აღმოჩნდა.

არადა, ის აივანი, თბილისური, გაცილებით მაღლიდანაც გადმოჰყურებდა მინას, ასფალტით ისე შესუდრულს, მხელად დაჯერებდი, იქიდან გადმოვარდნილ კაცს თუ კადევ შეიძლება ესულდგმულა, ის კი არა, ოჯახსაც მოჰყიდებოდა და მოთხოვბებიც ისეთი ენერა, ქართული პროზის მრავალფეროვნებაში, ამ პროცესს მდინარებაში მისი წიგნებიც აუცილებლობად ჩაწერილიყო — სხვათა შორის, გურამ დოჩანაშვილის ნათლულის, ერთ დროს მხოლოდ ეს ორნი რომ ვირწმუნებოდთ, ჩვენს მწერლობას მნიშვნელოვანი ძალა ემატება ირაკლი ლომოურის სახითო. აკი არც შევმცდარვართ.

და მაშტ ეს გადმოვარდნა — ირაკლი დოჩანაშვილისა — რატომლა უნდა დასრულებულიყო ფატალურად?..

მაგრამ ბედისნერა თავისას განსჯიდა... და იმ ტრაგიკული დღის შემდეგ გურამი სულ ცოტა შვიდი-რვა თვეს მაინც დადობდა თბილისიდან მცხეთაში კვირადლებით, და სვეტიცხოველში დილის წირვას ისმენდა, რაკიდა იქ მოძღვრობდა მისი სულიერი მამა-მასნავლებელი, შემდგომ მეუფე, იმხანად კი მამა დანიელი, ვის უზომო სიკეთესა და ნუგეშისცემასაც ძალიან უმაღლოდა.

და, ცხადია, კათოლიკოს-პატრიარქის სანუგეშო სიტყვებს... და ამ სასიკეთო ზეგავლენას მასზეც და სხვა შვილმკვდარ მშობლებზეც ასე განაზოგადებდა რომანის ფურცლებიდან მიმართვესას:

— თქვენი ვრცელი გულის დადებით რამდენიმე მშობელი აგვაცდინეთ იმ საშინელებას, სისაზარლეს, თვითმკვლელობა რომა.

ამ რომანში შემოცურდებოდა ირაკლის ლანდი, თანაც ამ ხილვას თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს უამბობდა თხრობაში ჩართული ეპისტოლეს მეშვეობით. ჯერ ამცნობდა: სიზმარი ჩემთვის სულაც არაა ცრურნმენის საგანი, და თუ დამსიზმრებია ისეთი ზმანებანიც, უკვალოდ რომ გამქრალან, იშვიათად მომვლენია ისეთი სიზმარიც, „ჩვენებას“ რომ უახლოვდება ჩემთვის და განუზომელი შთამბეჭდაობითაც მოქმედებსო.

ამ განცდის ერთ სიტყვაში გამოსათემელად ეგებ სხვა შემთხვევაში ამაოდაც დამშვრალიყო, მაგრამ ამჯერად ხელთ ეპყრა ლექსიკონი სულხან-საბა ორბელიანისა, „სიტყვის დიდი პაპის, დიადი მეთქმის, და ჩვენებართველთა როგორი მწყალობელი მეგა-მოხატულებების“, და სულს მოითქვამდა იმ დამარწყულებელი გამოთქმით: მეძილისშინითა.

და შვილის ლანდმა ბევრთაგან ერთ-ერთი ლიმილით, მორიდებულითაც და დარწმუნებულითაც, უნდა სთხოვოს, სვეტიცხოველში შესასვლელიდან მარცხენა, ბოლო, საკურთხეველთან კი ახლოთა სვეტთან რომ გიყვარს დგომა, მოერიდეო. სვეტზე ლვთისმშობლის ხატი კი ეკიდა, მაგრამ ისე მაღლა, ხელითაც ვერ შეწვდებოდი, და მაშ მისგან ზურგშექცე-

ვით დგომა არ დაბრალდებოდა. აბა, მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? და საგანგებოდ რომ დააჭინდებოდა სვეტის იმ ადგილს, რომელსაც მანამდე მხოლოდ საღებავებ უიმედოდ გაცრეცილ, თითქმის მთლიანად წაშლილ, გამქრალ, ამოუცნობ სიფერმკრთალედ აღიქვამდა, ამობჟუტდებოდა, და ფერსა და ხაზს და ძალას მოიცემდა და ხარება ამონდებოდა — უძველესი! ძველთუგველესი ფრესკა!!.

ერთ დილაუთენია კი — ესეც იმავე ეპისტოლეში უნდა გამჟღავნდეს — თავისი ქალიბერილი უნდა დაადგეს თავზე, ქეთო — ვისაც ეს სახელი ვითომდა იატაკევეშა ორგანიზაციის სახსოვრად შეარქეა: ქართველთა ეროვნული თავისუფლების ორგანო — და ბედნიერმა მთელი არსებით უნდა ახაროს:

— მამა, მამა, იცი, რა კარგი სიზმარი ვნახე? მამა, მამა, ვითომ ირაკლი თავისი ტახტზე იჯდა, გვერდით კი პატარა ბიჭი ჰყავდა, ისეთი კარგი, ისეთი ლამაზი, ოქროსფერ კულულებიანი, ლურჯთალება, ერთმანეთს უცინოდნენ, მერე გახარებულმა მითხრა, აი, ეს ჩემი შვილიაო...

იმასაც დასძენს: თავისი ტახტი რატომლაც აქ, შენს ოთახში ედგაო, — და ზუსტად იმ ადგილს მიუთითებს, სადაც გურამი შვიდივე — და ას ოცდამეშვიდესაც — ლოცვას ლოცულობდა ხოლმე.

და გაოგნებულს სხვა რა შეიძლებოდა დაცდენოდა სულერი მოძღვრის წინაშე, თუ არა ეს მღელვარე ლაღადისა, დასაჯერებელიც და დაუჯერებელიც ერთსა და იმავე დროს, რაკიდა მცირდმირნმუნეობა შემკრთალი დგება ლვთიური საიდუმლობის წინაშე:

— და, ამა სიზმრით, თქვენ უწმინდესობავ, როგორ მაღლივად, როგორი შვებით, რომ — რომ ის დიადი, ნანატრი, ბევრად ნაძღვილი ქვეყანა ამ ჩვენისაზე, და, მაშასადამე, იქაც ერთი ახალგაზრდა ბინადარი, თავის პატარა ბიჭიანა, როგორ გამოვთქა, რომელი სიტყვით... არის.

თურმე რაოდენ ტევადი შეიძლება აღმონდეს ეს სრულიად შეუმჩნეველი, ვითომდაც ყოვლად გაცვეთილი სიტყვა: „არის... დიაბ, რაოდენ ტევადი, თუკი ზუსტად მიუჩენ ადგილს.

* * *

თუ დაგაცლიდა არსთა გამრიგე სასიკეთო სარეცელზე, უღლონემინილს, ეგებ ეს სიტყვები ფიქრში კი არ ჩანთქმულიყო ანდა ჰაერში განქრეულიყო, არამედ ბაგიდან გადმოდენილიყო:

— ეჲ, კარგი იყო, ოხერი...


და თუნდაც ჩაეკითხა ვინმეს, ცნობისნადილით ანდა სულაც ნიშნისმოგებით:

— რა — სიცოცხლე თუ ლიტერატურა?..

ხომ იცოდი, ხომ უკვე იცოდი, რასაც მიუგებდი, და სიტყვები საძებნელი და შესაკონიშებელი აღარ გექნებოდა:

— და განა სულერთი არ არის?

დასასრული შემდეგ ნომერში



ნანა კუცია

სიცმინდის მცველი

□

ერთი ლიტერატურული პარალელისათვის
(ვაჟას „პასტრიონი“,
ოთარ ჩხეიძის „აგალლება“)

ვერ შეეხები ლაშარს, თუ არ გნამს უზენაესი
გრიგოლ რობაქიძე, ვაჟას ენგადი

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ფინალი იშვიათ პოეტურ-პარადიგმულ ვიზუალს იმარხავს: „გველა შაებრალა ლუხუ-მი, მის კვე წავიდა ზლაზნითა, მიშრიალებს სმელს ფო-თოლს დიღრონის ტანის გლარზვითა. ზედ დააშტერდა სნეულსა თვისის გველურის სახითა... დაფიქრდა გველი ძლიერად, გული ევსება ბრალითა. ბევრის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება: რა სიბრალულით იმსჭვალვის მისი გველური ბუნება! ზედ გადანვა მკერდზედა, წყლულსა ულოკდა ენითა, თან მკერდს უსველებს მხედარსა ცრემლების ჩამოდენითა. აყრუებს ტყესა და ველსა ოხრითა რამოდენითა! მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა ადამის ცომის მტერია, ბოროტების გზა გაუშვავ, კეთილი დაუჭრია! საჭმელსაც თვითონ უზიდავს, ასმეეს წყალს ლალის მთისასა; ლამ-ლამ ზლაპარსაც უამბობს ორის ობლის ძმისასა. ამბობენ, შააძლებინა სნეულსო ფეხზე და-გომა; ელირებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“

გრიგოლ კიკნაძის ცნობით, ლუხუმი ფოლელორულ ტექსტში წარმოდგენილია, როგორც მარჯვენამოკვეთილი, თუმც ალნიშნული დეტალი ვაჟასთან არ კონსტატირდება, მაგრამ პოემის ფინალის დაუვინყარი პასაჟი — გველის ბუნების ტრანსფორმაცია — სწორედ ხალხური ლექსითაა ნასაზრდოები: „ხელი მარჯვენა მააჭრეს, წესიც არ იყო მთლისაო, სიმშილით დალონებულმა ქუჩი მოძოვა მთი-საო, წყურვილით დალონებულმა ცვარი ალოკა ცისაო. ლუხუმს გველ შამახეჩვია, მუხლს ულოკს, უკურნისაო, ორი კვირა რომ წავიდა, ლუხუმს მუხლ ექმნა მგლისაო“ („ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“).

თამაზ ჩხენკელი ბასაჟის არსა ასე განმარტავს: „ფე-რისცვალების პათოსი ვაჟას პოემებში არა მარტო ადამიანებს, არამედ განპიროვნებულ ბოროტ არსთაც მოიცავს. ფერისცვალების სქემა მითოსური ხასიათის მოდელს გულისხმობს — ზესკნელ-ქვესკნელის ბრუნვას და, შესაბამისად, ქვესკნელის საუფლოში არსთა გარდაცვალება-განახლებას. ის, რომ ქვესკნელის გამოქვაბულთან მწოლარე ლუხუმს წყლულებს ულოკავს გველი, მითოსურ პლანში ღვთაებრივ გარდაცვლა-ფერისცვალებას გულისხმობს, განახლება-განკურნებას.

ქვესკნელში ძალმიცემული ლუხუმი მკვდრეთით უნდა აღდგეს, რომ შეიძლოს ლაშარის გორზე (ზესკნელს) შედ-გომა“ (მშვენიერი მძლევარი).

ზურაბ კიკნაძის წერილი „ბახტრიონის“ დასასრული“ პოემის ფინალური პასაჟების ეგზეგეტიკურ ანალიზს მოი-ცავს (დავიდასტურებთ ვრცელ ამონარიდს): „ლუხუმი, ხე-ვისბერი, უჩინარდება სასწაულებრივად და იზყება ესქა-ტოლოგიური ლეგენდა.

ამიერიდან ლუხუმი აღარ ეკუთვნის ბახტრიონის გმირ-თა, თუნდაც გამარჯვებულთა, წრეს, არც მათ ეპოქას — ის კაცობრიობის მომზალშია გადასროლილი.

უკან დარჩა ხანა, როცა ბატონობდა „მთავარი იგი ამის სოფლისა“ ანუ ძევლი მტერი, რომელმაც ისტორიის დასა-ბამში შეაცთუნა ადამი, მთელი ისტორიის მანძილზე თე-სავდა მტრობას და გველების სახით წარმოუდგებიდა კაცობრიობას.

კვირიას საბედისნერო სიზმარში გველებაპი განიგმირა კაცის ხელით, მაგრამ კაცი იმსხვერპლა, ახლა კი, მარადი-სობის კარიბჭესთან, ეს გველი — „მორთული ჯაგრითა, ბევრისა ცოდვის მოქმედი“, „ადამის ტომის მტერი“ გარდა-იქმნება, ბუნებას იცვლის კაცის კვენესის ხმაზე.

უმნეოდ დარჩენილი ადამის ძის ნინაშე გველმა დაიბ-რუნა ის ბუნება, რომელიც შეუქმნა მას ღმერთმა, როდე-საც ქმნიდა ყოველ არსებას (და, რასაც ქმნიდა, კეთილად ქმნიდა), გაეხსნა ცრემლის სადინარი იმის ნიშნად, რომ სიყვარულის თესლმა გაიხარა კაცობრიობის მტრის გულ-ში. „ვეშაპი იგი დიდი, გველი დასაბამისა“ (გამოცხადება 12, 9) აღიდგენს თავის თავში ღვთის ქმნილებას. ბოროტმა მიიღო ის სახელი — „კეთილი გველი“ — როგორც ქრისტეს მოისხენიებდნენ, ტერტულიანენ ცნობით, ადრეული ქრის-ტიანები. გველმა გამოისყიდა საუკუნეთა უნიხარეს ჩადე-ნილი ცოდვა, ნამოაყენა ფეხზე უფლის მხედარი და თავა-დაც ზეაღიმართა.

განკურნებულ ლუხუმთან ერთად იმ დროში ვართ, რო-დესაც „უკანასკნელი მტერი იგი განქარდა — სიკუდილი“ (ეკორ. 15, 16).

იმედით მთავრდება ვაჟას მითოსურ-ესქატოლოგიური პოემა: „ელირსება ლუხუმსა ლაშარის გორზე შედგომა“ („ბალავერი“ №1-6, 1989).

მაგრამ „ვერ შეეხები ლაშარს, თუ არ გნამს უზენაესი“ (გრიგოლ რობაქიძე).

თუკი აკაცის „ბაში-აჩუკში“ („ბახტრიონის“ დარად, კახე-თის აჯანყებას რომ ირეკლავს) გველებაპი სინმინდის ხელმყოფელია, ვაჟასთან — მცველია და მკურნალი წმიდა კაცისა, ლაშარის გორზე შედგომა რომ შეაძლებინოს ოდესმე.

1986 წელს დაწერილ რომანში „ამაღლება“ ოთარ ჩხე-იძე ფოლკლორულ და ვაჟასეულ მითოლოგიურ-ესქატო-ლოგიურ სქემას იმეორებს.

ნინასიტყვაობაში ავტორი უთითებს, რომ: „ამაღლება“ მეთეჯვესმეტე თხზულებად იგულისხმება რომანების რკა-ლისა „მატიანე ქართლისა“...

უამი იდგა ვერაგი, ულმობელი — ნამდვილი უამი — გა-მანადგურებელი რწმენისა, ზნეობისა, ადამიანიბისაი...“

ვაჟას წაოცნებარი ოცნებადვე დარჩენილიყო — არათუ გველის ბუნება ტრანსფორმირებულიყო, ადამიანებს ეც-ვალათ ზნე.

„ბახტრიონის“ ყიზილბაში „ამაღლებაში“ „ტრამალის ხალხს“ ჩაენაცვლებინა, „ტრამალის ხალხი“ მოსწყდომიდა მთაგრეხილთა ქვეყნას, „ტრამალის ვნება მთაგრეხილებს ვერ მოითმენდა“.

ლაპარის გორს, კავკასიონს მოსდგომოდა „ხალხი, ბუნაგების გარდა რომ არა იცოდა რა და არც არაფერს დატოვებდა, ბუნაგების გარდა“.

მაგრამ ტრამალის ხალხამდე აქ ქართველის სამკვიდრო იყო, მინის ქართულობას მთაზე აღმართული ამაღლების ტაძარი ადასტურებდა — ძეგვარგადავლილი, შამბმრეული, მივიწყებული, მაინც — სოფელზე ამაღლებული, სოფელს აღმატებული.

მიტოვებული ტაძრის პარადიგმა ნოველებშიც ამოსჩენოდა ოთარ ჩხეიძეს: „ჯვარი მოხვრეოდა ეკლესიასა, ჩამოეყარათ ზარებიცა სამრეკლოდანა, თავზე შერჩენოდა სამრეკლოსა, ზარების საკიდი თავზე შერჩენოდა, იმას თუ შეენახა ხმანი გარდასული, ის თუ ბუბუნებდა — ქანაობდა თოკები უზარებოდა, უარაოდა“ („და ბუბუნებდა“).

ნოველაში „კუმურდოში“ უგუმბათოდ შთენილ ტაძარში ისევე წვიმს, როგორც გარეთ: „მორდვეულიყო თითქოს ყველაფერი, ჩამოქცეულიყო ერთპირიანადა, ვიცოდით, ოღონდ ასე მაინც არ გვევონა... ვიცოდით, სხვა გვენახა ბევრი — გუმბათჩალებილი, შელახული და შებლალული, არათუ ძველი შებლალული, რა თქმა უნდა... შემზარავი... განაცვიფრებდა თვით ჩვენივე მემატიანეთა...“

მეოცე საუკუნის მინურულს ამაო სოფელს (უკეთ — დედაქალაქს) ამორიდებულინი, ამაღლების ტაძარს მოაშურებენ წესტანი (სწორედ წესტანი, მაინცდამაინც წესტანი!), გვარამი და ხვთისო. სოფლისათვის გაუგონარი, უგუნური ქმედება ტრანსცენდენტურს ზიარების მცდელობაა, „ინრო“ გზასავლის ძიება.

გვარამმა და ხვთისომ „უკეთესი გზა“ ირჩიეს [შდრ. მართა-მარიამის პასაური ბიბლიაში] — ყალმის დიდოსტატის (ქაშუეთისა და ქიმერიონის ფრესკათა ოსტატის) მონაცე — გვარამი მთებში მიკარული ტაძრის ფრესკათა აღდგენის „საღმრთო შურით“ აღდგესო, მამის ძიძიშვილის შეილთან — ხვთისოსა და „სულისა ტოლ“ მეულლესთან, წესტანთან ერთად.

უნებლიერ „გრიგოლ ხანითელის ცხოვრების“ პასაურიც გაგახსენდება, ბიბლიურ აბრამზე თქმული, გრიგოლზე განვრცობლი, უცნაურად რომ განსაზღვრავს გვარამისა და ხვთისო აბსოლუტურად გაცნობიერებულ ქმედებასაც: „განიზრახა ფარულად სივლტოლაი თვისით ქვეყნით საღმრთოითა წოდებითა“.

სწორედ „საღმრთო (მო)ნოდებად“ გაიაზრება ამაღლების ტაძრისკენ სვლა — ამაღლება, „ამაღლებამდის უნდა ამაღლებულიყონ“ — გვარამისა და ხვთისოს ყოფიერების უზუსტეს დეფინიციას იპოვის მწერალი.

მრავალშროვანი, სიმპოლოებითა და პარადიგმებით დატვირთული რომანის ერთი უკეთეს პასაჟთაგანი უხსენებლისა და ხვთისოს შეხვედრის სცენები, უცნაურად რომ ეთანხმიერება „ბახტრიონის“ ფინალის დვრიტას.

შეხვედრა რამდენიმეა. პირველი ბიბლიური სცენარით ვითარდება.

„და ჰრეუა უფალმან გველს: „რამეთუ ჰყავ ეს, წყეულიყვან შეეცარ ყოველთაგან მხეცთა ქუეყანისა ზედათა! მკერდსაზედა და მუცელსა ჰხვდოდი და მინასა სჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და მტერობა დავდგა შორის შენსა და შორის დედაკაციასა და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შეე უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (შესაქმისაი III, 14-15).

ნასხლომი მოსცდენოდა უხსენებლის, ხვთისოს ჩაევლო ხელი, წესტანი და პატარა გადაერჩინა, მიათორედა წყეულს, ბევრს გადაჟყროდა, მაგრამ ასეთ ღონიერს — არასოდეს.

და თუმც უხსენებელი, ალბათ, „უმზირდა ბრჭალსა მისსა“ (ხვთისოსი), ხვთისომ ვერ გაიმზეტა! („წყალობა მნებავს და არა მსხვერპლა!“ — დანდობის მაღალი ინსპირატორის სიტყვისაებრ) — ცარიელ ქვევრში ჩააგდო აყალყული (მოგვიანებით ქალაქიდან ამოსულთ, ამრეზილ-გაკვირვებულთ განუმარტა: „სულიერია!“).

მერე ნარატივია — ბიბლიურ თხობასავით ლაკონური, ერთდროულად მშვიდიც და პროვიდენციალურიც: „ზეთის სუნი ისედაც იდგა ტაძარშია, საღებავების სუნი იდგა. გოგირდის სუნიც ერთბაშად მოედო...“

რო მიდიოდნენ, მაშინ გაახსენდათ. იცოდნენ: ტაძარსაც რო მოედებოდა უნმინდური, უპატრონონ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენებო, იცოდნენ. რაღა ეშმაკი და რაღა გველიო, იცოდნენ. სინმინდეს ყოველს რო უნმინდურ მიეტანებოდა პირველყოველისა — ხატებს დაგესლავდა, შებილნავდა რო მშინდანებსა, იცოდნენ. იცოდნენ! მერე, რატომლაც, გადაჟარულდათ, არად ჩააგდეს თუ მიაყურისძირეს.

დროს ელოდა ალბათ. დამდგარიყო დროი...

ეგერა სიცოცხლის ხეცა წამაღლების ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე — ნ. ქ. ხეი აკრძალული. შემოპევევია, შემოპევრაგნია, გადანოლობა, ნანვედენილა მომნუსხველი სახითა, მომნუსხველითა. ისევ ისეა — ოდესდაც რო გამოუხატნიათ, ხელშეუხებელი... ევა დაუცხრილავთ, ... ღვთიშობლის თვალებში ისხდა მაუზერის ტყვიერი... ნაფლეთები შემონახულა. უხსენებელი ისევ ისეა — წყევლაი იგი მარადიული, იმას აღდგენა არ დასჭირდება, მარადიულია და შეულახეველი...“

ჯერ — ამ პასაური — უხსენებელი წყეულია, მაგრამ ხვთისოს ღვთაებრივი არჩევანი — დანდობის მაღალი მადლო მეზირად გარდაქმნის ქვევრის ტუსალად ქცეულს.



ვაჟა-ფშაველა

როცა ტაძრის აღმდენთა „თვითნებობას“ — აღდგენის ნებადაურთავი ნების შესახებ შეიტყობს კაენური ქალაქი, ამაღლების ტაძრის აპელურ სიმყუდროვეში შემოიჭრება.

„ხელოვნებათმცოდნეები“, „ძეგლთა დაცვის სამინისტრო“ უხსენებლებით აიყალყებინ, რას არ დასწამებენ ხვთისოსა და გვარამს, უვიცთ მოგინადინებიათო ხელოვნების ძეგლის რესტავრაცია [მათოვს ტაძარი ხელოვნების ძეგლია და არა უფლის სახლი, ღმერთისა და კაცის მაღალი შეხვედრის საკრალური ალაგი, არადა, „ქართული ტრადიციული ხედია ტაძარს იმთავითვე ინტიმური თვალით უყურებდა — როგორც ღმრთისა და თავის საერთო სახლს“] (ჯანრი კაშია, უბისა ანუ რენესანსი ურენესანსოდ, „მნათობი“ №5, 1990).

გასაკვირი არაფერი იყო — „გონება დაეცხრილათ წინამურთანა, რო უგუნურება მოვლენოდა ბატონპატრონადა ერსა უბედურა“ [117].

გავიმეორებთ ზემოთქმულს: ხდება სასწაული — ქვევრის ტუსალი მეზირს ემსგავსება — ტაძრის „თვითნებური“ აღდგენით ავად გალიზინებულ, „ნაზუთხი ციტატებით“ მრისხანედ მეტყველ ხელოვნებათმცოდნეს დაგესლავს.

(თოთქოს ახდება ისუ ზირაქის წიგნში კონსტატირებული: „ცეცხლი და სეტყვა, შიმშილი და სიკვდილი — ყოველივე ეს შურისგებადა შექმნილი. მხეცთა კბილები და მორიელნი, ქვეწარმავალნი, მახვილი შურს მიაგებენ ურჯულოთა დასაღუპავად“ (ისუ ზირაქი 39, 29-30)).

სინმინდის მცენელად ტრანსფორმირდება სინმინდის მტერი.

[მსგავსი პასაუი გოდერძი ჩოხელის ნოველაშიც ჩნდება. მოხუცი ქალი უამბობს შეილიშვილს: „ნიკალაის დროს ეს ყოფილა რუსის გზა და აქ ჯარი ჰყავდათ რუსებს. ტყები ჭრიდნენ საზამთროდ წიფლებს... გადმააქცევდნენ დიდ-დიდ ხეებს, მაშინ უფრო დიდი ტყე ყოფილა. ერთხელაც ასულან სის მოსაწრელად და ის გველი უნახავთ, უნახავთ კი არა, ალბათ, ხატმა მოაჩვენა — ახვევია წიფლებზე დიდი გველი, გველი კი არა, გველებაში ყოფილა პირდაღებული, გამოექმნა, უნდა დაჭამოს ეს რუსები, თან ქმინავს საზარლად. დაუყრიათ თურმე იმათ ცულები და გაქცეულან. ხატმა არ მოიხდინა თავის ტყეში წიფლის ჭრა“ („ნადირობა ოზანოს მთაში“).

„ტრამალის ხალხიც“ მოსდგომოდა მთაგრეხილთა ქვეყანას, სასწაულით გადარჩენილ, თითქმის აღდგენილ ტაძარს მკვიდრი უხსენებელიც დაპლირებოდა — „ვინ უწყის, თუ ვინ რასა თხრიდა, ვის რა გვირაბები გაჰყავდა, რასა ჰქსელავდა აქეთა და იქით, ყველგანა, ყველგანა, რო ერთ დღეს აენია ეს მთაგრეხილები, აენია, აეტანა, აეფრქვია და მტვრად გაეფანტა დედამინაზედა“.

ფაქტის კონსტატირება — „გამსკდარიყო გუმბათი — ისო გამქრალიყო“.

გვარამს ოჯახითურთ აიძულებენ ქალაქს დაბრუნებას — ამაღლების სიმაღლიდან ისე დაბლაა სოფელი... დედაქალაქიც (იქნებ, დედაქალაქი — მით უფრო?!)...

მაგრამ მეზირი ბრუნდება — ამაღლების ტაძრიდან კვლავ ქალაქში გამგზავრების წინ პატარა ბიჭი („გამოუცხადე ესე ჩჩვილთა“ (მათე 11, 25)) შეამჩნევს: „ამოსცექეროდა ორმოდანა მბზინავი თვალი. ამოსცექეროდა, ამოჭიატებდა, ამოელავდა. ანთუ სხივი რამ ჩამტყდარიყო ორმომია, ანთუ დაბრუნებულიყო ბინადარი მისა“ [ჩვილი ასპიტის ბუდესთან — სამოთხის სანატრელი ვიზიონის ანარეკლი თუა ოთარ ჩხეიძისეული პასაჟი].

„გუნებაგადაბრუნებული“, სხივად ტრანსფორმირებული უხსენებელი (ზესტანისა და გვარამის ქალაქში დაბრუნების შემდეგ) მხსნელად ევლინება მარტოდ დარჩენილ, გვარამის შეგვიანებით, ტაძრის დანგრევითა და დაწვით („არაშრომითი შემოსავლის“ ალსაკვეთად ქალაქიდან ამოსულთ ჯაურები დაეწვათ, გუმბათდამსკდარ ტაძარსაც მოსდებოდა ალი!), ყოფიერების საზრისის წანისლვით იმდეგადანურულ ხეთისოს — „უფსკრულსა შინა სასონარკვეთილებისასა მდებარეს“ — თვითმკვლელობას არ დაანეჭებს:

„რაღაც ჩასწყდა შიგნითა ერთბაშადა [ხვთისოს], ჩასწყდა, დაბზრიალდა, თავში ავარდა და მოსკდა ცრემლადა... არავინ იყო გამონებ, ყრუი იყო სოფელი. დამთავრებულიყო ყოველი...“

[მან ჯერ არ იცის, რომ ნესტანი და გვარამი დაბრუნებაზე ოცნებობები — 6. კ.]

თითო დაენდო სასხლეტსა, ის იყო, დაენდო და ფეხებში რაღაც მიაწყდა, კონდახსაცა და გავარდა თოფი...

კაცი წყვეულს მისჩერებოდა. კუდი აეპრიხა წყეულსა, თავი აეყალყა, კუდს აქანაგებდა, მიიტანდა ყელთანა, შეათამაშებდა თავს ზევითითაცა, ჩაიცურებდა მერე სიგრძივა, შემორკალავდა და გამოპყოფდა თავს, მიიმაღლებოდა და გამოძრებოდა, მერე მოივლო კუდი ირგვლივა, კვეშ შემოიგდო, შეათამაშა, შეეთამაშა, გაისუსა, მინაბა თვალები, მინაბა, გაშეშდა, გაშეშდა და სხივოდა, თვითონა სხივოდა — მზე არ დასცემოდა, გაცყრიდა ნაპერნკალთა, თითქოსა ვარვარებსო, გაცყრიდა, გაცყრიდა, დაიცალა რო თითქოსაო, გააზმორა, გააძაგძაგა, გაკანკალა, შემოიგრიხა, შემოინურა, შემოიკეცა, შეითბო ტანი თითქოსაო, ანთუ ვერ შეითბო, მაღლევე აიშმოლტა, დაქანდა ერთი, დაიზნიქა, გაიტყორცნა, გაიმუშილა, თითქოს რო, აპაა, მაყვლოვანში ჩაიგრიალებსო, მაგრამ არა — მოიღვენთა, შემოგორგოლდა, თავი წააგდო მერე წინა, ნელა, ნელიად წაცურდა ზლაზვნითა, უნდილადა, წელათრევითა, წაცურდა, წაგიდა, გაუყვავთა ტაძარსა და ჩაიკარგა“.

ადამიანი იხსნა [„ტაძარი ხართ ღმრთისანი და სული ნმიდან დამკვიდრებულ არს თქუენ თანა“ („აბოს ნამება“)],



თარ ჩხეიძე

წმინდა კაცი დაიფარა და სიწმინდეს (ტაძარს) თუ შეეფარა „გუნებაგადაბრუნებული“, განწმენდილი უწმინდეული...

ეს საოცარი ვიზიონი ნაირა გელაშვილის „სარკის ნატეხების“ შთამბეჭდავ პასაუსაც წამოგვაგონებს: ბავშვობის შთამბეჭდილება — ფეხზე უხსერებლის გადასრიალება ულამაზეს მოვონებად ექცევა მწერალს: „იწვა მმვიდად, ეტყობოდა, თავს კარგად გრძნობდა. წითელ, შავ, მომწვანო ზოლებს, ლაქებს თუ სამკუთხედებს ვაკვირდებოდი. მან ნელა მოატრიალა თავი, ბალახზე რომ ედო მსუბუქად, რაღაცანარად, ნაზად მოატრიალა ჩემეკუნ და ზურგზე დაიდო. კარგად მახსოვეს, თვალებში რომ შევხედეთ ერთმანეთს. დიდმა სიხარულმა შემიძყრო, ჩემი გული მას ეკუთვნოდა, ასეთ ნდობას რომ მიცხადებდა. ყელით გაეხახუნა საკუთარ ზურგს, მთელი არსებით ვიგრძენი, რომ გამეთამაშა. მერე გასწორდა, უზომოდ ნელა, ნელა გაცურდა. ვხედავდი, როგორ ნელა მისრიალებდა მისი ჭრელი, მრგვალი ტანი ჩემს ტერფზე და კუდი როგორ გადასცილდა მას.“

აღნიშნულ პასაუს უზუსტეს კომენტარს ურთავს ლევან ბრეგაძე: „ცოდვითდაცემამდელი ვითარება დახატული, უბედინერეს სანა — სამოთხე“ (**მოთხრობები ლიტერატურაზე**).

„მატიანე ქართლისას“ გაგრძელებაა „ამაღლება“, წინასიტყვაობაშივე გვაუწევებს მწერალი („მატიანე ქართლისას“ მხატვრული რეცლექსის — ვაჟას „ბახტრიონის“ გაგრძელებაც)...

უკვე ვაჟასთან ტრანსფორმირებული პარადიგმა ოთარ ჩხეიძესთან იმავე მნიშვნელობით კონსტატირდება — საღმრთო მადლის დამმარხველი (მმარხველი), კაცთაგან უკეთესი (სახელიც რომ საუფლო ჰქვია — ხეთისა!) გველის ბუნება-საც გარდაქმნის და სამოთხისეულ ჰარმონიას აპრუნებს უფლისდამვინყებულ წუთისოფელში...

იქნებ, ოდესმე, ლაშარის გორზე შედგეს ლუსტემი, კავკასიონის ფერდობზე, ამაღლების აღგენილი ტაძრის ჩრდილებზე — ბედნიერი ხეთისო...

წუთუ მხოლოდ ოცნებაა პერსონაჟის ვიზიონი: „ვდგავართ მთაზედა მე და ტაძარი, ჩვენ ორნი ვდგავართ“?!..

P.S. ჩაიფურცლება ბოლო გვერდები „ამაღლებისა“ — „მატიანე ქართლისას“ ერთი უახლესი და უკეთესი მხატვრული ანარეკლი.

გაკრთხება იგივე ფიქრი (უკეთ — ტკივილი), რაც ოთარ ჩხეიძის ყოველი რომანის წაკითხვის შემდეგ: „ნამდვილ ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი ეს საოცარი პროზა კიდევ დიდხანს დაიუჯებს თავს მასობრივი მკითხველისაგან — მემატიანებს ხომ თანამედროვენი არ კითხულობენ, მათ შთამომავლები ეწაფებიან ხარბად“ (**ლია ყატაშვილი, ოთარ ჩხეიძის სტილი, „მნათობი“ №10, 1990.**)

ნინო დეკანოიძე

ეტიკეტის გარეშე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“, შეიძლება ითქვას, საშვილშვილი პროექტის განხორციელება იტვირთა; აპირებენ, ერთი წლის განმავლობაში ქართველ მეითხველს ვახტანგ ჭელიძის 9-ტომეული ჩაბარონ. წიგნებში მწერლის მხოლოდ ორიგინალური ნანარმოებები მოიყრის თავს. I და II ტომი უკვე დაიბეჭდა. შესაბამისად, როგორც ხდება ხოლმე, გამომცემლებმა პრეზენტაცია გამართეს. ადგილი — ქართული ლიტერატურის მუზეუმის მყუდრო დარბაზი. განწყობა-გრანატოზულობის გარეშე, რადგან თუ რამე უხდება ვახტანგ ჭელიძის ძვირფას სახელს, მისი წიგნების გამოცემის სიხარულს, ეს გახლავთ გულნრულება, სისადავე, სიყვარული გაცვეთილი ეტიკეტის გარეშე. ჩამონათვალი ამ ასტრაქტული სახელებისა სიცოცხლით შეიმოსა დარჩაზში, რომელიც არ გახლდათ გადატვირთული. ეტყობოდა, არც ორგანიზაციონურების მიუწევიათ საჭიროდ სამისოდ თავი გამოედოთ. ერთი სიტყვით, 29 სექტემბრის საღამოს, აღნიშნულ მისამრთზე, შეკრებილ საზოგადოებას შეიძლებოდა დარქმეოდა, „მადლიერება ძველი გუნდიდან“. აյი ბრძანა კიდეც, ლონისძების დაწყებამდე ეზოში თავმოყრისას, მსხმოიარე ბრძნეულებისა და შემოღვევის ფერადოვნებაში ავარიანტის პირზე: თუ გინდა კარგი ხალხი ნახო, ამნაირ დღეებს კარგი კაცის სახელზე, არ უნდა გამოაკლდოთ.

არაორგანიზებულობის მიზეზით წუთიერად ჩამოვარდნილი უხერხულობა თავყრილობას ააცილა როსტომ ჩხეიძემ, იქვე რომ შეასხელეს გასძღვრლობა სალამოს. პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით, კიდევ იმ გრძნობის შეწევნით, ცოტა მოვინანებით რომ გამხილა, პ-ნი ვახტანგის სიყვარულში მარინას და დათუნას შევეზიარებიო, ლონისძიება შთამბეჭდავად წარმართა. შემოფარგლული დროს მიუხედავად, შესავალ სიტყვაში ცოცხლად და საინტერესოდ წარმოაჩინა ვახტანგ ჭელიძის დანართი. ისაუბრა მისი ფასდაუდებელი შემოქმედების როლზე წიგნერი საქართველოსათვის.

როსტომ ჩხეიძემ ისიც შეასხენა საზოგადოებას, გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული ლიტერატურა როგორ მოიცვა ჰემინგუეის სტილმა; და რომ ეგონათ ამერიკელ მწერალს ბაძავდნენ, სინამდვილეში ვახტანგ ჭელიძის შექმნილ სტილს იმეორებდნენ და ამკვიდრებდნენ, რადგან მისეული თარგმანებით გამოინდიდა უცხოელი კლასიკოსი მშობლიური ენის სივრცეში.

დასინა ისიც, რომ გერონტი ქიქოძის — დიდი ლიტერატორისა და მოაზროვნის ზეპირი სენტენცია ვახტანგ ჭელიძემ შემოგვინახა და თავადაც ზედმინებით გაიზიარა: „სრულფასოვანია ის თარგმანი, როცა კითხულობ და გვინდის ქართულია“.

ორატორმა, ვისაც წესად აქვს არავის დაუკარგოს ლვანლი, გულში არ ჩაიტოვოს სათქმელი და შეაფეროს ზუსტი საქებარი სიტყვებით, არც „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ დაივინავა, არც ბიოგრაფიული რომანები და დღესაც აქტუალური პუბლიცისტიკა თუ ლიტერატურული წერილები. ავტორიტეტულად თქვა, რომ ვახტანგ ჭელიძის სამწერლო გავლენა დღესაც გრძელდება.

პრეზენტაციას ხიბლი შემატა ჯანსულ ჩარკვიანის გამოსვლამ. ვიდრე პოეტი თავის სიტყვას იტყოდა, დილით დაწერილი „საუცებისო“ ლექსი, მიძღვნილი ვახტანგ ჭელიძისადმი წაუკითხა მსმენელს. „ჩვენი მწერლობის“ მოდარაჯე რედაქტორმა წამსვე აართვა პირის ავტორს,

რომ გულითადობისა და პოეტურობის ეს ნიმუში პირველად ჩვენს შურალში დაბეჭდდება.

ჯანსულ ჩარკვანმა აგრეთვე თქვა: — ჩემი თაობა, იგივე „პირველისხიველები“, იგივე „ცისკრელები“, იგივე 60-იანელები ყველა თავისთან წაგვიყვანა შურალ „ცისკარშიონ“. ე.ნ. შტატები ისე გააწვდინა, უხელფასოდ არვინ დარჩენილიყო. კორექტორობა მერგუნა, თუმცა ლიტმუშა ეკუყავით... გაპარულა ჭკვიანი, მაგრამ რისხვის დამტყვდომი კორექტურა: პირსისხლიანი მენტერიკების ნაცვლად დაბეჭდილა პირსისხლიანი ბოლშევიკები. მისწვდა ამბავი დანიშნულებისამებრ... რედაქციის ეკუყავით ეკუყავით გადაუწყვეტიათ, პასუხისმგებლობა აეღო კორექტორს და რედაქტორი იხსინდა მას ზემდგომთაგან კორექტულად. ვახტანგ ჭელიძეს სიტყვისთვის არ უდალატია...

ჯანსულ ჩარკვანმა დასძინა, რომ ვახტანგ ჭელიძე, როგორც პირვენება, იყო დახვეწილი, განათლებული, მოსიყარულე, ჭეშმარიტად მზრუნველი და შინაგანად მორჩმუნე; შესაბამისად დიდი აღმზრდელი. როგორც რედაქტორი — სანიმუშო და მისაბაძი. ყველაფერს ბეჭდავდა, ოღონდ კარგი დაგენერა. თუნდაც იმ დროისათვის მიუღებელი, ნიჭირად და ოსტატური გაბედულებით გეთქვა, პასუხისმგებლობას იტვირთავდათ. როცა „ცისკრის“ რედაქტორი ვიყავი, ვახტანგ ჭელიძის გზას ვაგრძელებდიო...

შექსპირის მაჩაბლის შემდგომ თარგმანებზე მიაქცევინა მსმენელს ყურადღება პაატა ჩხეიძემ. ქართულ შექსპირიანა რომ არც ისე დარიბია, XX საუკუნემ განსაზღვრაო. ჩინებულ მთარგმნელთა შორის ვახტანგ ჭელიძე განსაკუთრებულად გამოარჩია. და როგორც თავის წიგნში „ივანე მაჩაბლის ტრადიცია“, უკვე არგუმენტირებულად დასაბუთა, კელავაც გაიმეორა: — ვახტანგ ჭელიძე არა მხოლოდ ყველაზე უკეთ გააგრძელა, სიმაღლე შესძინა შექსპირის ქართულად ამეტყველებდასო.

მანვე ახსენა მთარგმნელობითი სკოლა ერეკლე ტატიშვილისა და მისი სახელმოვანი მონაფებით. ერთ-ერთი მათგანი ვახტანგ ჭელიძე იყო, რომელმაც ცხოვრების ნესად მიიჩნია დახმრებოდა და ყოველთვის გამოსარჩლებოდა ახალგაზრდა ნიჭირ თაობას. ვინ დათვალის, რამდენს დაულოცა გზა... დაბეჭდა მრავალი ისეთი უცხოელი მწერალი, სხვა რომ ვერ გაბედავდა; და მოსკოვს რომ არ დაპიოთხვია, ეს არავისთვის დაუმადლებია. დღეს სწორედ ვახტანგ ჭელიძისნარი მოლვანენი არიან საჭირონი, ნამდვილ დასავლურ ლიტერატურას, ჭეშმარიტ დასავლურ ფასეულობებს რომ ვეზიაროთ — პათეტიკის გარე, კონსერვატიორული დაბეჭითებით დაასრულა სიტყვა პაატა ჩხეიძემ.

შუქია აფრიდონიძის მღელვარე სიტყვაში მოწინებასთან ერთად იგრძნებოდა გულისწყვეტა იმის გამო, ახალგაზრდობისას, დიდ ადამიანებთან შეხვედრების ბედნიერებას ზეპირმეხსიერებას რომ მიანდობ და რეგულარულად არ ჩაინიშნავ დღიურში. მან სახელმოვანი პაპის თედო

სახოკიას დამოკიდებულება ვახტანგ ჭელიძისადმი გაუზიარა მსმენელს. „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ როცა წაიკითხა, პროზის შედევრად მიიჩნიაო.

გულითადობით იყო ნასაზრდოები ქეთევან ტომარაძის გამოსვლა. მან ისაუბრა ვახტანგ ჭელიძის ჭეშმარიტი ინტელიგენტურობაზე, კეთილშობილებაზე, კოლეგებთან გულისხმიერ დამოკიდებულებაზე. სანიმუშო მაგალითად თავისი მეუღლის, თამაზ წატროშვილისადმი მისი მამაშვილური ურთიერთობაც იყმარა; კერძოდ, როგორი დაუინებით შეაგულიანა ახალგაზრდა მწერალი დოკუმენტური პროზისათვის მოეკიდე და ხელი. ქალბაზონბა ქეთევანმა გაისხენა აგრეთვე, რომ

ვახტანგ ჭელიძე იყო არაჩეულებრივი მასპინძელი, ძალიან კარგი თამადა — ენაწყლიანი და სიტყვამჭევრი. მოამაგა — არავისთვის არაფერი დაეკარგა.

ემზარ კვიტაიშვილმა, ვისაც პროფესიული სანდოობის გამო, მემკვიდრებისაგან პატივად ერგო გასცნობოდა ვახტანგ ჭელიძის არქივს, თქვა: მალე ცხადი გახდება, რა მოვლენის წინაშე ვართო.

გრიგოლ აბაშიძე, გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე და ვახტანგ ჭელიძე განდობილები იყვნენ და მეც გულში მყავდნენ მთელი ცხოვრებაო. მოსაგონარიც მოიგონა.

ტომეულების ქრონოლოგია, როგორც რედაქტორს, სხვანაირად განუსაზღვრავს, მაგრამ გამომცემლის, ლევან ფოფხაძის ნებას დაჰყოლია, რადგან თანამედროვე მყითხველის ინტერესი სხვა კუთხით განსაზღვრაო.

მწერლის არქივისადმი ბატონნა ემზარმა ინტერესი გაუღვივა მსმენელს, როდესაც აღნიშნა: — რაც შეეხება არქივს, არის მეტად მდიდარი და დიდი მოვლა სჭირდებაო. აქ ისეთი ამბები ტრიალებს, მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოჩნდება იმდაგვარად, უამრავი დაფარული გაცხადდებაო...

როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოიშვა დიდი ინტერესი ვახტანგ ჭელიძის ტომეულების შესახებ. შეკითხვებს უასეუბა გამომცემელმა ლევან ფოფხაძემ. აგრეთვე საიდუმლოდ აღარც დაიტოვა, რომ „საქართველოს მაცნეს“ განზრახული აქვს ვახტანგ ჭელიძის თარგმანების სრული გამოცემაც — 15 თუ კიდევ უფრო მეტ ტომად. ოღონდ არ დაუკონკრეტებია, ეს ტომები პარალელურად მომზადდება თუ ბარემ, როიგინალური ქმნილების დასრულების შემდეგ. ამ მოულოდნელად ამბით გულგამთბარმა მწერლის ვაუმა სიტყვა ჩამოართვა როსტომ ჩხეიძეს, მკაცრი რეჟიმის მოუხდებად, აუცილებლად გაითვალისწინოს და გაუძღვეს ამ საქმეს, როგორც შემდგენელ-რედაქტორი.

დასასრულ, ოჯახის, მეტყვიდრეების — შვილიშვილებისა და შვილთაშვილების სახელით (დაბაზსაც რომ ამშვენებდნენ) დამსწრე საზოგადოებას მამის გულთბილი მოგონებისათვის მადლობა გადაუხადა დაგით ჭელიძემ; გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ — კეთილი არჩევანისათვის.

ლია კუხიანიძე

30ს ელის შავი ჩოხა?

ეს-ეს არის ორი საინტერესო რამის კითხვა დავასრულე. ერთი — პარიზის მარი და პიერ კიურის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორ ვიქტორ დოცენოს წერილია, „საზოგადოების დებილიზაცია ანუ წინ გლობალური კონცლაგერისაკენ“; და მეორე — ამერიკელი უფრნალისტისა და მწერლის ქალის სტეფანი ფიოლის „ეს უცნაური ამერიკელები“. მაქს მიზეზი გარინდებისა, ერთ წერტილზე თვალის გამტერებისა, გულის დამზიმებისა.

ახალი და ჯერ ართქმული არც ერთს დაუწერია, მაგრამ მხოლოდ სივრცით დაშორებულმა, ერთ დროში მყოფმა ორმა ადამიანმა განსხვავებული მიზნითა და მიზეზით შექმნილი ტექსტებით კიდევ ერთხელ და მთელი სიცხადით დაგვანახა, გზა, რომელსაც გლობალურ პროცესები ჩართული თუ ჩათრებული საზოგადოებანი ადგანან, სულის საბოლოო დანგრევამდე, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვამდე მიგვიყანს, რაც ერთნაირად აღლვებს თავის სამშობლოს მოყვარულ ყველა ადამიანს მთელს მსოფლიოში.

სხვა მიზნით და მიზეზით-მეტე, იმტომ, რომ პატონ პროფესორს, რომელიც დაწვრილებით აღნერს ბოლო ათწლეულის ფრანგული განათლების სისტემას, მისვე სიტყვებით, კონფუზში აგდებს უკვე არსებული შედეგი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ პატონის სახელმწიფო გამოცდებით (ასე ჰქვია იქ მისაღებ გამოცდებს) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისათვის შერჩეული სტუდენტების 40% პირველი კურსიდანვე ირიცხება უნივერსიტეტიდან ვერ მოსწრების გამო. დარჩენილებას უბრალო გამრავლება-გაყოფა არ შეუძლიათ უკალკულატორიდ, რომლის გამოყენება სახელმწიფო (მისაღებ) გამოცდებზე რთიცალურადაა ნება-დართული. ხოლო ასპირანტებს ელიტარული უნივერსიტეტით ისა, რომლებსაც დოცენეკო თეორიულ ფიზიკას უკითხავთ, „ყველაზე-ყველაზე“, „სუპერ სტუდენტებს“ (როგორც მათ უწოდებენ) არასდროს უჩინდებათ შეკითხვის დასმის სურვილი. პატიოსნად იზეპირებენ ყველაფერს, რასაც ავალებენ, არიან გამგონენი, შრომისმოყვარენი, მაგრამ არა მოაზროვნენი. როგორც მათი ლექტორი აღნიშნავს, „განათლებას სული ამოაცალეს, დარჩა მარაზმი“. აბა, სხვა რა შეიძლება ენდორს იმას, როცა პროფესურა ორი კვირა განიხილავს, მისცენ თუ არა სტუდენტებს საკონტროლო დავალებად საბჭოთა სკოლის მე-7, მე-8 კლასის დრონის ამოცანა და საკითხის დადებითად გადაჭრის შემდეგ აღმოჩნდება, რომ 200 „ყველაზე-ყველაზე“ სტუდენტიდან მხოლოდ 2 ამოხსნის სწორად — 2 ჩინელი სტუდენტი. აღლვებულ პროფესორს მისი ძალიან ნიჭიერი და განათლებული კოლეგა იმით „ამშვიდებს“, რომ ყველა-ფერი სწირად მიდის, თანამედროვე საზოგადოებას სტირდება კარგი შემსრულებლები და არა მოაზროვნენი. პროფესორი დოცენეკო, რუსული ფიზიკა-მათემატიკის სკოლის წარმომადგენელი, უკანასკნელ, ჯერ კიდევ შემორჩენილ ერთ-ერთ დოზავრად მიიჩნევს თავს, შეძრული იმით, რომ მის სტუდენ-

ტებს (და, რა თქმა უნდა, არამარტო მათ) ქაოტური, „მოზაიკური“ განათლების მქონეთ, აზროვნება, ცოცხალი ორგანიზმის ეს ფუნქცია მთლიანად ატროფირებული აქვთ და თუ ეს „ალგორიტმიზაცია“ და ტესტირება მაგისტრალური გზაა კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის (ბოლოსდაბოლოს თუ ეფექტურა, რატომაც არა), იგი წარმატებებს უსურვებს თავის სტუდენტებს გზის გაგრძელებაში. ის რჩება.

რაც შეეხება სტეფანი ფიოლის წიგნს, „ეს უცნაური ამერიკელები“, რომელიც თანამემამულებს დიდ ბავშვებს ადარებს, ყოველმხრივ ახასიათებს მათ რეალურად, მაგრამ არა კრიტიკულად ეყრდნობა მთავარ პოსტულატის თანამედროვე ამერიკული საზოგადოებისა, რომ „ამერიკელი-სათვის მარტო დრო კი არაა ფული, ყველაფერი ფულია“.

სწორედ სულგამოცლილი განათლება და გაფეტიშებული ფულია ის მიზნი-მოდელი, რომელმიც „გლობალიზაციის მამებს“ სურა პროკურუსტესავით სხვებთან ერთად ჩაწერებონ ახალგაზრდა ქართველები, სადაც ზედმეტი ზეობა, რწმენა, ტრადიციები იქნება, ურომლისოდაც ისინი შემსრულებელ რიპოტებად იქცევიან.

...ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო ზემოთ დაწერილს ჩემს მთავარ სათქმელთან, მაგრამ ერთი შეხედვით...

მე როსტომ ჩეიიძის წიგნზე „შავი ჩოხა“, უფრო სწორად, მის მიერ 2010 წლის 9 დეკემბერს ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში ქაქუცა ჩოლოყაშვილზე წაკითხულ ლექციაზე უნდა ვთქვა. წიგნი აგრე, მაგიდაზე მიღევს და წერის დროს ხშირად გავხედავ გარეკანზე გამოხატულ აშოლტილ, შავჩოხიან ვაჟკაცს, მარცხენა ხელ ხანჯლისათვის რომ მოუვლია და სევდიანი იერით თითქოს დროს ჩასცერის.

ლექცია ბატონშა რასტომშა უილტ უიტმენის იმ ლექსის ამონარიდით დაიწყო, ეპიგრაფად რომ უძღვის წიგნს და ინტერესით გაფაციიცები. მართლაც, რა შეიძლება აკავშირებდეს ეკუპირებული, შეურაცხყოფილი და დამცირებული სამშობლოს ნატეხს — ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს, „დიდი გვარი დიდი ჯვარივით რომ აუკიდია“ (კონსტანტინე გამასახურდია) და მდიდარი, თავისუფალი, ქვეყნის შეიღლს, „კოსმოსს, ძეს დიდებულ მანქატანისა უოლტ უიტმენს“, კაცს, რომელიც ლუიზიანაში, ტრიალ მინდორზე ნანახი მუხით (საკუთარ თავს რომ აგონებდა) აღტაცებული სულისშემძრელად გადმოსცემდა გაოცებას, „თუ როგორ შეძლო ბებერმა მუხამ მარტორბაში, უმეგობროდ, ამ მოშრიალე ფოთლების შობა“ მასთან, ვინც იმ მოდგმისა იყო, მარტოსული, ბებერი მუხა თავისი მამულის ბედუებულმართობის გამო სულ სხვა ასოციაციებს რომ აღუძრავდა. მოდებისა, რომლის გენია, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ისტორიულ მიზეზთა გამო პატრიოტიზმით იყო შემოსაზღვრულ-ფრთაშეცეცილი და დროის სამივე განზომილება, გარდა XII საუკუნისა, მისთვის ასე ხასიათდებოდა: „წარსული, ანმყო, მომავალი, სიტკბო-სმინარე-ოცნება“ (აკაკი).

...რა აკავშირებდათ და სულის სილადე და თავისისუფლების დაუოკებელი წყურვილი, ამიტომაც მიესადაგება არაჩვეულებრივი აღვის „შავი ჩოხის“ აღნიშნული ეპიგრაფი (ერთი სტროფი უოლტ უიტმენის „დიდი გზის სიმღერიდან“) ბედს იმ კაცისას, შავლებოს სისხლში გახამებული სიმბოლური შავი ჩოხის ტარების პატივი და სიმძიმე თავის დროში რომ არგუნა ბედმა.

ერი და გედისცერა

ქალაქს შესული დაყოვნდები მხოლოდ მცირე ხანს, ვიდრე მედგარი დაძახილი გზად არ მოგიხმობს. ჩამორჩენილნი ღვარძლითა და გესლიანი ჩაცილებით გაგაცილებენ, გამოთხოვების მხურვალე კოცნით უპასუხებ მოყვასთა ცრემლებს, და შენ ხელსა ჰკრავ კაცს, რომელიც შეეცდება შენს დაკავებას.

საქართველოს ისტორიაში მარადიულ „შაგრიხისანთა ორდენის“ წევრები ხომ ის კაცები იყვნენ, უფლის ხმის ტოლფასი „მედგარი დაძახილი“ მოყვასისა და ქვეყნის სამსახურისათვის რომ იწვევდათ, იმის კარგად მცოდნეთ, სამაგიროდ, უმრავლეს შემთხვევაში ცილისნამება და ტყვია ელოდათ.

ბერი რამ კეთდება დღეს იმ „მედგარი დაძახილის“ ხმის ჩასახშობად, დასამცრობ-გასაქილიკებლად ყველაფერი იმისა, რაც საქართველოში კაცს კაცად აქცევდა. თავს არ იზოგავენ, რომ მთელი ქეყყანა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ჩართონ „ხალისობანში ხროვისანში“ (ოთარ ჩხეიძე). ათას სამაცდუროს სთავაზობენ ლირსების, კაცობის, მამულის დათმობის ფასად, პიროვნებისა და აზროვნების თავისუფლების ნიმუშად წარმოადგენ ფსევდოლიტერატურის ამაზრზენ, ადამიანობის შემბლალავ „მარგალიტებს“, ბრჭყვიალა, უდღეური ჩინ-მედლების მომვრნებლი ხან ვის გამოაცხადებრ გმირად, ხან ვის, ვერ მცოდნენი იმისა, რომ გმირი მხოლოდ ისაა, „ვისშიც ერი ჰპოვებს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებელს, თავის ხატსა და მაგალითს“ (ილია).

ახლა, როცა „ცხოვრების ზურითებს ისევ ისე ვეთრევინებით“ (ვაჟა) და დიდია საფრთხე იმისა, ერი „ნებისყოფის ამულიამ“ (მიხეილ ჯავახიშვილს ქვეყნისათვის ყველაზე საშიშად რომ მიაჩნდა) საბოლოოდ არ გატეხოს, როსტომ ჩხეიძე დაუღალავად აგრძელებს სამშობლოს სიყვარულის კურსის კითხვას მთელი ქვეყნის მასშტაბითა და იმის რწმე-

ნით, ერის ახალგაზრდა ნაწილის ჯანმრთელი სხეული ეჭვის ბაცილამ არ დააზიანოს. დაცემულობის დროს ამაღლებულზე გვიყვება, ეჭვის დროს — რწმენაზე, უსიყვარულობისას — სიყვარულზე, არგამტანობისას — გამტანობასა და ძმისაზე, ფსევდოგმირების ზეობისას — ჭეშმარიტ გმირებზე, ამიტომ ისმენდნენ იმ დღეს თვალებანთებული მოსწავლეები სულგანაბულნი თავგადასავალს შავჩოხიანი რაინდისას, ალექსანდრე ბატონიშვილის სულიერი მემკვიდრისას, ბატონი როსტომის თქმით, ბაგრატიონთა ვალი რომ იკისრა და ისედაც ყველასაგან გამორჩეული რჩეულთა შორის რჩეულად იქცა. ვინც ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა საღვთო ომის სიმაღლეზე აიყვანა, ილიას მკვლელი იმიტომ დაინდო, დამოუკიდებელ საქართველოს პირველად ერის მამის მკვლელები უნდა გაესამართლებინა და ბერბიჭაშვილს საკუთარი პირით ეღიარებინა ზედნაშაული. ვინც თავის თანამოაზრებით იმ ძალას დაუპირისპირდა, მსოფლიოს თავზარს რომ სცემდა, დამარცხდა, მაგრამ დარჩა მაგალითად, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

სულგამოცლილი განათლება და გაფეხტისებული ფული ვახსენე ზემოთ თავისი დამანგრეველი შედეგებით. ვინ გადაურჩება მას, ვინც ქამელეონივით ფერს შეიცვლის, თუ ვისაც ესმის „რა ბედინაა, განადგურდები თუ გადაგვარდები“ (ოთარ ჩხეიძე). როსტომ ჩხეიძემ ქაიხოსრი ჩოლოყმშვილის უკვდავი ხატება სწორედ ამ უკანასკნელის უკეთ შესაცნობ-გასაზრებლად გამოჩენება მას მოადგინო. ხოლო იმედს იმისა, რომ აუცილებლად გამოჩენება ის, ვისაც შავლებოს სისხლით გახამბული შავი ჩოხა ჩვენს დროში ელოდება, ის პატარ ბიჭი მაძლევს, მეექვს კლასელი ვახტანგ ეგუტიძე, ლექციის დასრულების შემდეგ... დრექტორის მოადგილის კაბინეტში შეკრებილ სტუმარ-მასპინძლებს მორიდებით კარი რომ შემოუღო და აღველებულმა, ანთებული თვალებით მწერალს ჰკითხა: „ბატონი როსტომ, ბოლოსდაბოლოს რა დაემართა ილიას მკვლელს?“ იმ შიშნარევი მოლოდინით, დაუსკელი ხომ არ დარჩენილაო.



კაქუცა ჩოლოყმაშვილზე ლექციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მარტვილში

მაია ჯალიაშვილი

„მე ის მამშვიდებს, 30საც ვერასდროს 30რ დავითახავ“

ის, ვისკენაც გამუდმებით მიისწრაფის პოეტი, უხილავად განთქენილია მთელ სამყაროში. მის გამოჩენას, უფრო სწორად, აღმოჩენას ხელს უშლის ყოფის ჯოჯოხეთი, მაგრამ თამაზ ბაძალუა თავისი ძლიერი პოეტური მზერით გაარღვევს ამ ბურუსს და მასგნებს იმას, რაც სიცოცხლის საყრდენად ექცევა. ამ დიდი და პატარა სინათლეების აღმოჩენაზე დანერილი მისი ლექსები. და, რაც მთავარია, მისი გრძნობა, ემოცია გამოძახილს პოულობს მკითხველის გულში, სულსა და გონებაში და მასაც მოანატრებს შორეულსა და მოუწვდიმელს. მისთვის ხელის განვევნაზე „წმინდა სამოთხე“: „მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები, თუმცა ისინი არასოდეს აქ არ მინახავს“ („მარტვილის მონასტერთან“).

ეს განცდა გადაედება მკითხველსაც და ისიც „წყნარად, წყნარად მალლება დაკარგული სიხარულისკენ“.

თამაზ ბაძალუას პოეზიაში იგრძნობა საოცარი სისავსე. მასაც შეეძლო, ბარათაშვილივით ეთქვა, „მაგრამ მე სული გვამში ვედარ მომთავასებია“. მასაც სხეული, როგორც ჩარჩო, როგორც მცირე ჭურჭელი, ევინროება, სუნთქვა უძნელდება, ამიტომაც უხარის მხოლოდ მაშინ, როდესაც პოეზიის გზით თავს დააღნევს ამ ტყვეობას, ამ დროს თითქოს მისი ხორცის სამანები მოირღვევა და ოთხი ელემენტი: ჰერი, მინა, წყალი, ცეცხლი — ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად იწყებს მოძრაობას, ასე გაიშლება თუ გაიფანტება პოეტი მთელ სამყაროში და მოიხილავს მის უჩინარ პორიზონტებს. ამ დროს უმძაფრდება შეგრძნებები, იგი თანაბრად ალიქვამს მზის, მთვარის, ვარსკვლავების ფეთქვასა თუ ბალახის შეკრთმას.

მისი პოეზიიდან სამყარო შემოგვცერის მირიადი თვალებით, ელის ჩვენს შეხებასა და შეხმანებას. ლირიკული გმირი ლალად და თავისუფლად უსმენს სულიერისა თუ უსულოს ჩურჩულს და მკითხველს გამოუთარგმანებს საოცარი, ექსპრესიული მეტაფორებით. იგი მარადიულ განზომილებაში მოიპოვებს უბადრუეკი არსებობის გამართლებას: ამიტომაც ლექსებში ბუნებრივად შემოიტრება ფიქრი უზნაესზე. აქ სამყაროს შემოქმედი ხან პირდაპირ არის დასახელებული, მაგრამ უფრო ხშირად კი მინიშნება მასზე. მეორე ნაპირი, რომელსაც მიელტვის პოეტი, ხან შავი, სულისშემსუთველი მინა და ხან ცისფერი, გამჭვირვალე ლავარდი, თუმცა ორივე მშვენიერია და მიმზიდველი და იმაზე უკეთესი, რაც რეალობის სახით წარმოუდგება. რადგან იქ, მინასა თუ ზეცაში, ფიქრს ვერაფერი შეაჩერებს, განსხვავებით აქაურობისაგან, სადაც ხელშესახები, აღსაქმელი საგნები მზერას ეღლებიან, აბრკოლებენ, თუმცა უპირველესად სწორედ ამ წინააღმდეგობას გადალახავს პოეტი, ხილულს მიღმა იხედება, ამიტომაც არის მისი პოეზია მეტაფიზიკური.



ყოველდღიური ერთფეროვნებით მოქანცულს პოეზია მოვლინება მშველელად. თუმცა ეს უფრო ამძაფრებს კონტრასტის შეგრძნებას. შევისა და თეთრის, ამაღლებულისა და დაცემულის შეხლიდან იბადება ექსპრესიული სახეები, რომლებიც მის წებისმიერ ლექსს აგვირგვინებენ. ყველა ლექსი მწვერვალზე ასვლას მასავს, ტანჯვით მიიჩევს წინ და ბოლოს მაინც შეიგრძნობს სიმაღლეს: „ათასი კაცი ვარ თვითონ, და ათასივე მარტო კვნესის, სანამ პატარა ჩიტი შობს დილას“.

ჩიტის მიერ დილის შობა იმგვარი მეტაფორაა, რომელიც ხილვას ედარება, რადგან ამ სახით პოეტი სამყაროს გამოუტქმელ, გონებით მიუწვდომელ, სიცოცხლის განმაპირობებელ კანონზომიერებას მოიხელობს.

ყოფის უდაბნოში მას წინ მიუძლვის უცხო მგზავრი — ეშმაკი თუ ანგელოზი? ეს ეჭვიც ხშირად გაკრთება მის პოეზიაში, მაგრამ სასოება, სიყვარული და რწმენა მის შერყეულ სულს წონასწორობას უბრუნებს. და პოეტი მოულოდნელად აღმოაჩენს: ეს მგზავრი თვითონ მინაა, სიმშვიდეს და სიყვარულს რომ ჰპირდება.

გრძელდება ჭიდილი მინასა და ცას შორის, თუმცა მინა ხომ თვითონვეა, რადგან მისგან მოიზილა მისი ხორცი, ამიტომაც სინამდვილეში მინა და ცა განუყოფელია, როგორც ცოცხალ ადამიანი სული და სხეული. სიმშვიდის მომგვრელია ამის განცდაც: „და ზეცასავით იხსნება მინა და მინასავით ღამდება ზეცა“. ამიტომაც სამყაროს სახით ილიმება, მთვარე მისი სხეულის ნაწილებია, გრძნობის ორგანოები: „ნისლით ვცდილობ გალიმებას“. და გახასენდება ვაჟას „ნისლი ფიქრია მთებისა“. მთები და ადამიანი ერთი გზით გამოხატავენ თავიანთ შინაგან მღლელვარებას: ადამიანი ნისლის სახით ილიმება, მთები ნისლის სახით ფიქრობენ, და სწორედ ამგვარი განცდების ალტრისას ხდება სამყაროს მისტიკური გამთლიანება და მკითხველი ეუფლება ჩუმი სიხარულის განცდა. ისიც მონაწილეა პოეტის „აღმოჩენისა“.

ის მიელტვის სამყაროს დასაბამიერს, პირველსაწყისს, განუყოფელს, ამიტომაც მოძრაობას, ცვალებადობას განიცდის, როგორც სიკვდილს. პოეზიით უბრუნდება იმ ბიბლიურ, შესაქმისეულ ჟამი, როცა სული იქცეოდა წყალთა ზედა. თვითონაც ამიტომაა „წყლის გაცი“. წყალი მის პოეზიაშიც განახლების, მეორედ შობის სიმბოლოა. ამ დასაბამიერი სისავსის მოპოვება განაცდევინებს მას სამყაროს, როგორც ერთ მთელს, ამიტომაც ქარ, ვარკვდარები, მთვარე, წყალი, გარკვდარები, მთვარე მისი სხეულის ნაწილებია, გრძნობის ორგანოები: „ნისლით ვცდილობ გალიმებას“. და გახასენდება ვაჟას „ნისლი ფიქრია მთებისა“. მთები და ადამიანი ერთი გზით გამოხატავენ თავიანთ შინაგან მღლელვარებას: ადამიანი ნისლის სახით ილიმება, მთები ნისლის სახით ფიქრობენ, და სწორედ ამგვარი განცდების ალტრისას ხდება სამყაროს მისტიკური გამთლიანება და მკითხველი ეუფლება ჩუმი სიხარულის განცდა. ისიც მონაწილეა პოეტის „აღმოჩენისა“.

თამაზ ბაძალუას პოეზიის კითხვისას მკითხველსაც უწნედება სამყაროსთან ამგვარი უშუალო ურთიერთობის სურვილი. ისიც ერთვება პოეტური სამყაროს მძლავრ მიმოქცევაში და ინყებს გარემომცველ საგანთა გადასხვაფერებას. ეს მძლავრი იმპულსი თუ მუხტი შეიგრძნობა მისი ლექსების კითხვისას და გასაგება ხდება სამყაროს მისტიკური გამთლიანება და მკითხველი ეუფლება ჩუმი სიხარულის განცდა.

ვერლიბრის ფორმა აქ უაღრესად დასვენილია. მისი სტრიქონების რიტმულობას, მუსიკალურობას განაპირობებს რაღაც ძლიერი შინაგანი მუხტი, თითქოს სიტყვები თავისუფლდებიან, ნაჩვევ შინაგარებების ძველი სამოსივით იხდიან და მკითხველის წინაშე სრულიად ახალი სახით ჩნდებიან.

თამაზ ბაძალუა წარმომიდგება, როგორც პოეტი-ფერნიქსი, რომელიც ყოველ ლექსში იფერფლება და აღდგება, იტანჯება და განინმინდება და მკითხველსაც ამგვარად განაცდევინებს სიკვდილისას და სიტკობ-სიმწარეს.

დაბადა რუსთავში 1978 წლის 23 სექტემბერს. დაამთავრა №22 საჯარო სკოლა.

2003 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმძიო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ისტო-რია-იურიდიული ფაკულტეტი. არის ისტორიკოსი.

2005-2006 წლებში მუშაობდა რუსთავის №1 საჯარო სკოლის ისტორიის მასნავლებლად. 2006-2007 წლებში — რუსთავის „შე-მოქმედთა სახლის“ დირექტორის მოადგილედ.

პირველი მოთხოვბა დაბეჭდი 2002 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 ნომერში.

ისტორიისა და იურიდიული ფილოსოფიის გარდა დაინტერესებულია ფილოსოფიითა და ფიქტუროგიით. ფართო პუმანიტარული ინტერესები და ცოდნა-განათლება თავისურება აისახება მის ნინარმობებზე, რომელთა მტავარი თემაა თანამედროვე ახალგაზრდა და მისი სულიერი სამყარო. აზროვნების სითამაშე და პარადოქსული ხელს არ უშლის სათქმელი გადმოსცეს და გამოხატოს ისე, რომ არ დაარღვიოს ლიტერატურული „ქცევის წესები“ და იყოს ისეთი, როგორსაც უბრალოდ საინტერესოს უწოდებენ.

დავით შერგელაშვილი

სამი გინიატურა

ყაჩაღი

გამოიძახებაა. ტრასაზე აგარია მოხდა. ჩვენს მისამა-დე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. სასწავლო დახმარების მანქანაში უკვე შეუსვენებიათ ორი გვამი. ახალგაზრდები. გოგო და ბიჭი. ტაქსი ამობრუნებული ეგდონ გზასთან ახლოს. მძღოლი მსუბუქად იყო დამავებული, ასე რომ, დაკითხვა მოვახერხეთ.

კითხვაზე: რა მოხდა? აღმფოთებული სახით გვიპა-სუხა:

მაყაჩალებლენი! სარკეში დავინახე, როგორ ეკავა იმ გოგოს ხელში პისტოლეტი. მიშისგან იმწამსვე საჭე გა-დავკარი. მტერი არაფერი მახსოვს.

მძღოლი დავამშვიდეთ, ჩვენს მანქანაში ჩავსვით და საქმეს შევუდებით. ტაქსის ჩერეკისას პისტოლეტს და უბის წიგნაკს წავანყდით.

აი, მისი შინაარსიც:

— სალო, შენთან საქმე მაქვს. არ გაგიკვირდეს, ასე რომ მოგმართავ. არ მინდა ტაქსის შოფერმა მოგვისმი-ნოს.

— ნამდვილი შეშლილი ხარ. ყოველთვის ვიცოდი. გის-მენ, რა გინდა. უფრო სწორად

— მე შენ ძალიან მიყვარხარ! დღესვე ცოლად უნდა გამომყევ. თუ უარს მეტყვი, იცოდე, იარაღი მაქვს წამო-დებული, ახლავე თავს მოვიკლავ!

— გიურ! მეც მიყვარხარ! ოღონდ ცოლად არ გამოგყ-ვები, თუ შენს იარაღს არ მაჩვენებ. ხომ იცი, როგორ მიყ-ვარს.

